

სერბი ჰორბენაძე

ხელოვნური ინტელექსი
პირმო სამართალო

თბილისი
2026 წ.

თანამედროვე კერძო სამართლის ინსტიტუტი



წიგნზე მუშაობა განხორციელდა „DAAD“-ის მხარდაჭერით



Deutscher Akademischer Austauschdienst
German Academic Exchange Service

წიგნი დაიბეჭდა შპს „ჯორბენაძე განვრეულია ქაუნსელორის“ ფინანსური მხარდაჭერით



წიგნის რედაქტორი: **პროფ. დოქტ. თომას პოერენი**

ყდის დიზაინი: **ანანო რაზმაძე**

ტექნიკური უზრუნველყოფა: **გვანცა მახათაძე**

© **სერგი ჯორბენაძე**

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი, 2026

ISBN 978-9941-34-922-5

ეძღვნება ძვირფასი ბაბუის, პროფესორ **სერგო ჯორბენაძის**,
ნათელ ხსოვნას, რომელსაც 2026 წლის 18 აპრილს
100 წელი შეუსრულდებოდა

Dedicated to the cherished memory of
my dear grandfather, Professor **Sergo Jorbenadze**,
who would have turned 100 on April 18, 2026

სარჩევი

რედაქტორის წინასიტყვაობა	13
EDITOR'S PREFACE	15
ავტორის წინასიტყვაობა	17
AUTHOR'S PREFACE	19
შემოკლებანი	21
I. შესავალი დებულებანი	26
1. ხელოვნური ინტელექტის კერძოსამართლებრივი კვლევის მიზანი და ფარგლები	27
1.1 საკითხის აქტუალობა	27
1.2 კვლევის ობიექტი	27
1.3 კვლევის მიზანი	28
1.4 ნაშრომის ცენტრალური თემა	28
2. ხელოვნური ინტელექტი კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში	28
3. მცირე ისტორიული ექსკურსი	29
4. კონცეპტუალური დიფერენციაცია	30
4.1 ვიწრო ხელოვნური ინტელექტი – Artificial Narrow Intelligence (ANI)	31
4.2 ზოგადი ხელოვნური ინტელექტი – Artificial General Intelligence (AGI)	31
4.3 სუპერ ხელოვნური ინტელექტი – Artificial Superintelligence (ASI)	31
4.4 შუალედური შეჯამება	32
4.5 დიფერენციაცია „სუსტ“ და „ძლიერ“ ხელოვნურ ინტელექტად	33
5. ძირითადი ტერმინები	33
5.1 ხელოვნური ინტელექტი და ხელოვნური ინტელექტის სისტემა	33
5.2 ხელოვნური ინტელექტის მოდელი, სისტემა და პლატფორმა	35
5.3 ხელოვნური ინტელექტის ფუნქციური ციკლი	35
5.4 ხელოვნურ ინტელექტთან კომუნიკაციის ციკლი	36
6. ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური კლასიფიკაციები	37
6.1 სტატისტიკური მოდელი	38
6.1.1 მანქანური სწავლება („Machine Learning“)	38
6.1.2 ღრმა სწავლება („Deep Learning“)	38
6.1.3 გენერაციული ხელოვნური ინტელექტი („Generative AI“)	39
6.1.3.1 დიდი ენის მოდელი („Large Language Model“ – „LLM“)	39
6.1.3.2 ვიზუალური/დიფუზიური მოდელი („Diffusion Models“)	39
6.1.3.3 მუსიკის/ვიდეოს მოდელი („Music/Video Models“)	40

6.1.4 „შავი ყუთი“ („Black Box“)	40
6.1.5 შემაჯამებელი განმარტება „ChatGPT“-ის მაგალითზე დაყრდნობით	40
6.2 სიმბოლური მოდელი	42
6.2.1 „თეთრი ყუთი“ („White Box“)	42
6.2.2 ლოგიკური მოდელი	42
6.2.3 ექსპერტულ სისტემაზე დაფუძნებული გადანყვეტილებანი	42
6.2.4 სემანტიკური მიდგომები	43
6.2.5 დაგეგმარება და ძიება	43
6.3 ჰიბრიდული მოდელი	43
7. განსხვავება ხელოვნურ ინტელექტსა და რობოტს შორის	44
8. აქტორთა ტერმინოლოგიური განმარტება	45
8.1 „Operator“ („ოპერატორი“)	45
8.2 „Provider“ („მიმწოდებელი“)	45
8.3 „Importer“ („იმპორტიორი“)	46
8.4 „Distributor“ („დისტრიბუტორი“)	46
8.5 „Deployer“ („პროფესიული მოსარგებლე“)	46
8.6 „მოსარგებლე“	46
9. ხელოვნური ინტელექტის ადგილი კანონმდებლობაში	47
9.1 „AI Act“	47
9.2 ქართული რეალობა	48
10. შემაჯამებელი მსჯელობა	49
II. ხელოვნური ინტელექტის კერძო სამართლის სუბიექტად მიჩნევის პრობლემა	50
1. უფლებაუნარიანობის არქონა	50
2. ადამიანთან „მიმსგავსება“, როგორც სუბიექტუნარიანობის თვალსაზრისით არასაკმარისი კრიტერიუმი	51
3. განსხვავება ფუნქციურ მოქმედებასა და ნორმატიულ სუბიექტობას შორის	52
4. პირადი არაქონებრივი უფლებების არქონა	53
5. „ელექტრონული პირი“, როგორც სამართლის სამომავლო სუბიექტი	54
6. ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის შედეგები	55
7. შემაჯამებელი მსჯელობა	55
III. ინტელექტუალური საკუთრება და ხელოვნური ინტელექტი	57
1. საავტორო უფლებები და ხელოვნური ინტელექტი	57
1.1 ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები	57
1.2 ნაწარმოების სახეები	58
1.2.1 ციფრული ნაწარმოები	58

1.2.2 ხელოვნური ინტელექტი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები?	59
1.3 ნაწარმოების ავტორი – მხოლოდ ფიზიკური პირი	59
1.4 ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა	60
1.5 ხელოვნური ინტელექტის ქმნილება და საავტორო უფლებების საკითხი	62
1.5.1 განსხვავება ტერმინებს: „ქმნილებასა“ და „ნაწარმოებს“ შორის	62
1.5.2 ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგი	63
1.5.3 ავტორობის შეუძლებლობა	63
1.5.4 განსხვავება ფსევდონიმით ან ანონიმურად მოქმედებისგან	63
1.5.5 ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე საავტორო უფლებების არარსებობა	64
1.5.6 განსხვავება სამსახურებრივი ნაწარმოებისგან	65
1.6 ხელოვნური ინტელექტი, როგორც დამხმარე ტექნიკური საშუალება	65
1.6.1 „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის ტესტი“, ანუ ფიზიკური პირის ჩართულობის ინდექსი	66
1.6.2 მტკიცების სირთულე პრაქტიკაში	67
1.6.3 პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტის დამხმარე როლის მიუხედავად	68
1.6.4 ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის „ერთობლივი აქტივობის“ შედეგი	69
1.6.5 მიღებული შედეგის ანალიზი	69
1.7 გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევა	70
1.7.1 ნაწარმოების „გადამუშავება“ ხელოვნური ინტელექტის მიერ	70
1.7.2 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების „გადამუშავება“ ფიზიკური პირის მიერ	71
1.7.3 შედგენილი ნაწარმოების შემთხვევა	72
1.7.4 პაროდია	72
1.8 რეპროდუცირება	73
1.8.1 მნიშვნელოვანი კრიტერიუმი	74
1.8.2 „Input“, როგორც რეპროდუცირების შემთხვევა?	74
1.8.3 პირადი სარგებლობის შემთხვევა	75
1.8.4 „Feature Encoding“-ის შემთხვევა	75
1.8.5 „Training“, დამახსოვრება და მისი მიმართება რეპროდუცირებასთან	76
1.8.6 განსხვავება „TDM“-სგან	76
1.8.7 დროებითი ასლის საკითხი	76
1.8.8 „Output“-ის მიმართება რეპროდუცირებასთან	77
1.9 „Training“-ის დასაშვებობის ფარგლები	78
1.10 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების დეკონირების შეუძლებლობა	78
1.11 საკუთრების უფლებისგან დამოუკიდებლობა	79
1.12 მიღებული შედეგის ანალიზი	80

2. მომიჯნავე უფლებები და ხელოვნური ინტელექტი	80
2.1 საავტორო უფლებათა პატივისცემა	81
2.2 აქცესორული ბუნება	81
2.3 მომიჯნავე უფლებების არარსებობა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების შემთხვევაში	81
2.4 მიღებული შედეგის ანალიზი	83
3. პატენტი და ხელოვნური ინტელექტი	83
3.1 გამომგონებელი – მხოლოდ ფიზიკური პირი	83
3.2 საერთაშორისო პრაქტიკა	84
3.3 გამომგონება და ხელოვნური ინტელექტის ქმნილება	84
3.4 ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე პატენტის გაცემის დაუშვებლობა	84
3.5 ხელოვნური ინტელექტი, როგორც დამხმარე ტექნიკური საშუალება	85
3.6 შრომითი და მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევა	85
3.7 მიღებული შედეგის ანალიზი	86
4. სასაქონლო ნიშანი და ხელოვნური ინტელექტი	87
4.1 სასაქონლო ნიშნის განმარტება	87
4.2 რეგისტრაციის მნიშვნელობა	87
4.3 კავშირი საავტორო უფლებებთან	87
4.4 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია	88
4.4.1 განაცხადის შინაარსი	88
4.4.2 რეგისტრაციის დასაშვებობა	88
4.4.3 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა	89
4.4.3.1 მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების, როგორც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე	89
4.4.3.2 მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების, როგორც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილობის თაობაზე	90
4.5 განსხვავება სასაქონლო ნიშანზე საავტორო უფლებების არსებობის კონტექსტში	91
4.6 მიღებული შედეგის ანალიზი	91
5. სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა, ანუ გასაჩივრების გამარტივებული მექანიზმი	92
6. შეჯამებული მსჯელობა	93
IV. გამოხატვის თავისუფლება, პიროვნული უფლებები და ხელოვნური ინტელექტი	95
1. ზოგადად გამოხატვის თავისუფლების თაობაზე	95
2. კონტექსტი, პირის სტატუსი და ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობა	96

3. ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი, როგორც პასუხისმგებელი	
სუბიექტი	97
3.1 ზოგადად პლატფორმების პასუხისმგებლობის თაობაზე	97
3.2 პარალელი საერთაშორისო პრაქტიკასთან	98
3.3 შუალედური შეჯამება	99
4. ცილისწამება	100
4.1 ცილისწამების განმარტება	100
4.2 ცილისწამებლური განცხადების გავრცელების არეალი	101
4.2.1 საჯარო განცხადება	102
4.2.2 ადრესატის პირადი კომუნიკაცია ხელოვნურ ინტელექტთან	103
4.2.3 მესამე პირისთვის გაცნობა	104
4.3 ფაქტისა და აზრის გამიჯვნა	106
4.3.1 ფაქტი, როგორც ობიექტური მოცემულობა	107
4.3.2 აზრი, როგორც სუბიექტური პოზიცია	108
4.3.2.1 აბსოლუტური პრივილეგია	109
4.3.2.2 განსხვავება აზრის გამოხატვასა და აზრის ქონას შორის	109
4.3.2.3 შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი და შოკისმომგვრელი მოსაზრებები	110
4.3.3 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის აზრად და ფაქტად კვალიფიკაციის დაუშვებლობა	111
4.4 ხელოვნური ინტელექტის გენერირების წყაროსთან კლასიკურად გათანაბრების დაუშვებლობა	112
4.4.1 გადამოწმებული წყაროს შემთხვევა	112
4.4.2 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის გამოქვეყნება	113
4.5 მოთხოვნის ფარგლები	114
4.6 სარჩელის უზრუნველყოფა	114
4.7 მოპასუხის იდენტიფიცირების სირთულე	115
5. უფლება გამოსახულებაზე	116
5.1 გამოსახულების გამოყენების უფლება	116
5.2 პირის იდენტიფიცირება გამოსახულებით და იდენტური სამართლებრივი შედეგი	117
5.3 უკვე გასაჯაროებული გამოსახულების შემთხვევა	118
5.4 ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოსახულების/ვიზუალის შექმნა, რომელიც მიმსგავსებულია კონკრეტული პირის გამოსახულებასთან	119
5.5 მიმართება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან	119
6. უფლება ხმაზე	120
6.1 გამოსახულებაზე უფლების დაცვის იდენტური მიდგომა	120
6.2 გერმანული პრეცედენტი	120
7. „Deep fake“	122

8. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები	123
8.1 ზოგადი განმარტება და ზიანის მოთხოვნის გამორიცხვა	123
8.2 პასუხისმგებლობა გამოსახულების გავრცელებისას	124
9. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა	124
10. შემაჯამებელი მსჯელობა	127
V. ვალდებულებითი სამართალი და ხელოვნური ინტელექტი	129
1. სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე	129
1.1 სასიკეთო პირობები ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლისთვის	129
1.2 „პალუცინაცია“, როგორც პასუხისმგებლობის შეფასების ფაქტორი	130
1.3 კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება	131
1.4 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები	131
1.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობები	132
2. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება	133
2.1 ნების გამოვლენა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით	133
2.2 ნების ნაკლის საკითხი	134
2.2.1 culpa in contrahendo თუ ნების ნაკლი?	135
2.2.2 მოტივში დაშვებულ შეცდომად დაკვალიფიცირება	136
2.2.3 არსებითი შეცდომით დადებული გარიგების ალბათობა	136
3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები	137
3.1 მართლწინააღმდეგობა	138
3.2 ბრალი	138
3.3 მიზეზობრივი კავშირი და ზიანი	138
3.4 მტკიცების ტვირთი	139
3.5 სახელშეკრულებო დათქმა პასუხისმგებლობის განსაზღვრის თაობაზე	139
3.6 მიღებული შედეგის ანალიზი	140
4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი	141
5. დელიქტური მოთხოვნები	142
5.1 მსჯელობა ანალოგიის ჭრილში	142
5.1.1 ანალოგია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად	
დამდგარ ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით	142
5.1.2 ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანალოგია	143
5.1.3 შუალედური შეჯამება	144
5.2 წუნდებული პროდუქტი	144
5.2.1 პროდუქტის ცნება	144
5.2.2 ხელოვნური ინტელექტის სისტემა, როგორც პროდუქტი?	145
5.2.3 ხელოვნური ინტელექტის სისტემა, როგორც წუნდებული პროდუქტი	145
5.2.4 ზიანი და საგამონაკლისო შემთხვევები	146

5.2.5 მოთხოვნის ადრესატი	147
5.2.6 ხანდაზმულობა	148
6. შემაჯამებელი მსჯელობა	149
VI. შრომის სამართალი და ხელოვნური ინტელექტი	150
1. შრომითი ურთიერთობის საკითხი „AI Act“-ში	150
1.1 დამსაქმებლის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება	150
1.2 დასაქმებულის კომპეტენციის საკითხი	151
1.3 ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დაუშვებლობა	151
1.4 მაღალი რისკის კატეგორია	152
1.5 შუალედური შეჯამება	152
2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტებთან ხელოვნური ინტელექტის გათანაბრების დაუშვებლობა	152
3. დასაქმებულის მიერ სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა	153
3.1 ხელოვნური ინტელექტი, როგორც „დამხმარე ტექნიკური საშუალება“	154
3.2 დასაქმებულის პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის მიუხედავად	155
3.3 დამსაქმებლის მხრიდან შეზღუდვის დანესების საკითხი	156
3.4 დასაქმებულის კონტროლი დამსაქმებლის მხრიდან	156
3.5 დასაქმებულის ბრალეულობა თუ ბრალის გარეშე მოქმედება?	157
3.6 შუალედური შეჯამება	157
4. დამსაქმებლის რისკი დისკრიმინაციული ქმედების ჭრილში	158
4.1 ზოგადი განმარტება	158
4.2 დისკრიმინაციული ქმედების რისკის ფარგლები	158
5. კონფიდენციალურობა	160
6. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა	160
6.1 ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებები	161
6.2 სხვა ობიექტური გარემოება	162
7. შემაჯამებელი მსჯელობა	162
VII. ხელოვნური ინტელექტი ცალკეულ პროფესიებთან მიმართებით	165
1. ადვოკატი	165
1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაცია	165
1.2 კონფიდენციალურობა	167
1.3 ადვოკატის პასუხისმგებლობის ფარგლები ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას	168
1.4 შემაჯამებელი მსჯელობა	168
2. მოსამართლე – მოკლე ორიენტირი	169

3. არბიტრაჟი	171
3.1 პოზიტიური აღქმა ხელოვნური ინტელექტის არბიტრაჟში ინტეგრაციის თაობაზე	171
3.2 ხელოვნური ინტელექტი, როგორც არბიტრი?	172
3.2.1 ქართული კანონმდებლობა	172
3.2.2 საქართველოს არბიტრთა ასოციაცია	173
3.2.3 შპს „დავების განმხილველი ცენტრის“ („DRC“-ის) დებულება	173
3.2.4 ნიდერლანდებისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა	174
3.2.5 „UNCITRAL“-ის მოდელური კანონი	174
3.2.6 ადამიანური მიდგომის შეუძლებლობა	175
3.2.7 შუალედური შეჯამება	176
3.3 ხელოვნური ინტელექტის „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ გამოყენება	176
3.4 ცნობა-აღსრულების პრობლემა	178
3.5 შემაჯამებელი მსჯელობა	178
4. ჟურნალისტი	178
4.1 ხელოვნური ინტელექტის ჟურნალისტად მიჩნევის პრობლემა	179
4.2 ხელოვნური ინტელექტი („Output“), როგორც არასათანადო წყარო	180
4.3 ჟურნალისტური ეთიკის ქართულის პრინციპები	181
4.4 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის საზოგადოებრივ ინტერესად კვალიფიკაციის დაუშვებლობა	182
5. შემაჯამებელი მსჯელობა	183
ბიბლიოგრაფია	185

რედაქტორის წინასიტყვაობა

ხელოვნური ინტელექტი სწრაფად გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებებისა და ეკონომიკის სტრუქტურებს. სისტემები, რომლებსაც აქვთ დიდი მოცულობის მონაცემებიდან სწავლის, კანონზომიერებების ამოცნობისა და რთული პროგნოზების გაკეთების უნარი, სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ გადაწყვეტილების მიღების პროცესებს ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორებიცაა ფინანსები, ჯანდაცვა, საჯარო ადმინისტრირება და კერძო კომერცია. ეს ტექნოლოგიური ტრანსფორმაცია გარდაუვლად ბადებს ფუნდამენტურ სამართლებრივ კითხვებს; ამ მოვლენების გავლენას განსაკუთრებით განიცდის კერძო სამართალი, რომელიც ტრადიციულად ანესრიგებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობებს.

ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტის მზარდი ინტეგრაცია გამოწვევის წინაშე აყენებს კერძო სამართალში დამკვიდრებულ დოქტრინას, როდესაც გადაწყვეტილებების მიღება სულ უფრო ხშირად ხდება ალგორითმული სისტემების მხარდაჭერით ან, თუნდაც, უშუალოდ მათ მიერ, ჩნდება კითხვები სახელშეკრულებო ავტონომიასთან დაკავშირებით. პასუხისმგებლობის ტრადიციული კონცეფციები უნდა გაუმკლავდეს ისეთ სიტუაციებს, როდესაც ზიანი გამოწვეულია რთული ტექნოლოგიური პროცესებით, რომელთა დაკავშირება ერთ კონკრეტულ ადამიანთან (მოქმედ პირთან) რთულია. ამავდროულად, ხელოვნური ინტელექტი ურთიერთქმედებს ისეთ ძირითად უფლებებთან და სამართლებრივ ღირებულებებთან, როგორებიცაა პიროვნული ავტონომია, სამართლიანობა და ანგარიშვალდებულება. შედეგად, სამართალმა უნდა გამონახოს გზები ახალი ტექნოლოგიური რეალობის ინტეგრირებისთვის ისე, რომ შეინარჩუნოს კერძო სამართლის ნორმატიული საფუძვლები.

ეს წიგნი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს ურთიერთქმედება ხელოვნურ ინტელექტსა და კერძო სამართლის ძირითად ინსტიტუტებს შორის. იგი შეისწავლის, თუ როგორ შეიძლება არსებული სამართლებრივი დოქტრინების გამოყენება ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ სიტუაციებში და სად შეიძლება იყოს საჭირო დოქტრინალური ადაპტაცია ან კონცეპტუალური გადახედვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელშეკრულებო სამართალს, დელიქტურ პასუხისმგებლობასა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის უფრო ფართო ჩარჩოს იმ გარემოში, რომელსაც სულ უფრო მეტად აყალიბებს ავტომატიზებული და მონაცემებზე დაფუძნებული სისტემები.

კვლევა ასევე მიზნად ისახავს, ქართული პერსპექტივიდან შეიტანოს წვლილი ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის შესახებ მიმდინარე საერთაშორისო დისკუსიაში. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ბევრ დებატში დომინირებს ევროკავშირისა და სხვა დიდ იურისდიქციებში მიმდინარე მოვლენები, არანაკლებ მნიშვნელოვანია გავანალიზოთ, თუ როგორ წარმოიშობა ეს საკითხები ეროვნულ სამართლებრივ

სისტემებში, რომელთაც საკუთარი დოქტრინალური ტრადიციები და მარეგულირებელი მიდგომები აქვთ. ქართული კერძო სამართალი, რომელიც კონტინენტური ევროპის სამართლებრივი ტრადიციების გავლენას განიცდის, გვთავაზობს საინტერესო ჩარჩოს იმის შესასწავლად, თუ როგორ პასუხობს კლასიკური სამართლებრივი კონცეფციები ტექნოლოგიურ ინოვაციებს.

ხელოვნური ინტელექტი არ უნდა გავიგოთ როგორც, მხოლოდ ტექნოლოგიური ფენომენი. იგი წარმოადგენს უფრო ფართო საზოგადოებრივ ტრანსფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს სამართლებრივ აზროვნებაზე, ინსტიტუციურ პასუხისმგებლობასა და საზოგადოებაში რისკების განაწილებაზე. ამ მიზნით, ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ანალიზი უნდა აერთიანებდეს დოქტრინალურ სიზუსტეს, ტექნოლოგიური რეალობებისა და საჯარო პოლიტიკის ასპექტების გაცნობიერებასთან ერთობლიობაში.

ეს წიგნი განკუთვნილია მკვლევრებისთვის, პრაქტიკოსებისა და სტუდენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამართლისა და უახლესი ტექნოლოგიების კვეთით. ვიმედოვნებთ, რომ აქ წარმოდგენილი ანალიზი ხელს შეუწყობს კერძო სამართლისთვის ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი გამოწვევების უფრო ღრმად გააზრებას და სტიმულს მისცემს შემდგომ დისკუსიებს ქართულ იურიდიულ საზოგადოებაში და მის ფარგლებს გარეთ.

ბოლოს, მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარსა და კოლეგას, სერგი ჯორბენაძეს, ასევე ყველა იმ კოლეგასა თუ მეგობარს, ვინც მხარი დაუჭირა ამ წიგნის მომზადებას. მათი დისკუსიები, კომენტარები და წახალისება შეუფასებელი იყო კვლევისა და წერის მთელი პროცესის განმავლობაში.

თომას პოერენი

მიუნსტერი, 2026 წლის აპრილი

EDITOR'S PREFACE

Artificial intelligence is rapidly transforming the structures of modern societies and economies. Systems capable of learning from large volumes of data, recognizing patterns and making complex predictions increasingly shape decision-making processes in areas as diverse as finance, healthcare, public administration, and private commerce. This technological transformation inevitably raises fundamental legal questions. Private law, which traditionally governs relationships between individuals and legal entities, is particularly affected by these developments.

The growing integration of artificial intelligence into economic and social life challenges many established doctrines of private law. Questions arise regarding contractual autonomy when decisions are increasingly supported or even taken by algorithmic systems. Traditional concepts of liability must confront situations in which harm results from complex technological processes that are difficult to trace back to a single human actor. At the same time, artificial intelligence interacts with fundamental rights and legal values such as personal autonomy, fairness, and accountability. As a consequence, the law must find ways to integrate new technological realities while preserving the normative foundations of private law.

This book seeks to explore the interaction between artificial intelligence and the core institutions of private law. It examines how existing legal doctrines can be applied to AI-related situations and where doctrinal adaptation or conceptual reconsideration may be necessary. Particular attention is devoted to contract law, tort liability, and the broader framework of civil responsibility in an environment increasingly shaped by automated and data-driven systems.

The study also aims to contribute to the emerging international discussion on artificial intelligence and law from a Georgian perspective. While many debates are currently dominated by developments in the European Union and other major jurisdictions, it is equally important to analyze how these issues arise within national legal systems with their own doctrinal traditions and regulatory approaches. Georgian private law, influenced by continental legal traditions, offers an interesting framework for examining how classical legal concepts respond to technological innovation.

Artificial intelligence should not be understood merely as a technological phenomenon. It represents a broader societal transformation that affects legal reasoning, institutional responsibility, and the distribution of risks within society.

For this reason, the legal analysis of AI must combine doctrinal precision with an awareness of technological realities and policy considerations.

This book is intended for scholars, practitioners, and students who are interested in the intersection of law and emerging technologies. It is hoped that the analysis presented here will contribute to a deeper understanding of the challenges that artificial intelligence poses for private law and stimulate further discussion within the Georgian legal community and beyond.

Finally, I would like to express my sincere gratitude to my friend and colleague Sergi Jorbenadze and to all colleagues and friends who supported the preparation of this book. Their discussions, comments, and encouragement have been invaluable throughout the research and writing process.

Thomas Hoeren

Münster, April 2026

ავტორის წინასიტყვაობა

თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ უზრუნველყო ხელოვნური ინტელექტით ყოველდღიური სარგებლობა. ამ საშუალებას უკვე ბევრი ადამიანი იყენებს როგორც პროფესიული, ისე პირადი მიზნებისთვის. შესაბამისად, წინა პლანზე იწევს სამართლებრივი საკითხები, რომლებიც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შედეგად შეიძლება დადგეს. საკანონმდებლო ბაზის არარსებობის პირობებში კი, თითოეული ასეთი შემთხვევა, ახლებური პრაქტიკის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ნაშრომზე მუშაობის იდეა დაიბადა 2025 წლის ივლისში, როდესაც „DAAD“-ის სტიპენდიით, მიუნტერის უნივერსიტეტში, „ინფორმაციის, ტელეკომუნიკაციისა და მედიასამართლის ინსტიტუტში“ („ITM“), პროფ. დოქტ. თომას ჰოერენთან სამეცნიერო კვლევითი მიზნით ვიმყოფებოდი. სწორედ პროფ. დოქტ. თომას ჰოერენთან მქონდა არაერთი საინტერესო საუბარი, დისკუსია და მსჯელობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ხელოვნურ ინტელექტსაც შეეხებოდა. შედეგად, იდეა მოქმედებაში მოვიდა და პარალელურად წინამდებარე წიგნზე მუშაობა დავიწყე.

თავის მხრივ, იდეის ხორცშესხმა დიდწილად დამოკიდებული იყო თემატიკაზე, რომელზეც ნამუშევარი მქონდა პროფ. სანდრო ჯორბენაძესთან ერთად. კერძოდ, ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ჭრილში, მასთან თანაავტორობით, სტატიის სახით ქვეყნდება ნაშრომი პროფ. როლფ კნიპერის საიუბილეო კრებულში (ინგლისურ ენაზე). აღნიშნულმა დიდი გავლენა იქონია წინამდებარე ნაშრომზე, რაც ასახულია წიგნის III ნაწილის შესავალ სიტყვაში.

ნაშრომში აქცენტი გაკეთდა კერძო სამართალზე და საკუთრივ, კერძო სამართლის იმ ძირითად მიმართულებებზე, სადაც დღევანდელი მდგომარეობით, ხელოვნური ინტელექტის პრაქტიკული სარგებლობა, უფრო ხშირია.

ნაშრომი ეფუძნება როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო გამოცდილებასა თუ დოქტრინულ ხედვებს. მისი მთავარი დანიშნულებაა, რომ უზრუნველყოს პრაქტიკული საკითხების გადაჭრა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს უდიდესი გამოწვევაა.

წიგნზე მუშაობა კიდევ უფრო საინტერესო იყო ჩემს ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან თუ კოლეგებთან დისკუსიის გათვალისწინებით. ამ მხრივ, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს, **სოფო ხიდუშელს**, რომელთანაც ხშირად განვიხილავდი თითოეულ დეტალს და რომელიც მუდამ გვერდში მედგა ნებისმიერი ნამოწყების განხორციელებისას. ცალკე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მამას, პროფ. **სანდრო ჯორბენაძეს**, ისევე, როგორც ჩემს დას, **თათია ჯორბენაძეს**. ორივე მათგანი საინტერესო რჩევებს მაძლევდა ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში.

წიგნზე საინტერესო შეხედულებები გამიზიარა ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ, **აკაკი განერელიამ** და პროფ. დოქტ. **უშანგი ბახტაძემ**. თითოეული მათგანის მოსაზრება ეხებოდა როგორც აკადემიურ, ისე პრაქტიკულ გამოვლინებასა და წიგნში

მოცემული ცალკეული შემთხვევების გადაჭრის სამართლებრივ გზებზე ყურადღების გამახვილებას. ანალოგიურად, საინტერესო რჩევებით გამოირჩა დოქტ. **ზაქარია შველიძე**, რომლის დაკვირვებები ყოველთვის ყურადსაღები და გასათვალისწინებელია.

ცალკე მინდა აღვნიშნო სამი ადამიანის ჩართულობა, რომლებმაც წიგნის ხელნაწერი გულდასმით წაიკითხეს და თავიანთი შეხედულებები გამიზიარეს. ამისთვის განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით: **გვანცა კოპინაშვილს**, **ალექსანდრე შუბლაძესა** და **გვანცა ტაკაშვილს**. თითოეულ მათგანთან მსჯელობა საკითხის მრავალმხრივ დანახვის საწინდარია. ანალოგიურად მსურს ხაზი გავუსვა **თორნიკე აბაშიძის** როლს: იგი, თავისი პროფესიონალიზმითა და ერთგულებით, ყოველთვის მზადაა, გვერდში დაუდგეს მეგობარსა და კოლეგას, ნებისმიერი იდეისა თუ წამოწყების რეალიზებისთვის.

როგორც აღინიშნა, წიგნზე მუშაობა „**DAAD**“-ის სტიპენდიის ფარგლებში დაიწყო. შესაბამისად, ცალკე მსურს მადლობა გადავუხადო ამ ორგანიზაციას, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არაერთ ქართველს უხსნის გზას დასავლური გამოცდილების გაზიარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის პროფ. დოქტ. **თომას პოერენს**, რომლის დიდი დამსახურებაცაა, რომ წინამდებარე ნაშრომი დღის სინათლეს იხილავს. იგი, როგორც სამეცნიერო რედაქტორი, დეტალურად გაეცნო თითოეულ საკითხს და გამიზიარა საინტერესო შეხედულებები. მასთან ნაყოფიერი თანამშრომლობის გარეშე, ამ წიგნის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

და ბოლოს, წიგნი ეძღვნება ძვირფას ბაბუას, პროფ. **სერგო ჯორბენაძეს**, რომელსაც 2026 წლის 18 აპრილს 100 წელი შეუსრულდებოდა.

სერგი ჯორბენაძე

თბილისი, 2026 წლის აპრილი

AUTHOR'S PREFACE

Modern technological development has ensured the everyday use of artificial intelligence. Many people already use this tool for both professional and personal purposes. Consequently, legal issues that may arise as a result of using artificial intelligence are coming to the forefront. In the absence of a legislative framework, each such case contributes to the establishment of a novel practice.

The idea of working on this paper was born in July 2025, when, with a “DAAD” scholarship, at the University of Münster, in the “Institute for Information, Telecommunications and Media Law” (“ITM”), I was visiting Prof. Dr. Thomas Hoeren for scientific research purposes. It was with Prof. Dr. Thomas Hoeren that I had a number of interesting conversations, discussions, and deliberations, which, along with other issues, also touched upon artificial intelligence. As a result, the idea was put into action, and simultaneously I began working on the present book.

For its part, the materialization of the idea largely depended on the topic I had worked on together with Prof. Sandro Jorbenadze. Specifically, in the context of intellectual property law, co-authored with him, a work is published as an article in the jubilee collection of Prof. Rolf Knieper (in English). The aforementioned had a great impact on the present work, which is reflected in the introductory words of Part III of the book.

The book deliberately deals only with private law, which is driven by the nature of artificial intelligence and its broad use: it is possible that the role of artificial intelligence can be found in any branch of law. That is precisely why the focus of the work was placed on private law and, specifically, on those main directions of private law where, as of today, the practical use of artificial intelligence is more frequent.

The work is based on both Georgian and international experience and doctrinal views. Its main purpose is to ensure the resolution of practical issues, which is the greatest challenge of the modern world.

Working on the book was even more interesting considering the discussions with my family members, friends, and colleagues. In this regard, I would like to express my deep gratitude to my wife, **Sopho Khidesheli**, with whom I frequently discussed every detail and who always stood by my side when implementing any initiative. Separately, I want to thank my father, Prof. **Sandro Jorbenadze**, as well as my sister, **Tatia Jorbenadze**. Both of them gave me interesting advice while working on the paper.

Interesting views on the book were shared with me by my friend and colleague, **Akaki Gatserelia**, as well as Prof. Dr. **Ushangi Bakhtadze**. Each of their opinions concerned both academic and practical manifestations and focused on the legal ways to resolve the specific cases presented in the book. Similarly, Dr. **Zakaria Shvelidze** stood out with interesting advice, whose observations are always noteworthy and to be taken into account.

I would like to separately mention the involvement of three people who carefully read the manuscript of the book and shared their views with me. For this, special thanks go to: **Gvantsa Kopinashvili**, **Alexander Shubladze**, and **Gvantsa Takashvili**. Reasoning with each of them is a prerequisite for seeing the issue from multiple perspectives. Similarly, I would like to highlight the role of **Tornike Abashidze**: with his professionalism and dedication, he is always ready to stand by a friend and colleague for the realization of any idea or initiative.

As noted, the work on the book began within the framework of the “**DAAD**” scholarship. Accordingly, I would separately like to thank this organization, which for many years has paved the way for numerous Georgians to share Western experience.

Special thanks belong to Prof. Dr. **Thomas Hoeren**, whose great merit it is that the present work sees the light of day. He, as the scientific editor, familiarized himself in detail with each issue and shared interesting views with me. Without fruitful cooperation with him, the creation of this book would have been impossible.

And finally, the book is dedicated to my dear grandfather, Prof. **Sergo Jorbenadze**, who would have turned 100 years old on April 18, 2026.

Sergi Jorbenadze

Tbilisi, April 2026

შემოკლებანი

ქართულენოვანი

ა.შ.	ასე შემდეგ
ადშ	„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი
აპეკ	ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი
არშ	„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონი
აუე	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
ვნ.	ველის ნომერი
თ.	თავი
თანარედ.	თანარედაქტორები
თარგ.	თარგმანი
თსაპ	თბილისის სააპელაციო სასამართლო
თსს	თბილისის საქალაქო სასამართლო
თსუ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იხ.	იხილეთ
კმ	კონფერენციის მასალები
კომკომი	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მ.	მუხლი
მიმდ.	მიმდინარე
მკ	„მართლმსაჯულება და კანონი“ (ჟ.)
მრს	მცხეთის რაიონული სასამართლო
მშკ	„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი
ნაქშ	„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
ორბ.	„ორბელიანი“ (ჟ.)
ორს	ოზურგეთის რაიონული სასამართლო
პმდსჟ	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართლის ჟურნალი“ (ჟ.)
პუთმკ	პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი
რედ.	რედაქტორი
რსს	რუსთავის საქალაქო სასამართლო
საა	საქართველოს არბიტრთა ასოციაცია
სააეკ	საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია
სბ	საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
სბშ	„სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი
სგთშ	„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი
სდნ	სადისერტაციო ნაშრომი
სებ	საქართველოს ეროვნული ბანკი
სკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

სკრ	საიუბილეო კრებული
სკულ	„სამართლის კულტურა“ (ჟ.)
სმ	„სამართლის მეთოდები“ (ჟ.)
სმვ	„სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები“ (ჟ.)
სმუშ	„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი
სნშ	„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონი
სჟ	„სამართლის ჟურნალი“ (ჟ.)
სჟექ	საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
სრს	საჩხერის რაიონული სასამართლო
სსკ	საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
სსპკ	„საქართველოს საპატენტო კანონი“
სსს	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
სსშ	„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
სტკ	სტატიათა კრებული
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სშკ	საქართველოს შრომის კოდექსი
სხკ	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
ქსაპ	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო
ქსს	ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ჟ.	ჟურნალი
პმდ	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
შ.	შემდგომი
შეად.	შეადარეთ
შსჟ	„შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი“ (ჟ.)
ხმკსკ	„ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული“

უცხოენოვანი

AALR	Anglo-American Law Review (J.)
ABA	American Bar Association
ABLJ	American Business Law Journal (J.)
AG	Amtsgericht
AGI	Artificial General Intelligence
AI	Artificial Intelligence
AI Act	Regulation (EU) 2024/1689 – Artificial Intelligence Act
ANI	Artificial Narrow Intelligence
Anm.	Anmerkung
ArbG	Arbeitsgericht
Art.	Article

ASI	Artificial Superintelligence
Auf.	Auflage
B2B	Business-to-Business
B2C	Business-to-Consumer
BBC	British Broadcasting Corporation
BC	Zeitschrift für Bilanzierung, Rechnungswesen und Controlling (Z.)
Bes.	Beschluss
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGer	Schweizerisches Bundesgericht
BGH	Bundesgerichtshof
boGK	beck-online.Grosskommentar
BVerfG	Bundesverfassungsgericht
BVGer	Schweizerisches Bundesverwaltungsgericht
CCBE	Council of Bars and Law Societies of Europe
CDDH	Steering Committee for Human Rights, Council of Europe
CH	Chancery Division
CJEU	Court of Justice of the European Union
CJLPP	Cornell Journal of Law and Public Policy (J.)
CEPEJ	European Commission for the Efficiency of Justice
Ciarb	Chartered Institute of Arbitrators
CLR	Campbell Law Review (J.)
DAAD	Deutscher Akademischer Austauschdienst
DPMA	Deutsches Patent- und Markenamt
DRC	Dispute Resolution Center
DSA	Regulation (EU) 2022/2065 – Digital Services Act
DSM	Directive (EU) 2019/790 on Copyright in the Digital Single Market
ECtHR	European Court of Human Rights
Ed(s).	Editor(s)
EU	European Union
EWCA	Court of Appeal of England and Wales
f.	folgende
F&L	Forschung und Lehre (Z.)
FSB	Forschungsjournal Soziale Bewegungen
GAI	Generative Artificial Intelligence
GC	Grand Chamber
GfZ	Gesamtherausgeberschaft für das Zivilrecht
GRUR	Gewerblicher Rechtsschutz und Urheberrecht (Z.)
GRUR-Prax	Gewerblicher Rechtsschutz und Urheberrecht in der Praxis (Z.)
HALR	Harvard Art Law Review (J.)
HL	House of Lords

HR	Human Rights
Hrsg.	Herausgeber
IIC	International Review of Intellectual Property and Competition Law (J.)
IJLJ	International Journal of Law, Justice and Jurisprudence (J.)
ILO	International Labour Organization
Iss.	Issue
ITM	Institut für Informations-, Telekommunikations- und Medienrecht
J.	Journal
JC	Joined Cases
KG	Kammergericht
KI	Künstliche Intelligenz
KIR	Künstliche Intelligenz und Recht (Z.)
KI-VO	Verordnung (EU) 2024/1689 des Europäischen Parlaments und des Rates
LG	Landgericht
MarkenG	Markengesetz
MMR	Zeitschrift für das Recht der Digitalisierung, Datenwirtschaft und IT (Z.)
NDA	Non-Disclosure Agreement
NJW	Neue Juristische Wochenschrift (Z.)
No.	Number
NZA	Neue Zeitschrift für Arbeitsrecht (Z.)
ÖOGH	Österreichischer Oberster Gerichtshof
OLG	Oberlandesgericht
RAIL	The Journal of Robotics, Artificial Intelligence & Law (J.)
RDİ	Recht Digital (Z.)
Rn.	Randnummer
RRA	Romanian Arbitration Journal (J.)
RW	Rechtswissenschaft (Z.)
TDM	Text and Data Mining
UBCLR	UBC Law Review (J.)
UCLA	University of Cincinnati Law Review (J.)
UKSC	United Kingdom Supreme Court
UNCITRAL	United Nations Commission on International Trade Law
UNESCO	United Nations Educational, Scientific and Cultural Organization
UrhR	Urheberrecht
UrhG	Urheberrechtsgesetz
URLR	University of Richmond Law Review (J.)
Urt.	Urteil
VG	Verwaltungsgericht
Viac	Vienna International Arbitral Centre

VLOP	Very Large Online Platforms
Vol.	Volume
VJTL	Vanderbilt Journal of Transnational Law (J.)
WMLR	William and Mary Law Review (J.)
Z.	Zeitschrift
ZUM	Zeitschrift für Urheber- und Medienrecht (Z.)

I. შესავალი დებულებანი

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა თანამედროვე რეალობაში განსაკუთრებულ ხასიათს იძენს. მსოფლიოს მასშტაბით უფრო მეტი ადამიანი ინტერესდება მისი გამოყენებით, რათა ფეხი აუწყოს ყოველდღიურობას.¹ ეს კი საერთაშორისო სტატისტიკაშიც აისახება.² მეტიც, ხელოვნური ინტელექტის დატვირთვა მნიშვნელოვან როლს ჰპოვებს ცალკეულ სამეცნიერო დარგებში, რასაც შედეგობრივად თან სდევს აკადემიური თვალსაზრისით აღნიშნულ საკითხზე კიდევ უფრო მეტი დაინტერესება: უკანასკნელ პერიოდში ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით ბევრი ნაშრომი იწერება.³ კვლევები კი ეხება როგორც სამართლებრივ ისე სხვა სფეროებს.⁴

თავის მხრივ, სიახლესთან ერთად, ნელ-ნელა იკვეთება ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი მოწესრიგების აუცილებლობაც.⁵ სხვა შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ ხელოვნური ინტელექტის არასათანადო გამოყენებით⁶ დაირღვეს მესამე პირთა უფლებები.⁷ ამ თვალსაზრისით, ვხვდებით სხვადასხვა მიმართულებებს, სადაც ხელოვნური ინტელექტი აქტიურ როლს თამაშობს. მაგალითად, სისხლის სამართალში,⁸ საჯარო სამართალში,⁹ ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით,¹⁰ განათლების სისტემაში¹¹ (მათ შორის, შეფასების კრიტერიუმის განსაზღვრის თვალსაზრისითაც¹²)

¹ Hoeren, F&L №11/2023, 848.

² იხ. მაგალითად, სტენფორდის უნივერსიტეტის კვლევა (განსაკუთრებით იხ. 401-ე გვერდიდან. კვლევა გამოქვეყნებულია 2025 წელს): <https://hai.stanford.edu/assets/files/hai_ai_index_report_2025.pdf> [20.10.2025].

³ სამეცნიერო თვალსაზრისით განვითარების დინამიკასთან მიმართებით იხ. Yuan, in: Ebers (Hrsg.), Legal Tech, KI, Rn. 2.

⁴ გამოსარჩევია სახელოვნებო სფეროში არსებული მიდგომები, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირების საკითხს ეხება. იხ. მაგალითად, Zylinska, 2020. ანალოგიურად, საინტერესოა თემატიკა, რომელიც ეხება ფილმებში ხელოვნური ინტელექტის ასახვის საკითხს. იხ. მაგალითად, Lehmann in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 97-115.

⁵ მათ შორის, საუბარია მოწესრიგებაზე *de lege ferenda* თვალსაზრისით. იხ. მაგალითად, Schwieters, 2023, 289 და შ.

⁶ იგულისხმება ის ეტაპი, რაც ამჟამად გვხვდება რეალობაში, როდესაც ხელოვნურმა ინტელექტმა არ მიაღწია განვითარების შემდგომ დონეს და როდესაც იგი დავალებებს ჯერ კიდევ „ადამიანური ემოციის“ მსგავსად ვერ ასრულებს.

⁷ არსებული მოცემულობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მოწესრიგება არ დაეფუძნოს მხოლოდ ერთი ქვეყნის საკანონმდებლო ბაზას, არამედ გლობალურად განისაზღვროს სამართლებრივი საფუძვლები. იხ. მაგალითად, Karrenberg, 2025, 38-39.

⁸ იხ. მაგალითად, ჯიშკარიანი, სმვ №2025(9), 145-161.

⁹ იხ. მაგალითად, Rossipaul, 2023, 56 და შ.

¹⁰ იხ. მაგალითად, მოწონელიძე, მკ №3(83)24, 5-31.

¹¹ იხ. მაგალითად, Hoeren, F&L №11/2023, 846-848.

¹² იხ. VG Hamburg, Bes. vom 15.12.2025 – 2 E 8786/25.

და სხვ. წინამდებარე ნაშრომი კონკრეტულ აქცენტს აკეთებს კერძო სამართალზე. შესაბამისად, მასში მოქცეულია ის არსებითი კერძოსამართლებრივი ინსტიტუტები, სადაც, პრაქტიკული თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტი, აქტიურად გამოიყენება.

რატომ არის მნიშვნელოვანი ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ კონტექსტში შესწავლა? მართალია, მას ნებელობითი ელემენტი არ გააჩნია¹³ და ფიზიკურ პირთან მისი გათანაბრება დაუშვებელია, თუმცა, იმავე ფიზიკური პირის მიერ არასათანადო სარგებლობით, შესაძლებელია, რომ დაირღვეს უსაფრთხოების მომწესრიგებელი ნორმები თუ პრინციპები, რაც, განსაკუთრებით, დემოკრატიულ სახელმწიფოში შეიძლება მნიშვნელოვანი პრობლემის გამომწვევი გახდეს.

წინამდებარე ნაშრომში ხელოვნური ინტელექტი განიხილება, პირველ რიგში, როგორც ტექნოლოგიური საშუალება, რომლის სარგებლობით დამდგარი სამართლებრივი შეფასება დამოკიდებულია არა თავად სისტემის „ნებაზე“, არამედ, იმ პირთა ქმედებაზე, რომლებიც ამ საშუალებით სარგებლობენ (ავრცელებენ, ეყრდნობიან მას და ა.შ.). ეს კი გამომდინარეობს ხელოვნური ინტელექტის რაობიდან, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, დამოუკიდებელ პასუხისმგებლობის მატარებელ სუბიექტს არ წარმოადგენს.

1. ხელოვნური ინტელექტის კერძოსამართლებრივი კვლევის მიზანი და ფარგლები

1.1 საკითხის აქტუალობა

ადამიანის მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში ხელოვნური ინტელექტით სარგებლობამ წარმოშვა გარემოებები, რომლებიც კერძოსამართლებრივად მოწესრიგებას საჭიროებს. ხელოვნური ინტელექტით მოსარგებლე, როგორც სამართლის სუბიექტი, შეიძლება წააწყდეს მოცემულობას, როდესაც ხელოვნური ინტელექტის გენერირების მიუხედავად, პასუხისმგებლობა მას დაეკისრება. დღევანდელი გათვალისწინებით კი ეს მოცემულობა განსაკუთრებულად აქტუალურ როლს იძენს, რათა მაქსიმალურად დაცულ იქნეს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა სხვათა უფლებების დარღვევის გარეშე.

1.2 კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტი არის ცალკეული კერძოსამართლებრივი ურთიერთობები, რომლის ფარგლებშიც ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ნაშრომის მთავარ არსს არ წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის რაობისა

¹³ Rossipaul, 2023, 20.

თუ მნიშვნელობის განხილვა, არამედ, ის, თუ რა სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს სუბიექტის მიერ ხელოვნური ინტელექტის სათანადო/არასათანადო სარგებლობა. აღნიშნული საშუალებას იძლევა, რომ გაეცეს მთავარ კითხვას პასუხი: სად გადის ზღვარი ხელოვნური ინტელექტით სარგებლობასა და უფლების დაცვას შორის.

1.3 კვლევის მიზანი

კვლევისთვის არჩეულია ის ძირითადი კერძოსამართლებრივი საკითხები, რომლებიც ნაშრომის დაწერამდე, კვლევის ფარგლებში, ყველაზე პრაქტიკული მნიშვნელობის მატარებლად იქნა მიჩნეული. ამ მხრივ, ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ მცდელობას, გასცეს იმ ძირითად შეკითხვებს პასუხი, რაც დღეის მდგომარეობით აქტუალურია.¹⁴ შესაბამისად, კვლევის მიზანია, კვლევის შესაბამის მეთოდებზე დაყრდნობით, კერძო სამართლის ჭრილში განისაზღვროს, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის საფუძველზე დამდგარი შედეგების, არსებული რისკებისა თუ პასუხისმგებლობის საკითხი. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული ინსტიტუტების ფუნქციური გააზრება (და არა ხელოვნური ინტელექტის დამოუკიდებლად განხილვა) მოხდეს.

1.4 ნაშრომის ცენტრალური თემა

თანამედროვე ხელოვნური ინტელექტი, მიუხედავად ფუნქციური ავტონომიურობის ზრდისა, არ წარმოშობს კერძო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს; იგი ქმნის უფლებათა განსაზღვრის, რისკის განაწილებისა და პასუხისმგებლობის იდენტიფიკაციის ახალ პრობლემებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს კერძო სამართლის არსებული ინსტიტუტების ფუნქციური გადააზრებით.

2. ხელოვნური ინტელექტი კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში

კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ხელოვნური ინტელექტის გამოყენება როგორც პირდაპირ, ისე ირიბადაა შესაძლებელი. ეს ეხება, მაგალითად, ვალდებულების შესრულებას, როდესაც კონტრაქტენტის ნაცვლად სწორედ ტექნოლოგიური საშუალება ასრულებს ქმედებას, ისევე როგორც პირის მიერ გენერირების შედეგის სათანადო გამოყენებას და სხვ. კერძოსამართლებრივი თვალსაზრისით, მთავარი **ამოცანა არის არა ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიური ბუნების აღწერა, არამედ იმის დადგენა, თუ როგორ უნდა იქნეს მისი სარგებლობის საფუძველზე**

¹⁴ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. მათ შორის, სასამართლო პრაქტიკაშიც.

დამდგარი შედეგები დაკვალიფიცირებული. ეს კი ნიშნავს, რომ ამომავალი წერტილია არა ის, თუ რამდენად გამართულად („ჭკვიანურად“) მუშაობს სისტემა,¹⁵ არამედ ის, თუ ვინ სარგებლობს ხელოვნური ინტელექტით და ვისი ქმედება/უმოქმედობა წარმოშობს შესაბამის შედეგს.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება იყოს როგორც კერძო სამართლის ობიექტი, ისე – კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, შესასრულებელი ვალდებულებისთვის არსებული დამხმარე ტექნიკური საშუალება. სწორედ აქ გადის მთავარი ზღვარი, კერძოდ ის, რომ მისი „დამხმარე“ ბუნება არ გადაიქცეს მოსარგებლის პასუხისმგებლობის მთავარ საფუძვლად. ამიტომ ხელოვნური ინტელექტის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ანალიზი ყოველთვის უნდა პასუხობდეს კითხვას: **ვისგან მოდის რისკი და ვის შეეძლო მისი თავიდან აცილება.** ამ მსჯელობას ლოგიკურად მივყავართ გარემოებამდე, საიდან გამომდინარეც შეიძლება ითქვას, რომ მთელი რისკის ერთ სუბიექტზე გადაკისრება არ იქნება ყოველთვის მართებული. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ყველა სამართლებრივი ურთიერთობისთვის ერთი ფორმულის გამოყენება, დაუშვებელია.

3. მცირე ისტორიული ექსკურსი

ხელოვნური ინტელექტის იდეის ხორცშესხმა XX საუკუნის შუა წლებიდან იღებს სათავეს, რაც, მნიშვნელოვანწილად, ალან ტურინგის (Alan Turing) სახელს უკავშირდება.¹⁶ 1950 წლის ოქტომბრის თვეში მან ოქსფორდის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალში („MIND“) გამოაქვეყნა ნაშრომი სახელწოდებით: „*გამოთვლითი მანქანები და ინტელექტი*“.¹⁷ სწორედ აღნიშნულს ეფუძნება ცნობილი „ტურინგის ტესტის“ იდეაც.¹⁸ თუმცა, ტერმინის „ხელოვნური ინტელექტი“ გამოყენება 1956 წლის დარტმუთის კონფერენციას უკავშირდება,¹⁹ როდესაც ჯონ მაკარტის (John McCarthy) მოხსენებამ საზოგადოებას დასახელებული დარგის დაბადება ამცნო.²⁰

დიდი ინტერესის გათვალისწინებით, XX საუკუნის 60-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ცალკეულ პროგრამათა შექმნას, მაგრამ იმდროინდელი გამოთვლითი შე-

¹⁵ უპირატესად იმ გარემოებაზე დაფუძნებით, რომ ხელოვნური ინტელექტი არ არის განხილული, როგორც სამართლის სუბიექტი. მას არ გააჩნია პიროვნულობის ასპექტი (ამ საკითხზე იხ. ამავე ნაშრომში განვითარებული მსჯელობა).

¹⁶ იხ. მაგალითად, Oliveira/Figueiredo, in: Antunes/Freitas/Oliveira/Pereira/Sequeira/Xavier (eds.), *Multidisciplinary Perspectives on AI and the Law*, 2024, 6.

¹⁷ „Computing Machinery and Intelligence“.

¹⁸ იხ. მაგალითად, Koehler in: Catani (Hrsg.), *KI und die Künste*, 2024, 9 f.

¹⁹ ზოგიერთ ნაშრომში აღნიშნული ღონისძიება ხელოვნური ინტელექტის, როგორც სამეცნიერო დარგის დაბადების ადგილად, მოიხსენიება – იხ. Tcharkhtchi/Vanaei/Khelladi, 2026, 122.

²⁰ ამ საკითხზე იხ. Grätz, 2021, 9.

საძლებლობები არ იძლეოდა სათანადო შედეგის მიღწევის შესაძლებლობას. სწორედ ამას მოჰყვა „ხელოვნური ინტელექტის ზამთარი“, ²¹ ერთგვარი იმედგაცრუება, ²² რადგან ამ მიმართულებით, ერთი მხრივ, გადაჭარბებული მოლოდინები არსებობდა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ დროისთვის იკვეთებოდა მონაცემთა ნაკლებობა, ისევე, როგორც არ არსებობდა განვითარებისთვის სათანადო (მათ შორის, ტექნოლოგიური) ცოდნა. ²³

საბოლოოდ, ხელოვნური ინტელექტის სფეროში ფუნდამენტური გარღვევა XXI საუკუნის დასაწყისში მოხდა, ხოლო უკანასკნელ პერიოდში ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ იმ დონეს მიაღწია, რომ იგი მოსარგებლეთათვის/მომხმარებელთათვის (მაშასადამე, სპეციალური ცოდნის არმქონეთათვის) აქტიური სარგებლობის ინსტრუმენტად იქცა. ²⁴

4. კონცეპტუალური დიფერენციაცია

თეორიულად, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობის მასშტაბი სამ ასპექტად შეიძლება დიფერენცირდეს. აღნიშნული შეხედულება ტექნოლოგიური განვითარების ამჟამინდელ მიდგომას ეფუძნება ²⁵ და თეორიულ-ანალიტიკურ მნიშვნელობას ატარებს. ამ ეტაპზე იგი არ ემთხვევა სამართლის პოზიტიურ კატეგორიებს და ამგვარი მოწესრიგება სამართლებრივ ნორმებში (ისევე როგორც სასამართლო პრაქტიკაში) არ გვხვდება. კერძოდ, მსჯელობა ეფუძნება იმ მასშტაბს/დონეს, რაც ხელოვნურ ინტელექტს შეიძლება გააჩნდეს.

შესაძლებლობაზე დაფუძნებული თეორიული კლასიფიკაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია სამი სახის გამოყოფა: ვიწრო, ზოგადი და სუპერ ხელოვნური ინტელექტი. პირველისგან დამოუკიდებლად, მეორე და, განსაკუთრებით, მესამე ტიპოლოგია, შესაძლებელია ისეთი „უნარების“ მქონე ხელოვნურ ინტელექტად მოგვევლინოს, რაზეც დღეს წარმოდგენაც კი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.

²¹ Nilsson, 2010, 408-409.

²² Wendt/Wendt, 2024, 27-28.

²³ Grätz, 2021, 17.

²⁴ იხ. Ertel, 2025, 16-19.

²⁵ დიფერენციაცია შესაძლებელია სხვადასხვა სახით მოხდეს. მაგალითად, ფუნქციური (შესაძლებლობების) თვალსაზრისით ა) „რეაქტიული მანქანები“ („Reactive Machines“), რომელიც მხოლოდ მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს (მაგალითად, „Deep Blue“, ე.წ. „ჭადრაკის კომპიუტერი“) და ბ) „შეზღუდული მეხსიერება“ („Limited Memory“), რომელიც მონაცემებისგან „სწავლობს“ (მაგალითად, „Tesla“-ს ავტოპილოტი, ასევე, „ChatGPT“). წინამდებარე ქვეთავის მიზნებისთვის, მხოლოდ კონცეპტუალურ დიფერენციაციაზე გამახვილდება ყურადღება.

4.1 ვიწრო ხელოვნური ინტელექტი – Artificial Narrow Intelligence (ANI)

ვიწრო ხელოვნური ინტელექტი საბაზისო დონეს წარმოადგენს, როდესაც ეს უკანასკნელი მხოლოდ კონკრეტული დავალების შესრულებაზე მუშაობს.²⁶ შეიძლება ითქვას, რომ იგი შედარებით კონკრეტულ და შეზღუდულ ამოცანებს ხსნის,²⁷ მაგრამ უფრო მეტად კონკრეტული მიმართულებითაა აქტიური²⁸ და არ ფლობს ფართო განზოგადების უნარს თავისი ფუნქციური არეალის მიღმა.²⁹

4.2 ზოგადი ხელოვნური ინტელექტი – Artificial General Intelligence (AGI)

ზოგადი ხელოვნური ინტელექტი გულისხმობს ტექნოლოგიის განვითარების ისეთ დონეს,³⁰ როდესაც ხელოვნური ინტელექტი არა მხოლოდ ფორმულის, არამედ „შესაძლებლობების“ დონეზე იქნება ადამიანურ ინტელექტუალურ უნარებთან გათანაბრებული,³¹ რაც მისი მხრიდან საკითხის „გააზრების“ შესაძლებლობაში გამოიხატება.³² მაგალითად, ექნება შემეცნებითი მოქნილობა, ასევე, შესაძლებლობა ექნება ისეთი დავალება შეასრულოს, რაშიც არ აქვს მიღებული გამოცდილება (არ აქვს სათანადო „ცოდნა“) ³³ და სხვ.

4.3 სუპერ ხელოვნური ინტელექტი – Artificial Superintelligence (ASI)

სუპერ ხელოვნურ ინტელექტზე საუბარი დღევანდელი მოცემულობისთვის მხოლოდ თეორიული პროგნოზებით შემოიფარგლება.^{34/35} ამ ეტაპზე მას რაიმე სახის

²⁶ Goedecke in: Dahm (Hrsg.), *Wie KI unser Leben prägt*, 2022, 35.

²⁷ „კონკრეტული და შეზღუდული ამოცანა“ არის პირობითი განმარტება ხელოვნური ინტელექტის განვითარების შემდგომ საფეხურებთან მიმართებით. ნაშრომის არსის გათვალისწინებით, იგი არსებულ მოცემულობას ეხება.

²⁸ გაბისონია, 2022, 467.

²⁹ Rossipaul, 2023, 26-27.

³⁰ ის, თუ როდის იქნება მიღწეული ამგვარი განვითარება, მსჯელობის საგანია. იხ. მაგალითად, Wittbrodt/Brodecki, in: Wittbrodt/Konopacka/Chyc (eds.), *Per mare ad astra*, 2023, 7.

³¹ Wendt/Wendt, 2024, 22.

³² Rossipaul, 2023, 28.

³³ Paaß/Hecker, 2024, 405.

³⁴ იხ. Russell/Norvig, 2022, 51.


³⁵ ანალოგიური პროგნოზები ეხება დაახლოებითი პერიოდის განსაზღვრასაც – იხ. მაგალითად, Mahler, in: Custers/Fosch-Villaronga (eds.), *Law and AI*, 2022, 527.

მყარი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია.³⁶ შეიძლება ითქვას, რომ სუპერ ხელოვნური ინტელექტისას აბსოლუტურ დამოუკიდებლობასთან გვექნება საქმე, სადაც ადამიანი მასზე იმდენად იქნება დამოკიდებული, რომ მის გარეშე ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას.³⁷ კერძოდ, არსებობს შეხედულება, რომ სუპერ ხელოვნური ინტელექტს „თვითშეგნების“/„თვითგააზრების“ უნარი ექნება („Self-Aware“), რაც მას შესაძლებლობას მისცემს, რამდენიმე ამოცანა ერთდროულად გადაჭრას.³⁸ ამან კი შეიძლება მისი შესაძლებლობების ადამიანისაზე აღმატებულება განაპირობოს.³⁹ სამეცნიერო ლიტერატურაში იგი მოხსენიებულია, როგორც ევოლუციის შემდგომი ნაბიჯი.⁴⁰ ამდენად, ამ ეტაპზე მასზე მსჯელობა მხოლოდ ჰიპოთეტურადაა შესაძლებელი.⁴¹

4.4 შუალედური შეჯამება

ამჟამად ფართოდ გამოყენებადი ხელოვნური ინტელექტის სისტემები „ANI“-ს ფარგლებში მოქმედებენ.⁴² „AGI“ და „ASI“ კი ჯერ კიდევ თეორიულ/ჰიპოთეტურ კატეგორიებად რჩება. ის, თუ როდის შეიძლება განვითარების შემდეგ საფეხურზე ასვლა, ამ ეტაპისთვის, ვარაუდის საგანს წარმოადგენს. სწორედ ეს არის საფუძველი, რომ ამგვარი დიფერენციაცია სამართლებრივ აქტებში (მათ შორის, „AI Act“-ში) არ გვხვდება.

სქემა №1 – ხელოვნური ინტელექტის თეორიული კლასიფიკაცია და დღევანდელი მოცემულობა



³⁶ გაბისონია, 2022, 469.

³⁷ Rossipaul, 2023, 29.

³⁸ Heinrichs/Heinrichs/Rüther, 2022, 177.

³⁹ სწორედ ამან უნდა მოუტანოს სუპერ ხელოვნური ინტელექტს ავტონომიურობა.

⁴⁰ Heinrichs/Heinrichs/Rüther, 2022, 30.

⁴¹ ანალოგიურად ჰიპოთეტურია მსჯელობა, რომელიც მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ეხება. უფრო განზოგადებულად თუ ვიტყვით, ისმის შეკითხვა: რამდენად ქმედითი იქნება ე.წ. „ძლიერი“ ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა? ამ საკითხზე იხ. მაგალითად, Gaede, 2019, 62 და შ.

⁴² გაცხადებული ინფორმაცია, რომელიც „AGI“-ს არსებობას დაადასტურებდა, არ გვხვდება. სწორედ ამიტომ ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულებები, რომლებიც ტექნოლოგიური განვითარების საფეხურს, ჩანასახის დონეზე არსებულ მოცემულობასთან აიგივებენ: Wittbrodt/Brödecki, in: Wittbrodt/Konopacka/Chyc (eds.), Per mare ad astra, 2023, 6.

4.5 დიფერენციაცია „სუსტ“ და „ძლიერ“ ხელოვნურ ინტელექტად

ზემოთ მოყვანილი სახეები შეიძლება კიდევ უფრო განზოგადებულად დიფერენცირდეს და ისინი „სუსტ“ და „ძლიერ“ ხელოვნურ ინტელექტებად იქნეს მიჩნეული. პირველ შემთხვევაში ხელოვნური ინტელექტი უშუალოდ დავალებას ასრულებს (აგენერირებს), თუმცა არ გააჩნია „დამოუკიდებლობა“.⁴³ რაც შეეხება „ძლიერ“ ხელოვნურ ინტელექტს, ამჟამინდელი შეხედულებით, იგი არა მხოლოდ რეაგირების, არამედ, თავისი ინიციატივის გამოხატვის „უნარის“ მქონედ შეიძლება დახასიათდეს,⁴⁴ რაც ადამიანის შესაძლებლობებთან გათანაბრებისკენ/მიღწევისკენ იქნება მიმართული.^{45/46} კლასიფიკაციის თვალსაზრისით, „სუსტ“ ხელოვნურ ინტელექტს მიეკუთვნება „ANI“, ხოლო „ძლიერ“ ხელოვნურ ინტელექტად მიიჩნევა: „AGI“ და „ASI“.

5. ძირითადი ტერმინები

თემატიკის სიახლის გათვალისწინებით, ბევრი საკითხია, რაც ქართულ ტერმინოლოგიურ ნაწილში დაბუსტებას საჭიროებს. ამ მხრივ, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმ ძირითად ტერმინებზე, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში. იმისთვის, რათა, განმარტება ლოგიკურ ფარგლებში მოექცეს, ზოგიერთი მათგანი ეფუძნება „AI Act“-სა და მისგან გამომდინარე მოცემულ დასაბუთებას.

5.1 ხელოვნური ინტელექტი და ხელოვნური ინტელექტის სისტემა

ტერმინის: „ხელოვნური ინტელექტი“ კლასიკური (ტრადიციული) განმარტება ბუნებაში არ მოიძებნება.⁴⁷ აღნიშნულში მოიაზრება როგორც ტექნიკური,⁴⁸ ისე – სამართლებრივი თვალსაზრისით არსებული დეფინიცია.⁴⁹ მეტიც, სირთულეს წარმოადგენს ადამიანური „ინტელექტის“ სამეცნიერო დონეზე განმარტებაც.⁵⁰ არსებობს სხვადასხვა შეხედულებები განმარტებებთან მიმართებით,⁵¹ თუმცა თანამედროვე ტენდენცია ერთი რომელიმე მათგანის გამტარებლად ვერ მოგვევლინება.⁵² სწორედ ამიტომაც,

⁴³ Grätz, 2021, 14.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ Ziegenbalg, 2025, 37.

⁴⁶ Kreutzer, 2024, 77.

⁴⁷ პრაქტიკაში გვხვდება არაერთი მცდელობა, რომელიც დღემდე ერთიანი მიდგომით არ ჩამოყალიბებულა: Koehler in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 11.

⁴⁸ Konertz/Schönhof, 2020, 30.

⁴⁹ იხ. მაგალითად, McCarl, UCLR Vol. 90 Iss. 3, 2022, 925.

⁵⁰ Rossipaul, 2023, 19.

⁵¹ გაბისონია, „იუსტიცია“ №1/2022, 129-131.

⁵² Hotz, 2024, 28-29.

რომ ხელოვნური ინტელექტის განმარტებისას ხშირად მსჯელობა მისი ფუნქციების განსაზღვრებიდან გამომდინარეობს.⁵³

„ხელოვნური ინტელექტის“, როგორც ტერმინის საკანონმდებლო დონეზე არარსებობა, სამართლებრივ უსაფრთხოებასა და რეგულირების სიზუსტეს ემსახურება.⁵⁴ შესაბამისადაა საკითხი განსაზღვრული „AI Act“-ში, სადაც შემოთავაზებულია ტერმინი – „ხელოვნური ინტელექტის სისტემა“.^{55/56} კერძოდ, მე-3 მუხლში მითითებულია დათქმიდან⁵⁷ გამომდინარეობს რამდენიმე ასპექტი, რაც ხელოვნური ინტელექტისთვისაა დამახასიათებელი და რაც, თითოეულ შემთხვევაში, საბოლოო შედეგისკენ მიმართულ ქმედებას ეფუძნება.⁵⁸ პირველ რიგში გამოსარჩევია **ავტონომიური ქმედების საკითხი** – მაშასადამე ქმედება, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მიერ წარმოშობს შედეგს. გენერირებისას ადამიანი არ ერთვება შესაბამის ქმედებაში და ხელოვნური ინტელექტი თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე აგენერირებს საკითხს; აღსანიშნავია **დავალების შესრულების ასპექტი** – მიღებული „Input“-ის საფუძველზე „Output“-ის გამოშუქება. ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, რომ განსაზღვროს შედეგი, თუმცა ეს შედეგი (ქმნილება) არ იქნება იმ პათოსით ნაკარნახევი, რაც ადამიანურ დონეზე გარკვეული ემოციის მატარებელი შეიძლება იყოს.⁵⁹ ცალკე გამოსაყოფია ერთ-ერთი დამახასიათებელი ფუნქცია: **ადაპტირების „უნარი“** – დავალებასთან თუ მოსარგებლის მიდგომებთან ადაპტირება, ისევე როგორც საკითხის შესწავლა, ხელოვნურ ინტელექტს გამოარჩევს სხვა ტექნოლოგიური საშუალებებისგან. შესაბამისად, იგი ვითარდება დავალების შესრულებით. აღნიშნული დეტალები ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ხელოვნურ ინტელექტს მეტი ელემენტი არ გააჩნია.⁶⁰

რაც შეეხება ყოველდღიურ-პრაქტიკულ მოცემულობას, ტერმინის „ხელოვნური ინტელექტი“ გამოყენება ყველაზე უფრო მეტადაა გავრცელებული. სწორედ ამ მიზ-

⁵³ Harasimiuk/Braun, 2021, 7.

⁵⁴ Kirschke-Biller/Füllsack in Schefzig/Kilian (Hrsg.), BeckOK KI-Recht, KI-VO Art. 3, Rn. 8.

⁵⁵ და არა უშუალოდ ტერმინი – „ხელოვნური ინტელექტი“.

⁵⁶ მნიშვნელოვანი დეტალია, რომ შეგნებულად არაა გამახვილებული ყურადღება „ხელოვნური ინტელექტის მოდელზე“. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სისტემის შემადგენელ ნაწილს, მაგრამ მისით დამოუკიდებლად სარგებლობა, არ ხდება. ამ საკითხზე. იხ. Voigt/Hullen, 2024, 7.

⁵⁷ იხ. ინგლისურ ენაზე: *‘AI system’ means a machine-based system that is designed to operate with varying levels of autonomy and that may exhibit adaptiveness after deployment, and that, for explicit or implicit objectives, infers, from the input it receives, how to generate outputs such as predictions, content, recommendations, or decisions that can influence physical or virtual environments.*

⁵⁸ იხ. Zankl in: Zankl (Hrsg.), Smart.Recht, KI-VO, 2026, 49.

⁵⁹ Bajohr in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 266.

⁶⁰ ხელოვნური ინტელექტის როლის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ მას მეტი მახასიათებელი გააჩნდეს. იხ. Voigt/Hullen, 2024, 5 და შ.

ნით, ნაშრომში ანალოგიური ტერმინი იქნება გამოყენებული, რომელიც თავის თავში „ხელოვნური ინტელექტის სისტემასაც“ მოიაზრებს. მიდგომა ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკასა თუ დოგმატიკაში არსებულ მიდგომებს.⁶¹

5.2 ხელოვნური ინტელექტის მოდელი, სისტემა და პლატფორმა

მეტი თვალსაჩინოებისთვის, მნიშვნელოვანია, რომ მოდელის, სისტემისა და პლატფორმის ცნებები ერთმანეთისგან იქნეს გამიჯნული. აღნიშნულისთვის კი მსჯელობა შეიძლება „Gemini“-ს მაგალითზე დაყრდნობით: მოდელი წარმოადგენს ტექნიკურ-ალგორითმულ ბირთვს, რომელიც ამუშავებს მონაცემებს და ქმნის შედეგს (ვთქვათ, ტექსტს, პასუხს და სხვ.). სისტემა მოდელზე ფართო ფუნქციური (ოპერატიული) მთლიანობაა, რომელიც მოიცავს როგორც მოდელს, ისე – მის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა კომპონენტებსაც (ამდენად, იგი ოპერაციული და ფუნქციური ერთობაა, რომელშიც გაერთიანებულია უსაფრთხოების მექანიზმები, ინტერფეისი და სხვ.).⁶² რაც შეეხება პლატფორმას,⁶³ ის ციფრული გარემოა, რომლის საშუალებითაც მოსარგებლე სისტემაზე წვდომას ამყარებს.

5.3 ხელოვნური ინტელექტის ფუნქციური ციკლი

ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირება შესაძლებელია სამეტაპიან სტრუქტურად იქნეს განხილული: „Training“, „Inference“ და „Generation“. „Training“ უკავშირდება მონაცემთა გამოყენებისა და სისტემის არქიტექტურის პასუხისმგებლობას, „Inference“ – სისტემის ოპერაციულ ფუნქციონირებას, ხოლო „Generation“⁶⁴ წარმოადგენს იმ პროცესს, რომელიც შეიძლება გახდეს საავტორო, დელიქტური ან სხვა სამართლებრივი შეფასების ობიექტი.

„Training“ წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის კონკრეტული მოდელის განვითარების საწყის ფაზას, რომლის ფარგლებშიც ხდება მონაცემთა მასივის ალგორითმული დამუშავება და შიდა პარამეტრების ფორმირება.⁶⁵ აღნიშნული ეტაპი ქმნის სისტემის უნარს, მომავალში მოახდინოს პროგნოზირება, დააკლასიფიციროს ან შექმნას შინაარსი, თუმცა იგი არ უკავშირდება კონკრეტული მოსარგებლის ინ-

⁶¹ იხ. მაგალითად, Amort, in: Fischer/Bollhöfer/Amort (Hrsg.), KI und Recht, 2024, 22-23 და შ.

⁶² სწორედ ამიტომ, რომ მოდელის მიმართ ცალკე აღებული ვალდებულებები „AI Act“-ში არ გვხვდება – Voigt/Hullen, 2024, 6.

⁶³ იხ. <<https://gemini.google.com/app>>.

⁶⁴ გენერირება ეფუძნება ინგლისურ ტერმინს – „generation“, რომელიც მათ შორის, „AI Act“-ის მე-3 მუხლის 1-ელ პუნქტში გვხვდება.

⁶⁵ ამ საკითხზე იხ. Goedecke in: Dahm (Hrsg.), Wie KI unser Leben prägt, 2022, 38.

დიგიტალურ მოთხოვნას.⁶⁶ „Training“-ის დასრულების შემდეგ მოდელი გადადის „Inference“-ის ფაზაში, რაც გულისხმობს უკვე ჩამოყალიბებული პარამეტრების გამოყენებას კონკრეტულ „Input-ზე“ რეაგირების მიზნით. ამ ეტაპზე სისტემა აღარ სწავლობს, არამედ ახორციელებს გამოთვლით ოპერაციას და ქმნის პასუხს.

„Generation“ წარმოადგენს „Inference“-ის სპეციალურ, ქვეკატეგორიულ ფორმას, რომლის დროსაც შედეგი იღებს ახალი, მანამდე არარსებული, შინაარსის სახეს (მაგალითად, ტექსტი, გამოსახულება, აუდიო). შესაბამისად, „Generative“ პროცესი ეფუძნება „Inference“-ს, თუმცა „Inference“ ყოველთვის არ გულისხმობს გენერირებას, ვინაიდან იგი შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ კლასიფიკაციით ან პროგნოზირებით.

5.4 ხელოვნურ ინტელექტთან კომუნიკაციის ციკლი

ხელოვნურ ინტელექტთან კომუნიკაციისთვის გასათვალისწინებელია სუბიექტის მხრიდან გარკვეული მოქმედების განხორციელება, რასაც სათანადო შედეგები მოჰყვება. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ გამოვარჩიოთ ტერმინი – „**Prompt**“.⁶⁷ იგი გულისხმობს მიზნობრივი ინსტრუქციის ფორმულირებას, რომლის მეშვეობითაც მოსარგებლე განსაზღვრავს, რა ამოცანა უნდა შეასრულოს ხელოვნურმა ინტელექტმა და რა მიმართულებით უნდა დააგენერიროს საკითხი. თავის მხრივ, დავალების მიცემა ხორციელდება შესაბამისი მონაცემების მითითების გზით, რომელსაც „**Input**“⁶⁸ ეწოდება. მაგალითად, თუ მოსარგებლე ხელოვნურ ინტელექტს დავალებას აძლევს, რომ მისივე ვიზუალურ დააგენერიროს სურათი და ამ სურათისთვის, დავალებასთან ერთად, უტვირთავს საკუთარ ფოტოს, სწორედ ფოტო მიიჩნევა „Input“-ად. ლოგიკურად, დავალებას მოჰყვება გენერირების შედეგი, რომელსაც „**Output**“⁶⁹ ეწოდება. ზემოთ მოყვანილი მაგალითის გათვალისწინებით, თუ ხელოვნური ინტელექტი მოამზადებს „სურათს“ მოსარგებლის ფოტოთი, საბოლოო „სურათი“ იქნება „Output“.⁷⁰

მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე ასპექტზე დამატებით გამახვილდეს ყურადღება: პირველ რიგში „Prompt“-სა და „Input“-ის განსხვავებაზე. ორივე მათგანი არსობრივად ჰგავს ერთმანეთს. თუმცა, მათ შორის არსებობს სხვაობა: „Input“ არის მონაცემი, რომელიც შედის სისტემაში, ხოლო „Prompt“ არის „Input“-ის სპეციალური ფორმა,

⁶⁶ დავალების შესრულებისთვის „Training“ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგან მის გარეშე ხელოვნური ინტელექტი ვერ მოახდენს სათანადო მოთხოვნის დამუშავებას. იხ. მაგალითად, Konertz/Schönhof, 2020, 48.

⁶⁷ ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „ინსტრუქციული მოთხოვნა“.

⁶⁸ ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „შეყვანილი მონაცემი“.

⁶⁹ ქართულად შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „გენერირებული შედეგი“.

⁷⁰ ყველა „Output“ ავტომატურად არ წარმოშობს სამართლებრივ უფლებებს. იხ. მაგალითად, Engel, KIR №1/2024, 24.

რომელიც შეიცავს მიზნობრივ ინსტრუქციას და განსაზღვრავს მოდელის მიერ შესასრულებელ ამოცანას. შეიძლება, რომ „Input“ არ ატარებდეს ინსტრუქციულ ხასიათს, მაშინ, როდესაც „Prompt“ სწორედ ამგვარ მიდგომას ეფუძნება. მაგალითად, თუ ხელოვნური ინტელექტისთვის დავალების მიცემისას ჩავწერთ სიტყვებს: „ანტიკური საბერძნეთი“, იგი იქნება „Input“, ხოლო „Prompt“ იქნება, თუ შევითხვას დასვამს მოსარგებლე, პირობითად, შემდეგი ფორმულირებით: „რამდენად უფრო განვითარებული იყო ანტიკურ საბერძნეთში ადამიანი გონებრივად დღეს მცხოვრებ ადამიანთან შედარებით?“. ამდენად, ტექნიკური თვალსაზრისით, ყველა „Prompt“ არის „Input“, თუმცა ყველა „Input“ არ არის „Prompt“, ვინაიდან უშუალო პროცესი („Prompting“) დაკავშირებულია მოდელის ქცევისკენ მიმართულ და სტრუქტურირებულ მართვასთან.

მსგავსი მსჯელობის საგანს წარმოადგენს „Generate“-სა და „Output“-ს შორის განსხვავების საკითხიც. გენერირება წარმოადგენს ალგორითმულ და გამოთვლით პროცესს, რომლის ფარგლებშიც ხელოვნური ინტელექტი, შეყვანილი მონაცემებისა და შიდა პარამეტრების საფუძველზე, ქმნის ახალ შინაარსს. „Output“ კი არის აღნიშნული პროცესის შედეგი – უკვე ჩამოყალიბებული ტექსტი, გამოსახულება ან/და სხვ., რომელიც მოსარგებლისთვის ხდება ხელმისაწვდომი. ამგვარად, გენერირება დინამიკური და ფუნქციური კატეგორიაა, ხოლო „Output“ – სტატიკური შედეგი. მაგალითად, მოსარგებლე შევითხვას დაუსვამს ხელოვნურ ინტელექტს: „მოკლედ აღწერე, თუ რა როლი ითამაშა ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფიამ დღევანდელობაზე“. ხელოვნური ინტელექტი, დავალების მიღების შემდეგ იწყებს გენერირების პროცესს. ასეთ დროს ხდება სიტყვათა თანმიმდევრობის პროგნოზირება, ალგორითმი ეტაპობრივად აყალიბებს ტექსტს და მიმდინარეობს დინამიკური პროცესი. „Output“ კი არის პასუხი, რომელიც შეიძლება შემდეგი შინაარსით იყოს: „ანტიკური საბერძნეთის ფილოსოფია საფუძვლად დაედო დასავლურ აზროვნებას და დღემდე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე სამყაროზე. მან განსაზღვრა დემოკრატიის, ლოგიკური აზროვნების, ეთიკის, მეცნიერების, პოლიტიკისა და სამართლის განვითარების მიმართულებები და ჩამოაყალიბა დიალოგისა და რაციონალიზმის კულტურა“.⁷¹

6. ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური კლასიფიკაციები

ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური კლასიფიკაცია სათანადო სამართლებრივი შედეგის განსაზღვრისთვისაა მნიშვნელოვანი. მაგალითად, იმის დასადგენად, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს სუბიექტს/მოსარგებლეს, როდესაც სარგებლობს ხელოვნური ინტელექტით და რა ფარგლებში შეიძლება მის მიერ გენერირების შედეგზე

⁷¹ მაგალითი შეგნებულადაა აგებული პრაქტიკულ კვლევაზე, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ჩატარდა: ხელოვნურ ინტელექტს მიეწოდა სწორედ აღნიშნული შეკითხვები („Prompt“), რომლებზეც გასცა მან ზემოთ დასახელებული პასუხები („Output“).

დაყრდნობა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდება სამ ძირითად მოდელზე: სტატისტიკურზე, სიმბოლურსა და ჰიბრიდულზე.

ქვემოთ განხილული კლასიფიკაცია ტექნიკურ-ანალიტიკური ხასიათისაა და იგი არ უნდა გაიგივდეს ნორმატიულ კლასიფიკაციასთან (მონესრიგებასთან). თანამედროვე სამართლებრივი მიდგომებიც (მაგალითად, „AI Act“) საკითხს უპირატესად, სწორედ ფუნქციურ ასპექტზე დაყრდნობით განიხილავს.

6.1 სტატისტიკური მოდელი

სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის მოდელი⁷² ხშირად ეყრდნობა ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს⁷³ ან სხვა მათემატიკურ მოდელებს, რომლებიც მონაცემებში ნიმუშების გამოვლენას ემსახურებიან.⁷⁴ ამ კონტექსტში, მონაცემები როგორც წესი, მუშავდება რიცხვითი, სტატისტიკური ან ვექტორული სახით, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი ცალკეულ საკითხად „აღიქვამს“. ეს ნიშნავს, რომ მოდელი მონაცემებს, როგორც წესი, არ ინახავს მონაცემთა ბაზის იდენტურად.

სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტი დღევანდელ რეალობაში ყველაზე ხშირად გამოიყენება. ამის ნათელი მაგალითია „ChatGPT“. მეტი დასაბუთებულობისთვის მნიშვნელოვანია, რომ დეტალურ ჩაშლაზე გაკეთდეს აქცენტი, რომელიც სამართლებრივი საკითხების შეფარდებისას შეიძლება გადამწყვეტ როლსაც კი თამაშობდეს.

6.1.1 მანქანური სწავლება („Machine Learning“)

სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის ერთ-ერთ ძირითად ტექნიკურ მეთოდს „Machine Learning“ წარმოადგენს, რომელიც მონაცემებზე დაყრდნობით ამოიცნობს ნიმუშებს და მათ საფუძველზე ახორციელებს კვალიფიკაციას. შედეგად, ყოველი ახალი გენერირებისთვის წინასწარ დაპროგრამების აუცილებლობა არ იკვეთება.⁷⁵

6.1.2 ღრმა სწავლება („Deep Learning“)

ღრმა სწავლება ეფუძნება დიდი მოცულობის მონაცემებზე წინასწარ განხორციელებულ „Training“-ს და, როგორც წესი, იყენებს მრავალშრიან ნეირონულ ქსელებს.^{76/77} სწავლა ხორციელდება შიდა პარამეტრების („Weights“) ოპტიმიზაციის

⁷² შესაძლებელია, რომ გამოყენებულ იქნეს ტერმინი: „მონაცემებზე დაფუძნებული სისტემა“.

⁷³ მეტი დეტალისთვის იხ. მაგალითად, Kleijn, in: Custers/Fosch-Villaronge (eds.), Law and AI, 2022, 34.

⁷⁴ იხ. Truttmann, 2021, 35.

⁷⁵ Tcharkhtchi/Vanaei/Khelladi, 2026, 207.

⁷⁶ Hotz, 2024, 37.

⁷⁷ Matzka, 2021, 21.

გზით, უკუგამავლობის („Backpropagation“) მეთოდით.⁷⁸ ამ პროცესში ხელოვნური ინტელექტი ამუშავებს მონაცემთა ნიმუშებს და ამცირებს ცდომილებას („Loss Function“). „Training“-ის დასრულების შემდეგ მოდელი ახორციელებს „Inference“-ს და ახდენს ახალი „Input“-ის საფუძველზე შედეგის გენერირებას.

6.1.3 გენერაციული ხელოვნური ინტელექტი („Generative AI“)

გენერაციული ხელოვნური ინტელექტი უპირატესად ღრმა სწავლების განშტოებაა, რომლის მიზანია, ახალი ქმნილების გენერირება. მაგალითად, ტექსტის მომზადება, ვიზუალის გაფორმება, „მუსიკის“ შექმნა და სხვ.⁷⁹ იგი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთ (მაგალითად, დიდი ენის), ისე – რამდენიმე მოდელს.

6.1.3.1 დიდი ენის მოდელი („Large Language Model“ – „LLM“)

დიდი ენის მოდელი „სწავლობს“ დიდი მოცულობის ტექსტებზე. კერძოდ, დიდი მოცულობის ტექსტური მონაცემების გათვალისწინებით, ხელოვნურ ინტელექტს შესაძლებლობა აქვს, რომ დააგენერიროს ტექსტი სხვადასხვა ენაზე. მაგალითად, „Claude AI“-მ დააგენერირა ტექსტი შესაბამისი რითმით („ლექსი“). ამისთვის მან გამოიყენა ენობრივი ასპექტი.

6.1.3.2 ვიზუალური/დიფუზიური მოდელი („Diffusion Models“)

დიფუზიური მოდელი ხშირად მიმართულია ვიზუალური/გამოსახულებითი ნაწილის გენერირებისკენ. აღნიშნულის ფარგლებში, ხელოვნური ინტელექტი ასრულებს დავალებას და ქმნის „სურათს“ ან ნებისმიერ ვიზუალურ სქემას თუ სხვ. იხ. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ვიზუალი („სურათი“):



⁷⁸ იხ. Russell/Norvig, 2022, 801 და შ.

⁷⁹ Paass/Hecker in: Seufert/Handschuh (Hrsg.), Generative KI, 2024, 47.

6.1.3.3 მუსიკის/ვიდეოს მოდელი („Music/Video Models“)

მუსიკისა თუ ვიდეოს მოდელი თავისი სპეციფიკით ხასიათდება. დღევანდელ რეალობაში საზოგადოდ გავრცელებულია ხელოვნური ინტელექტის ცალკეული მოდელები, რომლებიც მხოლოდ აუდიო თუ ვიზუალური ნაწილის გენერირებისკენ არიან მიმართულნი.⁸⁰

6.1.4 „შავი ყუთი“ („Black Box“)

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა, რაც პრაქტიკაშიც დამკვირდებულია და რაც ხელოვნური ინტელექტის მოხმარებისას სამართლებრივ შედეგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, არის ე.წ. „Black Box“ საკითხი.⁸¹ ეს გახლავთ მოცემულობა, როდესაც რთულია (ან შეუძლებელია) დადგინდეს, რატომ მივიდა ხელოვნური ინტელექტი კონკრეტულ შედეგამდე.⁸² სხვა სიტყვებით, იგი შესაძლოა „გაუმჭვირვალე გადანაცვებლებად“ იქნეს განხილული.^{83/84} „შავი ყუთის“ საკითხი დამახასიათებელია უპირატესად, სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში.

6.1.5 შემაჯამებელი განმარტება „ChatGPT“-ის მაგალითზე დაყრდნობით

„ChatGPT“ ვიწრო ხელოვნური ინტელექტის („ANI“) ნაირსახეობაა, რომელიც ეფუძნება მანქანურ სწავლებას, ფუნქციონირებს ღრმა სწავლების მეთოდით და განეკუთვნება გენერაციული ხელოვნური ინტელექტის სისტემებს. ტექნიკური არქიტექტურის თვალსაზრისით, მისი ძირითადი საფუძველია დიდი ენის მოდელი. ამასთან, პროდუქტის დონეზე, „ChatGPT“ შეიძლება ინტეგრირებული იყოს სხვა მოდელებთანაც.


⁸⁰ საილუსტრაციოდ: მუსიკის გენერირების ფუნქციის მქონე ხელოვნური ინტელექტია მაგალითად, „Udio“: <www.udio.com>.

⁸¹ იხ. მაგალითად, *Hoeren/Niehoff*, RW №1/2018, 58.

⁸² *Hotz*, 2024, 43.

⁸³ შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს საეჭვოც. ამ საკითხზე იხ. *Schmidt*, RRA №4/2025, 76.

⁸⁴ „გაუმჭვირვალობა“ გავლენას ახდენს ასევე სხვა სამართლებრივ ურთიერთობებზეც. იხ. მაგალითად, *ხუციშვილი/გვენეტაძე*, სკულ №1(2) 2026, 68.

სქემა №2 – „ChatGPT“-ის არქიტექტურა (ძირითადი საკითხები)

ზემოთ მოყვანილი მაგალითის მთავარი არსია, რომ ილუსტრაციულად წარმო-
აჩინოს ის ძირითადი არქიტექტურა, რაც „ChatGPT“-ს ახასიათებს. შესაბამისად, მას-
ში არ არის მოცემული ამომწურავი ინფორმაცია, რაც ხელოვნური ინტელექტის ფუნქ-
ციონირების ყველა დეტალს შეეხება.

6.2 სიმბოლური მოდელი

კლასიკური სიმბოლური ხელოვნური ინტელექტის მოდელი არ ეფუძნება ხელოვნურ ნეირონულ ქსელებს და არ ფუნქციონირებს ღრმა სწავლების მეთოდით. იგი ძირითადად ეფუძნება ექსპლიციტურ, წინასწარ ფორმალიზებულ ცოდნას. მისი ფუნქციონირება დამოკიდებულია სიმბოლოებზე, ლოგიკურ წესებზე, ცნებებსა და ცოდნის ბაზებზე.⁸⁵ ქცევის წესი, ისევე როგორც ექსპლიციტური (საწყისი) ცოდნა, მის შემქმნელზეა დამოკიდებული. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მას აქვს ცოდნა, რომელიც ადამიანმა (შემქმნელმა) სისტემას მიაწოდა, თუმცა იგი არ ახდენს ადამიანის შემეცნების იდენტურ იმიტაციას.⁸⁶

ბეზოლნიშნული, თავის თავში გულისხმობს, რომ სიმბოლური ხელოვნური ინტელექტი „ვერ ადგენს“, ადამიანმა განმარტებისას შეცდომა დაუშვა თუ – არა ან არის თუ არა მიწოდებული წესი არამართებული და სხვ. რადგან იგი მიწოდებული წესებით/ბაზით მოქმედებს, შედეგის მიღებისას სწორედ ამ „ცოდნას“ ეყრდნობა. ამდენად, იგი შედარებით „გამჭვირვალედ“ იღებს გადაწყვეტილებებს.

6.2.1 „თეთრი ყუთი“ („White Box“)

„White Box“ არის „Black Box“-ის ანტიპოდი. იგი პირდაპირ კავშირშია გამჭვირვალობასთან, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული შედეგის ახსნაა შესაძლებელი. მაგალითად, იმის დადგენა, თუ რატომ მიიღო კონკრეტული გადაწყვეტილება. ეს ნიშნავს, რომ წესები არის ხილული, ხოლო ლოგიკა – გასაგები.

6.2.2 ლოგიკური მოდელი

ლოგიკური მოდელის იდეაა, მიჰყვეს წესებს, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის ამავე სახეობის ფუნქციონირებისთვისაა მნიშვნელოვანი (არსებითი). ამგვარი ლოგიკა გულისხმობს რომ სიმართლესა და სიცრუეზე გააკეთოს აქცენტი, რაც „პალუცინაციის“ ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს.⁸⁷

6.2.3 ექსპერტულ სისტემაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებანი

ხელოვნური ინტელექტის ამგვარი ვერსია მოიცავს ბაზას, რომელიც ეფუძნება ცალკეულ განმარტებებს, მათ შორის, კონკრეტული ექსპერტების თუ საკითხის მცოდ-

⁸⁵ Mainzer in: Mainzer (Hrsg.), Philosophisches Handbuch KI, 2024, 889.

⁸⁶ Tcharkhtchi/Vanaei/Khelladi, 2026, 198.

⁸⁷ გადაჭრით გამორიცხვამ საუბარი ლიტერატურასა თუ ცალკეულ პრაქტიკულ დაკვირვებებზე დაყრდნობით არ გვხვდება.

ნე პირების მხრიდან განსაზღვრულ ინფორმაციას/წესებს (მონაცემებს). ამ შემთხვევაშიც, გადაწყვეტილების მიღება არ ეფუძნება სტატისტიკას, არამედ – „ცოდნას“.

6.2.4 სემანტიკური მიდგომები

ცოდნა ეფუძნება ქსელურ სისტემას: ცნებებსა და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს. მეტიც, ცოდნა, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება რომ დაეყრდნოს ოფიციალურ მონაცემებს, რომლებიც შემხებლობაში არიან ენობრივ კომპონენტთან თუ ლოგიკური მსჯელობის დასაბუთებულობასთან (სამართლებრივ საკითხებთან) და სხვ.

6.2.5 დაგეგმარება და ძიება

სისტემა გამოთვლის ნაბიჯებს, რომლის საფუძველზეც აღწევს შედეგს. კერძოდ, იგი ფუნქციონირებს, როგორც ნავიგატორი, რომელიც ალგორითმის დახმარებით საუკეთესო გზას ეძებს. აღნიშნულს კი წინასწარ განსაზღვრული ქცევის წესის ფარგლებში ახორციელებს.


6.3 ჰიბრიდული მოდელი

ჰიბრიდული მოდელი სტატისტიკური და სიმბოლური ხელოვნური ინტელექტის ერთგვარი ნაზავია. ამ მხრივ, მას ორივე მათგანიდან გარკვეული პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები აქვს აღებული. მაგალითად, სტატისტიკური კომპონენტი შეიძლება გამოიყენებოდეს ტექსტის გენერირებისთვის, ხოლო სიმბოლური კომპონენტი – მიღებული შედეგის შემოწმებისთვის. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში, „ჰალუცინაციის“ ალბათობა მნიშვნელოვნად შემცირებულია,⁸⁸ თუმცა იგი ცალსახად არ გამოირიცხება.

ჰიბრიდულ მოდელს გააჩნია ნეგატიური ელემენტებიც. ეს გამომდინარეობს, პირველ რიგში, მისი რთული კონსტრუქციისგან. მაგალითად, მას ხელოვნური ნეირონული ქსელი გააჩნია მხოლოდ სტატისტიკური ნაწილის მიმართულებით. თავის მხრივ, თუ სტატისტიკური მოდელი ეფუძნება ალბათობას, სიმბოლური მოდელი ლოგიკას მიჰყვება. ამან კი შეიძლება ერთგვარი შეუთავსებლობა გამოიწვიოს.

⁸⁸ Tcharkhtchi/Vanaei/Khelladi, 2026, 242.

სქემა №3 – ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური კლასიფიკაციები



7. განსხვავება ხელოვნურ ინტელექტსა და რობოტს შორის

რობოტსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის არსებობს ფუნდამენტური განსხვავება: რობოტები გამოიყენება უმეტესად ფიზიკურ წარმოებაში და, უპირველეს ყოვლისა, რუტინული ამოცანებისკენ მიემართება მათი აქტივობა.^{89/90} ხელოვნური ინტელექტი კი დავალების შესაბამისად, „თავად ეძებს“ საკითხის გადაჭრის გზას.⁹¹ შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენდეს რობოტის „ტვინს“/„მამოძრავებელ საშუალებას“.⁹² ცალკეულ შემთხვევაში, რობოტი ხელოვნური ინტელექტის გარეშე შეიძლება მხოლოდ მატერიალურ ნივთს დაემსგავსოს. აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს რობოტის როლი უგულებელყოფილია. პირიქით, ზოგიერთი მოცემულობის გათვალისწინებით, რობოტმა შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების რეალიზება მოახდინოს.⁹³ ამდენად, რობოტსა და ხელოვნურ ინტელექტს შორის სხვაობა მათ შესაძლებლობებშია.⁹⁴ ზოგიერთ შემთხვევაში, რობოტს შეიძლება არც დასჭირდეს ხელოვნური ინტელექტი და მის გარეშე იფუნქციონიროს.⁹⁵

⁸⁹ Zimmermann in: Chibanguza/Kuß/Steege (Hrsg.), KI, 2022, D. Rn. 2.

⁹⁰ მეტი მსჯელობისთვის იხ. ნანობაშვილი, შსუ, №5/2025, 84.

⁹¹ Zimmermann in: Chibanguza/Kuß/Steege (Hrsg.), KI, 2022, D. Rn. 2.

⁹² მოყვანილი მსჯელობის საუკეთესო ილუსტრაციაა რობოტი „სოფია“, რომელსაც საუდის არაბეთმა სიმბოლური მოქალაქეობა მიანიჭა. მიუხედავად ასეთი საპატიო სტატუსისა, ეს უფრო მეტად პოპულისტურ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგალითად, მას არ გააჩნია არაქონებრივი უფლებები. ისევე როგორც არაა აღიარებული და „გათანაბრებული“ ადამიანთან და სხვ. რობოტი „სოფია“ არ უნდა იქნეს გაიგივებული ხელოვნურ ინტელექტთან. ამ საკითხზე იხ. Benedikter, FSB №1-2/2018, 322-323.

⁹³ Klawonn, 2023, 29.

⁹⁴ Kirschke-Biller/Füllsack in Schefzig/Kilian (Hrsg.), BeckOK KI-Recht, KI-VO Art. 3, Rn. 20.

⁹⁵ გაბისონი, შსუ, №7/2021, 40.

8. აქტორთა ტერმინოლოგიური განმარტება

აქტორთა განმარტება, უპირატესად, „AI Act“-ს ეფუძნება. სწორედ მასშია განვლილი უმეტესი მათგანის დეფინიცია, რაც შესაძლებელია, რომ სახელმძღვანელო პრინციპად გამოდგეს. იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ ენაზე არ არის ტერმინები დამკვიდრებული, მნიშვნელოვანია, რომ განმარტებისას მათი ინგლისურენოვანი შესატყვისი მიეთითოს.

8.1 „Operator“ („ოპერატორი“)

„ოპერატორის“ განმარტებაში მოაზრებულია ხელოვნური ინტელექტის სისტემის მიმწოდებელი, პროდუქტის მწარმოებელი, „Deployer“, უფლებამოსილი წარმომადგენელი, იმპორტიორი ან დისტრიბუტორი.⁹⁶ ის, თუ რომელ მათგანს ეკისრება პასუხისმგებლობა, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. ამდენად, აღნიშნული ტერმინი ერთგვარ „ქოლგურ კატეგორიას“ მოიაზრებს, რომელშიც, გარდა მოსარგებლისა, თითოეული ქვემოთ ჩამოთვლილი აქტორი მოიაზრება. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პირის სინონიმი, რადგან პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტის შემთხვევა, ინდივიდუალური გარემოებით განისაზღვრება.

8.2 „Provider“ („მიმწოდებელი“)

„მიმწოდებელში“ მოიაზრება ნებისმიერი კერძო თუ საჯარო პირი, რომელიც ქმნის ხელოვნური ინტელექტის სისტემას ან ზოგადი დანიშნულების ხელოვნური ინტელექტის მოდელს. ანალოგიურად, ამ ტერმინში ექცევა პირი, რომელმაც შექმნა ხელოვნური ინტელექტის სისტემა ან ზოგადი დანიშნულების ხელოვნური ინტელექტის მოდელი და აწვდის მას სარგებლობის მიზნით ან ბაზარზე განათავსებს ხელოვნური ინტელექტის სისტემას თავისი სახელით ან სასაქონლო ნიშნით, სასყიდლიანად ან უსასყიდლოდ.

მაშასადამე, ხშირად „მიმწოდებელია“ პირი, რომელმაც ხელოვნური ინტელექტის შექმნას სათავე დაუდო (ან რომლისთვისაც იქმნება იგი). იგი შეიძლება, რომ შექმნასთან ერთად, ანთავსებდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემას ბაზარზე. სხვა შემთხვევაში, როგორც წესი, მასსა და „უფლებამოსილ წარმომადგენელს“ შორის დადებულია ხელშეკრულება. აღნიშნული პირობა მნიშვნელოვანია შემდგომი სამართლებრივი შედეგების განსასაზღვრად.

⁹⁶ იხ. ინგლისურ ენაზე: „‘operator’ means a provider, product manufacturer, deployer, authorised representative, importer or distributor“.

8.3 „Importer“ („იმპორტიორი“)

ევროკავშირის რეგულაციების გათვალისწინებით, განსხვავება „იმპორტიორსა“ და „მიმწოდებელს“ შორის არის ის, რომ „იმპორტიორი“ ანთავსებს ხელოვნური ინტელექტის სისტემას, რომელიც ფუნქციონირებს ევროკავშირის არანევრი ქვეყნის (მესამე ქვეყნის) ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით (სასაქონლო ნიშნით).

8.4 „Distributor“ („დისტრიბუტორი“)

„დისტრიბუტორი“ განსხვავდება „მიმწოდებლისგან“, ისევე როგორც – „იმპორტიორისგან“, რაც პირველ რიგში, ხელოვნური ინტელექტის განთავსების არარსებობაში გამოიხატება. კერძოდ, იგი მხოლოდ უზრუნველყოფს ხელოვნური ინტელექტის სისტემის ხელმისაწვდომობას.

8.5 „Deployer“ („პროფესიული მოსარგებლე“)

„Deployer“ თავისი დაქვემდებარების ფარგლებში სარგებლობს ხელოვნური ინტელექტით. აღნიშნული განმარტება ეფუძნება „AI Act“-ის მე-3 მუხლში არსებულ დეფინიციას, რომლის მიხედვითაც, იგი ხელოვნურ ინტელექტით, ერთი მხრივ, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში უნდა სარგებლობდეს, ხოლო, მეორე მხრივ, ეს სარგებლობა არ უნდა იყოს პირადი არაპროფესიული საქმიანობისკენ მიმართული. თავის მხრივ, ის, თუ როდის შეიძლება სარგებლობა პირადი მიზნებით სარგებლობად ჩაითვალოს, არ არის ფორმულირებული და იგი ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან ინდივიდუალურად გამომდინარეობს.⁹⁷

8.6 „მოსარგებლე“

აღნიშნულ განმარტებაში მოიაზრება როგორც ფიზიკური პირი, ისე – იურიდიული პირი და სახელმწიფოც კი (შესაბამისი ორგანო). თითოეულ შემთხვევაში, „მოსარგებლედ“ კვალიფიკაციისთვის იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ კრიტერიუმს: ა) იგი უნდა სარგებლობდეს ხელოვნური ინტელექტის სისტემით და ბ) იგი არ უნდა იყენებდეს მას პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

დასახელებულ ტერმინებს შორის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ „Deployer“ ხელოვნურ ინტელექტს საკუთარი პასუხისმგებლობის ფარგლებში იყენებს, რაც „მოსარგებლის“ შემთხვევაში არ გვხვდება.⁹⁸ წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული ტერმინი: „მოსარგებლე“⁹⁹ თავის თავში არ გულისხმობს „Deployer“-ს.

⁹⁷ Voigt/Hullen, 2024, 14.

⁹⁸ „AI Act“-ში შეგნებულად არაა ტერმინი „მომხმარებელი“ გამოყენებული.

⁹⁹ ანალოგიურად, ტერმინი: „მომხმარებელი“.

9. ხელოვნური ინტელექტის ადგილი კანონმდებლობაში

ხელოვნური ინტელექტის ადგილი კანონმდებლობაში არ განისაზღვრება მხოლოდ ერთი კონკრეტული სამართლებრივი აქტით. მისი ინტერდისციპლინარული ბუნება, სხვადასხვა სფეროებში მოწესრიგებისკენაა მიმართული. მსოფლიოს (უპირველეს ყოვლისა, ევროპის) მასშტაბით ამ მხრივ იდგმევა ნაბიჯები, რომელიც ინოვაციურ სამართლებრივ მოწესრიგებას უწყობს ხელს. ერთ-ერთი ასეთი მაგალითია ევროკავშირის მიერ 2024 წელს მიღებული „AI Act“, რომელიც ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული ძირითადი სამართლებრივი მოწესრიგების საფუძვლებს განსაზღვრავს. მეტიც, ევროკავშირში იგეგმებოდა „AI Liability Directive“-ს მიღება,¹⁰⁰ თუმცა შემდგომი განვითარება მას აღარ მოჰყოლია.¹⁰¹ იგი მიიჩნეოდა კერძოსამართლებრივი (უპირატესად, არასახელშეკრულებო) პასუხისმგებლობის სპეციალურ მომწესრიგებელ დირექტივად, რომელიც „AI Act“-ის ერთგვარ ინსტრუმენტად იქნებოდა წარმოდგენილი. რადგან დირექტივის პროექტი არ იქნა მიღებული (მეტიც, უკან იქნა განვუვლი), მასზე *de lege lata* საუბარი, არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

9.1 „AI Act“

ევროპის კავშირში 2024 წლის 13 ივნისს მიღებულ იქნა რეგულაცია №2024/1689 ან შემოკლებით – „AI Act“. იგი ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოცულობითი და შინაარსობრივად მოწესრიგებული აქტია.¹⁰² მის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, ხელოვნური ინტელექტის სისტემების უსაფრთხო შექმნა/სარგებლობა, რომელიც ძირითად უფლებებთან მოვა შესაბამისობაში და არ უგულებელყოფს მათ.¹⁰³

„AI Act“-ის მრავალნაზხაგოვანი სამართლებრივი მიმართულებიდან, გამოსაყოფია მე-2 მუხლის მე-10 პუნქტის საკითხი, რომლის მიხედვითაც, იგი არ ვრცელდება იმ „Deployer“ ფიზიკურ პირებზე, რომლებიც ხელოვნური ინტელექტის სისტემებს მკაცრად პირადი და არაპროფესიული საქმიანობისთვის იყენებენ.¹⁰⁴ ამგვარი დათქმის, ისევე როგორც სხვა განსხვავებული შინაარსის მქონე ფირმულირების

¹⁰⁰ იხ. <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52022PC0496>> [15.12.2025].

¹⁰¹ დასახელებული დირექტივის პროექტზე იხ. *Bomhard/Siglmüller*, RD 2022, 506-513.

¹⁰² „AI Act“-ის მიღების პროცესთან დაკავშირებით განვლილი გზის თაობაზე იხ. *Wendt/Wendt*, 2024, 41-47.

¹⁰³ *Galla* in: Hartong/Renz (Hrsg.), *Von der Mystifizierung zur reflektierten Gestaltung von Ed-Tech*, 165.

¹⁰⁴ იხ. ინგლისური ვერსია: „*This Regulation does not apply to obligations of deployers who are natural persons using AI systems in the course of a purely personal non-professional activity*“.

არარსებობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ჭრილში „AI Act“ არ არის მთავარი მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო. მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელოვან სამართლებრივ ბაზას ქმნის იმ აქტორთათვის, რომელთა ქმედებასაც შესაძლებელია, რომ კერძოსამართლებრივი პასუხისმგებლობა მოჰყვეს.¹⁰⁵ ის, თუ რამდენად ქმედითი იქნება „AI Act“, პრაქტიკული განვითარება აჩვენებს. თუმცა, ფაქტია, რომ მისი მიღებით, საკითხის განხილვის ახალი ეტაპი დადგა და, ამ მხრივ, დისკუსია მხოლოდ გაიხსნა.¹⁰⁶

9.2 ქართული რეალობა

2024 წლის სექტემბრის თვეში საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ხელი მოაწერა „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის შესახებ“ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციას.¹⁰⁷ ჩარჩო კონვენციის მთავარი არსია,¹⁰⁸ რომ თითოეულმა ხელშემკვრელმა სახელმწიფომ გაითვალისწინოს ის ძირითადი გამოწვევები, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას არის გასათვალისწინებელი.

ცალკე აღსანიშნავია ციფრული მმართველობის სააგენტოს 2025-2030 წლის სტრატეგია,^{109/110} სადაც გაკეთებულია მკაფიო აღნიშვნა ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით: ¹¹¹ ციფრულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდის კონტექსტში ერთ-ერთ ამოცანად მითითებულია „საჯარო სექტორში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების ხელშეწყობა“, სადაც, დასკვნით ნაწილში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „ხელოვნური ინტელექტის სწრაფად მზარდი შესაძლებლობების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, პრევენციულად შემუშავდეს ხელოვნური ინტელექტის რეგულირების ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩო საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების და სხვა მაღალტექნოლოგიური ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით“. დასახელებულ სტრატეგიამდე, სახელმწიფოს მიერ გამოქვეყ-

¹⁰⁵ იგი მიმართულია უფრო მეტად სისტემურ მოწესრიგებაზე, ვიდრე – ინდივიდუალურ სამართლებრივ ურთიერთობაზე – Engel-Bunsas, RD 2025, 300.

¹⁰⁶ Bollhöfer, in: Fischer/Bollhöfer/Amort (Hrsg.), KI und Recht, 2024, 126.

¹⁰⁷ იხ. <<https://www.coe.int/en/web/artificial-intelligence/the-framework-convention-on-artificial-intelligence>> [21.10.2025].

¹⁰⁸ ამ საკითხზე იხ. მაგალითად, ხომასურიძე/ხორავა, სკულ №1(2) 2026, 94.

¹⁰⁹ იხ. <<https://dga.gov.ge/files/M2RAY8QBSSfA.pdf>> [9.12.2025].

¹¹⁰ ზოგადად, ხელოვნური ინტელექტის საქართველოში გამოყენებისა და სტრატეგიის თაობაზე იხ. გაბისონია, 2022, 543-551.

¹¹¹ ხელოვნური ინტელექტის საჯარო დაწესებულების მიერ გამოყენებასთან დაკავშირებით ა(ი)პ – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილია საინტერესო კვლევა – <https://idfi.ge/ge/artificial%20intelligence_international_tendencies_and_georgia?trk=public_post_comment-text> [8.11.2025]. კვლევა ეხება ქართულ რეალობას და ორიენტირებულია პრაქტიკულ ასპექტებზე.

ნდა 2021 წლის სტრატეგია, სადაც ხელოვნური ინტელექტი ნახსენებია ენობრივი ტექნოლოგიების ნაწილში.¹¹²

გარდა აღნიშნულისა, საქართველოში მიღებულია სამართლებრივი აქტი, რომელიც სებ-ის პრეზიდენტის ბრძანებას წარმოადგენს („მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის დებულების დამტკიცების თაობაზე“). ლოგიკურად, აქტი ეხება სებ-ის ზედამხედველობისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მხრიდან საქმიანობას.

სხვა მხრივ, ცალკეულ სამართლებრივ აქტებში გვხვდება ჩანაწერი, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს მიემართება (მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტი¹¹³), თუმცა უშუალო მოწესრიგებას (იგივე, „AI Act“-ის იდენტურს) არც ერთი მათგანი მოიცავს.

მიუხედავად დასახელებული მიდგომებისა, ხელოვნური ინტელექტის საკითხი საკანონმდებლო დონეზე და, განსაკუთრებით, კერძოსამართლებრივ ჭრილში, მოწესრიგებას საჭიროებს. საერთაშორისო გამოცდილების რეცეფცია ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან ნაბიჯად იქნება მიჩნეული საქართველოსთვის.

10. შემაჯამებელი მსჯელობა

ის, რომ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის ფარგლები მნიშვნელოვნად იზრდება, უკვე ცხადად ჩანს. აღნიშნულის საუკეთესო ილუსტრაციაა გერმანიაში, ხელოვნური ინტელექტის დახმარებით დაწერილი წიგნი, რომელიც „AI Act“-ს ეხება. წიგნის შესავალში მითითებაა, რომ ხელოვნური ინტელექტისთვის სათანადო „Prompt“-ების მიცემით შესაძლებელი გახდა, წიგნის წერისთვის განსაზღვრული დროის მეოთხედში მომხდარიყო ნაშრომის შექმნა.¹¹⁴ მართალია, გენერირების შედეგი მოწმედბოდა პირთა ჯგუფის მიერ, მაგრამ დროის ფაქტორისა თუ ხელოვნური ინტელექტის სათანადოდ სარგებლობის ფაქტს, ეს ასპექტი არ აკნინებს.

ხელოვნური ინტელექტისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკურ-ფუნქციონალური ასპექტების ტერმინოლოგიური განმარტება მნიშვნელოვანია სამომავლო სამართლებრივი შედეგების განსასაზღვრად. ამ თვალსაზრისით, „AI Act“ საუკეთესო სამართლებრივ ბაზას ქმნის, თუმცა, კერძოსამართლებრივი დავების გადაწყვეტა მასში არ მოიაზრება. აღნიშნული მსჯელობა ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი სტატუსის არარსებობასა და მისი, როგორც „დამხმარე ტექნიკური საშუალების“ („ტექნოლოგიური ინსტრუმენტის“) ბუნებას.

¹¹² ცალკეული მიმართულების განსაზღვრა ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია. იხ. გაბისონია, შსუ №8/2021, 25.

¹¹³ სბშ, 2025, ისევე, როგორც 2026.

¹¹⁴ იხ. Zankl in: Zankl (Hrsg.), Smart.Recht, KI-VO, 2026, 9-10. წიგნის გადმოწერა ნებისმიერი მსურველისთვისაა შესაძლებელი: <<https://www.manz.at/produkte/smartrecht/das-projekt>> [7.4.2026].

II. ხელოვნური ინტელექტის კერძო სამართლის სუბიექტად მიჩნევის პრობლემა

ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევა, ანუ სამართლებრივ ურთიერთობაში მისი ადამიანის (ან, იურიდიული პირის) გვერდით დაყენება, ამ ეტაპზე მსჯელობის საგანია. გარდა სამართლებრივისა, ამგვარი მიდგომა მორალურ დილემასაც კი წარმოშობს.¹¹⁵

ნაშრომში განვითარებული მსჯელობა ეხება მხოლოდ ამჟამინდელ მოცემულობას. ის, თუ რა იქნება მომავალში, ჯერ უცნობია. შეიძლება, რომ მომავალში, ხელოვნური ინტელექტის ქმედება, ნების გამოვლენასთან გათანაბრდეს. ეს კი ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, მისი სტატუსიც უნდა მოწესრიგდეს.¹¹⁶ თუმცა, დღევანდელი გადმოსახედიდან, ხელოვნური ინტელექტისთვის უფლებაუნარიანობის მინიჭების ნორმატიული საფუძველი, არ არსებობს. იგი არ არის აღქმული სამართლის სუბიექტად.

1. უფლებაუნარიანობის არქონა

სკ-ით უფლებაუნარიანობის მოწესრიგება ორ სიბრტყეში გვხვდება: ფიზიკური პირისა (მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილი) და იურიდიული პირის (25-ე მუხლის მე-4 ნაწილი) უფლებაუნარიანობა. ორივე შემთხვევაში ამგვარი მოწესრიგების უმთავრესი დანიშნულებაა, რომ პირს ჰქონდეს უფლებები და მოვალეობები, წარმოეშვას ნებაუნარიანობა/დელიქტუარიაანობა და იყოს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე.¹¹⁷ დღევანდელი პრაქტიკულად გამოყენებადი „ANI“-ს პირობებში, ასეთი „უნარი“ ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია.¹¹⁸ შესაბამისად, იგი ვერ იქნება ვალდებული, მას არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, იგი ვერ ისარგებლებს მემკვიდრეობის შესაძლებლობით,¹¹⁹ ვერ გამოავლენს ნებას¹²⁰ და სხვ. ამასთან, სკ არ იცნობს სამართლებრივ სტატუსს, რომელიც ასეთ შემთხვევაში, სუბიექტთან გათანაბრებას გამოიწვევდა. ასეთი გათანაბრება მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებითაა შესაძლებელი.¹²¹

¹¹⁵ იხ. *Nida-Rümelin* in: Chibanguza/Kuß/Steege (Hrsg.), KI, 2022, A. Rn. 1.

¹¹⁶ *Hartmann* in: Hartmann (Hrsg.), KI & Recht Kompakt, 2020, 47.

¹¹⁷ *ჭანტურია*, 2011, 168.

¹¹⁸ *Spuchkoff* in *MüKo BGB*, 10. Auf., §1, Rn. 14.

¹¹⁹ ჩანასახთან მიმართებითაც, სკ-ის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის ფარგლები არ გავრცელდება ხელოვნურ ინტელექტზე.

¹²⁰ *ცერცვაძე*, სმ №9/2025, 21.

¹²¹ საუბარია სამომავლოდ კანონმდებლობის დახვეწაზე. აღნიშნულის თაობაზე იხ. *გაბისონია*, „იუსტიცია“ №1/2022, 138.

2. ადამიანთან „მიმსგავსება“, როგორც სუბიექტუნარიანობის თვალსაზრისით არასაკმარისი კრიტერიუმი

საკითხზე მსჯელობისას ხელოვნური ინტელექტის ადამიანთან მიმსგავსების მხოლოდ ზოგადი შესაძლებლობის განხილვაა მიზანშეწონილი. კერძოდ, ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა გრძნობა, აღქმა, ასევე, შინაგანი რწმენა¹²² და სხვ.¹²³ მაგალითად, ადამიანს აქვს უნარი, აღიქვას ცალკეული გარემოებები და შესაბამისად გააკეთოს დასკვნა. შეიძლება გარკვეული ობიექტი მიმსგავსებული იყოს სხვა ობიექტს, მაგრამ ადამიანს უნარი აქვს, რომ მიმსგავსებული რეალურისგან გაარჩიოს და შესაბამისი დასკვნა გამოიტანოს.¹²⁴ ხშირ შემთხვევაში, სწორედ თითოეულ მათგანზე დამოკიდებული ადამიანის ქმედება.¹²⁵

ანალოგიურად, ადამიანის ქმედებები განსხვავდება ხელოვნური ინტელექტის ქმედებებისგან (თუნდაც ეს ეფუძნებოდეს გარკვეულ ნეგატიურ მიზანს). მაგალითად, სხვ-ში ვხვდებით არაერთ მუხლს, სადაც ანგარებაზე, თუ სხვა ქვენაგრძნობაზეა საუბარი.¹²⁶ რამდენად შეიძლება ხელოვნურმა ინტელექტმა მსგავსი ქმედებები განახორციელოს? კერძოდ, საუბარია დარღვევაზე, რომელსაც ანგარების მიზანი ექნება? დღევანდელი გადმოსახედიდან, ეს შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურ ინტელექტს არარუტინული ამოცანის შესრულება შეუძლია,¹²⁷ იგი მას ადამიანის იდენტურად ვერ გააკეთებს.¹²⁸ ამდენად, ადამიანთან მიმსგავსების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას შემდეგი: ის, რომ გარკვეული დავალებების შესრულება ხელოვნური ინტელექტის მიერ ხდება,¹²⁹ ეს ქმედება ვერ წარმოშობს მისთვის ავტომატურად სუბიექტის სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას.¹³⁰ უფრო ზუსტად რომ ითქ-

¹²² იხ. *ხომასურიძე/ხორავა*, სკულ №1(2) 2026, 91-92.

¹²³ იხ. მაგალითად, *Schmidt*, RRA №4/2025, 69.

¹²⁴ *Kleijn*, in: Custers/Fosch-Villaronge (eds.), Law and AI, 2022, 39.

¹²⁵ სულიერების მომენტი, რომელიც ფიქრის, ემოციის შესაძლებლობას განსაზღვრავს და რაც ადამიანისთვის დამახასიათებელია (შეიძლება განიმარტოს, როგორც „იონს“, რომელიც ვერ ექნება ხელოვნურ ინტელექტს) – *Spiekermann* in: Mainzer (Hrsg.), *Philosophisches Handbuch KI*, 2024, 842.

¹²⁶ იხ. მაგალითად, სხვ-ის 174-ე მუხლი.

¹²⁷ *Zimmermann* in: Chibanguza/Kuß/Steege (Hrsg.), KI, 2022, D. 2.

¹²⁸ იხ. *Karger*, in: Göcke/Rosenhtal-von der Pütten (eds.), *AI Reflections in Philosophy, Theology, and the Social Sciences*, 2020, 95.

¹²⁹ თუნდაც, ეს დავალება ადამიანის მიერ დავალების შესრულებაზე დაჩქარებულ ვადებში დაგეგნირდეს, იგი ადამიანის აზროვნებასთან ვერ გათანაბრდება. ამ საკითხზე იხ. *Dolezal/Windegger*, LIMINA 3:2, 2020, 225.

¹³⁰ საინტერესო მაგალითია ლიტერატურაში მოყვანილი: ვთქვათ, ხელოვნური ინტელექტი „მიინეფს“, რომ მაშინ, როდესაც შუქნიშანი აჩვენებს წითელ ფერს და ადამიანი არ გადადის გადასასვლელზე, ეს მართებული მოქმედებაა, მაგრამ საკმარისია, წითელი ფერის მიუხედავად, ადამიანმა გადაირბინოს გადასასვლელზე, რათა ბავშვი გადაარჩინოს ავარიას, ხელოვნური ინტელექტისთვის,

ვას, სუბიექტად მიჩნევა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ფუნქციონალური თვალსაზრისით რამდენად „ჰგავს“ ტექნოლოგიური საშუალება ადამიანს. ასეთ დროს გადამწყვეტი ფაქტორია ის, თუ რამდენად შეიძლება ამ ტექნოლოგიურმა საშუალებამ იკისროს ვალდებულებები და შეძლოს თავისი უფლებების დაცვა.

შესაძლებელია, რომ სამომავლოდ, სუბიექტის ახალი მოდელის პირობებში, ემოციური ფაქტორი სრულად გამოირიცხოს, მაგრამ დღევანდელი მოცემულობით, კაცობრიობა ამ მხრივ განსაკუთრებულ მზაობას ვერ გამოხატავს. მიზეზი კი ბანალურია: დღეის მოცემულობით არ მოიძებნება კანონი, რომელიც ადამიანზე არ არის მორგებული. მათ შორის, იურიდიული პირის შემთხვევაშიც, გარკვეულ დონეზე ადამიანი ფიგურირებს პასუხისმგებლობის სუბიექტად.¹³¹ შესაბამისად, ადამიანთან ხელოვნური ინტელექტის გათანაბრებამდე აუცილებელია, რომ მისი სტატუსი სათანადოდ განისაზღვროს.

3. განსხვავება ფუნქციურ მოქმედებასა და ნორმატიულ სუბიექტობას შორის

ფუნქციონალური თვალსაზრისით, შეიძლება, რომ ხელოვნური ინტელექტი სუბიექტად მოგვევლინოს, რადგან მას გარკვეული დავალებების შესრულება შეუძლია. თუმცა, ნებისმიერი დავალების შესრულება ავტომატურად ონტოლოგიური გაგებით სუბიექტს არ გულისხმობს.¹³² ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება კლასიკური ყოფიერების, ანუ არსებობის, მოქმედი პირი. თუ ფუნქციონალურად შევხედავთ საკითხს, მაშინ დაისმის კითხვა, თუ რას აკეთებს ის? მაგრამ თუ საკითხს ონტოლოგიურ ჭრილში შევხედავთ,¹³³ მაშინ შეკითხვა ფორმულირდება იმგვარად, თუ ვინ/რა არის ის? ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება დააგენერიროს საკითხი, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ იგი სამართლის სუბიექტის სტატუსს იძენს. თუ ვიტყვით, რომ სამართლის მთავარი ამომავალი წერტილი ადამიანია და კანონმდებლობა მისი უფლებების გარანტს უნდა წარმოადგენდეს, მაშინ მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით სუბიექტუნარიანობის მინიჭება, არ იქნებოდა ლოგიკური.¹³⁴

ეს შეიძლება იყოს დარღვევა ან არასათანადო ქმედება. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის გადარჩენა ნითელ ფერზე გადასვლის სამართალდარღვევასთან შედარებით, დაცულ (აღმატებულ) სიკეთეს წარმოადგენს. საგამონაკლისო მოცემულობა წარმოიჩინდება იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნურ ინტელექტს წინდანინვე ექნება სრული სურათის „დანახვის შესაძლებლობა“ – *Spiekermann in: Mainzer (Hrsg.), Philosophisches Handbuch KI, 2024, 845.*

¹³¹ შედარებისთვის იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 6.5.2015, №ას-1158-1104-2014.

¹³² *Weixler in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 336.*

¹³³ ამ თვალსაზრისით შეიძლება განსაკუთრებით ხაზი გაესვას განმასხვავებელ ნიშანს. იხ. მაგალითად, *Kornwachs in: Mainzer (Hrsg.), Philosophisches Handbuch KI, 2024, 807.*

¹³⁴ არსებობს შეხედულებები, რომელიც ხელოვნური ინტელექტის სუბიექტად მიჩნევას ეწინააღმდეგება არა ონტოლოგიური წინაპირობის არარსებობის გამო, არამედ, პოლიტიკური თუ სოციალუ-

სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ფუნქციური თვალსაზრისით, შესაძლებელია, რომ ტექნოლოგიის ცალკეული სახეობის გარდა, მაგალითად, ცხოველმაც კი განახორციელოს გარკვეული ქმედება,¹³⁵ თუმცა მისი ქმედება არ უნდა გათანაბრდეს ადამიანის ქმედებასთან, უპირველეს ყოვლისა, სამართლებრივი თვალსაზრისით. სუბიექტად მიჩნევისთვის არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, შეუძლია თუ არა პოტენციურ სუბიექტს მოქმედება. უმთავრესი ასეთ დროს სამართლებრივი უფლებების რეალიზების შესაძლებლობაა.

ადამიანის ბუნება, ხასიათი, ცნობიერება და სხვა დამახასიათებელი ასპექტები, ხშირ შემთხვევაში, ცალკეული სამართლებრივი თვალსაზრისით, უდიდეს როლს თამაშობს. მაგალითად, განზრახვისა თუ გაუფრთხილებლობის ასპექტი (ბრალის საკითხი). კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის ბრალი პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი, თუმცა არა უნივერსალური წინაპირობაა. ხელოვნურ ინტელექტზე კი (რომელსაც არც მორალი გააჩნია და არც არაქონებრივი უფლებები) ამგვარი მოცემულობის უპირობოდ გავრცელება, არ იქნებოდა მართებული.

4. პირადი არაქონებრივი უფლებების არქონა

რადგან ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია უფლებაუნარიანობა, მას ვერ ექნება არაქონებრივი უფლებები, მაგალითად, ღირსება,¹³⁶ საქმიანი რეპუტაცია და სხვ. აღნიშნულისგან რადიკალურად განსხვავდება შემთხვევა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს (შესაბამის უფლებამოსილ პირს) შეეღახება საქმიანი რეპუტაცია. ასეთ დროს, მას სკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის ფარგლებში უფლება აქვს, რომ იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაცია დაიცვას. დაცვის ფარგლები ასეთ დროს სპეციფიკურია. გამოყენებადობის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ თმენის მაღალი ვალდებულება გააჩნდეს კომპანიას. მით უმეტეს, თუ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით ნეგატიური შედეგი დადგება. მაგალითად, სამედიცინო სფეროში ხელოვნურმა ინტელექტმა იმგვარ ასპექტზე მიუთითა ექიმს, რამაც იმ მომენტში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. ასეთ დროს, კრიტიკის ფარგლები საკმაოდ მაღალია.¹³⁷ შესაბამისად, თუ აღნიშნულს ემატება ხელოვნური ინტელექტის მიზეზით განხორციელებული ქმედება, მაშინ დაცვის სტანდარტიც შედარებით მცირე მასშტაბის მატარებელი იქნება.

რი სტატუსის გათვალისწინებით. იხ. მაგალითად, *Bajohr* in: Catani (Hrsg.), *KI und die Künste*, 2024, 276.

¹³⁵ გადაიღოს ფოტო. იხ. მაგალითად, *Naruto v Slater* 888 f 3d 418 (9th cir 2018).

¹³⁶ იხ. მაგალითად, *Krämer*, in: Göcke/Rosenhtal-von der Pütten (eds.), *AI Reflections in Philosophy, Theology, and the Social Sciences*, 2020, 250.

¹³⁷ იხ. სუს განჩინება, 5.7.2023, №აბ-622-2022.

5. „ელექტრონული პირი“, როგორც სამართლის სამომავლო სუბიექტი

ტერმინი „ელექტრონული პირი“ განსაკუთრებით მკაფიოდ დაახლოებით ათი წლის წინ გამოჩნდა, როდესაც იგი რობოტიკის სამოქალაქოსამართლებრივი მოწესრიგებისკენ მიმართულ რეზოლუციაში გაჟღერდა (2015/2103(INL)).¹³⁸ უშუალოდ დასახელებული ტერმინი ცალკე მუხლში არ იყო მოწესრიგებული, არამედ, იგი ერთ-ერთ პუნქტში იყო მითითებული. საბოლოოდ „ელექტრონული პირის“ საკითხს განვითარება აღარ მოჰყოლია და ცალკეულ სამართლებრივ აქტებში აღარ შესულა ცვლილება თუ დაზუსტება ამ მიმართულებით.

რას ნიშნავს „ელექტრონული პირი“ ან როდის შეიძლება მისი სახით მოგვევლინოს სამართლის ახალი სუბიექტი? ლოგიკურად, თუ ხელოვნური ინტელექტი მიაღწევს იმ ეტაპს, რომ იგი ადამიანისგან დამოუკიდებლად დააგენერირებს ქმნილებას, მაშინ კიდევ უფრო აქტიურად წარმოიჩინდება მისი სამართლის სუბიექტად მიჩნევისა და „ელექტრონული პირის“ საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგების საკითხი.¹³⁹ ამ შემთხვევაში რიგი პრობლემური ასპექტები წამოიწვევს წინა პლანზე:¹⁴⁰ მაგალითად, პასუხისმგებლობის საკითხი.¹⁴¹ ამ მხრივ, შეიძლება ტერმინის დაკონკრეტებაც: „ციფრული იურიდიული პირი“,¹⁴² ან ხელოვნური ინტელექტის იურიდიული პირის სტატუსთან (შეიძლება, სოციალური სტატუსის სახით¹⁴³) გათანაბრება.¹⁴⁴ თუ დღევანდელი მოცემულობით, პირი თავისი ქონებით აგებს პასუხს, „ელექტრონული პირის“ არსებობისას, ხელოვნურმა ინტელექტმაც უნდა აგოს პასუხი ქონებით. შესაბამისად, უნდა ადაპტირდეს კანონმდებლობა.¹⁴⁵ ის, თუ რამდენად რეალურია ეს საკითხი, კითხვის ნიშნის ქვეშაა.¹⁴⁶ ამდენად, „ელექტრონული პირის“ იდეის რეალიზაცია მხოლოდ სტატუსის დეკლარირებით ვერ შემოიფარგლება.

¹³⁸ იხ. <https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-8-2017-0051_EN.html?redirect#title1> [9.12.2025].

¹³⁹ იხ. *გაბისონია*, შსუ №7/2021, 40.

¹⁴⁰ იხ. მაგალითად, *Grätz*, 2021, 185.

¹⁴¹ იხ. *გაბისონია*, 2022, 510.

¹⁴² *ბურკადე*, „იუსტიცია“ №2[5], 38.

¹⁴³ ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ადამიანის მიერ შექმნილი „ორგანიზაციული წარმონაქმნის“ იდენტურ მიდგომასთან – *კერესელიძე*, 2009, 100.

¹⁴⁴ *Wang* in: *Dederer/Shin* (Hrsg.), *KI und juristische Herausforderungen*, 2021, 89.

¹⁴⁵ *გაბისონია*, შსუ №7/2021, 41.

¹⁴⁶ იხ. *Riehm*, *RDi* №1/2020, 44.

6. ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის შედეგები

დღევანდელი მოცემულობით (მათ შორის, ტექნოლოგიური განვითარების ფონზე), ხელოვნური ინტელექტის სუბიექტად მოაზრება არ არის დასაშვები. თუმცა, მოცემული მსჯელობის საპირისპირო შეხედულება შეიძლება ფიქციის თეორიას დაეფუძნოს,¹⁴⁷ სადაც ფიზიკური პირის იდენტური უფლებების არსებობა არ არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელი.¹⁴⁸ მაგალითად, ღირსების უფლება, რომელიც ვერ ექნება იურიდიულ პირს,¹⁴⁹ ისევე როგორც მას ვერ მიადგება მორალური ზიანი¹⁵⁰ და სხვ. თავისთავად, ამგვარი მსჯელობა *de lege ferenda* მიდგომას წარმოადგენს.

თუ ხელოვნურ ინტელექტზე მსჯელობას ფიქციის ჭრილში წარვმართავთ, მაშინ, გარდა ფორმალური წინაპირობებისა,¹⁵¹ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება: როგორ მოხდება მისი რეგისტრაცია თუ საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება? რამდენად შეძლებს იგი, რომ ურთიერთობებში იყოს სუბიექტი და დასჯირდება თუ არა წარმომადგენლობა? შესაძლებელია თუ არა, იყოს მხარე სასამართლოში? შესაძლებელია თუ არა, ჰქონდეს საკუთრების უფლება? და ა.შ. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა კი მაშინ, როდესაც, იგივე სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის გენერირების პროცესი დღემდე არ არის სრულად ცხადი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

7. შემაჯამებელი მსჯელობა

ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია სუბიექტუარიალობა და არ წარმოადგენს თვითმყოფად პირს. შესაბამისად, მისი *de lege lata* სამართლის სუბიექტად მიჩნევა,

¹⁴⁷ აღნიშნულის თაობაზე დეტალურად იხ. ქანტურია, 2011, 224-227.

¹⁴⁸ მეტიც, თუნდაც ხელოვნური ინტელექტის სუბიექტად აღიარებასთან ერთად, მოქალაქეობა მიენიჭოს, საკითხავი იქნება, შეეძლება კი თავისი სამოქალაქო უფლების დაცვა? ან საერთოდ, ექნება კი ასეთი უფლება? ამ საკითხზე მსჯელობისთვის იხ. *Benedikter*, FSB №1-2/2018, 323.

¹⁴⁹ განსხვავებით ფიზიკური პირისგან, იურიდიულ პირს არ გააჩნია სკ-ის მე-18 მუხლით განსაზღვრული ყველა არაქონებრივი სიკეთე. ამ საკითხზე იხ. სუს გადაწყვეტილება, 26.12.2001, №3კ/924-01, ისევე, როგორც სუს გადაწყვეტილება, 30.9.2015, №ას-1052-1007-2014 (ასევე, იხ. ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ნორმათა განმარტებები, ტომი I, 2023, 189 და 369) – მოცემული პირობა ეხება, უპირატესად, ღირსების საკითხს. სკ-ის 27-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, იურიდიული პირი უფლებამოსილია, რომ საქმიანი რეპუტაციის თაობაზე დააყენოს სასარჩელო მოთხოვნა. ამდენად, იურიდიული პირის მხრიდან არაქონებრივი უფლების დარღვევაზე დავა, დასაშვებია, მხოლოდ სპეციფიკური ფარგლების გათვალისწინებით – იხ. მაგალითად, *Frisk and Jensen v. Denmark*, 5.12.2017, №19657/12 (ECtHR).

¹⁵⁰ იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 26.7.2017, №ას-1011-972-2016.

¹⁵¹ იგულისხმება, პირველ რიგში, რეგისტრაციის საკითხი.

მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, ვერ მოხდება.¹⁵² კერძოდ, შეუძლებელია ხელოვნური ინტელექტის გათანაბრება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან.¹⁵³ თუნდაც, იგი მოქმედების თვალსაზრისით, გარკვეულ საკითხებში იმეორებდეს ადამიანის იდენტურ (ან ზოგჯერ მასზე უკეთესს) ქმედებას, არ ნიშნავს, რომ ხელოვნურ ინტელექტს სუბიექტის სტატუსი უნდა მიენიჭოს. მთავარი **ამომავალი წერტილი ვერ იქნება ხელოვნური ინტელექტის სისტემის „მიმსგავსება“ ადამიანთან, არამედ, ის, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი, რეალიზდეს სუბიექტის უფლებები ასეთის არსებობისას.** იმ შემთხვევაში, თუ სამომავლოდ საკანონმდებლო დონეზე განხორციელდება ცვლილება, ხელოვნური ინტელექტის სპეციფიკა იქნება გასათვალისწინებელი. დღევანდელი მოცემულობით საკითხთან მიმართებით მხოლოდ მსჯელობაა დაწყებული.

¹⁵² Weixler in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 336.

¹⁵³ მსჯელობისთვის იხ. მაგალითად, BVGer, Urt. vom 26.6.2025, B-2532/2024.

III. ინტელექტუალური საკუთრება და ხელოვნური ინტელექტი

წინამდებარე ნაწილში მოყვანილი მსჯელობა აგებულია ნაშრომზე, რომელიც პროფ. სანდრო ჯორბენაძესთან თანაავტორობით ქვეყნდება პროფ. როლფ კნიპერის საიუბილეო კრებულში, ინგლისურ ენაზე.¹⁵⁴ სტატიის სახელწოდებაა: „ხელოვნური ინტელექტის ქმნილების ადგილი ინტელექტუალური საკუთრების სამართალში“ („The Place of Creation by Artificial Intelligence in Intellectual Property Law“).

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში ინტელექტუალური საკუთრების უფლების რეალიზება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. დღეს ხშირია მოცემულობა, როდესაც ადამიანები ტექნოლოგიის დახმარებით სხვადასხვა ნაწარმოებს ქმნიან. თუმცა, იმავე ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად, სხვა სტადიაზე გადავიდა ინტელექტუალური შემოქმედებითობის ხარისხის განსაზღვრა. კერძოდ, გაჩნდა რისკი, ადამიანისთვის დამხმარე როლის ნაცვლად, ხელოვნურმა ინტელექტმა მთავარი აქტორის როლი შეითავსოს. ნაშრომში მსჯელობა, სწორედ ამ გამოწვევას ეხება, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გენერირების სამართლებრივ ასპექტებს მოიცავს.

ნაშრომი ინტელექტუალური საკუთრების სამართლის ნაწილში ძირითადი მიმართულებით შეეხება ოთხ მთავარ საკითხს: ა) საავტორო უფლებების დაცვა; ბ) მომიჯნავე უფლებების დაცვა; გ) პატენტის სამართლებრივი მოწესრიგება და დ) სასაქონლო ნიშნებთან დაკავშირებული სამართლებრივი ასპექტები.

1. საავტორო უფლებები და ხელოვნური ინტელექტი

რამდენად ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე საავტორო უფლებები? ერთი შეხედვით მართივ შეკითხვაზე პასუხი იმ სამართლებრივ ნორმებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც საავტორო უფლებებს აწესრიგებენ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ სამართლებრივ ინსტიტუტზე ინდივიდუალურად გამახვილდეს ყურადღება.

1.1 ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები

საავტორო სამართალში ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, უფლების დაცვის უმთავრეს წინაპირობებს წარმოადგენს. პირველი მათგანი დაკავშირებულია განსაკუთრებულ უფლებასთან (სმუშ-ის მე-18 მუხლი), რომელიც თავის თავში ნაწარმოების სხვადასხვა სახით გამოყენებას მოიაზრებს. რაც შეეხება არაქონებრივ

¹⁵⁴ სტატია გადაცემულია დასაბუჯდად. წინამდებარე ნაშრომის გამოცემისას კრებული არ არის გამოცემული. ამასთან, ამავე სტატიის თარგმანი გამოქვეყნდება „სამართლის ჟურნალში“.

უფლებებს (სმუშ-ის მე-17 მუხლი), იგი უპირატესად ავტორის უფლების დაცვისკენაა მიმართული. მაგალითად, ნაწარმოების ავტორად აღიარების კუთხით.

თავის მხრივ, საავტორო უფლებებით დაცული ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების საკითხი დამოკიდებულია ნაწარმოების არსებობაზე. შესაბამისად განისაზღვრება მოთხოვნის ფარგლები. მაგალითად, ჰონორარის მიღების უფლების შემთხვევა: ნაწარმოების ავტორს (თუ ხელშეკრულებით სხვა მოწესრიგება არ გვხვდება) შეუძლია, რომ ასეთი მოთხოვნა ჰქონდეს. ანალოგიური წესი მოქმედებს არაქონებრივი უფლებების შემთხვევაში (იმ განსხვავებით, რომ არაქონებრივი უფლების გადაცემა ხელშეკრულებით დაუშვებელია): მაგალითად, ნაწარმოების ავტორს უფლება აქვს, თავად გადანყვიტოს, თუ როდის და რა ფორმით გახდება ცნობილი ნაწარმოების შექმნის ფაქტი. თუმცა, ზემოთ მოყვანილ ორივე შემთხვევაში სავალდებულოა, რომ იკვეთებოდეს ნაწარმოების არსებობა. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუ არ იარსებებს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე შექმნილი ნაწარმოები, საავტორო უფლებები როგორც ქონებრივ, ისე – არაქონებრივ ჭრილში, არ წარმოიშობა.

1.2 ნაწარმოების სახეები

საკანონმდებლო დონეზე არ გვხვდება ტერმინის – „ნაწარმოები“ განმარტება. მიუხედავად ამისა, განმარტებულია ნაწარმოების სხვადასხვა სახე, კერძოდ: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები. თავის მხრივ, ნაწარმოები შეიძლება იყოს ციფრულ ფორმატში შესრულებული,¹⁵⁵ რა დროსაც, იგი არ არის მატერიალური სახით შექმნილი. ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, კომპიუტერული პროგრამები.¹⁵⁶ როგორც მატერიალური ფორმით გამოსახული ნაწარმოების შემთხვევაში, ციფრული ნაწარმოების დროსაც, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს საავტორო უფლებების დარღვევას.¹⁵⁷ უმთავრესია, რომ შემოქმედების ნაწარმოებად მიჩნევისთვის, იგი იყოს ობიექტური ფორმით გამოხატული.¹⁵⁸

1.2.1 ციფრული ნაწარმოები

ციფრული ნაწარმოები არამატერიალურ ფორმატში გვხვდება. უპირატესად, ელექტრონული სახით. შესაძლებელია, რომ ციფრული ნაწარმოები მატერიალური ფორმით არსებულ მოწყობილობაშიც, მაგალითად, ავტომატქანაში იყოს დამონტაჟე-

¹⁵⁵ ციფრული ნაწარმოები შეიძლება განთავსებული იყოს ტექნიკურ საშუალებაზე ან შესაბამის ციფრულ ინფრასტრუქტურაში. იხ. მაგალითად, „NFT“-ს შემთხვევა: Wang/Lee/Liu, ABLJ, 2024-03, 35.

¹⁵⁶ Weiler in Albrecht/Kur/von Bomhard (Hrsg.), BeckOK Markenrecht, MarkenG §5, Rn. 186.

¹⁵⁷ ანალოგიურად შეიძლება, რომ დაირღვევს სხვა სიკეთეები. მაგალითად, სასაქონლო ნიშანი. იხ. BGH, Urt. vom 27.4.2006 – I ZR 109/03, სადაც სასამართლომ საინტერესო განმარტება გააკეთა.

¹⁵⁸ University of London Press, Limited v University Tutorial Press, Limited [1916] 2 Ch. 601.

ბული/ჩაშენებული.¹⁵⁹ ასეთ დროს ავტომანქანის (მაშასადამე, მატერიალური ნივთის) შეძენა არ წარმოშობს საავტორო უფლებებს. ვთქვათ, თუ ავტომანქანას შეიძენს პირი (სადაც ჩაშენებულია ციფრული ნაწარმოები), მყიდველი (ავტომანქანის მესაკუთრე) ავტომატურად ვერ გახდება ციფრულ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებების (პირობითად, განსაკუთრებული უფლების) მატარებელი.

1.2.2 ხელოვნური ინტელექტი, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები?

სმუშ-ის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, ლიტერატურულ ნაწარმოებში მოაზრებულია კომპიუტერული პროგრამაც. ამავე კანონში არსებული განმარტებით, კომპიუტერული პროგრამა განსაზღვრულია, როგორც: „ინსტრუქციითა ერთობლიობა სიტყვების, კოდების, სქემების ან მანქანით ნაკითხვადი სხვა ფორმით, რომელიც საშუალებას იძლევა აამოქმედოს კომპიუტერი განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. ტერმინი მოიცავს კომპიუტერული პროგრამის დიზაინის მოსამზადებელ მასალას“.

ის, თუ რამდენადაა ხელოვნური ინტელექტი თავად ნაწარმოები, მსჯელობის საგანს წარმოადგენს.¹⁶⁰ ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორი ასპექტი: ა) ხელოვნური ინტელექტის სისტემა, როგორც კომპიუტერული პროგრამის გამოხატულება, რომელიც დაცულია საავტორო უფლებებით¹⁶¹ და ბ) ხელოვნური ინტელექტის სისტემის საფუძვლად მდგომი მეთოდები, პროცესები, სისტემები, კონფიგურაციები და ა.შ., რომლებიც არ ექვემდებარებიან საავტორო უფლებებით დაცვას.¹⁶² ამდენად, ხელოვნური ინტელექტის გენერირებული შედეგი („Output“) დამოუკიდებლად ფასდება და სრული უფლება პირს მასზე არ წარმოეშობა.¹⁶³

1.3 ნაწარმოების ავტორი – მხოლოდ ფიზიკური პირი

საავტორო სამართალში ავტორის ცნება ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ შორის, ქმედებაზე მნიშვნელოვანაც.¹⁶⁴ სმუშ-ის მიხედვით: ა) ავტორი უნდა იყოს ფიზიკური პირი¹⁶⁵ და ბ) ნაწარმოების შექმნა ავტორის ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას უნდა ეფუძნებოდეს.¹⁶⁶ მაგალითად, იურიდიული პირი, თუნდაც სამსახურებრივ ნაწარმოებთან გვქონდეს საქმე, ვერ იქნება ნაწარმოების ავტორი.

¹⁵⁹ Fries in Gsell/Krüger/Lorenz/Reymann (GfZ), boGK BGB. BGB §327a, Rn. 12.

¹⁶⁰ მსჯელობის წარმართვა შესაძლებელია კომპიუტერული პროგრამების განმარტების მსგავსად. იხ. მაგალითად, Hoeren/Pinelli, 2024, 36-43.

¹⁶¹ Grätz, 2021, 54.

¹⁶² შეად. OLG Hamburg, Urt. vom 12.3.1998 – 3 U 226-97.

¹⁶³ ამ საკითხზე იხ. Krausen, 2023, 51-52.

¹⁶⁴ აღნიშნული გამოიხატება იგივე არაქონებრივი უფლებების დაცვიდან გამომდინარე.

¹⁶⁵ ფიზიკური პირი, მიუხედავად ასაკისა – ძამუკაშვილი, 2002, 46.

¹⁶⁶ აღნიშნული შეხედულება გვხვდება განმარტებით ლექსიკონშიც – ჯორბენაძე, 1998, 6.

იდენტური მიდგომა ვრცელდება თანაავტორის შემთხვევაზე,¹⁶⁷ სადაც ავტორობის წინაპირობა უნდა იყოს დაკმაყოფილებული.¹⁶⁸ კერძოდ, თუნდაც სადავო იყოს თანაავტორობის საკითხი,¹⁶⁹ შესაბამისი მოთხოვნა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის არსებობიდან უნდა გამომდინარეობდეს.¹⁷⁰ თუ არ იარსებებს ამგვარი მოცემულობა, პირს თანაავტორობის (ავტორობის) უფლებაც არ წარმოეშობა.¹⁷¹

1.4 ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა ეხება გარკვეული სიახლის შექმნას, რომელიც აუცილებლად ფიზიკური პირისგან უნდა მომდინარეობდეს.¹⁷² მაგალითად, ხელოვანის მიერ ნახატის დახატვა, არქიტექტურული კონსტრუქციის შექმნა და სხვ.¹⁷³ ადამიანის ინდივიდუალური აქტივობის გარეშე საქმიანობა ვერ ჩაითვლება ინტელექტუალურ-შემოქმედებითად.¹⁷⁴ ვთქვათ, სამუშაოს განევა, რომელსაც არ გააჩნია შემოქმედებითობა¹⁷⁵/ორიგინალურობა.¹⁷⁶ ანალოგიურად, თუ ადამიანის მიერ არ იქნა შესრულებული აქტივობა, ქმნილება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად ვერ მიიჩნევა.¹⁷⁷ მაგალითად, მაიმუნის მიერ გადაღებული ფოტო,¹⁷⁸ ან ცხენის მიერ დახატული ნახატი¹⁷⁹ და სხვ.¹⁸⁰

ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობისას არა აქვს მნიშვნელობა, რა კონდიციაშია ადამიანი.¹⁸¹ მისი ამგვარი ქმედება რეალაქტად მიიჩნევა.¹⁸² ადამიანი არ მსჯელობს მონაცემებზე დაფუძნებით, რომელიც გარკვეული, კოდირებული სა-

¹⁶⁷ იხ. მაგალითად, LG Köln, Urt. vom 12.11.2025, 14 O 5/23.

¹⁶⁸ მსჯელობისთვის იხ. უცხოურ ლიტერატურაში განვითარებული მსჯელობა: *Colston/Galloway*, 2010, 336.

¹⁶⁹ სადავოობა შეიძლება სხვადასხვა გარემოებას ეფუძნებოდეს. იხ. მაგალითად, *Hoeren/Jorbenadze*, GRUR №6/2026, 424-426.

¹⁷⁰ OLG München, Urt. vom 18.12.2025 – 29 U 3581/23 e.

¹⁷¹ *Schack* in: Mosimann/Schönenberger (Hrsg.), Kunst & Recht 2012, 134.

¹⁷² *Grützmacher* in Wandtke/Bullinger (Hrsg.), UrhG, 2022, UrhG §69a, Rn. 34.

¹⁷³ იხ. *Colston/Galloway*, 2010, 337.

¹⁷⁴ *Schack*, 2024, Rn. 229.

¹⁷⁵ *Feist Publications, Inc. v. Rural Telephone Service Co.*, 499 U.S. 340 (1991).

¹⁷⁶ *Football Dataco Ltd and Others v Yahoo! UK Ltd and Others*, 1.3.2012, №C-604/10 (CJEU).

¹⁷⁷ *Schack*, 2024, Rn. 229.

¹⁷⁸ იქვე მითითებული პრაქტიკა: მაიმუნის მიერ „სელფი“ იქნა გადაღებული, რაც არ ჩაითვალა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობად. იხ. *Naruto v Slater* 888 f 3d 418 (9th cir 2018).

¹⁷⁹ *ჯორბენაძე*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, 2023, 16.

¹⁸⁰ *Grätz*, 2021, 76.

¹⁸¹ მსჯელობისთვის იხ. შვეიცარიის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა: BGer, Urt. vom 14.6.1990, 116 II 351(354).

¹⁸² *Hoeren* in Loeweheim (Hrsg.), Handbuch des Urheberrechts, 2021, §10 Der Urheber, Rn. 4.

ხით შეიძლება წინასწარ ჰქონდეს ჩაპროგრამებული, არამედ, საკითხის შესწავლიდან გამომდინარე იღებს გადაწყვეტილებას, მათ შორის, დამოუკიდებელ ემოციასა თუ შეგრძნებაზე დაყრდნობით.¹⁸³ მას ხშირად ამოძრავებს მოტივი, რაც ნაწარმოების შექმნით გვირგვინდება,¹⁸⁴ რის შესაძლებლობასაც ტექნოლოგიური საშუალება მოკლებულია.¹⁸⁵

ამ მხრივ, განსაკუთრებით ხაზგასასმელია შემოქმედებითობის საკითხი: ტერმინი „ხელოვნური ინტელექტი“ თავის თავში „ინტელექტს“ მოიცავს, მაგრამ მას შემოქმედებითობის უნარი არ გააჩნია.¹⁸⁶ მართალია, ხელოვნური ინტელექტი ადამიანის შემეცნებითი პროცესების მოდელირებისკენაა მიმართული, თუმცა აღნიშნული შემოქმედებითობას არ გულისხმობს.¹⁸⁷ მას არ გააჩნია კლასიკური გაგებით ინიციატივის უნარი.¹⁸⁸ პირიქით, ერთმანეთისგან განსხვავდება ტერმინები „გენერირება“ და „შემოქმედება“ – პირველ შემთხვევაში არ გვხვდება შემოქმედებითობის ნაწილი.¹⁸⁹

თავის მხრივ, ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად მნიშვნელოვანია, რომ ნაწარმოების ასეთად მიჩნევისთვის, **სიახლე იკვეთებოდა**.¹⁹⁰ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, იგი ავტორის სუბიექტურ მიდგომას ეხება¹⁹¹ და ავტორის ინდივიდუალიზმს წარმოაჩენს.¹⁹² ასეთი შესაძლებლობა კი ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია.^{193/194}

ხელოვნურ ინტელექტი ვერ მოახერხებს კლასიკური გაგებით გააზრებას. მას არ შეუძლია ისეთი საკითხის შესწავლა, რომელიც აღქმასა და შემეცნებასთანაა დაკავშირებული – მას არ აქვს მეხსიერებისა თუ მსჯელობის,¹⁹⁵ ანალიზის/დასკვნის გამოტანის უნარი.¹⁹⁶

¹⁸³ *Spiekermann* in: Mainzer (Hrsg.), *Philosophisches Handbuch* KI, 2024, 844.

¹⁸⁴ *Lantwin*, 2025, 10.

¹⁸⁵ *Dolezal/Windegger*, *LIMINA* 3:2, 2020, 234.

¹⁸⁶ იხ. მაგალითად, *Wang* in: Dederer/Shin (Hrsg.), *KI und juristische Herausforderungen*, 2021, 83.

¹⁸⁷ იხ. *Zylinska*, 2020, 55.

¹⁸⁸ *Heintz* in: Catani (Hrsg.), *KI und die Künste*, 2024, 251.

¹⁸⁹ *Blank* in: Catani (Hrsg.), *KI und die Künste*, 2024, 285.

¹⁹⁰ *Klawonn*, 2023, 65

¹⁹¹ *Levola Hengelo BV v Smilde Foods BV*, 13.11.2018, №C-310/17 (CJEU).

¹⁹² *Eva-Maria Painer v Standard VerlagsGmbH and Others*, 1.12.2011, №C-145/10 (CJEU).

¹⁹³ *Legner*, *ZUM* №11/2019, 807-808.

¹⁹⁴ *Klawonn*, 2023, 66.

¹⁹⁵ *Schmidt*, *RRA* №4/2025, 74.

¹⁹⁶ არ იგულისხმება ტექნიკური საშუალებები, არამედ, ნაშრომში ყურადღება მახვილდება ადამიანის უნარებთან მიმსგავსებულ მახასიათებლებზე.

1.5 ხელოვნური ინტელექტის ქმნილება და საავტორო უფლებების საკითხი

1.5.1 განსხვავება ტერმინებს: „ქმნილებასა“ და „ნაწარმოებს“ შორის

ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა ცალსახად განსაზღვრავს ხელოვნური ინტელექტის გენერირების საფუძველზე მიღებული შედეგის სამართლებრივ საკითხს. ამ თვალსაზრისით, უდიდესი სხვაობა იკვეთება ტერმინთან: „ნაწარმოები“. რადგან ნაწარმოები ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს, მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ განსხვავება იქნეს წარმოჩენილი ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. **დეფინიციების დიფერენციაცია უზრუნველყოფს შემდგომი ტერმინოლოგიური აღრევის თავიდან აცილებას.**

ტერმინი – „ქმნილება“, შეგნებულადაა ნაშრომში დასახელებული. კერძოდ, ამგვარად მოხსენიებულია ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგი. მაგალითად, თუ პირი ხელოვნურ ინტელექტს დაავალებს, რომ მან შექმნას „ლექსი“,¹⁹⁷ მაშინ შექმნილი „ლექსი“ არ მიიჩნევა ნაწარმოებად (კლასიკურ ლექსად), არამედ, ხელოვნური ინტელექტის ქმნილებად. ეს კი საავტორო უფლებათა საკითხსაც განსხვავებულ კონტექსტში წარმოაჩენს. ანალოგიური შემთხვევა იქნება, თუ ფიზიკური პირი ხელოვნურ ინტელექტს¹⁹⁸ დაავალებს, რომ მან შექმნას „ნოველა“. ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული „ნოველა“ არ მიიჩნევა ნამდვილ ნოველად და შესაბამისად, ნაწარმოებად, ხოლო ფიზიკურ პირს, როგორც „Prompt“-ის განმახორციელებელს, არ ექნება საავტორო უფლებები „ნოველაზე“. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით: ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაში ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა არ იარსებებს. ანალოგიური შეიძლება შეეხოს შემთხვევას, თუ ხელოვნური ინტელექტი „სურათს“ ქმნის.¹⁹⁹ მასზე საავტორო უფლებები ასევე არ გავრცელდება.²⁰⁰

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ჯერ არ არის დამკვიდრებული ხელოვნური ინტელექტის ქმნილებასთან დაკავშირებით ერთგვაროვანი ტერმინოლოგია. სამომავლოდ (მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ) შეიძლება, რომ ახლებური ტერმინი ჩამოყალიბდეს. კერძოდ, კონკრეტული აქტივობიდან გამომდინარე შეიძლება რომ ზოგადი ტერმინოლოგია იქნეს გამოყენებული. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ტექსტი, მუსიკა, სურათი და ა.შ.

¹⁹⁷ „ლექსი“ შეგნებულადაა ბრჭყალებში ჩასმული, რათა ამით მოხდეს კლასიკური ლექსისგან განსხვავების აღქმა.

¹⁹⁸ არ აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ მათგანს. ეს შეიძლება იყოს, ვთქვათ, „ChatGPT“.

¹⁹⁹ Thaler v. Perlmutter, 130 F.4th 1039 (D.C. Cir. 2025).

²⁰⁰ იხ. Kaesling, GRUR №5/2024, 260 და შ.

1.5.2 ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგი

ხელოვნური ინტელექტი გენერირებისას არ ფლობს ემოციურ კონტროლს კონკრეტულ საკითხთან მიმართებით. მაგალითად, თუ მას მივცემთ დავალებას, რომ დახატოს „ნახატი“: „გოგონა მთის ხედით“, მან შეიძლება დააგენერიროს ქმნილება, სადაც მოცემული იქნება გოგონასა და მთის ვიზუალი, მაგრამ მას არ ექნება „გაანალიზებული“, თუ რას ნიშნავს თითოეული მათგანი. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტი ახდენს გენერირებას. მაგრამ ამგვარი გენერირება ვერ გაუთანაბრდება რეალური ნახატის დახატვას,²⁰¹ როდესაც მხატვრის ემოციური დამოკიდებულება ინტელექტუალურ-შემოქმედებაში აისახება.

1.5.3 ავტორობის შეუძლებლობა

რადგან ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, იგი ვერ მიიჩნევა ავტორად. ნაწარმოების არსებობისთვის კი აუცილებელია, რომ იგი შექმნილი იყოს ფიზიკური პირის მიერ. ამდენად, ხელოვნური ინტელექტის ქმნილებას არ ჰყავს ავტორი. კერძოდ, არ აქვს მნიშვნელობა, ასეთი ქმნილების შექმნა ინდივიდის სურვილს წარმოადგენდა თუ სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე იქნა მომზადებული.²⁰²

1.5.4 განსხვავება ფსევდონიმით ან ანონიმურად მოქმედებისგან

ავტორობის შეუძლებლობა განსხვავდება ფსევდონიმით ან ანონიმურად მოქმედებისგან. ფსევდონიმის შემთხვევა ექცევა სკ-ის მე-17 მუხლით დაცულ სფეროში,²⁰³ ისევე როგორც სმუშ-ის მე-10 მუხლის 1-ელი, ასევე, მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ასეთი წინაპირობისას საავტორო უფლებების საკითხს. შესაბამისად, ფსევდონიმით მოქმედებისას ნაწარმოებს ჰყავს ავტორი, მხოლოდ, ავტორის რეალური სახელი და გვარის გასაჯაროება არ ხდება.²⁰⁴

იდენტური მოცემულობა ანონიმურობის შემთხვევაში. ანონიმურობა დაცვადი მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებასაც სწორედ საავტორო უფლებები წარმოადგენს.²⁰⁵ სმუშ-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედ-

²⁰¹ იხ. გენერირების შედეგი, სახელწოდებით: „The Next Rembrandt: Computer malt Rembrandt-Gemälde“ – <<https://www.welt.de/kultur/kunst-und-architektur/article154421365/The-Next-Rembrandt-Computer-malt-Rembrandt-Gemaelde.html>> [12.12.2025].

²⁰² Ulrici in in Däubler/Hjort/Schubert/Wolmerath (Hrsg.), Arbeitsrecht, 2022, UrhG §43, Rn. 2.

²⁰³ ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მ. 17, ვნ. 16.

²⁰⁴ არსებობს გამოწაკლისები, როდესაც ავტორი ფსევდონიმით საყოველთაოდ ცნობილია. ასეთ დროს, საავტორო უფლებებთან დაკავშირებული ზოგადი წესი მოქმედებს.

²⁰⁵ იხ. მაგალითად, ჯორბენაძე, 2019, 205-206.

ვით, ანონიმურობისას საავტორო უფლების დაცვა ავტორის წარმომადგენელს ეკისრება. ამდენად, ანონიმურობის უკან ასევე დგას ფიზიკური პირი და სწორედ ამ ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს წარმოადგენს ნაწარმოები.²⁰⁶ განსხვავება ფსევდონიმის შემთხვევისგან ისაა, რომ ავტორს საერთოდ არ სურს, რომ გაასაჯაროოს ინფორმაცია თავისი თავის შესახებ²⁰⁷ (მათ შორის, არც ფსევდონიმის სახით).

ზემოთ მოყვანილ ორივე შემთხვევას მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გააჩნია ხელოვნური ინტელექტის ქმნილებისგან: ფსევდონიმით თუ ანონიმურად მოქმედების უკან დგას ფიზიკური პირი, მაშასადამე, ავტორი და ნაწარმოების შექმნაც არ წარმოადგენს მხოლოდ ტექნოლოგიური გენერირების შედეგს.

1.5.5 ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე საავტორო უფლებების არარსებობა


საკანონმდებლო დათქმებზე დაყრდნობით შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება – **ხელოვნური ინტელექტის ქმნილება არ არის დაცული საავტორო უფლებებით**. ქმნილება არ წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს და იგი არ არის შექმნილი ფიზიკური პირის მიერ. შესაბამისად, იგი არ მიიჩნევა ნაწარმოებად. ამდენად, **ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე არავის გააჩნია საავტორო უფლებები**. ლოგიკურად, პირს არ შეეძლება, რომ სათანადო მოთხოვნები დააყენოს (აკრძალვების თუ სხვა თვალსაზრისით).²⁰⁸ მაგალითად, თუ „ChatGPT“-ს მოსარგებლემ/მომხმარებელმა მისცა დავალება, რომ ამ უკანასკნელმა დააგენერიროს „რომანი“, ერთი მხრივ, „რომანი“ არ იქნება ნაწარმოები,²⁰⁹ ხოლო გენერირებულ „რომანზე“ მოსარგებლეს/მომხმარებელს, ისევე როგორც „OpenAI“-ს (თუ ნებისმიერ სხვა პირს) არ ექნება საავტორო უფლება.

²⁰⁶ სმუშ-ის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით, მას შემდეგ, რაც ავტორი გაამჟღავნებს თავის თავს, საავტორო უფლებებზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი აღარ ვრცელდება.

²⁰⁷ ჯორბენაძე, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, 2023, 102-103, 109.

²⁰⁸ Schmieder in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 312.

²⁰⁹ მსჯელობისთვის იხ. Thaler v. Perlmutter, 130 F.4th 1039 (D.C. Cir. 2025).

სქემა №4 – განსხვავება ნაწარმოებსა და ქმნილებას შორის**1.5.6 განსხვავება სამსახურებრივი ნაწარმოებისგან**

თავისი არსის გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტის ქმნილება ყველაზე ახლოს დგას სამსახურებრივ ნაწარმოებთან.²¹⁰ თუმცა, ამ შემთხვევაშიც, რადგან ქმნილება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს არ წარმოადგენს,²¹¹ იგი ნაწარმოებად (მათ შორის, სამსახურებრივ ნაწარმოებად) არ მიიჩნევა.²¹² კერძოდ, სამსახურებრივი ნაწარმოების შემთხვევაშიც, ნაწარმოების შექმნა ხდება ფიზიკური პირის მიერ,²¹³ დასაქმებულის მიერ.²¹⁴ ტექნოლოგიური საშუალება კი ვერ გათანაბრდება ფიზიკური პირის ცნებასთან.

1.6 ხელოვნური ინტელექტი, როგორც დამხმარე ტექნიკური საშუალება

მოცემულობა განსხვავდება მაშინ, როდესაც ტექნოლოგია არ ქმნის ქმნილებას, არამედ, ხელოვნური ინტელექტი ინსტრუმენტად/დამხმარე ტექნიკურ საშუალებად (ხელსაწყოდ) გამოიყენება.^{215/216} ამ მხრივ, ნიშანდობლივია დადასტურებადი

²¹⁰ განსაკუთრებით, თუ ადგილი აქვს შესაბამისი ქმნილების მომზადების თაობაზე ხელშეკრულებას (კონკრეტული პირობების გათვალისწინებით).

²¹¹ მაშასადამე, ამავე იურიდიული პირის უკან არ დგანან კონკრეტული ფიზიკური პირები.

²¹² მსჯელობისთვის იხ. Linke, 2021, 188.

²¹³ მესხი, 2025, 201-202.

²¹⁴ Hoeren/Pinelli, 2024, 46.

²¹⁵ Raue in Dreier/Schulze (Hrsg.), UrhG, 2025, UrhG §2, Rn. 21.

²¹⁶ Blank in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 284.

იყოს, რომ ადამიანმა მხოლოდ ისეთი დავალებები მისცა ხელოვნურ ინტელექტს, რაც საბოლოო შედეგის ნაწარმოებად მიჩნევისთვის არ იქნებოდა დაბრკოლების მატარებელი.²¹⁷ კერძოდ, ადამიანის ჩართულობის ხარისხი შემოქმედებით პროცესში უნდა იყოს გამოკვეთილად უპირატესი.²¹⁸ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მნიშვნელოვანია სათანადოდ განისაზღვროს უფლებრივი საკითხი, თუ ვინაა შემქმნელი²¹⁹ და ვინ ითამაშა გადამწყვეტი როლი:²²⁰ ადამიანმა თუ ხელოვნურმა ინტელექტმა.^{221/222}

მოყვანილი მსჯელობის მაგალითია შემდეგი: ფიზიკურმა პირმა ნოველის წერისას ხელოვნურ ინტელექტს სთხოვა, რომ დაეგენერირებინა ინფორმაცია გარკვეული ისტორიული ფაქტების შესახებ. ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერირა საკითხი, რაც ფიზიკურმა პირმა თავის ნოველაში მხოლოდ დაზუსტებისთვის გამოიყენა. ასეთ დროს ხელოვნურ ინტელექტს დამხმარე როლი აქვს. ამასთან, თუ ნოველა ემთხვევა უკვე გამოქვეყნებულ ნოველას, მაშინ შეიძლება პლაგიატსაც ჰქონდეს ადგილი და ესეც მოსარგებლის პასუხისმგებლობაში მოექცევა.²²³

1.6.1 „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის ტესტი“, ანუ ფიზიკური პირის ჩართულობის ინდექსი

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, ფიზიკური პირის ჩართულობის ფარგლების განსაზღვრა, ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. ცალსახად ფორმულა, რომლითაც საკითხის გადაჭრა მოხდება, არ გვხვდება (მით უმეტეს, საკანონმდებლო დონეზე). სწორედ ამიტომ, შეიძლება „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის ტესტის“ შემოტანა, რომელიც განისაზღვრება შემდეგი პროცენტული მაჩვენებლით: 51% და 49%. თავისთავად, პროცენტული მაჩვენებელი პირობითია, თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ იგი წარმოადგენდეს ერთგვარ დასაბუთებად შესაძლებლობას, განისაზღვროს, თუ რა მონაწილეობა აქვს მიღებული ფიზიკურ პირს და რა – ხელოვნ-

²¹⁷ იხ. Kraetzig, NJW №11/2024, 700.

²¹⁸ Beijing Internet Court, LI v. LIU, Civil Judgment, (2023) Jing 0491 Min Chu No. 11279, 27.11.2023.

²¹⁹ ხაზი უნდა გაესვას, რომ ე.წ. „ჰიბრიდული ავტორობის“ საკითხი სამართლებრივი თვალსაზრისით არ წესრიგდება. სწორედ ამიტომ, „ჰიბრიდული ავტორის“ თემა არ არის ნაშრომში განიხილული. ამ საკითხზე საინტერესო შეხედულებებია ლიტერატურაში გამოთქმული, სადაც სწორედ არსებულ ბუნდოვანებაზეა გამაზივლებული ყურადღება. იხ. მაგალითად, Matarazzo/Romagnoli, HALR, Vol. II, Winter 2026, Iss. 1, 215.

²²⁰ იხ. Wallner, 2023, 73.

²²¹ Hoeren/Wirtz, 2024, 74.

²²² საავტორო უფლებების თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში დაუშვებელია საუბარი, თუნდაც ერთგვარ თანამშრომლობაზეც: Pfeiffer in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024, 262.

²²³ პლაგიატის საკითხზე იხ. გაბუნია, თინათინ წერეთელი 120, სკრ, 2025, 60-64.

ნურ ინტელექტს. მაგალითად, თუ გამოიკვეთება, რომ ფიზიკური პირის შემოქმედება 70%-ია და ხელოვნური ინტელექტის მხოლოდ 30%, მაშინ ლოგიკური იქნება, თუ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიუხედავად, ინტელექტუალურ-შემოქმედებით საქმიანობას გაესმევა ხაზი და შედეგს ნაწარმოები დაერქმევა. მაგალითად, პირმა დაწერა სიმღერა და ხელოვნურ ინტელექტს სთხოვა, რომ ერთ-ერთი მისამღერის რამდენიმე ვერსია შეეთავაზებინა. ხელოვნურმა ინტელექტმა შესთავაზა შვიდი ალტერნატივა, საიდანაც პირმა ერთ-ერთი მისამღერი ამოარჩია და ასახა სიმღერაში. ასეთ დროს არ იქნებოდა მართებული, სიმღერის ხელოვნური ინტელექტის ქმნილებად დაკვალიფიცირება.

ის, თუ რამდენადაა ხელოვნური ინტელექტის წვლილი 51%-ის თუ მეტი მოცულობის მქონე, ყოველთვის მოცემულობიდან გამომდინარე უნდა იქნეს გარკვეული.²²⁴ **მხოლოდ „Prompt“ ვერ იქნებოდა ადამიანური შემოქმედების განმსაზღვრელი.**²²⁵ ასეთ დროს ადამიანის როლი (წვლილი) შედარებით ინერტულია.²²⁶ ლოგიკური მაგალითი იქნებოდა გენერირების წინაპირობის შემთხვევა, როდესაც დავალებას აძლევს პირი ხელოვნურ ინტელექტს (შეკითხვას უსვამს მას). ვთქვათ, პირი ხელოვნურ ინტელექტს ავალებს, რომ მან შექმნას ათწამიანი ვიდეორგოლი, სადაც ასახული იქნება პლანეტების გადაადგილება. ასეთ დროს, დავალების მიმცემი პირის წვლილი მხოლოდ დავალების მიცემაში გამოიხატება. შესაბამისად, „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის ტესტი“ ვერ დაძლევს გენერირების შედეგს და იგი ქმნილებად იქნება მიჩნეული.²²⁷ მაგრამ, თუ დავალების მიცემისას ხაზი გაესმევა მეტ დეტალს და ხელოვნური ინტელექტი მხოლოდ ფორმალურად დააგენერირებს მოცემულობას, შესაძლებელია, რომ ავტორს მოთხოვნა საავტორო უფლებებზე წარმოეშვას.²²⁸

1.6.2 მტკიცების სირთულე პრაქტიკაში

მტკიცების ტვირთი ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის მოცულობასთან დაკავშირებით ეკისრება მას, ვინც შესაბამის მოთხოვნას ამ გარემოებაზე აფუძნებს.²²⁹ კერძოდ, ასეთ დროს მოქმედებს ზოგადი წესი, როდესაც „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ („*affirmanti, non negati, in-*

²²⁴ იგულისხმება, კონცეპტუალური მიდგომა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის წვლილი შინაარსობრივად უპირატესი. იხ. მაგალითად, Grätz, 2021, 116.

²²⁵ მეტი თვალსაზრისით იხ. Matarazzo/Romagnoli, HALR, Vol. II, Winter 2026, Iss. 1, 211.

²²⁶ იხ. Thaler v. Perlmutter, 130 F.4th 1039 (D.C. Cir. 2025).

²²⁷ მსკვლეობისთვის: Pesch/Böhme, GRUR №14/2023, 1005.

²²⁸ Beijing Internet Court, LI v. LIU, Civil Judgment, (2023) Jing 0491 Min Chu No. 11279, 27.11.2023.

²²⁹ ამ პრინციპზე დაყრდნობით, შესაძლებელია, რომ მტკიცების ტვირთი მხარეებზე გადანაწილდეს. იხ. მაგალითად, LG Frankfurt, Urt. vom 17.12.2025 – 2-06 O 401/25. ამ საქმის განმარტებასთან დაკავშირებით იხ. Voßberg, GRUR-Prax №5/2026, 165-166.

cumbit probatio“). მაგალითად, თუ პირი ამტკიცებს, რომ ნაწარმოები არ წარმოადგენს კონკრეტული ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, მან უნდა დაასაბუთოს აღნიშნული გარემოება.²³⁰ ის, თუ რას შეიძლება დაეფუძნოს პირი ასეთ დროს, ცალსახა ფორმულით არ განისაზღვრება და ინდივიდუალური შემთხვევის შესაბამისადაა შესასწავლი.²³¹

1.6.3 პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტის დამხმარე როლის მიუხედავად

ხელოვნური ინტელექტის დამხმარე როლი ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პირი სრულად ენდოს მასში მოცემულ ინფორმაციას. მაგალითად, ქმედებამ გადამოწმების გარეშე შესაძლებელია, რომ პირის პასუხისმგებლობა დააყენოს, რადგან ხელოვნური ინტელექტის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ/დამუშავებულმა საკითხებმა შეიძლება დაარღვიოს სხვათა უფლებები.²³² აღნიშნული პრინციპი ზოგადი დანაწესიდან გამომდინარეობს.²³³ მაგალითად, შეიძლება, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილებამ (მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაწარმოებად არ მიიჩნევა), დაარღვიოს მესამე პირის არაქონებრივი უფლებები, რა დროსაც მოსარგებლის (შესაბამისი ქმედების მიხედვით, გამავრცელებლის) პასუხისმგებლობა დადგება.²³⁴ მით უმეტეს, როდესაც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში გარანტიის დათქმა არ იკვეთება.²³⁵

ამდენად, მიუხედავად ხელოვნური ინტელექტის დამხმარე ბუნებისა, მისმა ქმნილებამ შესაძლებელია დაარღვიოს მესამე პირის საავტორო უფლებები.²³⁶ გადამოწმების ვალდებულება ამ თვალსაზრისით ეკისრება მოსარგებლეს/მომხმარებელს, ანუ პირს, რომელიც შემდგომ ასაჯაროებს (ან სარგებლობს) ხელოვნური ინტელექტის ქმნილებას.²³⁷

²³⁰ იხ. მაგალითად, VG München, Bes. vom 28.11.2023 – M 3 E 23.4371.

²³¹ უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მოთხოვნის მქონე პირმა უნდა წარადგინოს გარემოება, რომელსაც დაადასტურებს სასამართლოში.

²³² Schack, 2025, Rn. 324c.

²³³ იხ. მაგალითად, Noland v. Land of the Free, L.P., No. B331918, 2025 WL 2629868 (Cal. Ct. App. Sept. 12, 2025).

²³⁴ Wandtke/Ostendorff, 2021, 452.

²³⁵ იხ. მაგალითად, „ChatGPT“-ს შემთხვევა: <<https://openai.com/policies/row-terms-of-use/>> [17.7.2025].

²³⁶ იხ. Baumann/Nordemann/Pukas, GRUR №13/2025, 963.

²³⁷ პარალელის თვალსაზრისით იხ. LG Berlin II, Urt. vom 20.8.2025, 2 O 202/24.

1.6.4 ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის „ერთობლივი აქტივობის“ შედეგი

მსჯელობისთვის შეიძლება მაგალითის მოყვანა: „სოფომ“ დაწერა ტექსტი, რომელზეც წარმოეშობა საავტორო უფლებები. შემდეგ „სოფომ“ ტექსტი დავალების სახით მიანოდა ხელოვნურ ინტელექტს და მოსთხოვა მას („Prompt“) ტექსტზე დაყრდნობით, მელოდიის გენერირება. ხელოვნურმა ინტელექტმა შექმნა მელოდია. აღნიშნულ მელოდიაზე (მაშასადამე, ქმნილებაზე) საავტორო უფლებები არ წარმოიშობა. შემდგომში, „სოფომ“, თავის ტექსტზე შექმნილი მელოდია გაავრცელა ფართო მასებისთვის და მას დაარქვა: „სიმღერა feat. AI“. სიმღერა გახდა პოპულარული. შედეგად ცალკეულმა პირებმა დაიწყეს მისი აქტიურად გამოყენება სხვადასხვა მიზნებისთვის. „სოფომ“ გადანყვიტა, რომ დაიცვას თავისი უფლებები და აუკრძალოს მესამე პირებს სიმღერის გამოყენება, თუმცა იგი აწყდება პრობლემას: მელოდია არ წარმოადგენს ნაწარმოებს, ხოლო, ვინაიდან მთლიანი სიმღერა მელოდიისა და ტექსტისგან შედგებოდა, სიმღერის ნაწარმოებად მიჩნევაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. აღნიშნულზე დაყრდნობით, „სოფოს“ უფლება აქვს, რომ მოთხოვნა მხოლოდ ტექსტთან მიმართებით დააყენოს.²³⁸ სხვა მხრივ, თუ მესამე პირი გაავრცელებს იდენტურ მელოდიას, არ დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან ქმნილება არ წარმოადგენს ნაწარმოების სახეს.²³⁹

1.6.5 მიღებული შედეგის ანალიზი

ის, თუ რამდენადაა ხელოვნური ინტელექტი დამხმარე ტექნიკური საშუალება, ინდივიდუალური აქტივობის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ასეთ დროს, რაოდენობაზე მეტად შინაარსობრივი ხარისხია მნიშვნელოვანი. შესაძლებელია, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შექმნას ქმნილება, რომელიც სრული შედეგის 90%-ს მოიცავს, თუმცა ადამიანის ინტელექტუალურ-შემოქმედებითმა საქმიანობამ, ამ ქმნილების საკვანძობა განაპირობოს. ეს კი, ერთი შეხედვით (მაშასადამე, ფორმალურად) 10%-ის ფარგლებში იქნება განსახილველი, თუმცა მთლიან სურათში, შეიძლება, რომ ადამიანური აქტივობა საბოლოო შედეგის საკვანძო და ლოგიკურად, 51%-ად (ან მეტ პროცენტულ ოდენობად) იქნეს აღქმული. შესაბამისად, აქტივობის შედეგის ნაწარმოებად ჩაითვალოს.

მიუხედავად ამგვარი მიდგომისა, პრაქტიკული თვალსაზრისით, რთულია საკითხის დასაბუთება. მეტიც, რაც უფრო ვითარდება ტექნოლოგია (ამ შემთხვევაში – ხე-

²³⁸ იხ. LG Frankfurt, Urt. vom 17.12.2025 – 2-06 O 401/25.

²³⁹ მაგალითისთვის შეგნებულად არ ესმევა ხაზი უფლებას შესრულებაზე, თუ უფლებას ხმაზე. უმთავრესი აქცენტი, ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სამართლებრივ შედეგს მიემართება.

ლოვნური ინტელექტი), შესაძლოა, რომ ფიზიკური პირის ავტორობის საკითხი უფრო მეტად დადგეს ეჭვქვეშ.^{240/241}

1.7 გადამუშავებული ნაწარმოების შემთხვევა

გადამუშავებულია ნაწარმოები, რომელიც წარმოადგენს, მაგალითად, ნაწარმოების თარგმანს, ადაპტაციას, ეკრანიზაციას და სხვ. სმუშ-ის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით, „გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებთა დაცვა ხორციელდება ორიგინალური ნაწარმოების თანაბრად“. აღნიშნული დათქმა ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს, ერთი მხრივ, ნაწარმოების, ხოლო, მეორე მხრივ, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის არსებობის აუცილებლობას.

1.7.1 ნაწარმოების „გადამუშავება“ ხელოვნური ინტელექტის მიერ

ხელოვნურ ინტელექტს შესაძლებელია დაევალოს ტექსტის „თარგმანი“, რომლის შესრულებაც დამოკიდებულია როგორც მონაცემებში წარმოდგენილ შესაბამის ენობრივ „ცოდნაზე“, ასევე, კონკრეტულ კონტექსტსა და წვდომად რესურსებზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს გარკვეული ტექსტის „თარგმანი“ ფრანგულიდან ქართულ ენაზე ან ქართულიდან შვედურ ენაზე და სხვ. თითოეულ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის მხრიდან ხდება გენერირება, რაც არ გულისხმობს კლასიკური თარგმანის იდენტურ ქმედებას. შესაბამისად, ამგვარი „თარგმანი“ არ წარმოადგენს გადამუშავებულ ნაწარმოებს.

მაგალითად, „დათო“ ავალებს ხელოვნურ ინტელექტს, რომ მის მიერ დაწერილი ლექსი „თარგმნოს“ ინგლისურ ენაზე. ხელოვნური ინტელექტი აგენერირებს ტექსტს და წარუდგენს „დათოს“ ლექსის ინგლისურენოვან ვერსიას. განსხვავებით ზოგადი წესისგან, ხელოვნური ინტელექტის ამგვარი ქმედება ნაწარმოების გადამუშავებად არ მიიჩნევა. შესაბამისად, „დათოს“ არ ექნება უფლება ლექსის ინგლისურენოვან ვერსიაზე, ანუ „თარგმანზე“. ეს ნიშნავს შემდეგს: „დათომ“ რომც გაავრცელოს ამგვარი ვერსია, ვერ დააყენებს შემდგომ მოთხოვნებს საავტორო უფლების ჭრილში.

მოცემული მსჯელობა ეფუძნება საკანონმდებლო ჩანაწერს: სმუშ-ის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით განმარტებულია – „გადამუშავებული ნაწარმოები“. როგორც ტერმინიდან იკვეთება, გადამუშავების შედეგი ასევე ნაწარმოები უნდა იყოს. მაშასადამე, გადამუშავებასაც უნდა გააჩნდეს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის წინაპირობა, რაც ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში არ იკვეთება.

²⁴⁰ Matarazzo/Romagnoli, HALR, Vol. II, Winter 2026, Iss. 1, 212.

²⁴¹ განსაკუთრებით მაშინ, თუკი ხელოვნურ ინტელექტს ორიგინალურობის კრიტერიუმი, ფორმალურად მაინც, ექნება დაკმაყოფილებული. იხ. გუგეშაშვილი, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, 2025, 220.

მიუხედავად მოყვანილი მაგალითისა და მსჯელობისა, საკითხი ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს მესამე პირს უფლება აქვს, რომ ხელოვნური ინტელექტის „თარგმანი“ თავისუფლად, ორიგინალი ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის გარეშე გამოიყენოს. პირიქით, მან უნდა დაიცვას ორიგინალი ნაწარმოების ავტორის (შესაბამისი პირის) უფლებები.

1.7.2 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების „გადამუშავება“ ფიზიკური პირის მიერ

მეორე მაგალითის სახით შესაძლებელია ისეთი შემთხვევის განხილვა, როდესაც ფიზიკური პირი თარგმნის ხელოვნური ინტელექტის ქმნილებას. კერძოდ, „რუსომ“ მისცა დავალება ხელოვნურ ინტელექტს, რომ ამ უკანასკნელს დაეგენერირებინა „ლექსი“ პორტუგალიურ ენაზე. ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერირა რითმა და წარუდგინა „რუსოს“ შესაბამისი „ლექსი“. აღნიშნული გენერირებული რითმა („ლექსი“) წარმოადგენს არა ნაწარმოებს, არამედ – ქმნილებას.

„რუსომ“ თავად თარგმნა ქმნილება („ლექსი“) პორტუგალიურიდან ქართულ ენაზე. ერთი შეხედვით, იკვეთება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის ასპექტი, რადგან ფიზიკური პირია მთავარი აქტორი, რომელიც თარგმნის ქმნილებას. თუმცა, ასეთ დროს სამართლებრივი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, როგორ მოხდება ნორმის განმარტება. კერძოდ, თუ მივიჩნევთ, რომ თარგმანისთვის საჭიროა, რომ არსებობდეს ორიგინალი (მაგალითიდან გამომდინარე, პორტუგალიურ ენაზე დანერგილი) ნაწარმოები, მაშინ „რუსოს“ უფლება თარგმანზე, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ანალოგიურად შეიძლება მსჯელობა წარმართოს იმ ძირითადი ხაზის გატარებით, რომ გადამუშავებული ნაწარმოები არ უნდა ლახავდეს ორიგინალი ნაწარმოების ავტორის უფლებებს.²⁴² შესაბამისად, თუ ქმნილება გენერირებულია ხელოვნური ინტელექტის მიერ, ქმნილების თარგმანი ვერ გათანაბრდება ნაწარმოების თარგმანთან. ეს კი ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილების თარგმნი არ არის დაცული საავტორო უფლებებით. მაგრამ, თუ სმუშ-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს სიტყვასიტყვით განვმარტავთ („გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლებათა დაცვა ხორციელდება მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა საავტორო უფლების ობიექტებს ის ნაწარმოებები, რომლებსაც ემყარებიან ან შეიცავენ ისინი“), მაშინ, მოყვანილი მაგალითის გათვალისწინებით, „რუსოს“ თარგმანზე საავტორო უფლების წარმოშობის საფუძველიც განსხვავებულად წარმოიჩინდება.

ფიზიკური იქნებოდა, თუ მსჯელობა პირველი შემთხვევის კვალად განვითარდებოდა. კერძოდ, გადამუშავებული ნაწარმოები, თავის თავში ორიგინალი ნაწარმოების არსებობას გულისხმობს. ეს ნიშნავს, რომ გადამუშავებაზე უფლება აქცესორუ-

²⁴² ამ საკითხზე იხ. *ძამუკაშვილი*, 2002, 66.

ლი ბუნებისაა. მსჯელობისთვის შეიძლება დავვეყრდნოთ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ პოზიციას: „რომ შეიქმნას გადამუშავებული ნაწარმოები ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაკეთდეს, ან შეიქმნას მისი ადაპტაცია, ან არანაწილება“.²⁴³ შესაბამისად, თუ ორიგინალი ნაწარმოები არ იარსებებს, მისი თარგმანიც არ მიიჩნევა გადამუშავებად.

1.7.3 შედგენილი ნაწარმოების შემთხვევა

გარდა სმუშ-ის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის არსებობისა, შედგენილი ნაწარმოები რადიკალურად განსხვავდება გადამუშავებული ნაწარმოებისგან. მისი მთავარი დანიშნულება მასალის შერჩევასა და განლაგებაში გამოიხატება.²⁴⁴ შესაბამისად, ასეთ დროს ქმნილების არსებობა-არარსებობის საკითხი შესაძლებელია, რომ გადამწყვეტ როლს არც თამაშობდეს.²⁴⁵

1.7.4 პაროდია

პაროდიის შემთხვევაში, შედარებით განსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით. როგორც წესი, პაროდია დასაშვებია, თუ ორიგინალი ნაწარმოების არსებობა აღქმადია.²⁴⁶ მართალია, პაროდია შეიძლება ორიგინალ ნაწარმოებს არც ეხებოდეს და სხვა ნაწარმოების ან მოვლენის კრიტიკას მიემართებოდეს, თუმცა თემატიკას არ უნდა სცდებოდეს.²⁴⁷ პაროდიის გამოყენებით არ უნდა ირღვეოდეს ორიგინალ ნაწარმოებთან დაკავშირებული უფლებები,²⁴⁸ თუნდაც იუმორისტულად საკითხის წარმოჩენის შემთხვევაში.²⁴⁹

ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, პაროდიის გაკეთება გაიოლებულია. ასეთ დროს უფლებრივ კონტექსტში ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ რამდენად დაარღვია/შელახა ნაწარმოების გამოყენებამ კონკრეტული პირის უფლებები.²⁵⁰ შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის არსებობა-არარსებობა შესაძლებელია, რომ არც იყოს არსებითი მნიშვნელობის მატარებელი, თუ პაროდია, თავისი არსის გათვალისწინე-

²⁴³ იქვე, 67.

²⁴⁴ მესხი, 2025, 111-112.

²⁴⁵ არ იგულისხმება შემთხვევა, თუ ხელოვნური ინტელექტი თავად ახორციელებს შერჩევასა და განლაგებას, არამედ აქცენტი ფიზიკური პირის აქტივობაზეა გაკეთებული. მსჯელობისთვის იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 5.3.2026, №ას-473-2025, სადაც მითითებაა შემდეგზე: „ავტორია ნაწარმოების შემდგენელიც – პირი, ვინც მასალის შერჩევისა და განლაგების მიხედვით შექმნა ნაწარმოები“. ეს დათქმა ცალსახად უსვამს ხაზს ფიზიკური პირის არსებობის მნიშვნელობას.

²⁴⁶ LG Köln, Bes. vom 9.1.2026 – 14 O 455/25.

²⁴⁷ Wunderlich, 2025, 146.

²⁴⁸ Campbell v. Acuff-Rose Music, Inc., 510 U.S. 569 (1994).

²⁴⁹ Elsmere Music, Inc. v. National Broadcasting Co., 482 F. Supp. 741 (S.D.N.Y. 1980).

²⁵⁰ Schack, 2024, Rn. 287, 629 ff.

ბით, არ იქნება უფლებადამრღვევი.²⁵¹ იდენტური მსჯელობა შეიძლება შეეხოს კარიკატურასა და პასტიმს,^{252/253} როდესაც ნამუშევარი ორიგინალი ნაწარმოების ასოციაციას იწვევს, მაგრამ შესამჩნევად განსხვავდება მისგან.²⁵⁴

ცალკე განისაზღვრება პიროვნული უფლებების საკითხი (საავტორო უფლებების დაცვისა თუ დარღვევის მიუხედავად). მაგალითად, შესაძლებელია, რომ პირის მიმართ შეურაცხყოფას ჰქონდეს ადგილი, რაც ზოგადი წესიდან გამომდინარე, მოთხოვნის ფარგლებში მოექცევა.²⁵⁵ თუმცა, თუნდაც ღირსების შემლახავ შინაარსს შეიცავდეს ვთქვათ, კარიკატურა, თუ საავტორო უფლებებით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს, ავტორი შესაბამის უფლებებს, ვერ დაკარგავს.²⁵⁶

რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტის ქმნილებზე პაროდის, ასეთ დროს, მოთხოვნის უფლების შემთხვევაში საჭირო იქნება მართებული მიდგომის განსაზღვრა: ვინაიდან ქმნილება არაა ნაწარმოები და მას არ ჰყავს ავტორი, საავტორო უფლებების თვალსაზრისით, ვერ დადგება სათანადო მოთხოვნა (პირის ვიზუალის უფლების დაცვის თვალსაზრისით (არ იგულისხმება ანალოგია, არამედ, უშუალოდ სკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნა), ასეთი მოთხოვნის საფუძველმა შეიძლება, რომ იარსებოს).

1.8 რეპროდუცირება

სმუშ-ის მე-4 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით რეპროდუცირება განმარტებულია, როგორც „ნაწარმოების, მომიჯნავე უფლების ობიექტის ან მონაცემთა ბაზის პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთლიანად ან მისი ნაწილის ერთი ან ერთზე მეტი ასლის დამზადება ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით, მათ შორის, ხმისა და ვიდეოჩანაწერის ფორმით. რეპროდუცირებად ასევე ჩაითვლება ჩანერა დროებითი ან მუდმივი შენახვისათვის, ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით), ოპტიკური ან მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით“. განმარტებიდან ყურადღება მისაქცევია შემდეგ ტერმინებზე: „ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით“, „ელექტრონული (ციფრულის ჩათვლით)“, „მანქანით წაკითხვადი სხვა ფორმით“. ის, თუ რამდენად მიემართება აღნიშნული დათქმა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შემთხვევას, განხილვის საგანს წარმოადგენს.

²⁵¹ იხ. მაგალითად, *Johan Deckmyn and Vrijheidsfonds VZW v Helena Vandersteen and Others*, 3.9.2014, №C-201/13 (CJEU).

²⁵² პასტიმის თაობაზე მსჯელობისთვის იხ. *რამბაძე*, ხმკსკ 2021 #1(11), 135-136.

²⁵³ სირთულეს წარმოადგენს პასტიმის განმარტება. ამ გამოწვევის წინაშე დგას არაერთი ქვეყანა. იხ. მაგალითად, *Hoeren/Wirtz*, 2024, 258-261.

²⁵⁴ *CG and YN v Pelham GmbH, SD, UP*, 14.4.2026, №C-590/23 (CJEU).

²⁵⁵ მათ შორის მოიაზრება, პიროვნული უფლებების დაცვა. ეს კი განსაკუთრებით მაშინაა გარანტირებული, თუ პაროდია, ისევე როგორც – კარიკატურა, პოლიტიკურ აქტივობას ეხება. იხ. მაგალითად, *Patrício Monteiro Telo de Abreu v. Portugal*, 7.6.2022, №42713/15 (ECtHR).

²⁵⁶ *Schack*, 2025, Rn. 233.

საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ტექნიკურ ასპექტებზე, რაც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას არის მნიშვნელოვანი: „Input“, „Feature Encoding“ და „Output“. კიდევ უფრო დეტალურად თუ განვიხილავთ საკითხს, „Input“-ის შემდეგ/დამუშავებისას იქმნება ე.წ. „შუალედური ასლები“ (განსაკუთრებით, „RAM“ და „Cache“), ხოლო „Feature Encoding“-ის საფუძველზე შეიძლება, რომ ე.წ. „შუალედური ვექტორები“ წარმოიქმნას, რომელიც/რომლებიც შეიძლება ან გაქრეს, ან შენახულ იქნეს (ვთქვათ, „Training“-ის მიზნით). სამართლებრივი შეფასება მოიცავს: ა) ქმნის თუ არა ტექნიკური პროცესი/ქმედება რეპროდუცირებას და ბ) ქმნის თუ არა შექმნილი ასლი დროებითი ასლის („Temporary Copy“) პირობებს?

1.8.1 მნიშვნელოვანი კრიტერიუმი

რეპროდუცირებისას მნიშვნელოვანია შეფასდეს, რამდენად ინარჩუნებს ასლი (ან ასლის ნაწილი) დაცულ გამოხატულებას ისეთი სახით, რომ იგი ნაწარმოებს დაუკავშირდეს (დაცვის სფეროში შეიძლება მოექცეს როგორც ნაწარმოები, ისე – მისი ნაწილი²⁵⁷). ერთ-ერთ ინდიკატორს ასეთ შემთხვევაში იდენტიფიცირება წარმოადგენს. აღნიშნული უნდა შეესაბამებოდეს ძირითად კრიტერიუმს, თუ რამდენადაა შენარჩუნებული ორიგინალი ნაწარმოების გამოხატულება, ვინაიდან იდენტიფიცირება დადასტურების საკითხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. თავის მხრივ, ის, თუ რამდენად შეიძლება იყოს ცალკეული ტექნოლოგიური საშუალების გამოყენების შემთხვევაში ნაწარმოები რეპროდუცირებული, განმარტების საგანს წარმოადგენს.

1.8.2 „Input“, როგორც რეპროდუცირების შემთხვევა?

სმუშ-ს განმარტებიდან გამომდინარე, რეპროდუცირების შემთხვევად ყველაზე მეტად შეიძლება, რომ „Input“ ჩაითვალოს.²⁵⁸ ამგვარი რისკი განსაკუთრებით მაღალია მაშინ, როდესაც „Input“-ში დაცული ნაწარმოები²⁵⁹ თავსდება²⁶⁰ და როდესაც იგი მხოლოდ აბსტრაქტულ ინსტრუქციას/კომუნიკაციას არ მოიცავს. კერძოდ, იგი მომდინარეობს მოსარგებლისგან და დამუშავების პროცესიც სწორედ მისი ინიციატივის საფუძველზე იწყება.²⁶¹ პასუხისმგებლობაზე მსჯელობის დროსაც პირველ

²⁵⁷ Infopaq International A/S v Danske Dagblades Forening, 16.7.2009, №C-5/08 (CJEU).

²⁵⁸ აღნიშნული განსხვავდება რეპროგრაფიული გამრავლებისგან („Input“-ის კონტექსტში).

²⁵⁹ ან ნაწარმოების ნაწილი/ფრაგმენტი.

²⁶⁰ მაგალითად, „Archive“-ს სახით.

²⁶¹ მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ რა სახით ხდება განთავსება. ამ მხრივ, ყურადსაღებია სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინება, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ჰიპერბმულისა და უშუალოდ ნაწარმოების ატვირთვის შემთხვევას – Land Nordrhein-Westfalen v Dirk Renckhoff, 7.8.2018, №C-161/17 (CJEU).

რიგში, მოსარგებლის ასპექტი უნდა იქნეს განხილული, თუმცა საკითხის გადაჭრით თქმა შეუძლებელია და იგი ინდივიდუალურ განხილვას ექვემდებარება (მათ შორის, „Cloud-არქიტექტურის“ შემთხვევაში, მიმწოდებლის ჭრილში, ვინაიდან მოსარგებლის ინიციატივის მიუხედავად, ინფრასტრუქტურაზე შექმნილ/შენახულ ასლებზე სწორედ მიმწოდებელია პასუხისმგებელი). ამ მხრივ კი, ტექნიკური ასპექტი გადამწყვეტ როლს თამაშობს (შესაბამისი არქიტექტურის გათვალისწინებით).

1.8.3 პირადი სარგებლობის შემთხვევა

სმუშ-ის 21-ე მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრულია, რომ პირადი სარგებლობისას არ გვხვდება საავტორო უფლებების დარღვევა, ისევე როგორც ნებართვის აღების საჭიროება და სხვ. რამდენად იკვეთება პირადი სარგებლობა „Input-ისას“? შეკითხვას პასუხი უნდა გაეცეს გენერირების ტექნიკური ასპექტის გათვალისწინებით: მიუხედავად მოსარგებლის მიზნისა, მისგან დამოუკიდებლად შექმნილი ასლები ავტომატურად ვერ დაეფუძნება პირადი სარგებლობის საკითხს (დამოკიდებულია იგივე, „Local AI“-სა და „Cloud AI“-ს სახეობაზე). ამასთან, რადიკალურად განსხვავებული იქნება მიდგომა, თუ მიმწოდებელზე გაკეთდება აქცენტი. მიუხედავად „Input“-სა, სწორედ მიმწოდებელი²⁶² განსაზღვრავს შენახვა-არშენახვის საკითხს. შესაბამისად, პირადი სარგებლობის მიზანი მიმწოდებელთან მიმართებით, ჩვეულებრივ ვერ გავრცელდება.

1.8.4 „Feature Encoding“-ის შემთხვევა

„Feature Encoding“ გულისხმობს მონაცემების გარდაქმნას მათემატიკურ მახასიათებლად, რომელიც აღწერს მონაცემის თვისებებს. შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტისთვის შესაძლებელი ხდება მისი აღქმა. ეს ნიშნავს, რომ „Feature Encoding“, როგორც იზოლირებულად აღებული აქტი, ყოველთვის არ წარმოადგენს რეპროდუცირებას²⁶³ და იგი დამოკიდებულია სრულ პროცესზე. თუმცა ეს არ გამოირიცხავს, რომ ამ პროცესის დაწყებამდე ან პროცესის დასრულების შემდეგ წარმოქმნილი ასლები რეპროდუცირების შედეგს წარმოადგენდეს.

²⁶² შეგნებულად, სუბიექტად მითითებაა მიმწოდებელზე. შესაძლებელია, რომ გამოიკვეთოს სხვა პირის პასუხისმგებლობაც. მაგალითის მიზანია, რომ მოსარგებლის პასუხისმგებლობისგან განსხვავებულ მიდგომაზე გაკეთდეს აქცენტი.

²⁶³ Pukas, 2025, 261.

1.8.5 „Training“, დამახსოვრება და მისი მიმართება რეპროდუცირებასთან

ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში დამახსოვრების წინარე ეტაპი ისევ „Training“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და „Feature Encoding“-ია. კერძოდ, ამ გზით დამახსოვრება²⁶⁴ ხდება სწორედ კოდირებული ფორმით და იგი არ არის, პირობითად, ორიგინალი ნაწარმოების იდენტური. შესაბამისად, შეიძლება საკითხზე მსჯელობა ამგვარად განვითარდეს: თუ „Feature Encoding“-ის დროს არ გვხვდება რეპროდუცირება, რამდენადაა შესაძლებელი, რომ დამახსოვრება ჩაითვალოს ასეთ ქმედებად?²⁶⁵ საინტერესოა, რომ გერმანიაში ერთ-ერთ საქმეზე მიუხეზნის სამართლომ საკითხს შეხედა შემდეგნაირად: „Training“-ისას მოხდა დამახსოვრება („Memorization“) ხელოვნური ინტელექტის მოდელში ფიქსირების სახით, რამაც გაზარდა შესაძლებლობა, რომ მარტივი მოთხოვნის საფუძველზე ხელოვნური ინტელექტის სისტემის „Output“-ში ასახულიყო დაცული ტექსტის არსებითი ნაწილი.²⁶⁶ ამის შედეგად სასამართლომ საკითხი რეპროდუცირების კონტექსტში შეაფასა, პასუხისმგებლობა კი ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს დააკისრა.²⁶⁷

1.8.6 განსხვავება „TDM“-სგან

ევროკავშირის სამართალში „TDM“ განიმარტება, როგორც ნებისმიერი ავტომატიზებული ანალიტიკური ტექნიკა, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტისა და მონაცემების ანალიზს ციფრულ ფორმაში ინფორმაციის გენერირების მიზნით.²⁶⁸ აღნიშნულისგან განსხვავდება ხელოვნური ინტელექტის („GAI“-ს) ტექნიკური ასპექტი, რომლის დანიშნულება მხოლოდ „ანალიზით“ არ შემოიფარგლება.

1.8.7 დროებითი ასლის საკითხი

სმუშ-ის მე-4 მუხლის „ო¹“ ქვეპუნქტის მიხედვით „დროებით ასლს“ წარმოადგენს: „ნაწარმოების, შესრულების ჩანაწერის, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მონაცემთა ბაზის ან მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის ჩანაწერის შემთხვევითი ან აუცილებელი დროებითი ასლი, რომელიც წარმოადგენს ტექნიკური პროცესის აუცილებელ და

²⁶⁴ დამახსოვრება „Memorization“ განსხვავდება „Feature Encoding“-სგან. იგი მოდელის პარამეტრებში ფიქსირებას ეხება.

²⁶⁵ ამ საკითხზე იხ. მაგალითად, Wang in: Dederer/Shin (Hrsg.), KI und juristische Herausforderungen, 2021, 85.

²⁶⁶ იხ. LG München I, Urt. vom 11.11.2025 – Az. 42 O 14139/24.

²⁶⁷ დასახელებული გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული, ხოლო ამ საკითხზე გერმანიაში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა (გამოკვეთილად გვხვდება კრიტიკული მსჯელობა).

²⁶⁸ „DSM“, მ. 2(2).

მნიშვნელოვან ნაწილს; დროებითი ასლის შექმნის ერთადერთი მიზანია უზრუნველყოს ობიექტის ქსელში გადაცემა მესამე პირებს შორის ნაწარმოების ან/და მომიჯნავე უფლებების ობიექტების შუალედური ან კანონიერი გამოყენებისას და ასეთ დროებით ასლს არ აქვს დამოუკიდებელი კომერციული მნიშვნელობა“. სმუშ-ის 21-ე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი: „საავტორო უფლებებით დაცული ნაწარმოებების ამ კანონით გათვალისწინებული რეპროდუცირების უფლება არ ვრცელდება დროებით ასლზე“. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საკითხის განსაზღვრა, თუ რამდენად გვხვდება დროებითი ასლის შემთხვევა ხელოვნური ინტელექტის გენერირებისას? ²⁶⁹ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ ფორმალური თვალსაზრისით არ იქნებოდა მართებული. ²⁷⁰ ასეთ დროს უნდა განისაზღვროს ცალკეული ფუნქციური ასპექტები, პირობითად, ქრება თუ არა ინფორმაცია პროცესის დასრულებისთანავე, გამოიყენება თუ არა იგი მხოლოდ მიმდინარე დამუშავებისთვის, აქვს თუ არა მას შემდგომი, დამოუკიდებელი გამოყენებითი (ან ეკონომიკური) მნიშვნელობა და სხვ. მაგალითად, „Training“-პროცესი გაიმჯნოს „Non-Training“-პროცესისგან, ისევე როგორც „Local AI“, „Cloud AI“-სგან. შესაბამისად, თუ გაირკვევა, რომ მონაცემი მხოლოდ მუშაობის მომენტში არსებობს და შემდეგ ქრება, მაშინ შეიძლება იგი დროებითი ასლის კატეგორიას მივაკუთვნოთ, მაგრამ თუ იგი ინახება (ნებისმიერი სახით), მაშინ შეიძლება, რომ დროებითი ასლის განმარტებას სცდებოდეს. ²⁷¹

1.8.8 „Output“-ის მიმართება რეპროდუცირებასთან

თეორიულად შესაძლებელია, რომ „Output“ რეპროდუცირებად იქნეს მიჩნეული, თუ იგი ინარჩუნებს ორიგინალი ნაწარმოების დაცულ გამოხატულებას. კერძოდ, თუ ვთქვათ, ხელოვნური ინტელექტი ნაწარმოების იდენტურ ან არსებითად მსგავს „Output“-ს დააგენერირებს. ლოგიკური იქნება, თუ ასეთ დროს პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური ფუნქციების გათვალისწინებით განისაზღვრება. ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა რეპროდუცირების ნაწილში (მაშასადამე, საავტორო უფლებებზე დაყრდნობით) წინასწარ არ არის გამორიცხული და დამოკიდებულია შესაბამის როლსა თუ ტექნიკურ ფუნქციაზე. ²⁷²

²⁶⁹ ხაზგასასმელია, რომ თუ არ იკვეთება კანონიერი გამოყენების საფუძველი, მაშინ მსჯელობაც სამართლებრივ არსს იქნება მოკლებული.

²⁷⁰ ფართო მსჯელობისთვის იხ. Public Relations Consultants Association Ltd v Newspaper Licensing Agency Ltd and Others, 5.6.2014, №C-360/13 (CJEU).

²⁷¹ მაგალითად, „Gemini“-ს შემთხვევა, როდესაც „Google“ ინახავს კომუნიკაციას „Gemini Apps Activity“-ში, თუ „Keep Activity“ ჩართულია. სხვა მხრივ, განსაზღვრულია 72 საათიანი შენახვის პერიოდი. იხ. <<https://support.google.com/gemini/answer/13278892?co=GENIE.Platform%3DAndroid&hl=en#zippy=%2Cin-the-gemini-mobile-app>> [7.3.2026].

²⁷² ზოგადად, საავტორო უფლებათა დარღვევაზე პლატფორმების პასუხისმგებლობის ჭრილში, აშშ-ს სასამართლო პრაქტიკის მიდგომას თუ დავეყრდნობით, პლატფორმის მხრიდან ერთგვარი აქ-

1.9 „Training“-ის დასაშვებობის ფარგლები

„Training“ თავისთავად არ წარმოადგენს დარღვევას,²⁷³ თუმცა საავტორო უფლებების დაცვა ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული. კერძოდ, თუ „Training“ ხდება საავტორო უფლებების დაცვით, მაშინ ეს ქმედება კანონიერია.²⁷⁴ მსჯელობის კვალად: საავტორო უფლებების დარღვევად მიიჩნევა გარემოება, თუ „Training“-ისთვის ნაწარმოები იქნა მიწოდებული, რომლის მოპოვების უფლებაც პირს არ გააჩნდა.²⁷⁵ ასეთი მოცემულობა კი ყოველი შემთხვევიდან ინდივიდუალურად განიმარტება²⁷⁶ და მოთხოვნაც გარემოებების გათვალისწინებით უნდა დასაბუთდეს.²⁷⁷

1.10 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების დეპონირების შეუძლებლობა

დეპონირება საავტორო უფლებების მფლობელის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს. ასეთ დროს ხდება ნაწარმოების (ორიგინალის ან ასლის სახით) „საქპატენტში“ წარდგენა, ხოლო „საქპატენტი“ შესაბამისი წარმოების ფარგლებში ახდენს დეპონირებას, რაც დასტურდება დეპონირების დამადასტურებელი მოწმობის წარდგენით. კერძოდ, მოწმობა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ განმცხადებელია საავტორო უფლებების მფლობელი. თავის მხრივ, დეპონირებისას დაცულ უნდა იქნეს ნაწარმოებთან დაკავშირებული სხვა პირების საავტორო თუ სხვა უფლებები. აღნიშნული წარმოადგენს სმუშ-ის 9¹ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების განმარტებას. როგორც განმარტებიდან იკვეთება, არსად არ არის მითითებული ფიზიკური პირისა თუ ინტელექტუალური-შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებლობაზე. თუმცა, ნორმათა უკუდასკვნით შესაძლებელია მივიდეთ შედეგამდე, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილების დეპონირება დაუშვებელია. უფრო ზუსტად რომ განიმარტოს: დეპონირებისას აუცილებლად უნდა იქნეს წარდგენილი ნაწარმოები. როგორც უკვე აღინიშნა,

ტიური ხელშეწყობა, უშუალო ჩართულობა უნდა იკვეთებოდეს – Cox Communications, Inc. v. Sony Music Entertainment, No. 24-171, 607 U.S. ____ (2026) – მართალია, დასახელებული საქმე არ ეხება რეპროდუცირებას, მაგრამ საავტორო უფლებებიდან გამომდინარე, მისი სახით პარალელის გავლება, შესაძლებელია.

²⁷³ ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ზოგადად „Training“-ის საკითხზე და არა რეპროდუცირების თუ პირადი სარგებლობის თემატიკაზე.

²⁷⁴ Bartz v. Anthropic PBC, 787 F. Supp. 3d 1007 (N.D. Cal. 2025) – ამ საქმის ანალიზისთვის იხ. Tresise, HALR, Vol. II, Winter 2026, Iss. 1, 216-225.

²⁷⁵ პრაქტიკული თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულე იარსებებს, თუ საკითხი სოციალურ მედიაში დათქმის გარეშე განთავსებულ ნაწარმოებს ეხება. ასეთი ნაწარმოების გავრცელებასთან დაკავშირებით იხ. მაგალითად, ჯორბენადე/მესხი, სუ №2/2018, 125 და 8.

²⁷⁶ მსჯელობისთვის იხ. Thomson Reuters Enterprise Centre GmbH et al v. ROSS Intelligence Inc., No. 1:2020cv00613 – Document 547 (D. Del. 2023).

²⁷⁷ Andersen v. Stability AI Ltd., No. 3:23-cv-00201-WHO (N.D. Cal. 2024).

ნაწარმოების არსებობისთვის მნიშვნელოვანია იკვეთებოდეს ავტორი და მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგი. ამდენად, თუ ხელოვნური ინტელექტის ქმნილება არ არის ნაწარმოები, მისი დეპონირებაც წინდანივე გამოირიცხება. მუხლის დასახელებაც, რომელიც ამ საკითხს ეხება – „ნაწარმოების დეპონირება“. შესაბამისად, ნაწარმოების არსებობა ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

საქართველოში გვხვდება შემთხვევა, როდესაც „საქპატენტმა“ უარი განუცხადა განმცხადებელს დეპონირებაზე, რომლითაც იგი ხელოვნური ინტელექტის ქმნილების („ლექსის“) დეპონირებას ითხოვდა. განმცხადებლის მოტივაციას წარმოადგენდა დეპონირების განხორციელება ქმნილებაზე საავტორო-ქონებრივი უფლებების წარმოშობის მიზნით. „საქპატენტმა“ უარი განაცხადა დეპონირებაზე, რაც განმცხადებლის მიერ გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლომ წარმოებაში მიიღო საქმე,²⁷⁸ თუმცა სასამართლოში სხდომა ორ წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე არ ჩაინშნა. სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად, სარჩელში შუამდგომლობად მითითებული იყო განსჯადობის საკითხი. კერძოდ, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ საკითხის არსის გათვალისწინებით (ნაწარმოების არსებობა-არარსებობა) დავა უნდა განხილულიყო სამოქალაქო წესით. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ დავის განხილვა არ დაიწყო დიდი ხნის მანძილზე, მოსარჩელემ დაკარგა დავის მიმართ ინტერესი და გამოიხმო სარჩელი.

1.11 საკუთრების უფლებისგან დამოუკიდებლობა

სავტორო უფლებებისგან განსხვავებით, საკუთრების უფლება ხელოვნური ინტელექტის ქმნილების გამოყენებისას, დაცულია. მაგალითად, პირი აწარმოებს მაგიდის გადასაფარებლებს. ვთქვათ, მან დავალება მისცა ხელოვნურ ინტელექტს, რათა დაეგენერირებინა მაგიდის გადასაფარებლის ვიზუალი/„დიზაინი“.²⁷⁹ თუ პირი გაპყიდის მაგიდის გადასაფარებლებს ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი ქმნილების ვიზუალით, ეს მიიჩნევა საკუთრების უფლების ფარგლებში მოქმედებად.²⁸⁰ კერძოდ, ნივთის გაყიდვად. თუმცა, თუ, ვთქვათ, მყიდველი შემდგომ იმავე ვიზუალს გამოიყენებს, იმავე სფეროში, გამყიდველს საავტორო უფლებებიდან გამომდინარე დავის უფლება არ ექნება.²⁸¹

ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე ხელშეკრულების დადება ხელშეკრულების თავისუფლების ზოგადი პრინციპიდან მომდინარეობს. ეს ნიშნავს, რომ მხარე (ის,

²⁷⁸ მრს განჩინება, 16.10.2023, №3/277-23.

²⁷⁹ ხელოვნური ინტელექტის ქმნილების დატანა მაგიდის გადასაფარებელზე არ წარმოადგენს სამართლებრივად რაიმე დარღვევას.

²⁸⁰ იხ. *Schmieder* in: Catani (Hrsg.), *KI und die Künste*, 2024, 312.

²⁸¹ განსხვავებული მოცემულობა იქნება, თუ საკითხი შეეხება სასაქონლო ნიშნად რეგისტრირებული ვიზუალით სარგებლობას ან არაკეთილსინდისიერ კონკურენციას.

ვინც ხელოვნურ ინტელექტს დაავალა ქმნილების მომზადება) და ხელშეკრულების სხვა კონტრაპენტი სარგებლობენ ყველა იმ უფლებამოსილებით, რომელიც არ არის აკრძალული რომელიმე სამართლებრივი ნორმით.²⁸² ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, მაგიდის გადასაფარებლის გაყიდვა კლასიკურ ნასყიდობის ხელშეკრულებად მიიჩნევა.²⁸³

1.12 მიღებული შედეგის ანალიზი

ხელოვნური ინტელექტი ვერ შექმნის ნაწარმოებს.²⁸⁴ მისი ქმნილება, მაშასადამე, გენერირების შედეგი, არ არის საავტორო უფლებებით დაცული. იმისთვის, რათა საკითხი საავტორო უფლებებს შეეხებოდეს, მნიშვნელოვანია, რომ არანაკლებ ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა იკვეთებოდეს. არსებული გამოწვევის გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ მტკიცების თვალსაზრისით გარკვეული სირთულე არსებობდეს, როდესაც ასეთი გარემოების (ნაწარმოების არსებობის) დადასტურების აუცილებლობა წარმოიშობა. ამდენად, ის, რაც არ არის საავტორო უფლებებით დაცული, თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული მესამე პირის მიერ.²⁸⁵

2. მომიჯნავე უფლებები და ხელოვნური ინტელექტი

სმუშ-ის მიხედვით, მომიჯნავე უფლებების სუბიექტები არიან: შემსრულებლები, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლები და მაუწყებლობის ორგანიზაციები. გარდა შემსრულებლისა, დანარჩენ შემთხვევაში მომიჯნავე უფლებები შეიძლება იურიდიულ პირსაც გააჩნდეს. შემსრულებლის შემთხვევაში საგამონაკლისო დათქმა კანონიდან გამომდინარეობს.²⁸⁶ ის, თუ რამდენად შეიძლება მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებით ხელოვნურ ინტელექტზე დაყრდნობით საუბარი, განხილვის საგანს წარმოადგენს. ამისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საკვანძო საკითხს შევხებით:

²⁸² მსჯელობისთვის იხ. მაგალითად, *ჯორბენაძე*, 2017, 85.

²⁸³ იმისთვის რომ მოსარჩელემ დიზაინზე მოთხოვნა საავტორო უფლებებიდან გამომდინარე დააყენოს, პირმა უნდა დაასაბუთოს ასეთი უფლების არსებობა (იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 23.10.2025, №ას-22-2025), რაც ხელოვნური ინტელექტის ქმნილების შემთხვევაში, შეუძლებელია.

²⁸⁴ *ჯორბენაძე*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, 2023, 13.

²⁸⁵ ÖOGH, Urt. vom 20.2.2026 – 4 Ob 166/25b.

²⁸⁶ სმუშ-ის მე-4 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტში გვხვდება ტერმინის „შემსრულებელი“ განმარტება: „მსახიობი (თეატრის, კინოსი და ა.შ.), მომღერალი, მუსიკოსი, მოცეკვავე ან სხვა პირი, რომელიც თამაშობს როლს, კითხულობს, მღერის, ახდენს დეკლამირებას, უკრავს მუსიკალურ ინსტრუმენტზე ან სხვაგვარად ასრულებს ლიტერატურის ან ხელოვნების ნაწარმოებს, საესტრადო, საცირკო, თოჯინურ ან ფოლკლორულ ნომერს“.

2.1 საავტორო უფლებათა პატივისცემა

სმუშ-ის 45-ე მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, მომიჯნავე უფლებათა დაცვა საავტორო უფლებათა დაცვას არ უნდა აბრკოლებდეს. ამავე მუხლის მე-2 პუნქტში კი მითითებაა, რომ მომიჯნავე უფლებათა განხორციელება საავტორო უფლებათა პატივისცემის გზით უნდა მოხდეს და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ უნდა განიმარტოს საავტორო უფლებათა დაცვის უფლების შელახვის მნიშვნელობით. შესაბამისად, საავტორო უფლებათა არსებობა მომიჯნავე უფლებათა დაცვისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა.

2.2 აქცესორული ბუნება

მომიჯნავე უფლებების აქცესორული ბუნების თაობაზე კანონში პირდაპირი ჩანაწერი არ გვხვდება.²⁸⁷ თუმცა, სმუშ-ის 46-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა როლს თამაშობს ნაწარმოები (შესაბამისად, საავტორო უფლებათა არსებობა) მომიჯნავე უფლებების კონტექსტში. ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლების, ისევე როგორც მაუწყებლობის ორგანიზაციების, შემთხვევაში, მომიჯნავე უფლებათა განხორციელება ხდება: „ფონოგრამაზე ან ვიდეოგრამაზე ჩანერილი ანდა ეთერში ან კაბელით გადაცემული ნაწარმოების ავტორსა და შემსრულებელთან დადებული ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში“. მაშასადამე, თითოეულ შემთხვევაში მითითებაა ტერმინზე – „ნაწარმოები“. ლოგიკურად, თუ არ იარსებებს ნაწარმოები, არ წარმოიშობა საავტორო უფლება, ხოლო, თუ არ იარსებებს საავტორო უფლება, ვერ წარმოიშობა მომიჯნავე უფლებები.

კიდევ უფრო კონკრეტულია შემსრულებლის შემთხვევა. იგი მომიჯნავე „უფლებებს ახორციელებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით“.²⁸⁸ მეტიც, როგორც უკვე აღინიშნა, შემსრულებელი უნდა იყოს ფიზიკური პირი.²⁸⁹ ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტი (ან მისი ქმნილება) ვერ იქნება შემსრულებელი.

2.3 მომიჯნავე უფლებების არარსებობა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების შემთხვევაში

რადგან ხელოვნური ინტელექტის ქმნილება არ წარმოადგენს ნაწარმოებს, მას არ ჰყავს ავტორი. მომიჯნავე უფლებების შემთხვევაში კი ავტორის უფლებათა დაც-

²⁸⁷ ამ მხრივ პარალელის გავლებაა შესაძლებელი იპოთეკის ან გირავნობის შემთხვევასთან.

²⁸⁸ სმუშ-ის 46-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁸⁹ მესხი, 2025, 251-252, 256.

ვა, სავალდებულოა. სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ **ხელოვნური ინტელექტის ქმნილების შემთხვევაში, ნებისმიერი იმ აქტივობის მიუხედავად, რაც მომიჯნავე უფლებებს ახასიათებს, არ წარმოიშობა მომიჯნავე უფლებები**. მაგალითად, „ნუსამ“ ხელოვნურ ინტელექტს მისცა დავალება, რომ ამ უკანასკნელს დაეგენერირებინა მისი ხმა და მისივე ხმით შეექმნა „სიმღერა“. გარდა იმისა, რომ ასეთ „სიმღერაზე“ საავტორო უფლებები არ წარმოიშობა, „ნუსა“ არ ჩაითვლება შემსრულებლად და იგი არ მოექცევა მომიჯნავე უფლებათა დაცვის სფეროში.

მომიჯნავე უფლებების კონტექსტში ანალოგიური შედეგი დადგება მაშინაც, თუ, ვთქვათ, „ნუსას“ დაწერილია მუსიკალური ნაწარმოები (როგორც მელიოდი, ისე – ტექსტი) და „ნუსა“ ხელოვნურ ინტელექტს სიმღერის შესრულებას თავისი ხმით დაავალეს. ხელოვნური ინტელექტის მხრიდან შესრულება არ გაუთანაბრდება რეალურ შესრულებას.²⁹⁰

მომიჯნავე უფლებები არ წარმოიშობა ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლის შემთხვევაშიც, თუნდაც თითოეული მათგანის ქმედება ეფუძნებოდეს ნაწარმოებს. მაგალითად, ფონოგრამის დამამზადება, რაც მოიცავს ხმის ჩანერას. ასეთ დროს, თუნდაც ხმის ჩანერა რეალურ ნაწარმოებს ეფუძნებოდეს, ხელოვნური ინტელექტი ვერ მოგვევლინება მომიჯნავე უფლებების მქონედ. საკანონმდებლო დათქმით, ასეთი შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელშიც არ ექცევა ხელოვნური ინტელექტი (უკიდურეს შემთხვევაში, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებელმა შეიძლება ხელშეკრულებაში ასახოს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხი, როდესაც იგი ამ ტექნოლოგიას დამხმარე ტექნიკურ საშუალებად იყენებს).

რაც შეეხება მაუნყებლის შემთხვევას, მშპ-ის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი პირდაპირ აკონკრეტებს იმ მაუნყებელთა ჩამონათვალს, რომელზეც კანონი ვრცელდება: „საზოგადოებრივი მაუნყებლის, საზოგადოებრივი მაუნყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს გადაცემებზე, აგრეთვე სხვა მაუნყებლის გადაცემაზე, რომელმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღო მაუნყებლობის ლიცენზია ან გაიარა ავტორიზაცია და რომელიც გადასცემს გადაცემას საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემებით, ეთერის, კაბელის ან სხვა, ანალოგიური საშუალების გამოყენებით“. ამდენად, მაუნყებლად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ პირი მშპ-ის მიხედვით მაუნყებლობის კონკრეტულ სახეს²⁹¹ (სახეობას²⁹²) წარმოადგენდეს.²⁹³ ხელოვნური ინტელექტი კი ასეთად არ მიიჩნევა.

²⁹⁰ შეგნებულად არაა გამახვილებული ყურადღება ხმის უფლებაზე, რომელიც ცალკე ასპექტადაა წინამდებარე ნაშრომში განხილული.

²⁹¹ იგულისხმება ტელემაუნყებლობა და რადიომაუნყებლობა (მშპ-ის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით).

²⁹² იგულისხმება სათემო მაუნყებლობა, კერძო მაუნყებლობა, საუნივერსიტეტო მაუნყებლობა, კულტურულ-შემოქმედებითი რადიომაუნყებლობა (მშპ-ის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით).

²⁹³ მაუნყებლობის სახეების (სახეობების) თაობაზე იხ. მაგალითად, *ჯორბენაძე*, 2013, 50-68; ასევე, *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, 2014, 30-35.

2.4 მიღებული შედეგის ანალიზი

საავტორო უფლებათა არარსებობის შემთხვევაში, მომიჯნავე უფლებები არ წარმოიშობა. თუ ხელოვნური ინტელექტი დააგენერირებს „რომანს“, ამ „რომანის“ (ქმნილების) მხატვრული წაკითხვა არ მიიჩნევა შესრულებად. ანალოგიური შემთხვევა იქნება მაშინაც, თუნდაც ნაწარმოები რეალურად არსებობდეს, მაგრამ მხატვრულ წაკითხვაზე დავალება ხელოვნურ ინტელექტს მიეცეს.

მომიჯნავე უფლებები ასევე არ ვრცელდება ფონოგრამის/ვიდეოგრამის დამამზადებლისა თუ მაუწყებლის შემთხვევაში. პირველ შემთხვევაში, ასეთად ფიზიკური ან იურიდიული პირი უნდა მოგვევლინოს, ხოლო მაუწყებლობის განსახორციელებლად დამატებითი კრიტერიუმი შემოდის – ავტორიზაცია²⁹⁴ კომპოზი-ს მიერ.²⁹⁵

3. პატენტი და ხელოვნური ინტელექტი

პატენტი წარმოადგენს პირის მიერ განსაკუთრებული უფლებების ფლობის დადასტურებას (იხ. სსკ-ის მე-2 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი). პატენტის მფლობელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირი. ამ მხრივ, რაიმე სახის აკრძალვა კანონში არ გვხვდება. თავის მხრივ, პატენტი გაიცემა გამოგონებაზე. დაპატენტება კი დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა აკმაყოფილებს პატენტუნარიანობის კრიტერიუმს: სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. ის, თუ რამდენად შეიძლება ხელოვნური ინტელექტის ქმნილება გამოგონებად იქნეს მიჩნეული, ცალკეულ წინაპირობებზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს.

3.1 გამომგონებელი – მხოლოდ ფიზიკური პირი

სსკ-ის მე-2 მუხლის „ე¹“ ქვეპუნქტის მიხედვით, გამომგონებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგადაც შეიქმნა გამოგონება. ეს ჩანაწერი ცალსახად გამორიცხავს ხელოვნური ინტელექტის გამომგონებლად მიჩნევის საკითხს.²⁹⁶

²⁹⁴ მშკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე. ამასთან, დღევანდელი მოწესრიგებით, ლიცენზირებაზე გვხვდება შემდეგი მითითება (მშკ-ის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტი): „ლიცენზია გაიცემა მხოლოდ რადიომაუწყებლობისთვის და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება სამაუწყებლო გადამცემების მეშვეობით, რადიოსიხშირული სპექტრის გამოყენებით“.

²⁹⁵ ასევე, კანონით განსაზღვრული შემთხვევა – საზოგადოებრივი მაუწყებელი.

²⁹⁶ იხ. შვეიცარიის სასამართლოს პრაქტიკა: BVGer, Urt. vom 26.6.2025, B-2532/2024.

3.2 საერთაშორისო პრაქტიკა

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობაში, გამომგონებლად ფიზიკური პირია განსაზღვრული. შესაბამისად დგება სამართლებრივი შედეგიც. მაგალითის სახით შეიძლება ავსტრალიის,²⁹⁷ აშშ-ს,²⁹⁸ გერმანიის,²⁹⁹ დიდი ბრიტანეთისა³⁰⁰ და შვეიცარიის³⁰¹ სასამართლო პრაქტიკის მოყვანა, სადაც ხელოვნური ინტელექტის გამომგონებლად მითითების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

3.3 გამოგონება და ხელოვნური ინტელექტის ქმნილება

ის, თუ რა არის გამოგონება, კანონმდებელს ღიად აქვს დატოვებული და აღნიშნულთან მიმართებით კანონში არ გვხვდება პირდაპირი ჩანაწერი. წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის ამ მხრივ შეიძლება საკითხის უფრო ფართოდ განხილვა და შეკითხვის დასმა, თუ რამდენად დასაშვებია, რომ გამოგონება გამომგონებლის გარეშე არსებობდეს? მართალია, პატენტის მიზანს უფრო მეტად ქონებრივი ინტერესი წარმოადგენს, მაგრამ იმის უგულებელყოფა, რომ გამოგონება ფიზიკური პირის ქმედების შედეგს წარმოადგენს, არ იქნებოდა მართებული. სწორედ ამიტომ, დღევანდელი საკანონმდებლო ჩანაწერიდან თუ ამოვალთ, გამოგონებამ არ შეიძლება იარსებოს გამომგონებლის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ **ხელოვნური ინტელექტის ქმნილება არ შეიძლება გამოგონებად განიშარტოს.**

3.4 ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე პატენტის გაცემის დაუშვებლობა

თუ მივიჩნევთ, რომ პატენტი გაიცემა გამოგონებაზე, მნიშვნელოვანია განიმარტოს, თუ ვინ/რა შეიძლება იდგეს გამოგონების უკან. თუ ვიტყვით, რომ გამოგონების უკან ფიზიკური პირი უნდა იდგეს (მაშასადამე, გამომგონებელი), მაშინ, ხელოვნური ინტელექტის ქმნილება ასეთად ვერ მიიჩნევა. შესაბამისად, **ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე არ გაიცემა პატენტი.**³⁰²

²⁹⁷ Commissioner of Patents v Thaler [2022] FCAFC 62 (13 April 2022).

²⁹⁸ Thaler v. Vidal, No. 21-2347 (Fed. Cir. 2022).

²⁹⁹ BGH, Bes. vom 11.6.2024, X ZB 5/22.

³⁰⁰ Thaler v Comptroller-General of Patents, Designs and Trade Marks [2023] UKSC 49.

³⁰¹ BVGer, Urt. vom 26.6.2025, B-2532/2024.

³⁰² საუბარია შემთხვევაზე, როდესაც სრულად ხელოვნური ინტელექტის მიერაა გენერირებული ქმნილება – *Schwieters*, 2023, 195. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული სამეცნიერო სივრცეში, რომელიც აკრიტიკებს გერმანიის სასამართლოს ამჟამინდელ პრაქტიკას, იხ. *Kim*, IIC, Vol. 56 (2025), 377-380.

3.5 ხელოვნური ინტელექტი, როგორც დამხმარე ტექნიკური საშუალება

განსხვავებული მოცემულობაა, როდესაც ხელოვნური ინტელექტი დამხმარე ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, თუ ხელოვნური ინტელექტის დახმარებას ექნება ადგილი, მაშინ, გამოგონების არსებობა ერთმნიშვნელოვნად არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ.^{303/304} ის, თუ რა შეიძლება მიჩნეულ იქნეს დახმარებად ან/და რა ქმედითი წილი ეკუთვნის ხელოვნურ ინტელექტს ამ შემთხვევაში, მსჯელობის საგანს წარმოადგენს და ყოველი შემთხვევიდან ინდივიდუალურად უნდა იქნეს განსაზღვრული. აღნიშნულის დასაბუთება შესაბამისი (ამ შემთხვევაში, მომჩივნის) მტკიცების ტვირთის ფარგლებში ექცევა.

პარალელის თვალსაზრისით, შესაძლებელია „ინტელექტუალურ-შემოქმედებითი წვლილის ტესტის“ განხილვა, რომელიც ამავე ნაშრომში, საავტორო უფლებებთან მიმართებით იქნა წარმოდგენილი. კერძოდ, მტკიცების ფარგლებში უნდა მოექცეს სწორედ ფიზიკური პირის ჩართულობის (ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის/შრომის) ინდექსის დადგენა.³⁰⁵

3.6 შრომითი და მომსახურების სახელშეკრულებო ურთიერთობის შემთხვევა

სსპკ-ის მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ გამოგონების შექმნა შესაძლებელია სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულებით, რასაც წინ უძღვის სახელშეკრულებო ურთიერთობა. კერძოდ, ეს შეიძლება მოხდეს როგორც შრომითი ურთიერთობისას, ისე – ვთქვათ, მომსახურების (ნარდობის) ხელშეკრულების გზით. ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით მსჯელობისას, პირველი შემთხვევა გამოსარიცხია.³⁰⁶ კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის სისტემა (ან მისი შემთავაზებელი), ვერ მიიჩნევა დასაქმებულად.³⁰⁷ რაც შეეხება მომსახურების ხელშეკრულებას, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის შემთავაზებელი (და არა, ხელოვნური ინტელექტის სისტემა) კონტრაქტის წარმოდგენდეს.³⁰⁸ თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობას განვაგრცობთ და გამოგონების წინაპირობად ფიზიკური პირის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგს მივიჩნივთ, მაშინ თუნდაც ამგვარი ხელშეკრულება არსებობდეს, ქმნილება მაინც ვერ ჩაითვლება გამოგონებად.

³⁰³ იხ. BGH, Bes. vom 11.6.2024, X ZB 5/22.

³⁰⁴ Krausen, 2023, 335.

³⁰⁵ ამ საკითხზე იხ. Sach/Stöber, MMR №2/2026, 109 და შ.

³⁰⁶ მაგალითში არ მოიაზრება შემთხვევა, როდესაც დასაქმებული დაიხმარს ხელოვნურ ინტელექტს.


³⁰⁷ უპირველეს ყოვლისა, სპკ-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.

³⁰⁸ კანონში არ გვხვდება დაკონკრეტება, რომ შეკვეთის მიმღები (შემსრულებელი) აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა იყოს.

3.7 მიღებული შედეგის ანალიზი

ზემოაღნიშნულზე დაფუძნებით შეიძლება ითქვას, რომ **ხელოვნური ინტელექტის ქმნილება არ შეიძლება გამოგონებად იქნეს მიჩნეული**, ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი (შესაბამისი სისტემა) ვერ იქნება გამომგონებელი. უფრო დეტალურად რომ განიმარტოს: გამოგონება გამომგონებლის გარეშე არ შეიძლება არსებობდეს.³⁰⁹ შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომში მოცემული დასკვნა გამომდინარეობს დღევანდელი საკანონმდებლო მოცემულობიდან.³¹⁰ ამ მხრივ, სასურველია, რომ დაპატენტებისას მიდგომა ახლებურ მოცემულობას დაეფუძნოს.^{311/312}

სქემა №5 – ხელოვნური ინტელექტის ქმნილების მიმართება გამოგონებასთან



³⁰⁹ Köhl, GRUR №9/2025, 636.

³¹⁰ დღევანდელი მონესრიგება არც საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაშია მყარი. ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, იგი კიდევ უფრო მეტად მყიფე ხდება. იხ. მაგალითად, *Tilt* in: Kornilakis/Nouskalis/Pergantis/Tzimas (eds.), *AI and Normative Challenges*, 2023, 187.

³¹¹ იხ. მაგალითად, *გაბისონია*, შსუ №7/2021, 39.

³¹² ამ საკითხზე იხ. *Krausen*, 2023, 331-343.

4. სასაქონლო ნიშანი და ხელოვნური ინტელექტი

როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან იკვეთება, საავტორო უფლებებისა თუ პატენტის შემთხვევაში, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა/შრომა, უმთავრეს სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, ფიზიკური პირი ერთ შემთხვევაში ავტორი უნდა იყოს, ხოლო მეორე შემთხვევაში – გამომგონებელი. საკითხი რადიკალურად იცვლება მაშინ, როდესაც იგი ეხება სასაქონლო ნიშანს. ასეთ დროს საკანონმდებლო დონეზე ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის ან ფიზიკური პირის არსებობის პირდაპირი მოთხოვნა, არ გვხვდება. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია, რომ სასაქონლო ნიშნის თვალსაზრისით ხელოვნური ინტელექტის ქმნილებებზე უფრო ფართოდ წარიმართოს მსჯელობა.

4.1 სასაქონლო ნიშნის განმარტება

სნშ-ის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტით, „სასაქონლო ნიშანი არის ნებისმიერი სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც შეტანილია სასაქონლო ნიშნების რეესტრში, ჩამოყალიბებულია ნათლად და მკაფიოდ და აქვს უნარი, ერთი საწარმოს საქონელი ან/და მომსახურება მეორე საწარმოს საქონლისგან ან/და მომსახურებისგან განასხვავოს“. აღნიშნული კანონის მიხედვით, სასაქონლო ნიშანი შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც სიტყვიერად, ისე – ნახატის სახით შექმნილი სიმბოლოს საშუალებით და სხვ.³¹³ მაგალითად, პირის სახელი და გვარი.³¹⁴

4.2 რეგისტრაციის მნიშვნელობა

სასაქონლო ნიშნების რეესტრში სასაქონლო ნიშნის შეტანა საბოლოოდ მის რეგისტრაციას გულისხმობს, რაც შესაბამისი, განსაკუთრებული უფლების მინიჭებასა და ამ უფლების დაცვის წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, ამ გზით პირს ენიჭება განსაკუთრებული უფლება – ნება დართოს სხვას ან აუკრძალოს ამ ნიშნის ან მსგავსი ნიშნების გამოყენების უფლება.

4.3 კავშირი საავტორო უფლებებთან

სასაქონლო ნიშანმა არ უნდა დაარღვიოს მესამე პირის საავტორო უფლებები. აღნიშნული შემთხვევა ეხება მოცემულობას, როდესაც სასაქონლო ნიშნად, ვთქვათ, ნახატია რეგისტრირებული. ხაზგასასმელია, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ფიზიკური პირის

³¹³ თითოეულ შემთხვევაში, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საკანონმდებლო წინაპირობებს. იხ. მაგალითად, Hauck GmbH & Co. KG v Stokke A/S and Others, 18.9.2014, №C-205/13 (CJEU).

³¹⁴ იხ. მაგალითად, Fezer in Fezer (Hrsg.), Markenrecht, 2023, MarkenG §3, Rn. 2a.

მიერ შექმნილ ნაწარმოებზე, რომელზეც მას გააჩნია საავტორო უფლებები. თუნდაც დარეგისტრირდეს ნახატი სასაქონლო ნიშნად, რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია, რომ იგი გარკვეულ დაბრკოლებას წააწყდეს.³¹⁵ მსგავსი მსჯელობის განვითარება შეგვიძლია მაშინ, როდესაც სასაქონლო ნიშანი არღვევს პირის საავტორო უფლებებს. ვთქვათ, იმავე ნახატთან მიმართებით, როდესაც იმგვარად ხდება მისი სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია, რომ არ არის ავტორისგან აღებული შესაბამისი ნებართვა.³¹⁶

4.4 ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია

მეტი თვალსაჩინოებისთვის შეიძლება მაგალითზე დაფუძნებით წარიმართოს მსჯელობა: პირი აპირებს, რომ დაიწყოს სამეწარმეო საქმიანობა კვების სფეროში. მან ხელოვნურ ინტელექტს მისცა დავალება, რომ მიაწოდოს სასაქონლო ნიშნის რამდენიმე ვარიანტი. ხელოვნურმა ინტელექტმა წარუდგინა თერთმეტი ვარიანტი, რომლისგანაც პირმა ერთ-ერთ მათგანს მიანიჭა უპირატესობა და გადაწყვიტა, რომ იგი სასაქონლო ნიშნად დაირეგისტრიროს. როდესაც პირმა „საქპატენტში“ წარადგინა ქმნილება, არ გამოიკვეთა ქმნილებასთან მიმართებით რეგისტრაციაზე უარის თქმის არც აბსოლუტური და არც შედარებითი საფუძვლები. შესაბამისად, „საქპატენტმა“ ქმნილება დარეგისტრირა სასაქონლო ნიშნად. რამდენად კანონიერია აღნიშნული რეგისტრაცია?

4.4.1 განაცხადის შინაარსი

სნშ-ის მე-9 მუხლით, არ არის სავალდებულოდ მოთხოვნილი ავტორის მითითება. შესაბამისად, გამოდის, რომ განსხვავებით საავტორო უფლებების წარმოშობისგან, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის დროს არ არის სავალდებულო, რომ ქმნილება (მაშასადამე, რაც რეგისტრირდება სასაქონლო ნიშნად) ფიზიკური პირის მიერ იყოს შექმნილი.

4.4.2 რეგისტრაციის დასაშვებობა

განვითარებული მსჯელობის კვალად შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილება სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციას ექვემდებარება. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი საერთო წესებიდან გამომდინარეობს.³¹⁷

³¹⁵ სნშ-ის 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

³¹⁶ შედარებისთვის იხ. BGH, Urt. vom 23.1.2003 – I ZR 171/00.

³¹⁷ მაგალითად, მესამე პირის მიერ უკვე რეგისტრირებულის იდენტური ან მსგავსი სასაქონლო ნიშანია შექმნილი და სხვ.

4.4.3 სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა

სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმება და ბათილად ცნობა ერთმანეთისგან სამართლებრივი შედეგებით განსხვავდება. პირველ შემთხვევაში გვხვდება მოცემულობა, როდესაც გაუქმებამდე სასაქონლო ნიშანი სამართლებრივად მართებულად იყო რეგისტრირებული, ხოლო ბათილობისას არსებობს პრეზუმფცია, რომ იგი თავიდანვე კანონის დარღვევით დარეგისტრირდა. დასახელებულ ნიშნებთან ერთად, განსხვავება ასევე საფუძვლებში მდგომარეობს. ხელოვნური ინტელექტის ირგვლივ მსჯელობიდან გამომდინარე, წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ იმ ნაწილზე გამახვილდება ყურადღება, რაც უფრო მეტად პრაქტიკული დანიშნულების მატარებელია:

4.4.3.1 მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების, როგორც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

პირველ რიგში, განსახილველია სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი. სნშ-ის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას აუქმებს სასამართლო მესამე პირის მოთხოვნით, თუ „სასაქონლო ნიშნის მფლობელის მიერ ან მისი თანხმობით სასაქონლო ნიშნის გამოყენება მომხმარებელს მცდარ წარმოდგენას უქმნის საქონლის სახეობის, თვისების, ხარისხის, ღირებულების ან გეოგრაფიული წარმოშობის ან სხვა მახასიათებლების შესახებ“. ტერმინში „მესამე პირი“ მოაზრებულია ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ამგვარი უფლება. განვიხილოთ მაგალითი: პირს აქვს ჭურჭლის მაღაზია. მაღაზიაში იყიდება ჭურჭელი, რომელზეც დატანილია კონკრეტული ქმნილება (ვიზუალი). ქმნილება (ვიზუალი) შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ და, შესაბამისად, იგი არ ექცევა „წარმოშობის“ განმარტების ქვეშ. ჭურჭელზე დატანილ ქმნილებაზე (ვიზუალზე) პირს არ გააჩნია საავტორო უფლება. მიუხედავად ამისა, საზოგადოების ფართო წრე ინფორმირებულია ჭურჭლისა და ჭურჭელზე დატანილი ქმნილების (ვიზუალის) თაობაზე (მარტივად იწვევს პირთან ასოციაციას). ერთ-ერთი მუდმივი მომხმარებელი მოხიბლულია ქმნილებით (ვიზუალით) და სურს, რომ თავადაც აწარმოოს იდენტური ნაწარმი – დაიტანოს იგი (იდენტური მოცემულობით) ჭურჭელზე. როდესაც ეს მომხმარებელი გაიგებს, რომ ქმნილება (ვიზუალი) ხელოვნური ინტელექტის მიერაა შექმნილი, იგი გადაწყვეტს, რომ იპოვოს გზა, რომლის საშუალებითაც, უფლებები წარმოეშობა მასზე და გადაწყვეტს, რომ ქმნილება (ვიზუალი) დაარეგისტრიროს როგორც თავისი სასაქონლო ნიშანი. „საქპატენტი“ დაარეგისტრირებს მას. ამის შემდეგ კი, მუდმივი მომხმარებელი მოსთხოვს ჭურჭლის თავდაპირველ მწარმოებელს, რომ ამ ქმნილებით (ვიზუალით) აღარ გამოუშვას

ჭურჭელი, რადგან იგი მის სასაქონლო ნიშნადაა რეგისტრირებული.³¹⁸ ამ შემთხვევაში ჭურჭლის თავდაპირველ მწარმოებელ კომპანიას მუდმივი მომხმარებლის მიერ დარეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის გაუქმების საფუძველი არ გააჩნია,³¹⁹ ვინაიდან სასაქონლო ნიშანი არ უქმნის მცდარ წარმოდგენას მომხმარებლებს რომელიმე მახასიათებლის შესახებ.³²⁰

*4.4.3.2 მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის ქმნილების,
როგორც რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის
ბათილობის თაობაზე*

სნშ-ის 28-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, სასაქონლო ნიშნის ბათილობის საფუძველი იარსებებს, თუ მისი რეგისტრაცია არაკეთილსინდისიერი განზრახვით განხორციელდა; ამავე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, ბათილობის საფუძველი იკვეთება მაშინ, როდესაც: „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციით ან/და სასაქონლო ნიშნის გამოყენებით ირღვევა მესამე პირის საავტორო უფლებები, რომლებიც წარმოშობილია სასაქონლო ნიშნისთვის დადგენილი პრიორიტეტის თარიღამდე“, ხოლო ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ბათილობის საფუძველად საჯარო წესრიგის ან მორალის აღიარებულ პრინციპებთან წინააღმდეგობას განსაზღვრავს. განვიხილოთ თითოეული მათგანი იმავე მაგალითზე დაყრდნობით, რაც გაუქმების ფარგლებში იქნა მოყვანილი:

არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს მხოლოდ ადრინდელი უფლების მფლობელს. ანალოგიური დათქმა გვხვდება საავტორო უფლებების დარღვევისას (უკიდურეს შემთხვევაში – უფლების მფლობელს, რაც ნაწარმოების არარსებობის გათვალისწინებით, მოცემულ მაგალითში არ გვხვდება). რჩება „საჯარო წესრიგის“ საკითხი. ის, თუ რამდენად შეუსაბამოაში მოდის ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაცია საჯარო წესრიგთან, მსჯელობის საგანია. ამისთვის სამ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ა) რამდენად არის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის შემქმნელის განმარტება; ბ) რამდენად იკვეთება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის აუცილებლობა სასაქონლო ნიშნის არსებობისას და გ) რა არის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მთავარი არსი. პირველ საკითხზე პასუხი მარტივია – კანონში არ არის მოცემული უშუალო განმარტება, თუ ვის მიერ უნდა იქნეს სასაქონლო ნიშანი

³¹⁸ იხ. სნშ-ის 45-ე მუხლით განსაზღვრული, განსაკუთრებული უფლებების შემთხვევა.

³¹⁹ არ იგულისხმება მოცემულობა, როდესაც პირი დაასაბუთებს, რომ სასაქონლო ნიშანი საყოველთაოდ ცნობილია – იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 21.1.2026, №2/28646-24.

³²⁰ ანალოგიურად შეიძლება სნშ-ის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე საუბარიც. ასევე, ცალკე მსჯელობის საგანია არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პრინციპებიდან გამომდინარე ქმედებების შეფასება, რომელიც წინამდებარე ნაშრომში შეგნებულად არაა განხილული.

შექმნილი. ტერმინი „განმცხადებელი“ აღნიშნული განმარტებისთვის მეორეხარისხოვანია, რადგან ის შეიძლება ნებისმიერი პირი იყოს. ანალოგიურად, ამ შემთხვევაში არ იკვეთება ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შემთხვევა – მაშასადამე, არ იკვეთება ფიზიკური პირის მონაწილეობის აუცილებლობა.

4.5 განსხვავება სასაქონლო ნიშანზე საავტორო უფლებების არსებობის კონტექსტში

შესაძლებელია (თუმცა, არ არის აუცილებელი წინაპირობა), რომ სასაქონლო ნიშანზე პირს გააჩნდეს საავტორო უფლებები. მაგალითად, მან შექმნას ნაწარმოები, რომელიც შემდგომ იქცევა (დარეგისტრირდება) სასაქონლო ნიშნად. ასეთ დროს მთავარია, რომ საავტორო უფლებებით იყოს დაცული ის საფუძვლები, რაც ნაწარმოების არსებობას განსაზღვრავს.³²¹ შესაბამისად, ერთმანეთისგან განსხვავდება ხელოვნური ინტელექტის ქმნილებაზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისა და ამავე ქმნილებაზე საავტორო უფლებების არსებობის საკითხი. პირველ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის გენერირება (მაშასადამე, ადამიანის ჩართულობის არარსებობა ან ნაკლები ჩართულობა) ვერ გახდება დამაბრკოლებელი საფუძველი,³²² თუმცა საავტორო უფლებების ნაწილში, ასეთი მოთხოვნა სამართლებრივ დასაბუთებას იქნება მოკლებული.³²³

4.6 მიღებული შედეგის ანალიზი

ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის შემდეგ მესამე პირს აქვს მხოლოდ კანონით ბუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში მოთხოვნის დაყენების უფლება, რაც დაკავშირებული იქნება ზოგად სტანდარტებთან. მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელოვნური ინტელექტის მიერაა შექმნილი სასაქონლო ნიშანი, არ წარმოადგენს საკანონმდებლო საფუძველს, რაც რეგისტრაციის გაუქმების/ბათილობის წინაპირობა შეიძლება გახდეს.

ამდენად, სამართლებრივი საფრთხე შეიძლება მხოლოდ საჯარო წესრიგზე დაფუძნებით იკვეთებოდეს, რაც ამ ეტაპზე მეტ-ნაკლებად თეორიული მოცემულობაა და მხოლოდ ჰიპოთეტური მსჯელობის საშუალებას იძლევა. დღევანდელი მოწესრიგების გათვალისწინებით, **ხელოვნური ინტელექტის ქმნილება შეიძლება, რომ**


³²¹ იხ. მაგალითად, *SI and Brompton Bicycle Ltd v Chedech/Get2Get*, 11.6.2020, №C-833/18 (CJEU).

³²² თუმცა, შეიძლება, რომ სხვა დამაბრკოლებელი წინაპირობები გამოიკვეთოს, რაზეც გამახვილდა ყურადღება და რაც კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

³²³ *AG München*, Urt. vom 13.2.2026 – 142 C 9786/25. იხ. ასევე, აღნიშნული პრაქტიკის ანალიზი: *Skupin*, GRUR-Prax №6/2026, 210; *Howe/Bald*, MMR №6/2026, 348.

დარეგისტრირდეს სასაქონლო ნიშნად. აღნიშნულის თქმის საფუძველს კი ინტელექტუალურ-შემოქმედებითობისა და ფიზიკური პირის აუცილებლობის არარსებობა წარმოადგენს.³²⁴

სქემა №6 – ხელოვნური ინტელექტის ქმნილების სასაქონლო ნიშნად რეგისტრაციის დასაშვებობა



5. სწრაფი რეაგირების მნიშვნელობა, ანუ გასაჩივრების გამართივებული მექანიზმი

მიუხედავად იმისა, რომ „AI Act“ აწესრიგებს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ საკითხებს, მოქნილი მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც დავები სწრაფად იქნებოდა გადაჭრილი, მასში არ გვხვდება. ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ხელოვნური ინტელექტის პროვაიდერთან უშუალოდ გასაჩივრების შესაძლებლობა ან დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სხვა მოქნილი მექანიზმი.³²⁵ ხელოვნური ინტელექტის განვითარების გათვალისწინებით კი, ასეთი მექანიზმის არსებობა დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.


³²⁴ Grätz, 2021, 124.

³²⁵ იხ. Ran/Huang/Wang/Hill/Chen, RAIL, Vol. 9, No.1, 2026, 76.

6. შეჯამებული მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტის ქმნილების არსის გათვალისწინებით, სამივე მიმართულებით შეიძლება შემდეგი მსჯელობის განვითარება: ა) **საავტორო უფლებებთან მიმართებით** – ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება ავტორი. ხელოვნური ინტელექტი ვერ შექმნის ნაწარმოებს. ეს ნიშნავს, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილებასთან მიმართებით არ შეიძლება არსებობდეს საავტორო (განსაკუთრებული) უფლებები; ბ) **მომიჯნავე უფლებებთან მიმართებით** – ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება შემსრულებელი; გ) **პატენტთან (გამოგონებასთან) მიმართებით** – ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება გამოგონებელი. ასევე, მისი ქმნილება ვერ ჩაითვლება გამოგონებად³²⁶ და შესაბამისად, არ უნდა მოხდეს მისი დაპატენტება. მსგავსად საავტორო უფლებებისა, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა ამ თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს თამაშობს; დ) **სასაქონლო ნიშნებთან მიმართებით** – ხელოვნური ინტელექტის ქმნილება შეიძლება, რომ სასაქონლო ნიშნად დარეგისტრირდეს. განსხვავებით, საავტორო (თუ საპატენტო) სამართლისგან, ასეთ დროს გადამწყვეტ როლს არ თამაშობს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის საკითხი.

სქემა №7 – ხელოვნური ინტელექტის ქმნილება ინტელექტუალური საკუთრების სამართალში (ძირითადი მიმართულებები)



³²⁶ შედარებით-სამართლებრივი მსჯელობისთვის იხ. Schrön, 2023, 144, 147.

საავტორო უფლებების წარმოშობა და, მაშასადამე, ნაწარმოების არსებობა, ადამიანის შემოქმედებას ეფუძნება.³²⁷ საკანონმდებლო ჩანაწერის გათვალისწინებით, იდენტური მიდგომაა (იგულისხმება, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობა) პატენტის ასპექტშიც. რაც შეეხება სასაქონლო ნიშანს, იგი მიმართულია სამრეწველო გამოყენებადობაზე,³²⁸ სადაც ადამიანური ჩართულობის აუცილებლობა არ იკვეთება.

მოყვანილი მსჯელობა, რომელიც მათ შორის, სქემაშიც არის ასახული, ეფუძნება საკანონმდებლო მიდგომებსა და საერთაშორისო გამოცდილებას. საინტერესოა, რომ 2025 წლის აგვისტო-სექტემბერში აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელ ქართულ („საქპატენტი“) და გერმანულ („DPMA“) საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილ იქნა განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თაობაზე. ორივე შემთხვევაში დაახლოებით მსგავსი პასუხი იქნა გაცემული.³²⁹ აღნიშნული პასუხები შესაბამისობაში მოდის წინამდებარე ნაშრომში განვითარებულ მსჯელობასთან.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარება ერთ-ერთი მაგალითია ტექნოლოგიური განვითარებისა,³³⁰ რომელსაც კანონმდებლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება. შესაბამისად, თითოეული საკითხის გადაწყვეტა დღევანდელი მოცემულობიდან გამომდინარე მსჯელობას ეფუძნება.³³¹ ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს საკანონმდებლო დონეზე შედარებით მოქნილი ან/და თანამედროვე განმარტებანი,³³² რომელიც ხელოვნური ინტელექტის ინტელექტუალური საკუთრების სამართალში ჩართულობას მოაწესრიგებს.

³²⁷ *მესხი*, 2025, 22.

³²⁸ იქვე.

³²⁹ შეკითხვა, ისევე როგორც პასუხი, არ ეხებოდა მომიჯნავე უფლებებს.

³³⁰ შესაბამისად, არსებობს საკითხები, რომლებზეც შეიძლება დღეისთვის ნამსჯელიც არ იყოს. ამის კლასიკური გამოვლინებაა ხელოვნური ინტელექტის მხრიდან ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ძლევა, რაც იმ მომენტამდე რთულად წარმოსადგენად მიიჩნეოდა. ამ საკითხზე იხ. *Ziegenbalg*, 2025, 35-36.

³³¹ შედარებით-სამართლებრივი მსჯელობისთვის იხ. მაგალითად, *Hoeren*, F&L №11/2023, 847.

³³² მით უმეტეს, ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობის იმ ეტაპზე, რაზეც დღეს კაცობრიობა იმყოფება და რომელსაც ვინაო ხელოვნური ინტელექტი („ANI“) ეწოდება. ამ საკითხზე იხ. *Rossipaul*, 2023, 26 და შ.

IV. გამოხატვის თავისუფლება, პიროვნული უფლებები და ხელოვნური ინტელექტი

მართალია, ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია პირადი არაქონებრივი უფლებები, მაგრამ მისი გამოყენებით შეიძლება სამართლის სუბიექტის უფლებები დაირღვეს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს, თუ ვის ეკისრება პასუხისმგებლობა: ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს თუ მოსარგებლეს/მომხმარებელს, რომლის დავალების საფუძველზეც დააგენერირა ხელოვნურმა ინტელექტმა? ნაშრომში მსჯელობა სწორედ ამ მიმართულებით იქნება განვითარებული.

1. ზოგადად გამოხატვის თავისუფლების თაობაზე

გამოხატვის თავისუფლება პოლიტიკურად აღიარებული და მისაღები, სამართლებრივად მოწესრიგებული და მორალურად გამართლებული სამართლებრივი ინსტიტუტია,³³³ რომელიც საკვანძო როლს თამაშობს დემოკრატიის არსებობისთვის.³³⁴ ისევე როგორც ადამიანის სხვა ძირითადი უფლებები, გამოხატვის თავისუფლებაც კაცობრიობის ეთაპობრივი განვითარების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, არსებობდეს პლატფორმები, რომლებზეც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა პოზიციის გაუღერება თუ ინფორმაციის გაცვლა.³³⁵

გამოხატვის თავისუფლება (თავისუფალი სიტყვის უფლება) საზოგადოების განვითარებას უწყობს ხელს და მიმართულია იმ პირთა ინტერესების დასაცავად, რომლებიც ამ თავისუფლების ადრესატებს წარმოადგენენ.³³⁶ ამგვარი თავისუფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა თავისუფლად კომუნიკაციის შესაძლებლობა.³³⁷ თავისუფალი კომუნიკაცია ინდივიდის უფლებას წარმოადგენს, დამოუკიდებლად ჰპოვოს განვითარება საზოგადოებაში.³³⁸ კომუნიკაციის არსებობა შეუძლებელია ინფორმაციის მიღებისა თუ გაცვლის გარეშე.³³⁹ თავის მხრივ, ინფორმაციის გარეშე აზრის

³³³ Lohmann in: Ringkamp/Widdau (Hrsg.), Menschenrechte und Gerechtigkeit in Menschenrechte im Konflikt, 2018, 17.

³³⁴ დოქტრინაში გვხვდება ტერმინი „დემოკრატიული დილემა“, რომელიც სწორედ ზემოაღნიშნულ თემატიკას ეხება. იხ. მაგალითად, Struth, 2019, 42 და შ.

³³⁵ Chander, VJTL Vol. 55, Iss. 5, 1175.

³³⁶ Kenyon, 2021, 183.

³³⁷ შესაძლებელია, რომ ითვალისწინებდეს ე.წ. ჩუმად ყოფნის უფლებასაც, რა დროსაც, პირი მხოლოდ იღებს ინფორმაციას, მაგრამ არ აქტიურობს სათანადოდ. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, Benedek/Kettemann, 2013, 36.

³³⁸ BVerfG, Urt. vom 15.1.1958 – 1 BvR 400/51.

³³⁹ როგორც წერილობითი, ისე – ვერბალური ფორმით. იხ. Schauer, in: Stone/Schauer (Ed.), The Oxford Handbook of Freedom of Speech, 2021, 160.

ფორმირებაა შეუძლებელი, რაც ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის გავრცელების თავისუფლების ხელყოფით აზრის თავისუფლების ხელყოფა მოხდება. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, **როგორც აზრის გამოხატვა, ისე ინფორმაციის გავრცელება, ხელს უწყობს ადამიანს თვითრეალიზებაში.**³⁴⁰ ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა ფორმით მოხდება იგი, მთავარია, რომ ინდივიდის მიერ არჩეული ფორმა სამართლებრივ ფარგლებში ექცეოდეს.³⁴¹ შედეგად, გამოხატვის თავისუფლება, როგორც ინდივიდუალური სიკეთე უნდა იქნეს აღქმული,³⁴² რომლის ერთ-ერთი მთავარი იდეა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა, რაც სხვადასხვა იდეისა თუ შეხედულების გაზიარებითაა შესაძლებელი.³⁴³

ხელოვნური ინტელექტი გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტია. მისი გზით დღეს უკვე შესაძლებელია, რომ მიღებულ იქნეს ინფორმაცია, ისევე როგორც დამუშავდეს ცალკეული საკითხები. თუმცა, მისი გამოყენება გამოხატვის თავისუფლების უსაზღვრო ფარგლებს ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს და მას შეზღუდვის წინაპირობა განესაზღვრება. ის, თუ რა შეიძლება იყოს შეზღუდვა, ყოველი შემთხვევიდან ინდივიდუალურად გამომდინარეობს.

2. კონტექსტი, პირის სტატუსი და ინდივიდუალური შეფასების აუცილებლობა

გამოხატვის თავისუფლება თითოეულ საზოგადოებაში ინდივიდუალურად აღიქმება და განცხადების გაანალიზებაც ინდივიდუალურ მიდგომებს ეფუძნება.³⁴⁴ სწორედ ამიტომ, კონკრეტული საქმე ცალკეული მოცემულობის მიხედვით უნდა განიმარტოს და უკვე არსებული (უკვე მომხდარი) მაგალითის მხოლოდ ფორმალურად გამოყენება/მოშველიება დაუშვებელია:³⁴⁵ მიუხედავად ერთი შეხედვით მსგავსი ფაქტობრივი მდგომარეობისა, აუცილებელია, რომ სასამართლოს მხრიდან არსებით გარემოებებსა და კონტექსტზე³⁴⁶ გამახვილდეს ყურადღება.³⁴⁷ მაგალითად, პირის მიმართ დადგა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა თაღლითობასთან დაკავშირებით. მიუხედავად პრეცედენტისა, აღნიშნული არ ნიშნავს, რომ ეს ფაქტი

³⁴⁰ Moon, 2022, 16.

³⁴¹ Fechner, 2017, 35.

³⁴² Oster, 2015, 18.

³⁴³ Lipschultz, 2022, 253.

³⁴⁴ იხ. მაგალითად, Baglow v. Smith [2015] O.N.S.C. 1175.

³⁴⁵ მაგალითად, აკადემიური საქმიანობის ფარგლებში გამოხატვის თავისუფლების ჭრილში, რომელიც არ განეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და რომელიც შესაძლოა, რომ კერძო ან საჯარო სამართალთან იკვეთებოდეს. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, Buján, in: Blicharz (Ed.), Freedom of Speech, 2019, 29.

³⁴⁶ ჯორბენაძე, „იუსტიცია“ №2(5), 62.

³⁴⁷ იხ. მაგალითად, BverfG, Bes. vom 11.12.2025 – Az.: 1 BvR 986/25.

შეიძლება განზოგადდეს და პირს სხვა დანაშაულთან (ვთქვათ, მკვლელობასთან) კავშირი დაბრალდეს.³⁴⁸ ამდენად, დაუშვებელია დავის გადანაცვება მხოლოდ სტიგმაზე დაყრდნობით.³⁴⁹

აქვე ყურადსაღებია, რომ ასეთ დროს პირის სტატუსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. კერძოდ, თუ იგი წარმოადგენს საზოგადოებრივი ყურადღების ქვეშ მყოფ პირს (არის ასეთი მოვლენის მონაწილე), გამოხატვის თავისუფლების არეალიც უფრო ფართო განმარტებას დაექვემდებარება.³⁵⁰ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შემთხვევაშიც, პირველ რიგში სწორედ ეს გარემოება უნდა იქნეს განხილული.³⁵¹

3. ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი, როგორც პასუხისმგებელი სუბიექტი

რამდენად შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს? კერძოდ, თუნდაც მისი მხრიდან დაგენერირდეს არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი შინაარსი, რამდენად შეიძლება, რომ ეს წარმოადგენდეს მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია, რომ ანალოგია იქნეს გამოყენებული, რომელიც პლატფორმების პასუხისმგებლობას ეხება:

3.1 ზოგადად პლატფორმების პასუხისმგებლობის თაობაზე

პლატფორმების პასუხისმგებლობა ევროკავშირის ეგიდით „DSA“-ს საფუძველზე განისაზღვრება. აღნიშნულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა: „უკანონო შინაარსი“, ³⁵² რა შემთხვევაშიც განისაზღვრება სათანადო ქმედების დავალდებულების წინაპირობანი. მართალია, „DSA“ არ ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის გენერირების შემთხვევას, მაგრამ მისი შინაარსობრივი განმარტებიდან შეიძლება მივიჩნიოთ, რომ (პლატფორმების უპირატესად, „VLOP“-ების) შემთხვევაში, თუ გენერირების საფუძველზე გავრცელდება უფლებადამრღვევი შინაარსის მქონე ინფორ-

³⁴⁸ ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კონტექსტს. თუ კონტექსტუალურად განცხადების შინაარსი ექცევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, მაშინ ცილისწამების საფუძველიც არ გვხვდება.

³⁴⁹ *Reed*, 2023, 67.

³⁵⁰ იხ. მაგალითად, *Axel Springer AG v. Germany*, 7.2.2012, №39954/08 [GC] (ECtHR), ასევე, *Von Hannover v. Germany* (No. 2), 7.2.2012, №40660/08 and №60641/08 [GC] (ECtHR).

³⁵¹ მსჯელობისთვის იხ. *Walters v. OpenAI*, No. 23-A-04860-2 (Ga. Super. Ct., May 19, 2025).

³⁵² ინგლისურ ენაზე: „Illegal Content“. მისი განმარტება მოცემულია 3(h) მუხლში: „means any information that, in itself or in relation to an activity, including the sale of products or the provision of services, is not in compliance with Union law or the law of any Member State which is in compliance with Union law, irrespective of the precise subject matter or nature of that law“.

მაცია, შესაძლებელია, რომ პლატფორმებს გარკვეული მოქმედების განხორციელება დაევალოთ. ამ თვალსაზრისით, „DSA“-ს მოყვანა მხოლოდ ანალოგიის ჭრილშია დასაშვები, რაც შესაძლებელია, რომ საორიენტაციო მიზნებსაც ემსახურებოდეს.

თავის მხრივ, მსჯელობის საგანს წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის გამოყენება უფლებადამრღვევი შინაარსის მქონე აქტივობის აღსაკვეთად. ტექნოლოგიებზე უპირობო დაყრდნობა, რა დროსაც არ გადამოწმდება შინაარსი/ინფორმაცია, შესაძლებელია, რომ (შესაბამისი კრიტერიუმის გათვალისწინებით) ნეგატიური შედეგის მატარებელიც კი აღმოჩნდეს.³⁵³ ანალოგიური მოცემულობა მიემართება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობასაც.

ცალკე განხილვის თემაა, პლატფორმების მიერ ხელოვნური ინტელექტისა თუ „Big Data“-ს გამოყენება. იგივე სოციალური მედიის მიერ მომხმარებელთა ე.წ. ჯგუფებად დიფერენციაციამ შეიძლება, რომ ანტიდემოკრატიული წინაპირობები წარმოშვას.³⁵⁴ აღნიშნულის პარალელურად, პლატფორმებისთვის შესაძლებლობის მინიჭება, რომ თავად ნებისმიერი ტექნოლოგიური საშუალებით მოანესრიგონ არსებული ურთიერთობანი, შეიძლება, რომ ამ პროცესის ნეგატიური შემადგენელი ელემენტი გახდეს.

3.2 პარალელი საერთაშორისო პრაქტიკასთან

საერთაშორისო პრაქტიკასთან პარალელს პირველ რიგში, ფუნქციური დანიშნულება გააჩნია. კერძოდ, აუეს-ის პრაქტიკაში გვხვდება პრეცედენტები, როდესაც პლატფორმის, ისევე როგორც უშუალო განკარგვის შესაძლებლობის მქონე პირის პასუხისმგებლობა დადგა – *Delfi AS v. Estonia*³⁵⁵ საქმეში ვებგვერდის (პლატფორმის) პასუხისმგებლობა დადგა, ვინაიდან არასათანადო შინაარსი იქნა პლატფორმაზე გავრცელებული ანონიმური პირის მიერ და შინაარსი ერთმნიშვნელოვნად (გამოკვეთილად) უფლებადამრღვევი იყო. განსხვავებული მიდგომა განავითარა სასამართლომ საქმეში: *Magyar Tartalomsgazdálkodók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary*,³⁵⁶ თუმცა ამ შემთხვევაში უფლების დამრღვევი შინაარსის არსებობა, ცალსახად არ იკვეთებოდა. საქმეზე *Sanchez v. France*³⁵⁷ მიდგომა იმ ლოგიკას დაეფუძნა, რომ სოციალურ მედიაში პოსტის ავტორმა უნდა უზრუნველყოს მისი პოსტის ქვეშ არსებული კომენტარის შინაარსის კონტროლი (პოზიტიურ კონტექსტში).³⁵⁸ ზემოთ

³⁵³ ვთქვათ, სიძულვილის ენის კონტექსტში. იხ. მაგალითად, *ბალავადე*, №19 2/2025, 228.

³⁵⁴ *Heinrichs/Heinrichs/Rüther*, 2022, 164.

³⁵⁵ *Delfi AS v. Estonia*, 16.6.2015, №64569/09 [GC] (ECtHR).

³⁵⁶ *Magyar Tartalomsgazdálkodók Egyesülete and Index.hu Zrt v. Hungary*, 2.2.2016, №22947/13 (ECtHR).

³⁵⁷ *Sanchez v. France*, 15.5.2023, №45581/15 [GC] (ECtHR).

³⁵⁸ აღნიშნული საქმის ანალიზისთვის იხ. *ჯორბენაძე*, ავთანდილ დემეტრაშვილი 80, სკრ, 2021, 31-46.

მოყვანილ მსჯელობას შეიძლება დაემატოს ე.წ. შეტყობინების აუცილებლობის კრიტერიუმიც, როდესაც პლატფორმას (მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის შინაარსის ავტორი) წინასწარ ეცნობება შესაძლო უფლებადამრღვევ შინაარსზე.³⁵⁹

გემოთ მოყვანილი თითოეული შემთხვევა რომ ქართულ საკანონმდებლო მიდგომას მიესადაგოს, სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილიდან გამომდინარე, ბრალის მიუხედავად პასუხისმგებლობის კონტურები გამოიკვეთება. ლოგიკურად მივდივართ საკითხამდე, თუ რამდენადაა ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი ასეთ დროს პასუხისმგებელი, როდესაც მას „Output“-ის არასათანადო შინაარსში უშუალო ბრალი არ მიუძღვის?³⁶⁰ ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეიძლება შემდეგ ხუთ ერთობლივ გარემოებათა გათვალისწინებით: ა) თუ გამოირიცხება სახელშეკრულებო დათქმა, რომელიც მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს; ბ) თუ გამოირიცხება მოსარგებლის („Input“-ის განმახორციელებლის) მხრიდან არასათანადო დავალების მიცემის არსებობა; გ) თუ გამოირიცხება მოსარგებლის ქმედების არამართებულობა; დ) თუ გამოირიცხება ხელოვნური ინტელექტის ტექნიკური საკითხის შედეგობრიობის ნაწილი; ე) თუ გამოირიცხება წყაროს არსებობის საკითხი.

3.3 შუალედური შეჯამება

როგორც მსჯელობიდან იკვეთება, თანამედროვე სამართალი ზოგიერთ შემთხვევაში შინაარსის გავრცელების რისკს ტექნოლოგიურ სუბიექტებსაც აკისრებს. შესაბამისად, თეორიულად შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა დადგეს, მაგრამ ამისთვის ის წინაპირობები უნდა იქნეს დაძლეული, რომლებიც გემოთ არის მოცემული. კერძოდ, ა) სახელშეკრულებო რისკის განაწილება; ბ) მოსარგებლის „Prompt“-ის შინაარსის განმარტება; გ) მიმწოდებლის წვდომა ხელოვნური ინტელექტის სისტემაზე და გავლენის ფარგლები; დ) ცნობადობა არასათანადო შედეგების შესახებ; ე) წყაროს დასაბუთებულობა/იდენტიფიცირება და სადავო „Output“-ის ტექნიკური მიზეზი. მიუხედავად მსჯელობისა, პრაქტიკული თვალსაზრისით, ამგვარი დასაბუთება ურთულესია. იგივე მტკიცების ტვირთიც კი შეიძლება, რომ გადაულახავ ბარიერად მოგვევლინოს.

თავის მხრივ, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის არარსებობის მიუხედავად, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროს მოსარგებლეს, რომელიც ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგს დაეყრდნო. თითოეულ შემთხვევაში, საკითხი კონკრეტულ, უშუალოდ სპეციფიკურ თემატიკაზე დაყრდნობით მომწესრიგებელ ნორმებს უნდა დაეფუძნოს. ამ თვალსაზრისით, წინამდებარე

³⁵⁹ იხ. Tamiz v. Google Inc [2013] EWCA Civ 68.

³⁶⁰ იგულისხმება მოცემულობა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი თავად არ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა შინაარსით უნდა მოხდეს გენერირება.

ნაშრომში შემოთავაზებულია ორი მთავარი განშტოება: ცილისწამება და უფლება გამოსახულებაზე. მსჯელობაც თითოეულ მათგანზე დაყრდნობით წარიმართება.

4. ცილისწამება

ცილისწამების სამართლებრივი მოწესრიგება საქართველოში რამდენიმე ფაზისგან შედგება: თუ 2004 წლამდე იგი სსსკ-ის მიხედვით დანაშაულს წარმოადგენდა, 2004 წლიდან სგთშ-ის ფარგლებში კერძოსამართლებრივ ურთიერთობას დაექვემდებარა. საბოლოოდ, 2025 წლის ივნისში კანონში შევიდა ფუნდამენტური ცვლილებები (მტკიცების ტვირთის ნაწილში),³⁶¹ რამაც ცილისწამება ერთგვარად ჰიბრიდულ მოცემულობად წარმოაჩინა.³⁶²

4.1 ცილისწამების განმარტება

ცილისწამების განმარტება სგთშ-ში შემდეგი სახითაა მოცემული: „*არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირის სახელის გამტეხი განცხადება*“. მტკიცების ტვირთის გადანაწილება შემდეგნაირადაა განსაზღვრული: მოსარჩელემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს განცხადება, სადაც მიუთითებს იმას, თუ რა არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს იგი და უნდა დაასაბუთოს, თუ რატომაა განცხადება მოსარჩელის სახელის გამტეხი. შესაბამისად, მტკიცების ტვირთი მოპასუხეზეა.³⁶³ თუ განცხადება საჯარო პირს ეხება, მოპასუხის პასუხისმგებლობა გამოირიცხება მის მიერ საკუთარი კეთილსინდისიერების დამტკიცების შემთხვევაში.³⁶⁴ კერძოდ, როდესაც იგი მოახერხებს დასაბუთებას, რომ განცხადების გავრცელებამდე შესაბამისი ინფორმაციის სისწორის გადასამოწმებლად გონივრული ზომა მიიღო და ფაქტის მცდარობა მისთვის უცნობი იყო.³⁶⁵

მნიშვნელოვანი ასპექტია, რომ ცილისწამების საფუძვლით მოთხოვნის დაყენება ზოგად დანაწესს უნდა ეფუძნებოდეს. ეს ნიშნავს, რომ, პირველ რიგში, მოსარჩელე უნდა წარმოადგენდეს ცილისწამების ადრესატს.³⁶⁶ მაგალითად, პირთა განუსაზღვ-

³⁶¹ აღნიშნულის შესახებ იხ. *ქათამაძე*, ორბ. №9, 2025, 148-149.

³⁶² ახლებური მოწესრიგების თაობაზე იხ. *ჯორბენაძე*, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, 2025, 685-691.

³⁶³ იგულისხმება, არსებითად მცდარი ფაქტის დასაბუთების საკითხი. ზიანის ნაწილში იგი დარჩა უცვლელი.

³⁶⁴ როდესაც არ იკვეთება ბრალულობის საკითხი. იხ. მაგალითად, *Hustler Magazine, Inc. v. Falwell*, 485 U.S. 46 (1988).

³⁶⁵ დასახელებული განმარტება ეხმიანება 2025 წლამდე არსებულ მოწესრიგებას, როდესაც საჯარო პირის ცილისწამების შემთხვევაში, განზრახი ქმედების დასაბუთება ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენდა. ეს მიდგომა კი, თავისი არსით, აშშ-ს სასამართლო პრაქტიკასა და იქ გავრცელებულ მსჯელობას („Actual Malice“) ეფუძნებოდა – *New York Times Co. v. Sullivan*, 376 U.S. 254 (1964).

³⁶⁶ *Kenyon*, in: *Stone/Schauer* (Ed.), *The Oxford Handbook of Freedom of Speech*, 2021, 275.

რელი წრის მიმართ გავრცელებული ინფორმაციის შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნის დაყენება, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.³⁶⁷ ანალოგიურად, თუნდაც ხელოვნური ინტელექტის დახმარებით სახელმწიფოს (შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს) მიმართ გავრცელდეს არსებითად მცდარი განცხადება, მოსარჩელე ვერ იქნება სახელმწიფო.³⁶⁸ ამდენად, განცხადების ცილისმწამებლურად მიჩნევისთვის პირველი კრიტერიუმი (მაშასადამე, სათანადო მოსარჩელის ასპექტი) უნდა დაკმაყოფილდეს.

4.2 ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების არეალი

ის, თუ რამდენად შეიძლება, რომ ცილისწამების გავრცელება ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მოხდეს, სამსჯელო თემას წარმოადგენს. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ჩანაწერს გაესვას ხაზი, ხოლო, მეორე მხრივ, კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე წარიმართოს მსჯელობა.

სგთმ-ის 1-ელი მუხლის „ა“ ქვეპუნქტში მოცემული განმარტებით, ცილისმწამებლურ განცხადებას წარმოადგენს: „*ინფორმაცია, რომელიც განმცხადებელმა საჯაროდ გაავრცელა ან მესამე პირს გააცნო*“. მაშასადამე, საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია სადავო განცხადების გავრცელების არეალის დადგენა.^{369/370} მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ მაშინ, როდესაც განცხადება საჯაროდ გავრცელდა,³⁷¹ არამედ მაშინაც, თუ იგი მხოლოდ მესამე პირისთვის გახდა ცნობილი.³⁷² განცხადება მესამე პირისთვის სხვადასხვა საშუალებით შეიძლება გახდეს ცნობილი.³⁷³ მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სატელეფონო საუბარი,³⁷⁴ წერილი³⁷⁵ და სხვ.

ამდენად, გავრცელების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განცხადების ცილისმწამებლურად მიჩნევისთვის,³⁷⁶ რომლის ფარგლებშიც არანაკლებ სამი პირის

³⁶⁷ თსს გადაწყვეტილება, 17.12.2019, №2/6328-19.

³⁶⁸ BGH, Urt. vom 24.2.2026 – VI ZR 415/23.

³⁶⁹ იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 27.6.2023, №2ბ/754-23.

³⁷⁰ აღნიშნული შეესაბამება მიდგომას, რომ გავრცელების კრიტერიუმის არსებობისთვის მთავარია, რომ არანაკლებ მესამე პირს მიუვიდეს ინფორმაცია. ამ საკითხზე იხ. *Cauchi* in: Crone (Ed.), *Law and the Media*, 2002, 9.

³⁷¹ იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 26.7.2017, №ას-1011-972-2016.

³⁷² იხ. მაგალითად, *Peruzzi v. Italy*, 30.6.2015, №39294/09 (ECtHR).

³⁷³ *Kenyon* in: *Stone/Schauer* (Ed.), *The Oxford Handbook of Freedom of Speech*, 2021, 275.

³⁷⁴ იხ. სუს განჩინება, 30.3.2023, №ას-1373-2022 – საინტერესოა, რომ აღნიშნულ დავაში მოსარჩელემ მხოლოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხი დააყენა. მართალია, საპირისპირო ცნობის გავრცელების თაობაზე არ ყოფილა მოთხოვნა, თუმცა სასამართლომ საქმე ცილისწამების კონტექსტში განიხილა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც აღნიშნულზე დაფუძნებით მიიღო.

³⁷⁵ სუს გადაწყვეტილება, 16.3.2023, №ას-836-2020.

³⁷⁶ სუს განჩინება, 5.3.2021, №ას-810-2019.

მონაწილეობა იკვეთება:³⁷⁷ გამავრცელებელი, ადრესატი და მესამე პირი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი (ცნობილი) გახდა განცხადება³⁷⁸ (ცალკე ხაზგასასმელია, რომ მესამე პირს უნდა შეეძლოს ადრესატის (მოსარჩელის)³⁷⁹ იდენტიფიცირება³⁸⁰).³⁸¹ თავის მხრივ, სწორედ გავრცელებაზე დამოკიდებული მოთხოვნის დაყენების საკითხი. კერძოდ, ის, თუ რა შეზღუდვის დაწესება იქნება სამართლებრივად მართებული³⁸² და რა სასარჩელო მოთხოვნით უნდა მიმართოს მხარემ სასამართლოს.

4.2.1 საჯარო განცხადება

საჯარო („Public“) განცხადება ცილისმწამებლური განცხადების გავრცელების ყველაზე ხშირ შემთხვევას წარმოადგენს. მასში არ მოიაზრება მხოლოდ ე.წ. „ტრადიციული მედიის“ გზით გავრცელებული განცხადება,³⁸³ არამედ იგი მოიცავს ნებისმიერ საშუალებას³⁸⁴/ადგილს,³⁸⁵ რომლითაც შესაძლებელია განცხადების **პირთა ფართო წრისთვის** გაცნობა.³⁸⁶ სასამართლო პრაქტიკაში საჯაროობის საკითხი და მისი მნიშვნელობა მკაფიოდ ხაზგასმული და გამოკვეთილია:³⁸⁷ იმ შემთხვევაში, თუ სადავო განცხადება არ იქნა საჯაროდ გავრცელებული,³⁸⁸ მოპასუხის სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დადგება.³⁸⁹

ამდენად, გავრცელების არეალი (ამ შემთხვევაში, გასაჯაროება) ერთ-ერთ ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს, რათა სასამართლომ სათანადოდ შეძლოს საკითხის განხილვა.³⁹⁰ უშუალოდ გასაჯაროების არარსებობა კი არ გულისხმობს ავტომა-

³⁷⁷ შედარებისთვის, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისა თუ პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში, სწორედ გავრცელების არეალის განსაზღვრა თამაშობს გადაწყვეტ როლს. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 13.10.2022, №ას-517-2022.

³⁷⁸ Silver, in: Stewart (Ed.), Social Media and the Law, 2017, 32.

³⁷⁹ ამ შემთხვევაში, მესამე პირის მხრიდან მოპასუხის იდენტიფიცირება არ თამაშობს გადაწყვეტ როლს.

³⁸⁰ Lee/Stewart/Peters, 2020, 118.

³⁸¹ იხ. Timm, 1999, 176.

³⁸² იხ. მაგალითად, Köstler, 2022, 32.

³⁸³ მაგალითად, გადაცემაში, პირდაპირ ეთერში გავრცელებული განცხადება. ამ საკითხზე იხ. თსაპ განჩინება, 31.7.2019, №2ბ/2849-18.

³⁸⁴ ამ საკითხზე იხ. მესხიშვილი, 2020, 257.

³⁸⁵ შეად. სუს განჩინება, 13.1.2004, №2კ-304აბ.-04.

³⁸⁶ სუს განჩინება, 9.1.2014, №ას-1559-1462-2012.

³⁸⁷ იხ. სუს განჩინება, 5.3.2021, №ას-810-2019.

³⁸⁸ გარდა მესამე პირისთვის ინფორმაციის გაცნობის შემთხვევისა.

³⁸⁹ ფართო მსჯელობისთვის იხ. სუს განჩინება, 19.2.2024, №ას-1100-2023 – აღნიშნული განჩინებით საჯაროება ერთ-ერთ წინაპირობადაა მიჩნეული და შესაბამისადაა მისი სამართლებრივი საკითხი განხილული.

³⁹⁰ იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 20.3.2019, №2/6346-18.

ტურად სასამართლოს მხრიდან სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველს. სასამართლო აღნიშნულ გარემოებას შეაფასებს და მას საბოლოო გადაწყვეტილებაში ასახავს.³⁹¹

განვიხილოთ მაგალითი: პირი ეფუძნება ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგს და ამზადებს განცხადებას, სადაც ადრესატზე მითითებაა, როგორც „მკვლელზე“, ხოლო კონტექსტიდან პირდაპირ იკვეთება, რომ ადამიანის მკვლელობაზეა ხაზგასმთ. ლოგიკურად, ამ პოსტის გამოქვეყნებისთვის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, მაგრამ რა მოხდება, თუ იგი ამ განცხადებას მიაწვდის ადრესატს პირადად და აუხსნის, რომ მის გავრცელებას გეგმავს? ასეთ შემთხვევაში, საჯაროობის არარსებობის გათვალისწინებით,³⁹² ადრესატს არ ექნება ცილისწამების თაობაზე მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა ამ პირის მიმართ. უკიდურესი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი შეიძლება იყოს ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიმართ მოთხოვნის დაყენება, ისიც სათანადო საფუძვლის არსებობის გათვალისწინებით.³⁹³

4.2.2 ადრესატის პირადი კომუნიკაცია ხელოვნურ ინტელექტთან

ზოგადი დანაწესის მიხედვით, პირადი კომუნიკაციიდან გამომდინარე სამართლებრივი შედეგი ცილისწამების კონტექსტში არ დგება,³⁹⁴ ვინაიდან პირადი კომუნიკაცია ვერ აკმაყოფილებს, მათ შორის, ისეთ კრიტერიუმს, როგორიცაა არანაკლებ, მესამე პირისთვის განცხადების გაცნობა.³⁹⁵ ამდენად, **თუ განცხადება არაა საჯაროდ გავრცელებული ან/და მესამე პირისთვის გაცნობილი, იგი ვერ გახდება ცილისწამების საფუძველი**. თუმცა, საკმარისია, რომ კომუნიკაციაში მესამე პირიც მონაწილეობდეს (შესაბამისი სტატუსის გათვალისწინებით), შესაძლებელი გახდება, რომ ცილისწამების საფუძველმა იარსებოს.³⁹⁶ ამდენად, თუ არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი მონაცემები გავრცელებულია ორ პირს შორის არსებული პირადი მიმოწერის ფარგლებში და ეს ინფორმაცია უშუალოდ მიმოწერის მონაწილეს ეხება, იგი ვერ ჩაითვლება ცილისწამებად.³⁹⁷ პირადი კომუნიკაცია, ერთი მხრივ, როგორც

³⁹¹ იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 20.12.2022, №2/19427-20.

³⁹² მაგალითიდან გამომდინარე, თუ რა თქმა უნდა, პირის მიერ არ გავრცელდა საჯაროდ განცხადება და იგი მხოლოდ ადრესატის ინფორმირებით შემოიფარგლა.

³⁹³ მსჯელობისთვის იხ. *Walters v. OpenAI*, No. 23-A-04860-2 (Ga. Super. Ct., May 19, 2025).

³⁹⁴ იხ. სუს განჩინება, 28.7.2016, №ას-103-98-2014.

³⁹⁵ იხ. ჯორბენაძე, ლადო ჭანტურია 55, სკრ, 2018, 53-66.

³⁹⁶ იქვე, 63-64.

³⁹⁷ გამონაკლისია, თუ პირადი მიმოწერის ადრესატი არ არის იგივე პიროვნება, ვისკენაც მიმართულია ცილისწამებულური განცხადება. იხ. სუს განჩინება, 28.7.2016, №ას-103-98-2014.

წესი, წარმოადგენს პირად დამოკიდებულებას,³⁹⁸ მეორე მხრივ, ინდივიდუალურ კომუნიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი ინფორმაცია არ ხდება (თუ მხარეებმა არ მოისურვეს) საჯარო³⁹⁹ ან მესამე პირისთვის ხელმისაწვდომი.⁴⁰⁰

რამდენად შეიძლება, რომ საკითხი მოექცეს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას განსახილველ შემთხვევაში? კერძოდ, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა უმეტეს შემთხვევაში პირადი კომუნიკაციის გზით ხდება. მაგალითისთვის შეიძლება შემდეგი მსჯელობის მოყვანა: მოსარგებლე ხელოვნურ ინტელექტს ეკითხება თავის შესახებ. ხელოვნური ინტელექტი აგენერირებს პასუხს, რომელიც შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტს. შეუძლია მოსარგებლეს, რომ სარჩელი შეიტანოს ხელოვნური ინტელექტის მიმართ? თუ საკითხს პირად კომუნიკაციად დავაკვალიფიცირებთ, მაშინ წინდაწინვე გამოირიცხება სამართლებრივი შედეგის დადგომის შესაძლებლობა, მაგრამ თუ ეს წინაპირობა გადაილახება, მაშინ წინა პლანზე იწვევს იგივე ზიანის საკითხის განსაზღვრა, რომელიც მოსარჩელის მხრიდან რთულად იქნება დასამტკიცებელი.

4.2.3 მესამე პირისთვის გაცნობა

მესამე პირისთვის გაცნობისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამ ასპექტს: ა) რამდენად მივიდა განცხადება მესამე პირამდე;⁴⁰¹ ბ) კონტექსტს, თუ რა შედეგის მომტანია იგი მოსარჩელისთვის;⁴⁰² გ) ვინ წარმოადგენს „მესამე პირს“.⁴⁰³ საკითხისადმი მხოლოდ ფორმალური მიდგომა არ იქნება მართებული და ტერმინში „მესამე პირი“ არ უნდა მოიაზრებოდეს ნებისმიერი სხვა პირი, ვინც გაეცნობა განცხადებას.⁴⁰⁴ ასეთ დროს მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, თუ რა ურთიერთობაშია განმცხადებელი ან/და ადრესატი „მესამე პირთან“, ⁴⁰⁵ ასევე, რამდენად ზიანის მომტანი იყო აღნიშნული განცხადება ადრესატისთვის (თუნდაც პრეზუმირებულ კონტექსტში ⁴⁰⁶).^{407/408} მაგალითად, თუ გაიგზავნა კონკრეტულ უწყებაში (კომპანიაში) გან-

³⁹⁸ იხ. მაგალითად, სრს გადანაცვები, 7.9.2018, №2/124-2018.

³⁹⁹ იგულისხმება გავრცელება – *Solmecke/Wahlers*, 2014, 241.

⁴⁰⁰ ქსაპ განჩინება, 22.3.2019, №2/ბ-1159-18.

⁴⁰¹ *Moore/Murray/Youm*, 2022, 137.

⁴⁰² მაშასადამე, პირისთვის, ვის შესახებაც ვრცელდება განცხადება.

⁴⁰³ *Wojczuk v. Poland*, 9.12.2021, №52969/13 (ECtHR).

⁴⁰⁴ შეად. სუს განჩინება, 7.5.2018, №ას-1857-2018.

⁴⁰⁵ მაგალითად, არის თუ არა „მესამე პირი“ ე.წ. „გარეშე პირი“ – იხ. *Allée v. France*, 18.1.2024, №20725/20 (ECtHR).

⁴⁰⁶ იხ. *მესხიშვილი*, 2020, 255.

⁴⁰⁷ *Peruzzi v. Italy*, 30.6.2015, №39294/09 (ECtHR).

⁴⁰⁸ რამდენად ცილისმწამებლური შინაარსის შემცველია ტექსტი – სუს განჩინება, 28.7.2016, №ას-103-98-2014.

ცხადება (წერილი), რომელიც კონკრეტულ პირზე ცილისმწამებლურ განცხადებას შეიცავს, მაშინ შეიძლება, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობა დადგეს.⁴⁰⁹

ის, თუ რა ფორმით შეიძლება მიენოდოს მესამე პირს ცილისმწამებლური განცხადება, კანონში არაა დაკონკრეტებული. შესაბამისად, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმით, რა გზითაც დასაშვებია განცხადების გაცნობა. მაგალითად, წერილით, ვერბალური ფორმით,⁴¹⁰ ელ. ფოსტის საშუალებით⁴¹¹ და სხვ. ანალოგიურ კონტექსტში ექცევა ხელოვნური ინტელექტის გენერირება. მაგალითად, ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერირა „Output“ და მიაწოდა იგი მოსარგებლეს შემდეგი შინაარსით/სიტყვებით: „ყოფილი თანამდებობის პირი – „ალექსანდრე“⁴¹² ჩართული იყო კორუფციულ გარიგებაში და იგი ამ გარიგების ფარგლებში, იღებდა სარგებელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან“. მოსარგებლე დაუკავშირდა „ალექსანდრეს“ და ჰკითხა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით. „ალექსანდრემ“ უარყო ფაქტი, მეტიც, მან მოსარგებლეს აუხსნა, რომ ასეთი არათუ გამამტყუნებელი განაჩენი, ზოგადად გავრცელებული ინფორმაციაა კი არ არსებობდა. შესაბამისად, „ალექსანდრემ“ დააყენა სასარჩელო მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიმართ.

სანამ ზემოთ მოყვანილ მაგალითს განვავრცობდეთ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევაში/დავებში სასარჩელო მოთხოვნების ჩამოყალიბების საკითხი გარკვეული სირთულეების მატარებელია. კერძოდ, განსხვავებით მედიაში (საჯაროდ) გავრცელებული განცხადებისგან, დასახელებული მაგალითის კვალად, პირმა ცილისმწამების საფუძვლებთან ერთად, უნდა დაასაბუთოს განცხადების გავრცელების ფაქტიც.⁴¹³ რაც შეეხება მოთხოვნებს: მაგალითად, თუ ერთ-ერთ დანესებულებაში გაიგზავნა ცილისმწამებლური განცხადება და ცნობილი გახდა პირთა განსაზღვრული წრისთვის,⁴¹⁴ საპირისპირო ცნობის გავრცელებაც შეიძლება ანალოგიურ კონტექსტში დაევალოს მოპასუხეს. პრაქტიკაში არსებობს შემთხვევა, როდესაც მოპასუხეს

⁴⁰⁹ იხ. Pullman v Walter Hill & Co Ltd [1891] 1 QB 524 (CA), ასევე, Medžlis Islamske zajednice Brčko and Others v. Bosnia and Herzegovina, 27.6.2017, №17224/11 [GC] (ECtHR).

⁴¹⁰ ხაზი უნდა გაესვას, რომ ან ნაწილში მსჯელობა არ ეხება მაგალითად, სოციალურ მედიაში გაკეთებულ განცხადებას, არამედ – უშუალო საუბარს. ამგვარი ფორმა, განსაკუთრებულად ართულებს მოსარჩელის მხრიდან მტკიცების ტვირთს. შესაბამისად, პრაქტიკაში რთული წარმოსადგენია, თუ როგორ უნდა მოხდეს მესამე პირისთვის ვერბალურად გაცხადებული (არ იგულისხმება ტექნოლოგიური საშუალებით გავრცელების ფარგლებში გაკეთებული) განცხადების დასაბუთება.

⁴¹¹ იხ. მაგალითად, Hrachya Harutyunyan v. Armenia, 27.8.2024, №15028/16 (ECtHR).

⁴¹² მაგალითში შეგნებულად არის მოცემული მხოლოდ სახელი. კამუისისთვის შეიძლება ვიგულისხმოდ, რომ „ალექსანდრეს“ იდენტიფიცირება შესაძლებელი იყო.

⁴¹³ იხ. მაგალითად, სრს გადაწყვეტილება, 7.9.2018, №2/124-2018.

⁴¹⁴ მით უმეტეს, თუ მოსარჩელეს შეუძლია, რომ უზრუნველყოს გარკვეული პლატფორმით მოპასუხე, სწორედ ამ პლატფორმაზე განათავსებინებს უარყოფელ განცხადებას.

პირისთვის ახალი განცხადების (წერილის) გაგზავნა დაევალა.⁴¹⁵ ასეთ დროს მოთხოვნა შედარებით განსხვავებულ კონტექსტშია წარმოჩენილი და მოსარჩელე თავად განსაზღვრავს შინაარსს/ფორმას, რომელზეც იმსჯელებს სასამართლო.⁴¹⁶ იბადება შეკითხვა, რამდენად შეიძლება, რომ მოყვანილი მაგალითის ფარგლებში დააყენოს მოთხოვნა „ალექსანდრემ“ და, თუკი სასამართლო მოთხოვნას დაუკმაყოფილებს, რამდენად ექნება მას გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების შესაძლებლობა?

სგთმ-ის მე-17 მუხლის 1-ელ პუნქტში ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს: „ცილისწამებასთან დაკავშირებით მოპასუხეს შეიძლება დაეკისროს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ“. ის, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ ჩანაწერში, თითოეული დავიდან გამომდინარე შეიძლება განისაზღვროს. ზემოთ მოყვანილი მაგალითის ფარგლებში, მოთხოვნის დაყენება, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა ახლებურად დააგენერიროს ინფორმაცია, რამდენად პრაქტიკული იქნებოდა, კითხვის ნიშანს ბადებს (თუმცა, ფორმალური თვალსაზრისით, დასაშვებია). ამიტომ, შეიძლება, რომ მოთხოვნა, იგივე ინფორმაციის ხელახლა მიწოდებას/დაკორექტირებას შეეხოს. ანალოგიურად, მოსარჩელეს აქვს უფლებამოსილება, რომ მოთხოვნა განსხვავებული მიმართულებითაც დააყენოს სასამართლოში.⁴¹⁷

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება განიმარტოს შემდეგი: თუ ხელოვნური ინტელექტი დააგენერირებს გარკვეულ პასუხს, პირს, რომელიც ამ პასუხის ფარგლებში ცილისწამებულ კონტექსტშია მოხსენიებული, შეიძლება გააჩნდეს უფლება, დაიწყოს დავა ცილისწამების საფუძვლით. გარდა ფორმალური წინაპირობისა, დასაბუთება/სასარჩელო მოთხოვნა იქნება ასეთ დროს გადამწყვეტი როლის მატარებელი.⁴¹⁸

4.3 ფაქტისა და ამრის გამიჯვნა

რამდენად შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მიერ საკითხის გენერირება ფაქტად იქნეს აღქმული? როგორც წესი, განცხადების ცილისწამებულად განსაზღვრისთვის ფაქტისა და ამრის ერთმანეთისგან გამიჯვნა მნიშვნელოვან როლს თამაშობს.⁴¹⁹ ამ თვალსაზრისით, პრაქტიკაში გარკვეული კრიტერიუმებიც არსებობს,⁴²⁰

⁴¹⁵ სუს გადაწყვეტილება, 16.3.2023, №ას-836-2020, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება – თსს გადაწყვეტილება, 6.3.2018, №2/2048-16 (სააპელაციო სასამართლოს მიერ ძალაში იყო დატოვებული პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება).

⁴¹⁶ მოთხოვნაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს მესამე პირისთვის გაგზავნის საკითხიც.

⁴¹⁷ იხ. სუს გადაწყვეტილება, 10.12.2025, №ას-610-2025.

⁴¹⁸ იდენტური საკითხისთვის იხ. Walters v. OpenAI, No. 23-A-04860-2 (Ga. Super. Ct., May 19, 2025).

⁴¹⁹ იგი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისას პროპორციულობის ტესტის განმსაზღვრელ წინაპირობას წარმოადგენს. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, ლოლაძე, ძირითადი უფლებები, კომენტარი, ლოლაძე/ფირცხალაშვილი, 2023, მ. 17, ვნ. 1153.

⁴²⁰ ეფუძნება პრაქტიკაში დამკვიდრებულ შეხედულებას: სუს განჩინება, 3.4.2012, №ას-1477-1489-2011.

რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება, კონტექსტის გათვალისწინებით, მივიდეს სასამართლო კონკრეტულ შედეგამდე.⁴²¹ მაგალითად, დაეყრდნოს სიტყვა-სიტყვით ან გრამატიკულ განმარტებას.⁴²² ცილისწამებასთან დაკავშირებული დავების უმეტესობაში, ⁴²³ მოპასუხე სწორედ ამრის თაობაზე აპელირებს.⁴²⁴ თუმცა, როდესაც საკითხი ხელოვნური ინტელექტით სარგებლობას ეხება, შესაძლებელია, რომ მხარეს მეტი დასაბუთება მოეთხოვოს.

4.3.1 ფაქტი, როგორც ობიექტური მოცემულობა

ფაქტს არ გააჩნია სუბიექტური კრიტერიუმი⁴²⁵ და იგი ობიექტურ მოცემულობად გვევლინება. ^{426/427} ეს კი ნიშნავს, რომ ფაქტი კონკრეტულია⁴²⁸ და რეალური შედეგის ⁴²⁹ გადმოცემას წარმოადგენს.⁴³⁰ აუეს-ის პრაქტიკითაც, ფაქტის (როგორც საკვანძო ასპექტის) სინამდვილესთან შესაბამისობა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა.⁴³¹

ზემოაღნიშნულის შესაბამისად განისაზღვრება მტკიცების ტვირთიც: დასაბუთება ეხება არა შეხედულების არამართებულობას ⁴³² (მსჯელობაში არსებულ ლოგიკას ⁴³³), არამედ – გავრცელებული ფაქტის მცდარობას.⁴³⁴ ანალოგიურად უნდა განიმარტოს გენერირებაც: იგი არ შეიძლება, რომ რეალურ შედეგთან გათანაბრდეს. სწორედ ამიტომ, **ხელოვნური ინტელექტის გენერირება არ უნდა გათანაბრდეს რეალობასთან**. მეტიც, თუ ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგს ფაქტს ვუწოდებ-

⁴²¹ თითოეული ჩამოთვლილი პირობა კუმულაციურად უნდა დასაბუთდეს მოსარჩელის მიერ, რათა ქმედება ცილისწამებად დაკვალიფიცირდეს.

⁴²² იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 13.11.2019, №2/23011-18.

⁴²³ მაგალითად, შესაგებელში. იხ. თსს გადაწყვეტილება, 2.3.2023, №2/38600-22; ასევე, სუს განჩინება, 22.3.2024, №ას-1582-2023.

⁴²⁴ თსს გადაწყვეტილება, 21.12.2018, №2/22022-18.

⁴²⁵ იგი არის „სუბიექტური მინარევებისგან აბსოლუტურად თავისუფალი, გარესამყაროში ობიექტურად არსებული მოვლენა“ – გაბეხაძე, სტკ, კორკელია (რედ.), 2006, 58.

⁴²⁶ პრაქტიკაში გვხვდება ასევე ტერმინი: „ობიექტური სიცხადე“ – სუს გადაწყვეტილება, 26.7.2017, №ას-1011-972-2016.

⁴²⁷ მაგალითად, გამოიხატება რაოდენობის განსაზღვრაში – იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 16.3.2023, №ას-836-2020.

⁴²⁸ სუს განჩინება, 1.10.2014, №ას-179-172-2012.

⁴²⁹ იგულისხმება რეალურად მომხდარი მოვლენა. იხ. კუბლაშვილი, 2022, 186.

⁴³⁰ თსს გადაწყვეტილება, 22.11.2018, №2/6652-17.

⁴³¹ Dalban v. Romania, 28.9.1999, №28114/95 [GC] (ECtHR), ასევე, Castells v. Spain, 23.4.1992, №11798/85 (ECtHR).

⁴³² მაგალითად, მისი უნარ-ჩვევების შესახებ მოპასუხის შეხედულების კუთხით – თსს გადაწყვეტილება, 7.11.2018, №2/6060-18. შედარებისთვის. იხ. Sidis v. FR Pub. Corporation, 113 F.2d 806 (2d Cir. 1940).

⁴³³ სუს განჩინება, 17.3.2021, №ას-234-2020.

⁴³⁴ შეად. მაგალითად, ქსს გადაწყვეტილება, 8.12.2021, №2/2215-18.

დით, მაშინ დასაშვები იქნებოდა მისი გათანაბრება ობიექტურ მოცემულობასთან. ეს კი განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობდა.

4.3.2 აზრი, როგორც სუბიექტური პოზიცია

კაცობრიობის პროგრესის ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ აზრის და შესაბამისად, ფიქრის თავისუფლებაა,⁴³⁵ რაც, ერთი მხრივ, პიროვნების თვითრეალიზაციის საშუალებაა,^{436/437} ხოლო, მეორე მხრივ, დემოკრატიული სისტემის ფუძემდებლურ საფუძვლად მიიჩნევა.⁴³⁸ იგი ყოველთვის პირადი დამოკიდებულების გამოვლინებას,⁴³⁹ გონებითი სფეროს რეზულტატს/შედეგს წარმოადგენს.^{440/441} აზრი შეიძლება დაეფუძნოს როგორც ცალკეულ მოვლენებს,⁴⁴² ფაქტებს⁴⁴³ (გარემოებებს⁴⁴⁴),⁴⁴⁵ ისე ფაქტების შეჯერების გარეშე იყოს ჩამოყალიბებული/გასაჯაროებული.⁴⁴⁶ თითოეულ შემთხვევაში, აზრს არ უნდა გააჩნდეს ფაქტებით მტკიცების პრეტენზია⁴⁴⁷ (როგორც მართებულობის, ისე მცდარობის კონტექსტში⁴⁴⁸),⁴⁴⁹ არ უნდა პქონდეს მნიშვნელობა, ღირებულია იგი თუ არა, ასევე, გამოყენებადია თუ არა⁴⁵⁰ და

⁴³⁵ Bury, *Geschichte und Gedankenfreiheit*, 2023, 147.

⁴³⁶ იხ. გოცირიძე, სტკ, კორკელია (რედ.), 2006, 105.

⁴³⁷ აღნიშნული კი კომუნიკაციის თავისუფლებაში გამოიხატება – Dörr in *Medienrecht*, Dörr/Kreile/Cole (Hrsg.), 2022, 94.

⁴³⁸ შაიო, 2003, 350.

⁴³⁹ სუს განჩინება, 6.4.2020, №ას-1366-2019; ასევე, სუს განჩინება, 26.2.2026, №ას-1086-2025.

⁴⁴⁰ ქსაპ განჩინება, 6.5.2019, №2/ბ-120-19.

⁴⁴¹ მეტი განმარტებისთვის იხ. კუბლაშვილი, 2022, 182.

⁴⁴² იხ. მაგალითად, სსს გადაწყვეტილება, 11.3.2004, №2/1/241 საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴⁴³ განსაკუთრებით, არსებითად არამცდარ ფაქტებს. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 17.11.2022, №ას-33-2022.

⁴⁴⁴ სუს გადაწყვეტილება, 30.9.2015, №ას-1052-1007-2014.

⁴⁴⁵ ასევე, საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციას – სუს განჩინება, 21.4.2021, №ას-706-2020.

⁴⁴⁶ რსს გადაწყვეტილება, 19.4.2023, №2/2704-22.

⁴⁴⁷ შეფასებითი მსჯელობის მართებულება არ ექვემდებარება მტკიცებას. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 27.6.2023, №ას-1609-2022.

⁴⁴⁸ თსაპ განჩინება, 25.6.2013, №2ბ/696-13.

⁴⁴⁹ საილუსტრაციოდ: პირადი დამოკიდებულების გასაჯაროებისას არ უნდა გააჩნდეს პირს პრეტენზია, რომ მისი აზრი აუცილებლად მართებულია, ისევე, როგორც მოსარჩელე ვერ დაასაბუთებს მის არამართებულობას – იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 11.5.2015, №ას-1084-1034-2014. ანალოგიურადაა საკითხი განხილული აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში, რომლის ფარგლებშიც შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ დაუშვებელია არსებობდეს ტერმინი – „მცდარი აზრი“. იხ. Elmer Gertz v. Robert Welch, Incorporated, 418 U.S. 323 (1974); დოქტრინაში ამავე საკითხთან დაკავშირებით იხ. Posey, WMLR, Vol. 30:469, 1989, 477 და შ.

⁴⁵⁰ Fechner, 2018, 198.

ა.შ. აზრის ბუნების გათვალისწინებით, არ უნდა იკვეთებოდეს ობიექტური მოცემულობის მტკიცების მცდელობა,⁴⁵¹ რაც მეტ კონკრეტიზაციას⁴⁵² მოითხოვს.⁴⁵³ მსგავს კატეგორიაში ექცევა არსებულ მტკიცებულებათა თუ გარემოებათა მხარისეული აღქმის საკითხი,⁴⁵⁴ რომელიც შეიძლება ვარაუდსაც წარმოადგენდეს⁴⁵⁵ და რომელიც აზრად უნდა დაკვალიფიცირდეს.⁴⁵⁶

4.3.2.1 აბსოლუტური პრივილეგია

სგთშ-ის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტით, აზრი აბსოლუტური პრივილეგიითაა დაცული. ამავ კანონით „აბსოლუტური პრივილეგია“ განმარტებულია როგორც „კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება“. შესაბამისად, თუ სადავო განცხადება აზრად დაკვალიფიცირდება, ცილისწამების საკითხი არ დადგება.⁴⁵⁷

4.3.2.2 განსხვავება აზრის გამოხატვასა და აზრის ქონას შორის

გამოხატვა არ გულისხმობს ყოველთვის აბსოლუტური მოქმედების ფარგლებს,⁴⁵⁸ არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ფორმასა თუ კონტენტს.⁴⁵⁹ მაშასადამე, გამოხატვის შემდეგ უნდა განისაზღვროს, განცხადება შეიცავს ფაქტს, თუ აზრს.⁴⁶⁰ არასათანადო გამოხატვა კი უფლებაში ჩარევის წინაპირობას წარმოადგენს.

გამოხატვისგან განსხვავებით, აზრის ქონა არ იზღუდება საკანონმდებლო დონეზე.^{461/462} მეტიც, ამ თვალსაზრისით **არ არსებობს ტექნიკური ბერკეტი, რომელიც**

⁴⁵¹ შეად. ორს გადაწყვეტილება, 31.1.2018, №2-836-17.

⁴⁵² კონკრეტული ინფორმაცია, რომელთა დადასტურება ან უარყოფაა შესაძლებელი. იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 10.4.2019, №2/16709-18.

⁴⁵³ თსს გადაწყვეტილება, 4.4.2018, №2/9450-17.

⁴⁵⁴ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც განცხადება არსებითად მცდარ ფაქტს შეიცავს. აღნიშნული არ მოეცემა აზრის თავისუფლების კონტექსტში – *Franklin/Bussel*, WMLR, Vol. 25, 1983-1984, 882.

⁴⁵⁵ იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 8.12.2014, №2ბ/1129-14.

⁴⁵⁶ იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 21.4.2021, №ას-706-2020.

⁴⁵⁷ აბსოლუტური პრივილეგიის განმარტების თაობაზე იხ. სუს განჩინება, 15.2.2024, №ას-585-2023 – სასამართლო ერთმანეთისგან მიჯნავს აზრის ქონასა და გამოხატვას.

⁴⁵⁸ ცალკეულ შემთხვევაში, შეიძლება მას ნეგატიური სოციალური შედეგები მოჰყვეს (ბოროტად გამოყენების სახით). იხ. *გოცირიძე*, სტკ, კორკელია (რედ.), 2006, 98 და შ.

⁴⁵⁹ *Jishkariani v. Georgia*, 20.9.2018, №18925/09 (ECtHR).

⁴⁶⁰ *Brasilier v. France*, 11.4.2006, №71343/01 (ECtHR).

⁴⁶¹ *ლოლაძე*, ძირითადი უფლებები, კომენტარი, *ლოლაძე/ფირცხალაშვილი*, 2023, მ. 17, ვნ. 1107.

⁴⁶² პრაქტიკაში განვითარებული მსჯელობისთვის იხ. სუს განჩინება, 15.2.2024, №ას-585-2023.

გააკონტროლებდა პირის პოზიციას. ამდენად, პირს შეიძლება გააჩნდეს აზრი, რომელიც თუნდაც დანაშაულის ჩადენას ან სხვა პირის მიმართ ცილისმწამებლურ დამოკიდებულებას ეხება, თუმცა, იგი აღნიშნულ აზრს არ ავრცელებდეს/გამოხატავდეს. ასეთ დროს სამართლებრივი შედეგი მის მიმართ არ დადგება.

4.3.2.3 შეურაცხყოფელი, აღმაშფოთებელი და მოკისმომგვრელი მოსაზრებები

სუბიექტურობის კრიტერიუმის გათვალისწინებით, არ აქვს მნიშვნელობა, აზრი დასაძრახია,⁴⁶³ მართებული,⁴⁶⁴ უსამართლო,⁴⁶⁵ რაციონალური თუ ემოციური,⁴⁶⁶ ეთიკური თუ არაეთიკური,⁴⁶⁷ ისევე, როგორც გამოთქმულია უცხო თუ ნაცნობი პირის მიმართ.⁴⁶⁸ ყველა შემთხვევაში, **აზრი დაცულია ჩარევისგან,⁴⁶⁹ თუნდაც პირისთვის იგი მისაღები არ იყოს.**⁴⁷⁰ შესაბამისად, აზრი შეიძლება გამოითქვას საზოგადოებისთვის უსიამოვნო,⁴⁷¹ არაპოპულარული პოზიციის კონტექსტში,⁴⁷² რომელიც შეიძლება მკაცრ ტონადაც იყოს შეფასებული.⁴⁷³ აღნიშნულის კვალად, აზრის კატეგორიაში ექცევა და ცილისწამებად არ დაკვალიფიცირდება შეხედულება პირის (მაგალითად, დასაქმებულის) საქმიანობასთან დაკავშირებით,⁴⁷⁴ ისევე, როგორც პირის უნარების, ცოდნის, მუშაობის ეფექტურობის შესახებ,⁴⁷⁵ მით უმეტეს, თუ ეს მოცემულობა საჯაროდაა ცნობილი.⁴⁷⁶ მოყვანილი მსჯელობა არ ნიშნავს, რომ საჯარო პირის მიმართ ნებისმიერ შემთხვევაშია დასაშვები ამგვარი მოსაზრებების გამოთქმა-გავრცელება.⁴⁷⁷ როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველ რიგში განცხადების

⁴⁶³ ქსაპ განჩინება, 22.3.2019, №2ბ/-1159-18.

⁴⁶⁴ იხ. *Haug*, 2016, Rn. 59.

⁴⁶⁵ *Fechner*, 2018, 217.

⁴⁶⁶ მაგალითად, პირი გამოხატავს თავის გულისტკენას, ემოციას. იხ. სუს განჩინება, 28.7.2016, №ას-103-98-2014.

⁴⁶⁷ იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 30.3.2018, №2/3732-18.

⁴⁶⁸ იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 7.5.2019, №ას-1857-2018.

⁴⁶⁹ *Pfeiffer*, 2022, 1.

⁴⁷⁰ სსს გადაწყვეტილება, 10.11.2009, №1/3/421,422 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

⁴⁷¹ ისევე, როგორც მოსარჩელისთვის უსიამოვნო კონტექსტში. იხ. მაგალითად, *Donald J. Trump for President, Inc. v. N.Y. Times Co.*, No. 152099/2020 (N.Y. Sup. Ct. Mar. 9, 2021).

⁴⁷² იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 17.12.2019, №2/6328-19.

⁴⁷³ *Morice v. France*, 23.4.2015, №29369/10 (ECtHR); სუს განჩინება, 20.5.2016, №ას-625-593-2014.

⁴⁷⁴ სუს განჩინება, 27.5.2015, №ას-1304-1242-2012.

⁴⁷⁵ *Witting*, 2015, 528.

⁴⁷⁶ იხ. *Sidis v. FR Pub. Corporation*, 113 F.2d 806 (2d Cir. 1940).

⁴⁷⁷ იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 25.11.2020, №ას-1606-2019.

შინაარსის კვალიფიკაცია უნდა მოხდეს და მხოლოდ ამის შემდეგ – სათანადო შინაარსის განსაზღვრა.⁴⁷⁸

აუეს-ის პრაქტიკითა და გამოხატვის თავისუფლების არსის გათვალისწინებით, ასევე დაცულია ინფორმაცია (განცხადება), რომელიც შოკირებადი, ირონიული,⁴⁷⁹ ან შემაწუხებელია.⁴⁸⁰ მიდგომა გაზიარებულია ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც.⁴⁸¹ ასეთი დათქმა პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ფართო აზროვნების უზრუნველყოფის გარანტს წარმოადგენს,⁴⁸² რომლის გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება.⁴⁸³ ამდენად, ქმედება, თუნდაც მორალურად დასაძრახი იყოს, თუ იგი პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას ასახავს, ფაქტებს არ ემყარება, თუმცა გარკვეული ღირებულება გააჩნია,⁴⁸⁴ აზრად უნდა იქნეს მიჩნეული.⁴⁸⁵

4.3.3 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის აზრად და ფაქტად კვალიფიკაციის დაუშვებლობა

ხელოვნური ინტელექტის „Output“ არ შეიძლება აზრად ან ფაქტად იქნეს მიჩნეული. როგორც უკვე აღინიშნა, აზრი ეფუძნება სუბიექტურ შეხედულებას, მაშასადამე, პიროვნების ნააზრევს შედეგია. ასეთი შესაძლებლობა კი ხელოვნურ ინტელექტს არ გააჩნია. ანალოგიური მიდგომა უნდა განვითარდეს ფაქტთან მიმართებითაც: **ხელოვნური ინტელექტის გენერირება არ წარმოადგენს ფაქტს. იგი შეიძლება აღწერდეს მოცემულობას (მაშასადამე, მომხდარ ფაქტს), რომელიც გადამოწმებას უნდა დაექვემდებაროს.** ამდენად, ობიექტური მოცემულობა, რო-

⁴⁷⁸ მსჯელობისთვის, შესაძლებელია, აშშ-ს პრაქტიკის განხილვა, სადაც დამკვიდრებულია ტერმინი: „რიტორიული ჰიპერბოლა“ („Rhetorical Hyperbole“), რაც მოსაზრებასთან კავშირშია განხილული. იხ. მაგალითად, Milkovich v. Lorain Journal Co., 497 U.S. 1, 21 (1990); ასევე, Yeagle v. Collegiate Times, 497 S.E.2d 136, 137 (Va. 1998).

⁴⁷⁹ Kühling, 1999, 214.

⁴⁸⁰ Handyside v. the United Kingdom, 7.12.1976, №5493/72 (ECtHR).

⁴⁸¹ სუს გადაწყვეტილება, 25.11.2022, №ას-797-2022.

⁴⁸² მაგალითისთვის იხ. Sidis v. FR Pub. Corporation, 113 F.2d 806 (2d Cir. 1940) – აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საჯარო პირის მიმართ გამოხატვის თავისუფლების ფართო ფარგლების საკითხია განსაზღვრული და შესაბამისად, სასამართლო დასაშვებად მიიჩნევს იმგვარ თემებზე ყურადღების გამახვილების (მსჯელობის) შესაძლებლობას/უფლებას, რომელიც მის ცალკეულ პირად (თუმცა, საჯაროდ ცნობილ) დეტალებს ეხება. მაგალითად, ქცევებს და სხვ.

⁴⁸³ Handyside v. the United Kingdom, 7.12.1976, №5493/72 (ECtHR).

⁴⁸⁴ აღნიშნულის საპირისპირო გახლავთ გამოხატვა, რომელიც ღირებულების მატარებელი არაა. მაშასადამე, არ გამოხატავს აზრს, არამედ, მხოლოდ დამოკიდებულებას და საჯარო დისკუსიისთვის არ არის განკუთვნილი – მსჯელობა აგებულია შემდეგ პრაქტიკაზე დაყრდნობით: Otto-Preminger-Institut v. Austria, 20.9.1994, №13470/87 (ECtHR).

⁴⁸⁵ სუს განჩინება, 7.5.2018, №ას-1857-2018.

გორც ფაქტზე დაფუძნებული მსჯელობა, ამ შემთხვევაში არ იქნება სამართლებრივი შედეგის მატარებელი.

შესაბამისად, თუ ხელოვნური ინტელექტის „Output“ მოიცავს ირონიულ ან გარკვეულწილად უსიამოვნო ტერმინოლოგიას, ეს არ მოექცევა სტანდარტში, რომელზეც ზემოთ აღინიშნა და რომელიც აზრის თავისუფლების შემადგენელ ელემენტად გვევლინება.

4.4 ხელოვნური ინტელექტის გენერირების წყაროსთან კლასიკურად გათანაბრების დაუშვებლობა

როგორც წესი, როდესაც განცხადება შეიცავს უკვე გავრცელებული განცხადების შინაარსს, ცილისწამება გამოირიცხება.⁴⁸⁶ რამდენად შეიძლება ამგვარ მოცემულობასთან გვევლინება საქმე მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტის პასუხი კონკრეტულ წყაროს ეფუძნება? მაგალითად, მოსარგებლემ დაუსვა შეკითხვა ხელოვნურ ინტელექტს „გვანცას“ შესახებ, რაზეც მიიღო პასუხი, რომ „გვანცა“ მხილებულია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობაში. მოსარგებლემ ეს ინფორმაცია განათავსა სოციალურ მედიაში თავის კედელზე და დაანერა, რომ „გვანცა“ არის თაღლითი, ორგანიზებული თაღლითური ჯგუფის წევრი და მას არაერთი დანაშაული აქვს ჩადენილი. ამ შემთხვევაში, თუ „გვანცა“ დააყენებს შესაბამის სასარჩელო მოთხოვნას, მოსარგებლის პასუხისმგებლობა დადგება, თუ ეს უკანასკნელი ვერ დაასაბუთებს ინფორმაციის (ფაქტის) სისწორეს. თუნდაც მოსარგებლემ/გამავრცელებელმა გაამახვილოს ყურადღება, რომ იგი დაეყრდნო ხელოვნურ ინტელექტს, აღნიშნული მაინც ვერ გახდება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი.⁴⁸⁷ **ხელოვნური ინტელექტის „Output“ არ უნდა გათანაბრდეს კლასიკური გაგებით მოაზრებულ წყაროსთან.** მით უმეტეს, რომ სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის არსებობას განსაზღვრავს.

4.4.1 გადამონმებული წყაროს შემთხვევა

გადამონმებული წყაროს შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც ხელოვნური ინტელექტი უკვე გავრცელებულ ინფორმაციას/მონაცემებს ეფუძნება, ხოლო მოსარგებლემ ამ ინფორმაციას გავრცელებამდე თავადაც ამონმებს. ასეთ დროს, მოსარგებლეს შეუძლია თავად განსაზღვროს, აქვს თუ არა ხელოვნური ინტელექტის მხრიდან შეცდომას („ჰალუცინაციას“) ადგილი. მოცემული მაგალითი არ გულისხმობს, რომ ავტომატურად გამოირიცხება მოსარგებლის პასუხისმგებლობა. პირიქით, კონტექს-

⁴⁸⁶ იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 3.10.2023, №2ბ/841-23.

⁴⁸⁷ შეად. LG Berlin II, Urt. vom 20.8.2025, 2 O 202/24.

ტის გათვალისწინებითაა შესაძლებელი განისაზღვროს ასეთი პასუხისმგებლობის ფარგლები: ის თუ რა სახით გაავრცელებს მოსარგებლე ინფორმაციას და სხვ.

ანალოგიურად, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობა დაეკისროს გამავრცელებელს, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი გენერირებისას დაეყრდნო. მაგალითად, თუ იგი დაეყრდნო ერთ-ერთ ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შესაძლებელია, რომ მის მიმართ დააყენოს მოთხოვნა ცილისწამების ადრესატმა/მოსარჩელემ.⁴⁸⁸ ასეთ დროს, ხელოვნური ინტელექტი წარმოდგენილი იქნება, როგორც ერთგვარი გამტარი, რის საფუძველზეც გახდა ცნობილი პირისთვის ინფორმაცია.⁴⁸⁹

გარემოებას ართულებს შემთხვევა, თუ აღმოჩნდება, რომ ინფორმაცია, რომელსაც ხელოვნური ინტელექტი გენერირებისას დაეყრდნო, ხანდაზმულობით გათვალისწინებულ ვადაზე ადრეა გავრცელებული (იგულისხმება 100 დღის ვადა, რომელიც ეფუძნება სტუმრის მე-19 მუხლს: „ცილისწამების შესახებ სარჩელი სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას“). ასეთ შემთხვევაში შეიძლება, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილების ალბათობა შემცირდეს. მაგალითად, 2014 წლის 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა ინფორმაცია, რომელიც გავრცელდა ინტერნეტში და სადაც მიეთითა, რომ „ნანა“ არის მკვლელობაში ბრალდებული. თუ 2026 წლის გენერირებისას ხელოვნური ინტელექტი დაეყრდნობა ამ წყაროს, მაშინ მოთხოვნის დაყენება წყაროს მიმართ სირთულის მატარებელი იქნება.

4.4.2 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის გამოქვეყნება

კიდევ ერთი განსახილველი მაგალითია შემთხვევა, როდესაც მოსარგებლე ხელოვნური ინტელექტის „Output“-ს აქვეყნებს. ნაშრომში თითქმის იდენტური შემთხვევა იქნა განხილული, მაგრამ ერთი განსხვავებით: მასში არ გვხვდება მითითება „Output“-ის, როგორც ერთგვარი მტკიცებულების თაობაზე. ერთი შეხედვით, ამგვარი მიდგომა არ წარმოადგენს არსებით დარღვევას, ვინაიდან მოსარგებლე თავად არ ავრცელებს ინფორმაციას. თუმცა, თუ გადამოწმების ვალდებულების საკითხზე გამახვილდება ყურადღება (უპირატესად, ცილისწამების ნაწილში), შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსარგებლის პასუხისმგებლობა, ასეთ შემთხვევაში, ცალსახაა.⁴⁹⁰ მო-

⁴⁸⁸ თუნდაც, წაშლის მოთხოვნით და სხვ. იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 2.3.2023, №2/38600-22.

⁴⁸⁹ მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ ხელოვნური ინტელექტის ნებისმიერი გენერირების შემთხვევაში, მოთხოვნა თავდაპირველი გამავრცელებლის მიმართ შეიძლება იქნეს წარდგენილი. თავდაპირველი გამავრცელებლის პასუხისმგებლობის თაობაზე იხ. მაგალითად, BGH, Urt. vom 31.3.2026 – VI ZR 157/24.

⁴⁹⁰ იხ. მაგალითად, Halldórsson v. Iceland, 4.7.2017, №44322/13 (ECtHR).

სარგებლემ, დამოუკიდებლად იმისგან, გაავრცელებს თუ არა იგი სათანადო მტკიცებულებას (თუ რას დაეყრდნო იგი), უპირობოდ არ უნდა გაიმეოროს გენერირების შედეგი.⁴⁹¹ შესაბამისად, ასეთ დროს მნიშვნელობა ენიჭება, მათ შორის, იმას, თუ რა შინაარსით ხდება ინფორმაციის გასაჯაროება: ვთქვათ, უტყუარ ფაქტად მიჩნევის სახით, ხელოვნური ინტელექტის გენერირებაზე მითითებით, მსჯელობის მიზნით ხაზგასმის კონტექსტში თუ სხვ.

4.5 მოთხოვნის ფარგლები

სასარჩელო მოთხოვნას შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით შესაბამისი ცნობის გამოქვეყნება, ისევე, როგორც ზიანის ანაზღაურება, შესაბამისი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში.⁴⁹² ანალოგიურად, თუ საკითხი ეხება გამოქვეყნებულ ცილისმწამებლურ განცხადებას, მოთხოვნა შეიძლება დადგეს ცალკეული დამატებითი მოქმედების განხორციელების თაობაზე: განთავსებული განცხადების წაშლა, საპირისპირო განცხადების შინაარსობრივი ასპექტები, ფორმალური მხარე, განთავსების პერიოდულობა და სხვ. თითოეულ შემთხვევაში, მოთხოვნა ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. მაგალითად, თუ სადავო განცხადება გავრცელებულია სოციალური მედიის საშუალებით, მოთხოვნაც ამ ფარგლებიდან უნდა გამომდინარეობდეს.⁴⁹³ კერძოდ, თუ ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგად პირმა დადო პოსტი „Facebook“-ში, მოთხოვნაც ამავე სოციალური მედიის საშუალებით საპირისპირო ცნობის გავრცელებას უნდა შეეხოს.

4.6 სარჩელის უზრუნველყოფა

მოთხოვნისას შესაძლებელია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იქნეს გამოყენებული,⁴⁹⁴ რაც ასევე გარემოების გათვალისწინებით განისაზღვრება.⁴⁹⁵ რადგან სსკ-ის 198-ე მუხლი სარჩელის უზრუნველყოფის ფართო ფარგლებს იცნობს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით სსკ ამ ნაწილში *numerus clausus* პრინციპს არ ეფუძნება – შეიძლება, რომ კონკრეტულმა გარემოებამ სარჩელის უზრუნველყოფის ახლებური პრეცედენტი დაამკვიდროს.⁴⁹⁶ ამ თვალსაზრისით, თუ დავა ეხება ინტერნეტში არსებულ აქტივობას, სარჩელის უზრუნველყოფაც

⁴⁹¹ Bayer in: Ebers/Quarch (Hrsg.), Rechtshandbuch ChatGPT, 2024, 181.

⁴⁹² სგთშ-ის მე-17 მუხლის გათვალისწინებით.

⁴⁹³ იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება, 10.12.2025, №ას-610-2025.

⁴⁹⁴ იგულისხმება როგორც ერთი, ისე – რამდენიმე ღონისძიება. იხ. ლილუაშვილი, 2005, 303.

⁴⁹⁵ თსს განჩინება, 1.2.2022, №2/2359-22.

⁴⁹⁶ მაგალითად, სამომავლო ქმედების აკრძალვის სახით. ამ საკითხზე იხ. სუს განჩინება, 24.12.2021, №ას-1192-2021, ასევე, მეტი თვალსაჩინოებისთვის: Hartmann, 2009, 35.

აქტივობის შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს.^{497/498} თუნდაც სადავო განცხადება ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგს წარმოადგენდეს, სასამართლოს მიდგომა ზოგად პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

4.7 მოპასუხის იდენტიფიცირების სირთულე

სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში პირდაპირაა განვრილი, რომ სარჩელში უნდა მიეთითოს მოპასუხის სახელი და გვარი (სახელწოდება). ეს ნიშნავს, რომ პროცესუალური თვალსაზრისით, სარჩელის შეტანა არაიდენტიფიცირებული (ანონიმი) პირის მიმართ,⁴⁹⁹ შეუძლებელია.⁵⁰⁰ ამდენად, საქმის წარმოების დასაწყებად, მოსარჩელემ მოპასუხე უნდა „გამოააშკარავოს“.⁵⁰¹ მაგალითად, მოცემულობა ეხება ინტერნეტში ანონიმურად ინფორმაციის გაშუქებას, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის გენერირებაზე მითითებით ცილისმწამებლური განცხადების გავრცელებას. ასეთის არსებობისას, მოპასუხის იდენტიფიცირება დავის მართებულად წარმართვის საწინდარია. ეს კი უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელის მიერ სამართლებრივ ბერკეტად უნდა იქნეს გამოყენებული,⁵⁰² რათა სასამართლოს გზით მოახდინოს პირის იდენტიფიცირება.⁵⁰³

უფლების დარღვევის შემთხვევაში ანონიმური პირის **ე.წ. „გამოაშკარავება“ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, რათა დაიცვას პირის უფლებები,**⁵⁰⁴ **რაც მისი ობიექტური ღირებულებიდან გამომდინარეობს.**⁵⁰⁵ ამ მიმართულებით გვხვდება ქართული სასამართლო პრაქტიკაც,⁵⁰⁶ თუმცა მასთან ერთად იკვეთება აღსრულების მექანიზმის სირთულეც.

თავის მხრივ, „გამოაშკარავება“ ეფუძნება გარკვეულ ტექნიკურ ასპექტებს. ის, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის „Prompt“-ის მიმცემის

⁴⁹⁷ იხ. მაგალითად, თსს განჩინება, 4.2.2022, №2/3022-22.

⁴⁹⁸ ამ საკითხთან დაკავშირებით მეტი დეტალური მსჯელობისთვის იხ. ჯორბენაძე, ლადო ჭანტური 60, სკრ, 2023, 358-365.

⁴⁹⁹ ასეთი ქმედებისას პირს შეგნებულად შეჰყავს მცდარი ინფორმაცია. მაგალითად, სოციალური მედიის შემთხვევაში, შეგნებულად დებს ხელშეკრულებას ცრუ მონაცემების მითითებით – Mayer, 2018, 88.

⁵⁰⁰ სსკ-ის 178-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით სავალდებულოა, რომ სარჩელში მითითება იყოს მოპასუხეზე. ამასთან, სსკ-ის 183-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, თუ მოპასუხეზე არ იქნა მითითება, სარჩელი არ რეგისტრირდება.

⁵⁰¹ McCallman, CLR, Vol. 41:225, 2019, 233.

⁵⁰² სამოქალაქო საქმეზე განსახილველი საკითხის არსის გათვალისწინებით.

⁵⁰³ სხვა შემთხვევაში, იგი შესაძლებლობასაა მოკლებული, დაიცვას თავისი უფლება – ჯორბენაძე, კმ, ჯიშკარიანი/ვასმერი (რედ.), 2023, 96.

⁵⁰⁴ იხ. Straita v. the Republic of Moldova, 15.3.2022, №14191/14 (ECtHR).

⁵⁰⁵ ობიექტურ ღირებულებაზე დაფუძნებით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების საკითხისთვის იხ. ლოლაძე, ძირითადი უფლებები, კომენტარი, ლოლაძე/ფირცხალაშვილი, 2023, მ. 17, ვნ. 1099.

⁵⁰⁶ თსს განჩინება, 12.10.2022, №2/3022-22.

იდენტიფიცირება მოხდეს, სწორედ ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მაგალითად, „IP-მისამართის“ დადგენის გზით,⁵⁰⁷ რაც ანონიმური ქმედების მიუხედავად, პირის იდენტიფიცირების (თუმცა არა უპირობო) შესაძლებლობას წარმოადგენს.⁵⁰⁸

5. უფლება გამოსახულებაზე

ხელოვნური ინტელექტის ფუნქციის გათვალისწინებით, მას შესაძლებლობა აქვს, რომ პირის გამოსახულება/ვიზუალი სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენოს/დააგენერიროს. განსაკუთრებით მაშინ, თუ პირს თავად აქვს შეზღუდვის დაწესების გარეშე გამოქვეყნებული თავისი სურათი.⁵⁰⁹ ხელოვნური ინტელექტის მხრიდან გამოსახულების/ვიზუალის გამოყენებამ შეიძლება, რომ დაარღვიოს პირის უფლებები, თუნდაც ეს კლასიკური ფოტოს ფორმატით არ დაგენერირდეს და, ვთქვათ, კარიკატურის შექმნით მოხდეს.⁵¹⁰ მსჯელობის საგანს წარმოადგენს, თუ როდის და ვის მიმართ დგება ასეთ დროს პასუხისმგებლობა.

5.1 გამოსახულების გამოყენების უფლება

გამოსახულებაზე უფლება სკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილითაა მოწესრიგებული, რომლის ფარგლებშიც პირს უფლება აქვს, თანხმობა განაცხადოს თავისი გამოსახულების გამოქვეყნებაზე. გამოსახულებაში იგულისხმება „*მხატვრული პორტრეტი, ფოტოსურათი, ინდივიდის გამოსახულება კინოფილმში, ტელეგადაცემაში თუ ვიდეოფილმში, სადაც მისი გარეგნული იერის შეცნობა შეიძლება*“.⁵¹¹ თანხმობა შეიძლება ხელშეკრულების საფუძველზე იყოს მიღწეული, ასევე – ნების გამოვლენითა⁵¹² თუ

⁵⁰⁷ შესაძლებელია, რომ ამ გზით მოხდეს პირის იდენტიფიცირებაც. უშუალოდ „IP-მისამართი“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის კატეგორიაში ექცევა. იხ. Patrick Breyer v. Bundesrepublik Deutschland, 19.10.2016, №C-582/14 (CJEU). მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ „IP-მისამართის“ დადგენით ავტომატურად მოხდება პირის იდენტიფიცირება. იგი ერთ-ერთ ბერკეტს წარმოადგენს ამ მიმართულებით. თავის მხრივ, „IP-მისამართის“ დადგენა, მნიშვნელოვან სამართლებრივ დასაბუთებას უნდა ეფუძნებოდეს – იხ. მაგალითად, OLG Bamberg, Bes. vom 16.6.2025 – 6 W 6/25 e. მსჯელობისთვის იხ. ასევე, BGH, Bes. vom 24.9.2019 – VI ZB 39/18.

⁵⁰⁸ Deusch/Eggendorfer in: Taeger/Pohle (Hrsg.), Computerrechts-Handbuch, 2022, T. 5, 50.1, Rn. 27.

⁵⁰⁹ ფართო მსჯელობისთვის იხ. Lennartz, NJW №49/2023, 3544.

⁵¹⁰ მით უმეტეს, კარიკატურა, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ კონკრეტულ პირებს (განსაკუთრებით, საჯარო პირებს) მიემართება – Wunderlich, 2025, 146.

⁵¹¹ ნინიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მ. 18, 65.

⁵¹² იქვე – ნებართვის მიცემის სახით.

კონკლუდენტური ქმედებით.⁵¹³ თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ იგი აკმაყოფილებდეს მთავარ კრიტერიუმებს: უნდა იყოს ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი და გააზრებული.⁵¹⁴ სხვა მხრივ, მხედველობაში არ მიიღება გარემოება (და დარღვევად მიიჩნევა), თუნდაც გამავრცელებელმა დაასაბუთოს, რომ თანხმობის არარსებობის შესახებ არ იყო მისთვის ცნობილი.⁵¹⁵

ხაზგასასმელია, რომ თანხმობის საჭიროება ყოველთვის არ დგება. კერძოდ, როდესაც „ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური“.⁵¹⁶ ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია გარემოებების საინფორმაციო ღირებულება და, შესაბამისად, რაც უფრო დიდია საზოგადოების ინფორმირებულობის ინტერესი,⁵¹⁷ მით უფრო დიდია გამოსახული პირის თმენის ვალდებულება.⁵¹⁸

5.2 პირის იდენტიფიცირება გამოსახულებით და იდენტური სამართლებრივი შედეგი

განსხვავებით ზემოთ მოყვანილი შემთხვევისგან, შესაძლებელია, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა პირის გამოსახულება იმგვარად დააგენერიროს, რომ სილუეტით/ანარეკლით ან სხვა საშუალებით მოხდეს მისი იდენტიფიცირება. მაგალითად, ცნობილი სპორტსმენის, მსახიობის და ა.შ. საჯარო სივრცეში, საზოგადოების ფართო მასებისთვის ცნობილი მომენტის ასახვა, რაც დამახასიათებელი იყო იმ კონკრეტული შემთხვევისთვის. ამდენად, ვიზუალის იდენტიფიცირებისთვის არაა სავალდებულო, რომ პირი სრულად იყოს გამოსახული.⁵¹⁹ შესაბამისად, ასეთი გავრცელება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველი ვერ გახდება. კერძოდ, კანონის არსის გათვალისწინებით, უმთავრესი კრიტერიუმია, პიროვნების ვიზუალის (მახასიათებლის⁵²⁰) მიმსგავსება.⁵²¹ თუ მესამე პირისთვის გავრცელებული მასალა, გონივრული

⁵¹³ Ulbricht, 2018, 27.

⁵¹⁴ ტაკაშვილი/მესხი/კობალაძე/ლაკერბაია/ქათამაძე/კობახიძე/ლიპარტია/ხვედელიძე, 2023, 98.

⁵¹⁵ Solmecke/Kocatepe, 2018, 329.

⁵¹⁶ სკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილის ციტირება.

⁵¹⁷ ასეთ დროსაც გვხვდება გამონაკლისი, როდესაც საკითხი არასრულწლოვანს ეხება და სადაც მისი (ბავშვის) საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული (ბუკ-ის მე-5 და 71-ე მუხლების მიხედვით) – სუს განჩინება, 21.9.2023, №ას-488-2023.

⁵¹⁸ კერესელიძე, 2009, 144.

⁵¹⁹ Fechner/Wössner, 2015, 136.

⁵²⁰ BGH, Urt. vom 1.12.1999 – I ZR 226/97.

⁵²¹ Midler v. Ford Motor Co., 849 F.2d 460 (9th Cir. 1988).

მოცემულობის გათვალისწინებით, ადრესატის ვიზუალს წარმოაჩენს,⁵²² მაშინ ქმედება სამართლებრივ მოწესრიგებას დაექვემდებარება.⁵²³

5.3 უკვე გასაჯაროებული გამოსახულების შემთხვევა

პირის მიერ თავისი სურათის/ფოტოს/ვიზუალის წინასწარ გასაჯაროება თავისთავად არ ნიშნავს, რომ იგი დაუბრკოლებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული.⁵²⁴ ასეთ დროს, მიზანს, კონტექსტს, კომერციულ ელემენტს და სხვა კრიტერიუმებს მიენიჭება უპირატესობა. მაგალითად, თუ პირს უკვე გასაჯაროებული აქვს სურათი/ფოტო და შემდეგ მისი გამოქვეყნება გარკვეული კონტექსტის გათვალისწინებით, მაგრამ მისი უფლებების დაურღვევლად მოხდა, უფლების დარღვევის ნაკლები ალბათობა გვხვდება.⁵²⁵ მათ შორის, იგულისხმება, რომ აღნიშნული ქმედება პერსონალურ მონაცემთა დაცვით უნდა მოხდეს. მაგალითად, როდესაც ვიზუალი გამოქვეყნებულია ჟურნალისტური მიზნებისთვის და იგი აღებულია პირის მიერ საჯაროდ გავრცელებული სურათიდან/ფოტოდან,⁵²⁶ სამართლებრივი შედეგი არ დგება უფლების შეზღუდვის სახით.⁵²⁷ მაღალი სტანდარტია განსაზღვრული საჯარო პირის შემთხვევაშიც,⁵²⁸ როდესაც კანონი თანხმობის აუცილებელ საჭიროებას არ ადგენს.⁵²⁹ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე გამოსარიცხია პასუხისმგებლობის შემთხვევა მაშინ, როდესაც ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერირა პირის საჯაროდ გავრცელებული ფოტო (და მისგან გამომდინარე – გამოსახულება) და თემატურად (შინაარსობრივად ლოგიკურ ბმავში) მიაწოდა იგი მოსარგებლეს.

შესაბამისად, ყურადსაღები იქნება საკითხი, თუ რა კონტექსტით მოხდება მოსარგებლის მიერ გამოსახულების შემდგომი გავრცელება. მაგალითად, თუ ადგილი აქვს გამოსახულების კომერციული მიზნით გავრცელებას⁵³⁰ ან გაზიარებულ ვიზუალს/ფო-

⁵²² შესაბამისად, არ არის სავალდებულო, რომ იდენტურ გამეორებას ჰქონდეს ადგილი. იხ. მაგალითად, *White v. Samsung Electronics America, Inc.*, 971 F.2d 1395 / 989 F.2d 1512 (9th Cir. 1992-1993).

⁵²³ *Specht-Riemenschneider/Riemenschneider/Schneider*, 2020, 179.

⁵²⁴ პარალელის გავლება შესაძლებელია „Memoji“-ს შემთხვევასთან – *ჯორბენაძე*, სქ №1/2021, 7 და 8.

⁵²⁵ *ჯორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მ. 18, ვნ. 79-80.

⁵²⁶ ყველა იმ პრინციპის დაცვით, რაც პიროვნული უფლებებისა, თუ ჟურნალისტური პროფესიული ვალდებულებების გათვალისწინებას მოიცავს.

⁵²⁷ თსს გადაწყვეტილება, 2.10.2019, №2/8810-19.

⁵²⁸ შეად. მაგალითად, გერმანულ გამოცდილებას: *Hermann in Gersdorf/Paal* (Hrsg.), BeckOK Informations- und Medienrecht, KunstUrhG §23. Rn. 4 f.

⁵²⁹ *Sidis v. FR Pub. Corporation*, 113 F.2d 806 (2d Cir. 1940).

⁵³⁰ ზოგადად, კომერციული მიზნით გამოსახულების გამოქვეყნებისას (იქნება ეს ცოცხალი ადამიანის თუ გარდაცვლილის გამოსახულება), შესაბამისი ნებართვის აღება აუცილებელ პირობას წარმოადგენს. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 29.2.2024, №ას-1063-2022.

ტოს ცილისმწამებლური (უფლებამწამლახავი) კომენტარი ერთვის,⁵³¹ მაშინ გამავრცელებლის პასუხისმგებლობა დადგება მიუხედავად იმისა, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულია თუ არა გამოსახულება.

5.4 ხელოვნური ინტელექტის მიერ გამოსახულების/ვიზუალის შექმნა, რომელიც მიმსგავსებულია კონკრეტული პირის გამოსახულებასთან

განსხვავებით ზემოთ განხილული შემთხვევისგან, შეიძლება მსჯელობა წარმართულ იქნეს ისეთ მოცემულობაზე, როდესაც ხელოვნური ინტელექტი აგენერირებს ვიზუალს, რომელიც კონკრეტული პირის გამოსახულებას ჰგავს.⁵³² ერთი შეხედვით, უფლების დარღვევა არ იკვეთება. თუმცა, თუ დადასტურდება, რომ ხელოვნური ინტელექტის ქმნილება კონკრეტული პირის გამოსახულებას/ვიზუალს წააგავს, მაშინ ის წინაპირობები წამოიწვევს წინა პლანზე, რაზეც წინამდებარე ნაშრომში უკვე გამახვილდა ყურადღება (გავრცელების/გამოყენების მიზნობრიობა, შინაარსი და სხვ.). პრაქტიკული თვალსაზრისით, ლოგიკური იქნება, თუ პასუხისმგებელი სუბიექტი ამგვარი გამოსახულების გამავრცელებელი იქნება. თუნდაც ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლისთვის მოთხოვნის დაყენება, რომ მოახდინოს გამოსახულების მოდიფიცირება,⁵³³ პრაქტიკული სირთულის მატარებელია.

5.5 მიმართება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან

გამოსახულება პერსონალურ მონაცემთა კატეგორიას განეკუთვნება.⁵³⁴ შესაბამისად, შეიძლება, რომ ამ მხრივ შესაბამისი სამართლებრივი დავა პდმ-ის ფარგლებში მოწესრიგდეს. ვთქვათ, პერსონალურ მონაცემთა არასათანადო გამოყენების გამო⁵³⁵ და სხვ. ეს არ გამოირიცხავს სამოქალაქო წესით დავას. პირიქით, თუნდაც ამ თვალსაზრისით დარღვევა დადგინდეს, ცალკეული მოთხოვნა მაინც სკ-ზე დაფუძნებით იქნება წარდგენილი. კერძოდ, პმს *lex specialis* ნორმად უნდა იქნეს მიჩნეული,⁵³⁶ ხოლო კერძოსამართლებრივი მოთხოვნა სწორედ სკ-ს უნდა დაეფუძნოს.

⁵³¹ იხ. თსს გადაწყვეტილება, 2.10.2019, №2/8810-19.

⁵³² მეტი თვალსაზრისით: როდესაც „Input“ არ მოიცავს კონკრეტული პირის გამოსახულებას, მაგრამ ხელოვნურმა ინტელექტმა თავად დააგენერირა იგი.

⁵³³ მით უმეტეს, როდესაც პირდაპირ არ ეთითება ადრესატის თაობაზე.

⁵³⁴ Juraschko, 2022, 143. იხ. ასევე, მაგალითად, სუს განჩინება, 11.7.2023, №ბს-194(კ-23).

⁵³⁵ იხ. მაგალითად, VG Düsseldorf, Bes. vom 5.3.2026 – 29 L 4014/25. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით პერსონალურ მონაცემთა არასათანადო გამოყენების თაობაზე იხ. მაგალითად, *ჩახუნაშვილი/სიგუა*, პმდსუ №1-2, 2025, 284-309.

⁵³⁶ შეად. Gomille, ZUM №7/2025, 502.

6. უფლება ხმაზე

ადამიანის ხმის დაცვის შესახებ ცალკე სამართლებრივი ნორმა არ გვხვდება. თუმცა, მისი არსის გათვალისწინებით, ადამიანის ხმა ადამიანის პიროვნულობის დამახასიათებელ ასპექტად უნდა მივიჩნიოთ. შესაბამისად, მასზე ვრცელდება სკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული უფლებები. ეს კი პირს უფლებას ანიჭებს, რომ თავისი ხმის არასათანადო გამოყენების შემთხვევაში,⁵³⁷ სასამართლოში შესაბამისი მოთხოვნა დააყენოს.^{538/539}

6.1 გამოსახულებაზე უფლების დაცვის იდენტური მიდგომა

ადამიანის ხმის გამოყენების შემთხვევაში მოთხოვნის ფარგლები გამოსახულების უფლების დაცვის იდენტურად უნდა განხორციელდეს. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ კონკრეტული პირის ხმა იქნეს გამოყენებული. მეტიც, შესაძლებელია, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერიროს ხმა, რომელიც კონკრეტული ადამიანის ხმასთან იქნება მიმსგავსებული.⁵⁴⁰ გარდა გამოწვევის შემთხვევებისა, პასუხისმგებლობის ფარგლები ამ შემთხვევაშიც მოსარგებლეზე, მაშასადამე, გამავრცელებელზე, გადადის.

6.2 გერმანული პრეცედენტი

საინტერესო სასამართლო გადაწყვეტილება გვხვდება გერმანიაში, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მიერ პირის ხმის გამოყენებას ეხებოდა.^{541/542} მოსარჩელე იყო მსახიობი, გამხმოვანებელი, რომელიც ახმოვანებდა (სინქრონიზი) კონკრეტულ ფილმებს. მოპასუხე იყო „YouTube“-ს გვერდის მფლობელი, რომელსაც ჰყავდა 200 000-მდე გამომწერი. მოპასუხემ აღნიშნულ პლატფორმაზე განათავსა ორი ვიდეო, რომელიც ხელოვნური ინტელექტის მიერ იყო გენერირებული/„გახმოვანებული“. მოსარჩელემ პრეტენზია წარადგინა მოპასუხის მიმართ, ვინაიდან ვიდეოებზე

⁵³⁷ მოყვანილი მსჯელობა განსხვავდება შემსრულებლის უფლებისგან, რომელსაც მომიჯნავე უფლებათა კონტექსტში შეუძლია დააყენოს მოთხოვნა. კერძოდ, ხმაზე უფლებაში პირველ რიგში იგულისხმება, შესრულების გარეშე მოთხოვნის დაყენება, როდესაც კონკრეტული ხმა პირის იდენტიფიცირებას ახდენს.

⁵³⁸ იხ. *Obergfell* in in Ulmer-Eilfort/Obergfell (Hrsg.), *Verlagsrecht*, 2021, Kapitel I, Rn. 945.

⁵³⁹ უცხო ქვეყნის გამოცდილების გაზიარებისთვის იხ. მაგალითად, *Waits v. Frito-Lay, Inc.*, 978 F.2d 1093 (9th Cir. 1992).

⁵⁴⁰ იხ. მაგალითად, *Klass*, ZUM №7/2025, 485.

⁵⁴¹ LG Berlin II, Urt. vom 20.8.2025, 2 O 202/24.

⁵⁴² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ნაშრომის გამოცემის მომენტში დასახელებული გადაწყვეტილება არ არის კანონიერ ძალაში შესული.

მისი ხმა იყო დართული. აღნიშნულის იდენტიფიცირება (დადარება) შესაძლებელი იყო. შესაბამისად, წარიმართა დავა სასამართლოში. სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა და მოპასუხის ქმედება დარღვევად მიიჩნია. სასამართლომ ჩათვალა, რომ დარღვევა იკვეთებოდა მიუხედავად იმისა, ხელოვნური ინტელექტის მიერ იყო გენერირებული ხმა თუ არა.

მოცემული გადაწყვეტილება ქართულ რეალობასთან კავშირში რომ განვიხილოთ, ანალოგიურ სამართლებრივ შედეგზე შეგვიძლია ვისაუბროთ. ამ მხრივ სამ ასპექტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ა) რამდენად თანხმობაა გაცემული პირის მიერ საკუთარი ხმის გამოყენებაზე; ბ) რამდენადაა ქმედება დარღვევისკენ მიმართული და გ) რამდენადაა ვიდეოს გამავრცელებელი პასუხისმგებელი.

პირველ და მეორე საკითხზე პასუხი შედარებით მარტივია: თანხმობა თუ გაცემულია, დარღვევა ავტომატურად გამოირიცხება, ხოლო ის, არღვევს თუ არა პირი ვიდეოს გავრცელებით პიროვნულ უფლებას, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარეობს.⁵⁴³ რაც შეეხება მესამე ასპექტს, მსჯელობისას მასზე მეტად უნდა შეჩერდეს ყურადღება:

გარემოება №1 – ვიდეოს გამავრცელებელი ხელოვნურ ინტელექტს ავალებს ქმნილების შექმნას („გახმოვანებას“, ადამიანის ხმით). მისთვის არაა ცნობილი და არც უნდა იყოს ცნობილი, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენებს კონკრეტული ადამიანის ხმას.⁵⁴⁴

გარემოება №2 – ვიდეოს გამავრცელებელი საჯაროდ გავრცელებულ, თავისუფალი გამოყენების ფარგლებში მოქცეულ ხმას იყენებს და ავალებს ხელოვნურ ინტელექტს, რომ ამგვარი ხმის გენერირება მოახდინოს. მაშასადამე, აკონკრეტებს, თუ რომელი ხმით სურს „გახმოვანება“.

გარემოება №3 – ვიდეოს გამავრცელებელი ხელშეკრულებას დებს (ინდივიდუალური პირობებით) ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელთან, რომლის ფარგლებშიც ამ უკანასკნელმა უნდა „გახმოვანოს“ ვიდეო. ასეთ დროს, ვიდეოს გამავრცელებელი მხოლოდ ზოგადი დავალებით შემოიფარგლება და არ უთითებს კონკრეტულ ხმაზე.

სამივე მაგალითი შეიძლება ეხებოდეს შემთხვევას, როდესაც გამავრცელებელი უშუალოდ არაა პასუხისმგებელი ხმის გამოყენებაზე. კერძოდ, მისი ბრალეულობით არ ხდება კონკრეტული პირის ხმის გამოყენება. შესაბამისად, გამოდის, რომ მისი მიზანი არ ყოფილა, რომ შესაბამისი ხმით ესარგებლა გახმოვანებისას.⁵⁴⁵ მიუხედა-

⁵⁴³ მოცემულ მაგალითზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ პირი არღვევს ამგვარ უფლებას.

⁵⁴⁴ თუ აღნიშნული ცნობილი გახდება, მაშინ შეიძლება, რომ სამართლებრივი შედეგიც განსხვავებულ კონტექსტში იქნეს წარმოჩენილი.

⁵⁴⁵ მსჯელობის კვალად: თუ „Input“ კონკრეტული პირის ხმას მოიცავს, მაშინ დასაბუთებაც განსხვავებულ სიბრტყეში წარიმართება.

ვად ამისა, გამავრცელებელი, როგორც საჯარო გავრცელების განმახორციელებელი პირი, შეიძლება იყოს პიროვნული უფლების ხელმყოფი, თუნდაც მან არ აირჩიოს კონკრეტული ხმა. მოთხოვნამ მაშინაც კი შეიძლება იარსებოს, თუნდაც ხელშეკრულებით (მაშასადამე, გამავრცელებელსა და ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს შორის) იყოს განსხვავებული მოცემულობა განერილი. ასეთ დროს ვიდეოს გამავრცელებლის დაზღვევა იმავე ხელშეკრულებით უნდა მოხდეს, რაც ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელთან მის მოთხოვნებში აისახება.

აღნიშნული მსჯელობის საფუძველს იძლევა ასევე სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც ხელმყოფის ბრალისგან დამოუკიდებლად ხდება პიროვნული უფლებების დაცვა. კერძოდ, ხელყოფის აღკვეთისა და შეწყვეტის მოთხოვნა შეიძლება ბრალის გარეშეც არსებობდეს, მაშინ როდესაც ზიანის ანაზღაურების საკითხი დამატებით ბრალისა და მიზეზობრივი კავშირის შეფასებას მოითხოვს.

7. „Deep fake“

„Deep fake“-ის ცალკე განხილვა, თავისი არსის გათვალისწინებითაა მნიშვნელოვანი. ამ მხრივ, შესაძლებელია მოხმობილ იქნეს „AI Act“, რომლის მე-3 მუხლის მე-60 პუნქტით იგი განმარტებულია, როგორც ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებული ან მანიპულირებული გამოსახულება, რომელიც არის აუდიო ან ვიდეო კონტენტის სახით წარმოდგენილი და რომელიც ჰგავს არსებულ პირებს, ობიექტებს, ადგილებს, ერთეულებს ან მოვლენებს და ადამიანისთვის ცრუ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ის არის ავთენტური ან ჭეშმარიტი.⁵⁴⁶ „Deep fake“, პირველ რიგში, არასწორი წარმოდგენის თვალსაზრისითაა განსაზღვრული, რომელსაც შეუძლია, რომ პირი შეიყვანოს შეცდომაში⁵⁴⁷ და რომელიც ხელოვნური ინტელექტის აქტიურ მოხმარებადვე გამოიყენებოდა.⁵⁴⁸ იგი შეიძლება შეეხოს ადამიანის ხმას,⁵⁴⁹ ისევე როგორც ვიზუალს⁵⁵⁰ და სხვ. „AI Act“-ის მიხედვით (50-ე მუხლის მე-4 პუნქტი) ასეთ დროს ცალკეულ პირთათვის არსებობს მოცემულობის გამჟღავნების ვალდებულება.⁵⁵¹

ბემაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება შემდეგი მსჯელობის წარმართვა: თუ ადგილი აქვს „Deep fake“-ს/მის იდენტურ მოცემულობას, მაგრამ პირმა წინასწარ

⁵⁴⁶ იხ. ინგლისურ ენაზე: „‘deep fake’ means AI-generated or manipulated image, audio or video content that resembles existing persons, objects, places, entities or events and would falsely appear to a person to be authentic or truthful“.

⁵⁴⁷ განსაკუთრებით, თუ ეს პირი უყურადღებო ან კონკრეტულ სფეროში გამოუცდელია – იხ. Voigt/Hullen, 2024, 127.

⁵⁴⁸ იხ. ჯორბენადე, 2019, 213-214.

⁵⁴⁹ ამ საკითხზე მსჯელობისთვის იხ. Engel-Bunsas, RDi 2025, 292 და შ.

⁵⁵⁰ Gomille, ZUM №7/2025, 509.

⁵⁵¹ Wendt/Wendt, 2024, 115 და შ.

გაამჟღავნა ინფორმაცია და ნებისმიერი ადრესატისთვის ცნობილი გახდა აღნიშნულის (იგივე „Deep fake“-ს) თაობაზე, მაშინ ამგვარი ქმედება შესაძლებელია, რომ ამ პირის პასუხისმგებლობის საფუძველს არც წარმოადგენდეს.⁵⁵² ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დამატებითი განმარტების საჭიროება დგება (მით უმეტეს, მოსარგებლის შემთხვევაში⁵⁵³): პასუხისმგებლობაზე მსჯელობა ეფუძნება გამჟღავნების ვალდებულებას, თუმცა იგი არ გამოორიცხავს არაქონებრივი უფლებების მოთხოვნის შესაძლებლობას. მაგალითად, გამოსახულების ან ხმის უფლების კონტექსტში და სხვ. თუ ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსად განვიხილავთ, რომ, ერთი მხრივ, გაჟღერებულია ხელოვნური ინტელექტის ჩარევის თაობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, ნებართვა არ არის აღებული პირისგან, რომლის ვიზუალი (ან ხმა) არის გამოყენებული, გამავრცელებელს სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაინც დაეკისრება.⁵⁵⁴

8. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ცალკეული შემთხვევები

წინამდებარე ნაშრომში სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის პირველ წინადადებაზე რამდენიმე ადგილას იქნა მითითება გაკეთებული (როგორც ცილისწამების, ისე – გამოსახულებაზე/ხმის უფლებაზე საუბრისას). ვინაიდან იგი თავისი სპეციფიკური ბუნების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან როლს თამაშობს არაქონებრივ უფლებათა დაცვის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ საკითხზე ცალკე გამახვილდეს ყურადღება.

8.1 ზოგადი განმარტება და ზიანის მოთხოვნის გამორიცხვა

სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის 1-ელი წინადადების მიხედვით: „ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმოყვას ბრალისა“. ამდენად, არაქონებრივი უფლებების დაცვისას არ არის აუცილებელი წინაპირობა, რომ ბრალი იკვეთებოდეს. თუმცა, შემდეგი წინადადებით განსაზღვრულია: „ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმოყვას. ბრალეული ხელმოყვას შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად“. ნორმიდან ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებელია

⁵⁵² Voigt/Hullen, 2024, 127-128.

⁵⁵³ „AI Act“ დათქმას „Deployer“-ის მიმართ აკეთებს და ხაზს არ უსვამს ნებისმიერი მოსარგებლის საკითხს.

⁵⁵⁴ ამ შემთხვევაშიც, მსჯელობა ეფუძნება სკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის 1-ელ წინადადებას.

ბრალი დადასტურდეს^{555/556} და დაკმაყოფილებული იყოს ყველა ის წინაპირობა, რაც ასეთ დროს კანონითაა განსაზღვრული.⁵⁵⁷

8.2 პასუხისმგებლობა გამოსახულების გავრცელებისას

ის, თუ რამდენად შეიძლება იკვეთებოდეს გამავრცელებლის ბრალი მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი გამოიყენებს სხვის ვიზუალს სათანადო თანხმობის გარეშე, მსჯელობის საგანს წარმოადგენს. კერძოდ, ის, თუ რამდენად გააჩნდა გამავრცელებელს გადამონმების ვალდებულება და რამდენად უნდა მიეღო მას შესაბამისი ზომები, შეიძლება კონკრეტული მაგალითებიდან (გადადგმული ნაბიჯებიდან) იკვეთებოდეს. ლოგიკური იქნება, თუ ასეთ დროს პასუხისმგებლობა (თუნდაც გამოსახულება (ან, ხმა) ჰგავდეს სხვა ადამიანის გამოსახულებას/ხმას და ეს არ იყოს გამავრცელებლის მიზანმიმართული ქმედების შედეგი), გამავრცელებელს დაეკისრება.⁵⁵⁸

მოცემული მსჯელობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როდესაც გამოსახულებით სარგებლობა გამავრცელებლის კომერციულ მიზანს ეფუძნება. მატერიალური სარგებლის ნახვა გამოსახულებაზე უფლების რეალიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა,⁵⁵⁹ რაც სკ-ის მე-18 მუხლის მე-5 ნაწილითვეა მოწესრიგებული. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, უფლება გამოსახულებაზე არის არა მხოლოდ ე.წ. იდეალური, არამედ კომერციული მიზნის მიღწევის რეალიზაციის წინაპირობა.⁵⁶⁰ შესაბამისად, მოთხოვნა აღნიშნულ გარემოებაზე დაყრდნობითაც შეიძლება წარმოიშვას.

9. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის საფუძველზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ ძირითად პრინციპებს ეფუძნება, რაც ამ ინსტიტუტისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით პრაქტიკაში ჩამოყალიბებულია სამი მთავარი მიზანი: ა) დააკმაყოფილოს დაზარალებული, ბ) ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და გ) თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ⁵⁶¹ (პრევენციული ფუნქცია სამართალდარღვევის განმეორების საშიშროების აღმოფხვრის კუთხით⁵⁶²). სწორედ ამიტომ, არაქონებრივი

⁵⁵⁵ საპირისპირო შეხედულებისთვის იხ. *სტურუა*, სქ №1/2012, 157.

⁵⁵⁶ *ნინიძე*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მ. 18, 70.

⁵⁵⁷ იხ. მაგალითად, *ჯორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის ნორმათა განმარტებები, ტომი I, 2023, 197.

⁵⁵⁸ მაგალითად, არ იყოს გენერირება მის მიერ დასმული პირდაპირი შეკითხვების პროპორციული.

⁵⁵⁹ *Lennartz*, NJW №49/2023, 3545.

⁵⁶⁰ BGH, Urt. vom 21.9.2000 – I ZR 12/98.

⁵⁶¹ იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 11.12.2018, №2/28724-17.

⁵⁶² თსს გადაწყვეტილება, 15.2.2018, №2/2705-17.

უფლებების დარღვევიდან გამომდინარე წარმოებულ დავებზე, ზიანის ანაზღაურება ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნად გვევლინება.⁵⁶³

თუ საკითხს ცილისწამების კონტექსტში განვიხილავთ, შევნიშნავთ, რომ სადავო ტექსტის შინაარსსა და სიმძიმეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი პასუხისმგებლობის დადგენისთვის.⁵⁶⁴ აღნიშნული ცალსახად იკვეთება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში, როდესაც **დაკისრებული ზიანის ოდენობა პროპორციული უნდა იყოს⁵⁶⁵ და გონივრულ ფარგლებში უნდა ექცეოდეს.**⁵⁶⁶ ეს კი ნიშნავს, რომ ამგვარი დავებისას მნიშვნელობა ენიჭება ცალკეულ გარემოებებს:⁵⁶⁷ მაგალითად, რა ვითარებაში და რა გარემოებაში მოხდა ქმედების განხორციელება.⁵⁶⁸

თითოეულ შემთხვევაში მიყენებული ზიანი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს სადავო განცხადებასთან⁵⁶⁹ (იგივე, ცილისწამების გავრცელებასთან⁵⁷⁰) და მოპასუხის მიერ განხორციელებულ ქმედებასთან.⁵⁷¹ შესაბამისად, ყურადსაღებია ცალკეული გარემოებები, რადგან, ერთი მხრივ, არ მოხდეს მოპასუხისთვის დიდი თანხის დაკისრება, ხოლო, მეორე მხრივ, მას არ გააჩნდეს „მსუსხავი ეფექტი“.^{572/573} მაგალითად, სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება როგორც ფაქტობრივად დამდგარ ზიანს,⁵⁷⁴ ისე – მიუღებელ შემოსავალს ეხებოდეს.⁵⁷⁵ ქონებრივი ზიანის დასაბუთება მოსარჩელისთვის შედარებით მარტივ ფარგლებში ექცევა.⁵⁷⁶ გამოსარჩევია მხოლოდ ორი ასპექ-

⁵⁶³ ზიანის ანაზღაურების მიზანი არ გულისხმობს, რომ მოსარჩელემ იგი დაასაბუთოს პრევენციული ფუნქციის გათვალისწინებით. მაგალითად, თუ მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მას მიადგა არაქონებრივი ზიანი, მისი განმარტება პრევენციულ ასპექტს კი არ უნდა ეფუძნებოდეს, არამედ – გარემოებას, რომელიც ამ მდგომარეობას დაადასტურებს.

⁵⁶⁴ ისტორიული მაგალითისთვის გამოდგება ქართული სამართლის ძეგლებში არსებული მიდგომა, სადაც ცილისწამებისთვის სანქცია დანაშაულის დანაშაულის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. იხ. *ჩაჩანიძე*, სქ №2/2012, 14.

⁵⁶⁵ *Pais Pires de Lima v. Portugal*, 12.2.2019, №70465/12 (ECtHR).

⁵⁶⁶ *Tolstoy Miloslavsky v. the United Kingdom*, 13.7.1995, №18139/91 (ECtHR).

⁵⁶⁷ მიუხედავად გარემოებების არსებობისა, ქართულ რეალობაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევები არ ეხება დიდ თანხებს. შეად. *Zelezny*, 2010, 164.

⁵⁶⁸ სუს განჩინება, 26.1.2022, №ას-336-2021.

⁵⁶⁹ სუს განჩინება, 30.9.2013, №ას-931-889-2013.

⁵⁷⁰ სუს განჩინება, 30.3.2023, №ას-1373-2022.

⁵⁷¹ იხ. მაგალითად, ქსს გადაწყვეტილება, 17.4.2018, №2/1134-16.

⁵⁷² *Levi*, URLR, Vol. 57, 2023, 1271.

⁵⁷³ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტერმინი – „შემაკავებელი ეფექტი“, რაც განსაკუთრებით, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებისას შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელი გარემოება. ამ საკითხზე იხ. *Real Madrid Club de Fútbol and AE v EE and Société Éditrice du Monde SA*, 4.10.2024, №C-633/22 (CJEU).

⁵⁷⁴ იხ. მაგალითად, *Dörr/Schwartmann*, 2012, 146.

⁵⁷⁵ *მესხიშვილი*, 2020, 255.

⁵⁷⁶ იხ. მაგალითად, *Solmecke/Wahlers*, 2014, 250.

ტი – ერთი მხრივ, იგი ლოგიკურ ბმაში უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნასთან,⁵⁷⁷ ხოლო, მეორე მხრივ, მიზეზობრივი კავშირი უნდა დადასტურდეს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა (ზიანის თაობაზე)⁵⁷⁸ და გავრცელებულ ცილისმწამებლურ განცხადებას შორის.^{579/580} ასეთი მიზეზობრივი კავშირის წარმოჩენა პრაქტიკაში სირთულეს წარმოაჩენს.

რაც შეეხება არაქონებრივ უფლებებს,⁵⁸¹ იგი ადამიანის პიროვნების პატივისცემისა და მისი იდენტობის გამომხატველია,⁵⁸² რომელთა შელახვითაც პირს შეიძლება მიაღვეს არაქონებრივი ზიანი.⁵⁸³ მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ღირსების უფლება, რომლის შელახვაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობა ხდება და რომლის (ღირსების უფლების) შეზღუდვაც საკანონმდებლო დონეზე არ წესრიგდება.⁵⁸⁴ მეტიც, თუ გამოხატვის თავისუფლებასა და ღირსების უფლებას შორის მიდგა საქმე, მსჯელობა მათ შორის პროპორციულობის დაცვაზე არ იქნება მართებული, რადგან გამოხატვის შეზღუდობის გამართლება ღირსების უფლების შეზღუდვით არ დაიშვება.⁵⁸⁵ განსახილველ კატეგორიაში ექცევა რეპუტაციის⁵⁸⁶ საკითხიც,⁵⁸⁷ რომელიც შეიძლება ეხებოდეს როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს.⁵⁸⁸ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება“,⁵⁸⁹ შეიძლება დავასკვნათ, რომ რეპუტაციული ზიანის მიყენება უმეტეს შემთხვევაში საქმიანობის მიმართ ხელის შეშლისკენ არის მიმართული. შესაბამისად, არსებითად მცდარი ფაქტის გავრცელება შესაძლებელია სწორედ ამ უკანასკნელს ემსახურებოდეს.

ის, თუ რამდენადაა არაქონებრივი უფლება დარღვეული, ცალკე განხილვის საგანია⁵⁹⁰ და შეიძლება დამატებით დასაბუთებასაც საჭიროებდეს.⁵⁹¹ თუმცა, რო-

⁵⁷⁷ იხ. მაგალითად, თსს გადაწყვეტილება, 23.12.2019, №2/21369-16.

⁵⁷⁸ მსჯელობისთვის იხ. თსს გადაწყვეტილება, 18.3.2020, №2/22430-19.

⁵⁷⁹ სუს განჩინება, 26.1.2022, №ას-336-2021.

⁵⁸⁰ თსს გადაწყვეტილება, 18.3.2020, №2/22430-19.

⁵⁸¹ არაქონებრივი უფლების ტერმინთან დაკავშირებით იხ. *ნინიძე*, აკაკი ლაბარტყავა 80, სკრ, 2013, 68.

⁵⁸² *კერესელიძე*, 2009, 131.

⁵⁸³ ხშირად იგი მორალურ ზიანადაცაა მოხსენიებული. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 16.1.2024, №ას-1534-2023.

⁵⁸⁴ იხ. მაგალითად, *Michael/Morlok*, 2016, 100.

⁵⁸⁵ BVerfG, Bes. vom 14.6.2019 – 1 BvR 2433/17.

⁵⁸⁶ იგულისხმება როგორც სოციალური, ისე – საქმიანი რეპუტაცია – იხ. *Denisov v. Ukraine*, 25.9.2018, №76639/11 [GC] (ECtHR).

⁵⁸⁷ *ბიჭია*, სდნ, 2012, 113.

⁵⁸⁸ იხ. მაგალითად, *Petrina v. Romania*, 14.10.2008, №78060/01 (ECtHR).

⁵⁸⁹ *ნინიძე*, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, მ. 18, 61.

⁵⁹⁰ იხ. მაგალითად, *Arztelkammer für Wien and Dorner v. Austria*, 16.2.2016, №8895/10 (ECtHR).

⁵⁹¹ იხ. *Zorn in Dörr/Kreile/Cole* (Hrsg.), *Medienrecht*, 2022, 617.

გორც წესი, **არაქონებრივი უფლების დარღვევა ძირითადი დარღვევის პროპორციულად პრეზუმირდება**. აღნიშნული ნიშნავს, რომ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა (როგორიც, მაგალითად, ქონებრივი ზიანის შემთხვევაშია შესაძლებელი) არ მოეთხოვება მხარეს. თავის მხრივ, არაქონებრივი ზიანის განსაზღვრისას, ერთი მხრივ, უნდა იქნეს განხილული, ლახავს თუ არა ცილისმწამებლური მოქმედება მოსარჩელის პატივს, ღირსებას ან საქმიან რეპუტაციას,⁵⁹² ხოლო, მეორე მხრივ, იწვევს თუ არა ამით მოსარჩელის ფსიქიკურ^{593/594} ან ემოციურ ტანჯვას.^{595/596} **განსხვავებით ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, უპირატესად, მოსარჩელის ემოციების გაქარწყლებას ეხება,**⁵⁹⁷ გააჩნია სიმბოლური ხასიათი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება დარღვეული პიროვნული უფლების აღიარება.⁵⁹⁸ მიუხედავად მოყვანილი მსჯელობისა, ის, თუ როგორ ხდება არაქონებრივი უფლების დარღვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება, პრაქტიკაში დღემდე სადავო საკითხს წარმოადგენს.⁵⁹⁹

10. შემაჯამებელი მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტის მხრიდან შინაარსის (ფაქტის ჭრილში), ისევე, როგორც ვიზუალისა თუ ხმის გენერირების შემთხვევაში, მოთხოვნის უმთავრესი ადრესატი არის გამავრცელებელი, რომელიც ავალებს („Prompt“-ის საშუალებით) ხელოვნურ ინტელექტს და შემდეგ გენერირებულ ქმნილებას („Output“-ს) ავრცელებს საჯაროდ. თუნდაც ადგილი ჰქონდეს ხელოვნური ინტელექტის ე.წ. „დამხმარე როლს“, აღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ პირი სრულად უნდა ენდოს მასში მოცემულ ინფორმაციას.⁶⁰⁰ გადამოწმების ვალდებულება (ან რისკი) იმ პირზე რჩება, რომელიც

⁵⁹² სასამართლო პრაქტიკით, არაქონებრივი უფლებების დარღვევაც კი საკმარისია არაქონებრივი ზიანის განსასაზღვრად. იხ. სუს განჩინება, 3.4.2012, №ას-1477-1489-2011.

⁵⁹³ *მესხიშვილი*, 2020, 255.

⁵⁹⁴ ასეთ დროს მნიშვნელოვანია სათანადო შეფასების გაკეთება და მიზეზობრივი კავშირის დადგენა. მაგალითად, თუ პირი თავის თავში ჩაიკეტება და საზოგადოებისგან იზოლირდება, აღნიშნული ვერ გახდება არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტის დამადასტურებელი უპირობო გარემოება და შესაბამისად, მოთხოვნის საფუძველიც უპირობოდ არ იარსებებს. იხ. სუს განჩინება, 8.10.2009, №ას-334-654-09.

⁵⁹⁵ ამ საკითხზე იხ. *Veitch*, AALR, Vol. 2, 1973, 485-486.

⁵⁹⁶ სასარჩელო მოთხოვნებში დასაბუთებად გვხვდება ასევე „ფსიქოლოგიური ძალადობის“ შემთხვევაც. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 17.11.2022, №ას-33-2022.

⁵⁹⁷ თსს გადაწყვეტილება, 11.12.2018, №2/28724-17.

⁵⁹⁸ სუს გადაწყვეტილება, 17.7.2002, №3კ/783-02.

⁵⁹⁹ მაგალითად, გამოსახულების საკითხთან დაკავშირებით ზიანის ანაზღაურების თაობაზე იხ. სასამართლო პრაქტიკის განხილვა: *ყენია*, ლადო ჭანტურია 60, სკრ, 2023, 16-28.

⁶⁰⁰ მით უმეტეს, როდესაც ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობა ფართოა და მას შეუძლია, რომ ტექნოლოგიური თვალსაზრისით, სხვადასხვაგვარი ვარიანტი შესთავაზოს მოსარჩელეს. ამ საკითხზე იხ. მაგალითად, *Lennartz*, NJW №49/2023, 3545.

მოქმედებს შესაბამისი დავალებით.⁶⁰¹ მით უმეტეს, როდესაც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში გარანტიის დათქმა არ იკვეთება.⁶⁰² ამდენად, ხელოვნური ინტელექტის „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ სარგებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა უპირატესად მას ეკისრება, ვინც მას ასეთ საშუალებად იყენებს. შეიძლება ითქვას, რომ მოსარგებლე ინფორმირებულია ან უნდა იყოს ინფორმირებული ხელოვნური ინტელექტის არასათანადო გამოყენების შემთხვევაში შესაბამის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.⁶⁰³

რაც შეეხება მოთხოვნებს (ცილისწამებისა თუ ვიზუალის უფლების დაცვის არსიდან გამომდინარე), იგი ზოგად პრინციპებს ეფუძნება. ამ მხრივ, შესაძლებელია, რომ მოთხოვნა დადგეს იმის მიხედვით, რა აქტივობა განახორციელა მოსარგებლემ გენერირების შედეგად. ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა პრაქტიკულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რაც, პირველ რიგში, გენერირებისა თუ ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირების არსის განმარტებიდან გამომდინარეობს.⁶⁰⁴

⁶⁰¹ იხ. LG Kiel, Urt. vom 29.2.2024 – 6 O 151/23.

⁶⁰² იხ. მაგალითად, „ChatGPT“-ს შემთხვევა: <<https://openai.com/policies/row-terms-of-use/>> [17.7.2025].

⁶⁰³ განსაკუთრებით, როდესაც საკითხი ეხება ადვოკატს და მის პროფესიულ საქმიანობას.

⁶⁰⁴ მით უმეტეს, ქართული რეალობის გათვალისწინებით, სადაც „DSA“-ს არ გააჩნია სამართლებრივად მბოჭავი ძალა.

V. ვალდებულებითი სამართალი და ხელოვნური ინტელექტი

სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებანი ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას მნიშვნელოვან პრაქტიკულ დანიშნულებას ჰპოვებენ. მართალია, ხელოვნური ინტელექტი თავად არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი სუბიექტი,⁶⁰⁵ თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი გამოყენებით დამდგარი ზიანის შემთხვევაში მოთხოვნის დაყენება შეუძლებელია. სწორედ ამ თვალსაზრისით, მსჯელობის საგანს წარმოადგენს არა ის, თუ *de lege ferenda* რა შედეგი შეიძლება დადგეს, არამედ, *de lege lata* ვის პასუხისმგებლობაში მოექცევა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შემთხვევა.

1. სახელშეკრულებო ურთიერთობა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის საფუძველს, როგორც წესი, ხელშეკრულების დადება და ასევე, ხშირ შემთხვევაში, კონკრეტული ანგარიშის შექმნა წარმოადგენს.⁶⁰⁶ ასეთი ხელშეკრულების დადებისას კი, უმეტესად, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიერ შეეთავაზება პირობები მოსარგებლეს, რაც სარგებლობის ძირითად წესს განსაზღვრავს.⁶⁰⁷

1.1 სასიკეთო პირობები ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლისთვის

როგორც წესი, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისთვის განსაზღვრულ ხელშეკრულებაში არ გვხვდება რაიმე სახის გარანტიასა თუ სისწორეზე მითითება. პირიქით, უმეტესად, პასუხისმგებლობისგან გამორიცხვაზეა დათქმა გაკეთებული.⁶⁰⁸ ამგვარი დათქმა *clausula de non responsabilitate absoluta* შინაარსის იდენტური არ არის, თუმცა გარკვეული თვალსაზრისით ამგვარი პირობა იცავს ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს. მეტიც, თუ ხელოვნურმა ინტელექტმა არამართებულად დააგენერირა პასუხი, აღნიშნული *a priori* ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობას არ გულისხმობს. შეიძლება ითქვას, რომ მოცემულობა პირიქითაც

⁶⁰⁵ ისევე როგორც ხელოვნური ინტელექტი ვერ გამოავლენს ნებას, როგორც სუბიექტი. ამ საკითხზე იხ. Pieper, GRUR-Prax №13/2019, 300.

⁶⁰⁶ იხ. მაგალითად, „ChatGPT“-ით სარგებლობისთვის „OpenAI“-სთან დასაბუთებული ხელშეკრულების პირობები: <<https://openai.com/policies/eu-terms-of-use/>> [12.3.2026].

⁶⁰⁷ Hartmann in: Hartmann (Hrsg.), KI & Recht Kompakt, 2020, 56.

⁶⁰⁸ ესეც არ იყოს, ცალკეულ შემთხვევებში იკვეთება მოცემულობა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირებულ პასუხშივეა მითითება, რომ ინფორმაცია შეიძლება არც იყოს გარანტირებული მართებული.

კი წარმოჩინდება: ცალკეულ შემთხვევაში, თუნდაც მოსარგებლის მხრიდან შეკითხვა სათანადოდ იყოს ფორმულირებული,⁶⁰⁹ „Output“-ის უპირობო გამოყენება ყოველგვარი გადამოწმების გარეშე, მოსარგებლის რისკს წარმოადგენს.

საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია, თუ ხელოვნური ინტელექტის სტატისტიკური ვერსიით სარგებლობა ხდება. ასეთ დროს, მოსარგებლესაც წინდანინვე აქვს გააზრებული შესაძლო არამართებული (სინამდვილესთან შეუსაბამო) შედეგების შესახებ ინფორმაციის მიღების საკითხი. აღნიშნული კი, ხელშეკრულების მხოტავ პირობებთან ერთობლიობაში, დაცვის მექანიზმს მნიშვნელოვნად ამცირებს.

1.2 „ჰალუცინაცია“, როგორც პასუხისმგებლობის შეფასების ფაქტორი

ტერმინი „ჰალუცინაცია“ ხშირ შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე შეთავაზებულ ხელშეკრულებაში არ გვხვდება. თუმცა, ამავე პირობებში ვხვდებით „სიზუსტის“ განმარტებას. მაგალითად, „ChatGPT“-ის შემთხვევაში: „ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლება სწრაფად განვითარებად სფეროს განეკუთვნება. ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ჩვენი სერვისების განვითარებაზე, რათა იგი მეტად ზუსტი, საიმედო, უსაფრთხო და სასარგებლო გავხადოთ. მანქანური სწავლების ალბათური ბუნების გათვალისწინებით, ჩვენი სერვისების გამოყენებამ, შესაძლოა, რომ ზოგიერთ სიტუაციაში ისეთი შედეგი წარმოაჩინოს, რომელიც ზუსტად არ ასახავს რეალურ ადამიანებს, ადგილებს ან ფაქტებს“.⁶¹⁰ როგორც განმარტებიდან იკვთება, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი ცალსახად უთითებს შესაძლო უზუსტობაზე. ეს კი მოსარგებლისთვის ერთგვარი მავალდებულებელი ხასიათის დათქმდაც კი შეიძლება მივიჩნიოთ, რომ მან თითოეულ შემთხვევაში მეტი წინდახედულობა გამოიჩინოს.^{611/612}

⁶⁰⁹ რასაც გადამწყვეტი როლი ენიჭება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას.

⁶¹⁰ იხ. ინგლისურ ენაზე: „Accuracy. Artificial intelligence and machine learning are rapidly evolving fields of study. We are constantly working to improve our Services to make them more accurate, reliable, safe, and beneficial. Given the probabilistic nature of machine learning, use of our Services may, in some situations, result in Output that does not accurately reflect real people, places, or facts“ [25.11.2025].

⁶¹¹ პრაქტიკაც ამ თვალსაზრისით ვითარდება. იხ. მაგალითად, იხ. LG Kiel, Urt. vom 29.2.2024 – 6 O 151/23.

⁶¹² იხ. მაგალითად, ჩინეთში განვითარებული შემთხვევა, რომელიც 2025 წლის 29 დეკემბრით თარიღდება და სადაც სასამართლომ „ჰალუცინაციის“ მიუხედავად, არ დააყენა შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხი (მოსარგებლე იყო მოსარჩელე) – Hangzhou Internet Court, 29.12.2025 – ორიგინალის ენაზე: 生成式人工智能“幻觉”侵权纠纷中过错责任原则的适用 (2025). იხ. ასევე ბმული (გაცნობა მოხდა ინგლისურ ენაზე): <<https://chinaipcaseupdates.com/hangzhou-internet-court-judgment-application-of-the-fault-based-liability-principle-to-ai-hallucination-infringement-2025/>> [4.1.2026].

მსჯელობის კვალად შეიძლება ითქვას, რომ „პალუცინაცია“ თავისთავად არ წარმოშობს პასუხისმგებლობას. სხვა სიტყვებით: „პალუცინაცია“ პასუხისმგებლობის საფუძვლად მაშინ გამოდგება, როდესაც რისკი სცდება იმ ფარგლებს, რაც მოსარგებლეს გონივრულად უნდა ჰქონოდა გათვალისწინებული.

1.3 კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება

კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინება სახელშეკრულებო ურთიერთობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გამონაკლისი არც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობას ეხება. კერძოდ, კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარე, შეიძლება, ადგილი ჰქონდეს სკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული პრინციპის დარღვევას, მეტიც – ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა იკვეთებოდეს სკ-ის 55-ე მუხლის გარემოება.⁶¹³ ეს კი მაშინ, როდესაც მოსარგებლე ენდობა ხელოვნური ინტელექტის სისტემას, ხოლო ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი ამ ნდობას ბოროტად იყენებს და გარკვეულ ზიანს აყენებს მას.⁶¹⁴ ის, თუ რა შეიძლება დასახელებულ ქმედებად იქნეს მიჩნეული, კონკრეტული გარემოების განხილვის საგანია.⁶¹⁵ მტკიცების ტვირთი ასეთ დროს მოსარჩელეზეა.⁶¹⁶ პრაქტიკული მოცემულობის გათვალისწინებით, ამგვარი პასუხისმგებლობის დაკისრება მინიმალურ შესაძლებლობასთანაა დაკავშირებული. მიგვს კი სტანდარტულ პირობებში არსებული დათქმა წარმოადგენს (რომელიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონით განსაზღვრულ პრინციპებს).

1.4 ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

მიუხედავად სახელშეკრულებო დათქმისა, შეიძლება, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობებიდან გამომდინარე, სპეციფიკურ მოწესრიგებასთან გვქონდეს საქმე. ყურადღება გასამახვილებელია, უპირატესად, სკ-ის 346-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგო, მხარისთვის საზიანო პირობები, ბათილია.⁶¹⁷ ამავე მუხლის მე-2 წინადადება ერთგვარ

⁶¹³ შეგნებულად არაა გამახვილებული ყურადღება საერთაშორისო კერძო სამართლიდან გამომდინარე კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ მოწესრიგებასთან დაკავშირებით. მსჯელობა მხოლოდ სპეციფიკურ ტრილშია წარმართული.

⁶¹⁴ როგორც დათქმიდან იკვეთება, გვხვდება კუმულაციური წინაპირობები. იხ. მაგალითად, *კერესელიძე*, 2009, 357.

⁶¹⁵ იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, *ჭანტურია* (რედ.), 2017, მ. 55, გვ. 4.

⁶¹⁶ იხ. სუს განჩინება, 9.1.2014, №ას-1559-1462-2012.

⁶¹⁷ ხაზგასასმელია, რომ მოცემულობა: „საზიანო პირობები“ აუცილებლად უნდა იკვეთებოდეს. მხოლოდ ზოგადი განმარტება პრინციპების თაობაზე, არ არის შედეგის მომტანი. ამ საკითხზე იხ. *ცერცვაძე* წიგნში: *ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია*, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 212.

წინაპირობას განსაზღვრავს, რომლის ფარგლებშიც, განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას მოხდა მხარეთა ორმხრივი ინტერესების გათვალისწინება. აღნიშნული გულისხმობს უშუალოდ კონტრაქტის ინტერესების მხედველობაში მიღებას,⁶¹⁸ რაც ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალური მოცემულობიდან გამომდინარეობს. მოსარგებლეს გააჩნია ნდობა, რაც არ უნდა იქნეს ბოროტად გამოყენებული.⁶¹⁹ შესაბამისად, ხელშეკრულების ნორმებზე დაფუძნებით ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის წინასწარი და უპირობო გამორიცხვა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც იგი კეთილსინდისიერების პრინციპს ეხება, არ იქნებოდა მართებული.

1.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობები

ხელშეკრულების კონკრეტულ პირობებზე საუბრისას სამ მათგანზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ა) საპრეტენზიო ვადა; ბ) კომუნიკაციის ფორმა და გ) საარბიტრაჟო დათქმა. ხაზი უნდა გაესვას, რომ პასუხისმგებლობის განსაზღვრის, ისევე, როგორც, მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებათა თაობაზე შეთანხმების საკითხი წინამდებარე ნაშრომში ცალკეა გამოყოფილი. შესაბამისად, აქ მათზე აღარ მოხდება შეჩერება.

საპრეტენზიო ვადის განსაზღვრა, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას, მნიშვნელოვან პრაქტიკულ დანიშნულებას ჰპოვებს. უმეტეს შემთხვევაში, საკითხი მყისიერ გადაწყვეტას საჭიროებს, რაც მხარეთათვის ერთგვარად სწორედ ამგვარი ვადის განსაზღვრით იქნება დაზღვეული. თუ მხარე არ დაიცავს მითითებულ ვადას, მაშასადამე, იგი კარგავს მოთხოვნის უფლებას საპრეტენზიო ვადაში პრეტენზიის განუცხადებლობის გამო.⁶²⁰

განსახილველ ფარგლებში ექცევა კომუნიკაციის ფორმა, რაც მყისიერი რეაგირების მნიშვნელოვანი ტექნიკური საფუძველია. ამ მხრივ, პრაქტიკულია ინდივიდუალური ტექნოლოგიური საშუალებით (ე.წ. შიდა სისტემით), ან ელ. ფოსტით კომუნიკაცია, რაც დასაშვებ სახელშეკრულებო ფარგლებში ექცევა⁶²¹ და რომლის მითითებაც ხელშეკრულებაში სათანადოდ უნდა მოხდეს.

დავის ეფექტურად დასრულების მიზნით, სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო დათქმის განსაზღვრა, ასევე აპრობირებული მეთოდია.

⁶¹⁸ რუსიაშვილი/ალადაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 346, ვნ.18.

⁶¹⁹ შესაძლებელია, რომ ცალკეული საკითხები სასამართლოს მხრიდან *ex officio* შემოწმებას დაექვემდებაროს. იხ. მაგალითად, VB Pénzügyi Lízing Zrt. v Ferenc Schneider, 9.11.2010, №C-137/08 (CJEU).

⁶²⁰ სუს განჩინება, 18.4.2024, №ას-42-2024.

⁶²¹ ელ. ფოსტასთან დაკავშირებით იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 17.9.2025, №ას-616-2024.

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობასთან დაკავშირებით ამ მიმართულებით პრაქტიკა ჯერ-ჯერობით არ არის განვითარებული. თუმცა, არშ-ის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ამგვარი დავები, დასაშვებ კატეგორიაში ექცევა. ასეთ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ხელშეკრულების ფორმაზე,⁶²² რათა, სარჩელის უზრუნველყოფისა⁶²³ თუ ცნობა-აღსრულების ეტაპზე არ შეიქმნას დაბრკოლება.⁶²⁴

2. ხელოვნური ინტელექტის საშუალებით დადებული ხელშეკრულება

2.1 ნების გამოვლენა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით

თუ პირი ხელოვნურ ინტელექტს ხელშეკრულების დასადებად იყენებს, მაშინ ნების გამოვლენადაც სწორედ იგი მიიჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტი ასეთ შემთხვევაში ერთგვარ ინსტრუმენტად იქცევა, რომელიც ხელშეკრულების დადებაში ეხმარება კონტრაჰენტს.⁶²⁵ ქმედება შეიძლება იყოს ნებისმიერი ტექნიკური საშუალებით განხორციელებული, რომელშიც ასევე მოიაზრება ხელშეკრულების ავტომატურად დადების შემთხვევა და, რა დროსაც, შესაბამისი პროცედურების გავლა (მათ შორის, ტექნიკური სახით), მომხმარებლის მხრიდანაც ნების გამოვლენად მიიჩნევა.⁶²⁶

უშუალოდ ხელოვნურ ინტელექტს ვერ მივიჩნევთ შუამავლად ან წარმომადგენლად (დამოუკიდებელ პირად).⁶²⁷ მაგალითად, არ იქნებოდა სკ-ის 103-ე თუ 104-ე მუხლის გამოყენება მართებული, ვინაიდან წარმომადგენელი აუცილებლად სამართლის სუბიექტი უნდა იყოს,⁶²⁸ რაც ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში არ გვხვდება. ანალოგიური მიდგომა ვრცელდება შუამავლობაზე, სადაც სკ-ის 744-ე და შემდგომი მუხლებით განსაზღვრულია სუბიექტთა კონკრეტული წრე.

⁶²² ასევე, არბიტრაჟის კომპეტენციაზე, რაც კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით განისაზღვრება. იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 1.12.2025, №2ბ/6457-25, ასევე, თსაპ განჩინება, 22.10.2024, №2ბ/1814-24.

⁶²³ იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 10.10.2025, №2ბ/5635-25.

⁶²⁴ განსაკუთრებით, თუ ერთ-ერთი მხარე (ამ შემთხვევაში, უპირატესად, მოსარგებლე), შესაძლოა, რომ არშ-ის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი გახდეს დამაბრკოლებელი საფუძველი. იხ. მაგალითად, თსაპ განჩინება, 10.10.2025, №2ბ/5634-25.

⁶²⁵ იხ. *St-Hilaire*, UBCLR, Vol. 58:2, 621.

⁶²⁶ შეად. *Aerotek, Inc. v. Boyd*, 624 S.W.3d 199 (Tex. 2021).

⁶²⁷ ამ თვალსაზრისით, პირველ რიგში ყურადსაღებია, რომ წარმომადგენლობისას მნიშვნელოვანია, წარმოდგენილის იდენტიფიცირება მოხდეს. მაშასადამე ის, თუ ვინ დებს ხელშეკრულებას. ეს კი საფუძველია, რომ მესამე პირმა (კონტრაჰენტმა) ერთმანეთისგან გაარჩიოს წარმომადგენელი და წარმოდგენილი (იხ. *Kötz*, 2012, 168). ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში კი, ასეთი შესაძლებლობა ვერ გამოიკვეთება.

⁶²⁸ იხ. *ჯორბენაძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მ. 103, ვნ. 2.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ **ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს ნების გამოვლენისთვის განსაზღვრულ ინსტრუმენტს და იგი უშუალოდ არ არის ნების გამოვლენი**. შესაბამისად, გენერირებული ტექსტი (ქმედება) უნდა ჩაითვალოს არა დამოუკიდებელ (ხელოვნური ინტელექტის მხრიდან) ნების გამოვლენად, არამედ კონტრაქტის დამხმარე ტექნიკურ საშუალებად.⁶²⁹

2.2 ნების ნაკლის საკითხი

რამდენად იკვეთება ნების ნაკლი მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტი „ცდება“, ანუ მოსარგებლისთვის არასასურველ ტრანზაქციას/გენერირებას ახორციელებს? მაგალითად შეიძლება გამოდგეს ე.წ. „Air Canada“-ს საქმე,⁶³⁰ სადაც მომხმარებელთან კომუნიკაციისას დაშვებულ იქნა შეცდომა (მოცემული საქმე კონტრაქტისადმი მიწერილი შეცდომაში შემყვანი კომუნიკაციის შედეგს წარმოადგენს). კერძოდ, მომხმარებელი (შემდგომში – მოსარჩელე) ყიდულობდა „Air Canada“-ს ბილეთებს. მომხმარებელმა კომუნიკაცია დაამყარა „Chatbot“-თან, რა დროსაც მომხმარებელს მიეწოდა ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მეტიც, ინფორმაცია „Air Canada“-ს წესებისა და პირობებისგან განსხვავებულ მოცემულობას ქმნიდა. საბოლოოდ მომხმარებელს ამ გარემოებამ მეტი თანხის გადახდის წინაპირობა წარმოუშვა, ვიდრე კომუნიკაციიდან გამომდინარეობდა. მომხმარებელმა მიმართა სასამართლოს. „Air Canada“-ს პოზიცია დაეფუძნა იმ გარემოებას, რომ „Chatbot“-მა დაუშვა შეცდომა და რომ ამგვარი პირობა არ მომდინარეობდა კომპანიის მხრიდან.⁶³¹ სასამართლომ არ გაიზიარა კომპანიის არგუმენტი, ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლომ „Chatbot“-ის ქმედება გაუთანაბრა კომპანიის ქმედებას.⁶³²

მოყვანილი მაგალითი სრულად ლოგიკური და გასაზიარებელია ქართული რეალობისთვისაც. ის, რომ პირი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, არ ნიშნავს, რომ ის ხარვეზზე პასუხისმგებლობისგანაა გათავისუფლებული.⁶³³ მაშინ, როდესაც კონკრეტული პლატფორმა სთავაზობს პირს მომსახურების განევას, ამ მომსახურების ფარგლებში დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე პასუხს აგებს სწორედ იგი.⁶³⁴ ამდენად, ნების ნაკლის საფუძველი არ იარსებებს მხოლოდ იმის გამო, რომ ხელოვნურმა ინტე-

⁶²⁹ Konertz/Schönhof, 2020, 112.

⁶³⁰ Moffatt v. Air Canada, 2024 BCCRT 149.

⁶³¹ იგი დასაბუთებისას დაეყრდნო ზოგად წესებს, რაც მომხმარებლისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი.

⁶³² ე.წ. „სახელშეკრულებო Interface“, რომლის ფარგლებშიც, მისი გამოყენება ხელსაწყოს იდენტიფიკაციას შეიძლება იქნეს მიჩნეული.

⁶³³ არ იგულისხმება რეგრესის წესი, რომელზეც ნაშრომში ცალკეა გამახვილებული ყურადღება.

⁶³⁴ შეად. Quoine Pte Ltd v B2C2 Ltd [2020] SGCA(I) 2.

ლექტმა „შეცდომა დაუშვა“. ⁶³⁵ აღნიშნული ყოველთვის ვერ გათანაბრდება არსებით შეცდომასთან, რაც საცილობის საკითხზე მსჯელობისას უმთავრეს საფუძველს წარმოადგენს. ⁶³⁶

მოცემული მსჯელობიდან საგამონაკლისო შემთხვევა იქნებოდა მაშინ, თუ იარსებებდა გარემოებები, რომელიც კონტრაქტს მიაწვდიდა სათანადო ინფორმაციას. სხვა მხრივ, ტექნოლოგიური (ელექტრონული) საშუალების უშუალო გამოყენებელი (მაშასადამე, პირი, რომელიც ამ საშუალებით სთავაზობს ნებისმიერ სხვა პირს ხელშეკრულების დადებას) იღებს პასუხისმგებლობას მის სათანადო გამოყენებაზე. ⁶³⁷

2.2.1 *culpa in contrahendo* თუ ნების ნაკლი?

culpa in contrahendo წინასახელშეკრულებო ეტაპზე უფლებებისა და ქონებისადმი გულისხმიერების ვალდებულებას წარმოშობს. ⁶³⁸ ამ თვალსაზრისით, გამოსაყოფია ინფორმაციის გაცემის ვალდებულების საკითხი, რაც განსაკუთრებული როლის მატარებელია მაშინ, როდესაც მას მნიშვნელობა აქვს ვალდებულების შინაარსის განსაზღვრისთვის. ⁶³⁹ ის, თუ როდის და რა ფარგლებითაა კონტრაქტის ვალდებულება, გასცეს ინფორმაცია, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარეობს. ⁶⁴⁰

მსჯელობის მიზნით, განსახილველია მოცემულობა, როდესაც მცდარი ინფორმაცია იმ კონტრაქტისგან მოდის, რომლის განკარგვის ქვეშ არსებობს ხელოვნური ინტელექტის სისტემა („ინტერფეისი“). წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისას კონტრაქტის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ტექნიკური საშუალებისთვის („ინტერფეისისთვის“) „გადაკისრება“ არ იქნება მართებული. ამდენად, საკითხი „Air Canada“-ს მაგალითის გათვალისწინებით, ამ ავიაკომპანიის კომუნიკაციის ქვეშ უნდა იქნეს განხილული.

ამავე შემთხვევაზე დაყრდნობით, საკითხის გადაწყვეტა ლოგიკური შეიძლება იყოს *culpa in contrahendo*-ს ჭრილში. ნების ფორმირებასა თუ გამოვლენაში ნაკლი, მხოლოდ ტექნოლოგიური გაუმართაობის საფუძველზე დაყრდნობით, სამართლებრივად ძლიერად დასაბუთებული არ იქნებოდა. ⁶⁴¹ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, უმთავ-

⁶³⁵ მით უმეტეს, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა – იხ. *St-Hilaire*, UBCLR, Vol. 58:2, 621.

⁶³⁶ ამ საკითხზე იხ. *ჭანტურია*, 2011, 366.

⁶³⁷ *ედიშერაშვილი*, 2022, 97.

⁶³⁸ *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, *ჭანტურია* (რედ.), 2019, მ. 317, ვნ. 1.

⁶³⁹ *ახვლედიანი*, 1999, 9.

⁶⁴⁰ სუს გადაწყვეტილება, 16.10.2024, №ას-767-2023; ასევე, სუს გადაწყვეტილება, 8.11.2024, №ას-313-2024.

⁶⁴¹ ნაკლისთვის მნიშვნელოვანია დასაბუთდეს, რომ კონტრაქტს არ სურდა ამგვარი ხელშეკრულების დადება (იხ. *Kötz*, 2012, 124.). ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემურია პრაქტიკული ნაწილი, რომლის ფარგლებშიც, „Air Canada“-მ უნდა შეძლოს მტკიცების ტვირთის დაძლევა.

რესია არა ის, თუ როგორ იფუნქციონირა ხელოვნურმა ინტელექტმა, არამედ ის, თუ რა ინფორმაცია მივიდა ადრესატამდე.⁶⁴² წინასახელშეკრულებო ურთიერთობის ეტაპზე წარმოშობილი კორესპონდენცია (კომუნიკაცია) უშუალოდ ხელშეკრულების (და ასევე, ნების ნამდვილობის) განმარტების მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.⁶⁴³ შესაბამისად, ეს ასპექტი მტკიცების ეტაპზე, მხარეთა შორის უნდა იქნეს გათვალისწინებული.

2.2.2 მოტივში დაშვებულ შეცდომად დაკვალიფიცირება

კვლავ „Air Canada“-ს მაგალითს თუ გავყვებით და უკიდურეს შემთხვევაზე, შეცდომის არსებობაზე ვისაუბრებთ, ალბათ ასეთი ქმედება ავიაკომპანიის მოტივში დაშვებულ შეცდომად უნდა დაკვალიფიცირდეს. აღნიშნული ასევე გამომდინარეობს ხელოვნური ინტელექტის დამხმარე ტექნიკურ საშუალებად მიჩნევის არსიდან. კერძოდ, კონტრაქტის, რომელიც ხელშეკრულებას დებს ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, თავად იღებს რისკს, რომ ტექნოლოგიური საშუალება გამართული იქნება. სხვა შემთხვევაში, მან უნდა გადაამოწმოს ხელშეკრულების/შეთავაზების პირობები, ვინაიდან იგი მისი განკარგვის სფეროშია.

სკ-ის 76-ე მუხლი განსაზღვრავს დათქმას, სადაც განერილია მოტივის შეთანხმების საგნად მოაზრების საკითხი. ზემოთ მოცემული მაგალითიდან გამომდინარე, **ხელოვნური ინტელექტი (მისი გენერირება) ვერ იქნება შეთანხმების საგნად მიჩნეული, ვინაიდან იგი არ წარმოადგენს ორივე მხარის მიერ კონტროლირებად საშუალებას**. განსხვავებული მოცემულობა იქნებოდა მაშინ, როდესაც ხელოვნური ინტელექტის გენერირების საფუძველზე იდება ხელშეკრულება და (კუმულაციურად) თუ გენერირებაზე კონტროლი (უშუალოდ გადამოწმება) ორივე მხარეს ერთდროულად აკისრია.

ამდენად, მოტივში დაშვებული შეცდომის გათვალისწინებით, აღარ იარსებებს გარიგების საცილობის საფუძველი. **ხელოვნური ინტელექტის შეცდომა (გენერირების ხარვეზი) ყოველთვის ვერ იქნება კონტრაქტის ნების გამოხატულების პროპორციული**. აღნიშნული ეხება, პირველ რიგში, სწორედ იმ კონტრაქტს, რომელიც განკარგავს ხელოვნურ ინტელექტს.

2.2.3 არსებითი შეცდომით დადებული გარიგების ალბათობა

თუ საკითხს მაინც არსებითი შეცდომის (მაშასადამე, საცილობის) ჭრილში განვიხილავთ, მაშინ მასზე მსჯელობა შეიძლება, თუ შემდეგი ასპექტები იარსებებს: ა) ხე-

⁶⁴² შეად. Fuhrmann-2 GmbH v B., 7.4.2022, №C-249/21 (CJEU).

⁶⁴³ სვანაძე წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014, 109.

ლოვნურმა ინტელექტმა ისეთი შეცდომა დაუშვა, რაც მთლიანად სცდება გარიგების დადებამდე არსებულ ურთიერთობას (თუნდაც ოფერტზე მონვევის შინაარსს) ან ბ) ხელშეკრულების არსებითი პირობების განსაზღვრისას ორივე მხარის მიერ იქნა გამოყენებული ხელოვნური ინტელექტი, სადაც ორივე მათგანს შეეძლო მასზე ჰქონოდა კონტროლი.

განსხვავებით მოტივში დაშვებული შეცდომისგან, წინამდებარე მოცემულობა არსებითად ცვლის მთავარ დეტალს: რისკთან ერთად, არსებითი შეცდომის დადასტურება მხარეთა მიერ კონტროლის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. არსებითი შეცდომის ყველაზე ლოგიკურად განსახილველი სახე გარიგების შინაარსში დაშვებული შეცდომა იქნებოდა. დასაბუთებას კი დაექვემდებარებოდა გარემოება, თუ რამდენად ჰქონდა ადგილი შეცდომას უკვე გამოვლენილი ნების შინაარსში. პრაქტიკული თვალსაზრისით, კონტრაქტისთვის, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს თავისი მომსახურების ფარგლებში იყენებს, სირთულის მატარებელი იქნება შეცდომის არსებობის დადასტურება.⁶⁴⁴ კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირება განსხვავდება ტექნიკური შეცდომისგან, რომელიც შეიძლება, რომ ტექნოლოგიურმა საშუალებამ დაუშვას.⁶⁴⁵ აღნიშნულის საფუძველია ის, რომ ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, საქმე გვაქვს გენერირების განსხვავებულ სახესთან, რა დროსაც, იგივე ჰალუცინაციის ალბათობაც არსებობს და რის რისკსაც სწორედ ის კონტრაქტის იღებს თავის თავზე, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს საქმიანობისთვის იყენებს (და არა მომხმარებელი, რომელიც დებს ამ ხელშეკრულებას).

არსებითი შეცდომის კვალად, შეიძლება, რომ წვრილმან შეცდომაზეც გამახვილდეს ყურადღება, რაც განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებთანაა ასოცირებული. კერძოდ, ნების გამოვლენაში შესწორების უფლებამოსილებასთან (სკ-ის 78-ე მუხლი).

3. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები

რამდენად შეიძლება იკვეთებოდეს ხელოვნური ინტელექტის გამოყენებისას ის მთავარი ქვაკუთხედი, რაც ზიანის ანაზღაურების წინაპირობას წარმოადგენს? კერძოდ, მართლწინააღმდეგობა, ბრალი, მიზეზობრივი კავშირი და რა თქმა უნდა, ზიანი? ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი იქნეს დამოუკიდებლად განხილული.

⁶⁴⁴ ამ საკითხზე იხ. *Konertz/Schönhof*, 2020, 111-112.

⁶⁴⁵ ტექნოლოგიური საშუალების ტექნიკური შეცდომის თაობაზე იხ. მაგალითად, BGH, Urt. vom 26.1.2005 – VIII ZR 79/04.

3.1 მართლწინააღმდეგობა

ვალდებულების დარღვევა ძირითად შემთხვევაში მართლწინააღმდეგო ქმედებას წარმოადგენს.⁶⁴⁶ **ვინაიდან ხელოვნური ინტელექტი არ არის სამართლის სუბიექტი, იგი ვერ განახორციელებს მართლწინააღმდეგო ქმედებას.** თუმცა შესაძლებელია, რომ მართლწინააღმდეგობას ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის ან მოსარგებლის მხრიდან ჰქონდეს ადგილი. თითოეულ შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს მხარეთა შორის არსებულ სახელშეკრულებო დათქმებსა და შესაბამის გარემოებებზე. განსაკუთრებით, თუ შეთანხმებით განსაზღვრულია „Output“-ის გადამონმების აუცილებლობის საკითხი.

3.2 ბრალი

ბრალეული ქმედება, რომელმაც გამოიწვია ზიანი, შეიძლება ტექნიკური საშუალების გაუმართავად ან არასათანადოდ ფუნქციონირებამ გამოიწვიოს. თუმცა, საკითხი არ შეიძლება მხოლოდ ფორმალურად განიმარტოს. მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებელ სუბიექტად იქნეს შესაბამისი პირი მიჩნეული, ხოლო ამავე პირის ქმედება — ბრალეულად. ამ შემთხვევაში არქიტექტურული კომპანიის მაგალითის განვრცობაა მიზანშეწონილი: რამდენად გვხვდება ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის ბრალი? კერძოდ, რამდენად უნდა სცოდნოდა მას ან/და უნდა გაეთვალისწინებინა ცალკეული გარემოება, ან არანაკლებ წინასწარ გაეფრთხილებინა მოსარგებლე (მაგალითიდან გამომდინარე — კომპანია)? ხელოვნური ინტელექტი უშუალოდ ვერ იქნება „ბრალეული“ პირი, მაგრამ მისი მიმწოდებელი შეიძლება გახდეს პასუხისმგებლობის სუბიექტი (კვლავ შეთანხმების პირობების გათვალისწინებით).

3.3 მიზეზობრივი კავშირი და ზიანი

შედარებით პრაქტიკული ნაწილია მიზეზობრივი კავშირისა და ზიანის დადგენა. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ დადასტურდეს, თუ რა შედეგი დადგა ხელოვნური ინტელექტის სარგებლობიდან გამომდინარე. მაგალითად, მიზეზობრივი კავშირის დადგენის კუთხით გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია განისაზღვროს, თუ რამდენად ხელოვნური ინტელექტის გამოისობითაა დამდგარი შედეგი, რაზეც მოთხოვნას აფუძნებს მხარე.⁶⁴⁷ რაც შეეხება ზიანს, იგი შეიძლება როგორც

⁶⁴⁶ იქნება ეს ხელშეკრულებიდან თუ კანონიდან გამომდინარე დარღვევა — *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 394, ვნ. 18.

⁶⁴⁷ ამ საკითხზე დეტალურად იხ. *რუსიაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 412, ვნ. 2 და შ.

ქონებრივ, ისე – არაქონებრივ ზიანში გამოიხატოს,⁶⁴⁸ რომლის მოთხოვნის საფუძველიც მაშინ იკვეთება, თუ დადასტურდება, რომ პირის ქონებრივი თუ არაქონებრივი ინტერესების უნებართვო ხელყოფას ჰქონდა ადგილი.

3.4 მტკიცების ტვირთი

ლოგიკურად, მტკიცების ტვირთი მოსარჩელეზე იქნება, რომელმაც უნდა დაასაბუთოს, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით მას ზიანი მიადგა.⁶⁴⁹ ამ მხრივ, აუცილებლად ის გარემოება უნდა დაექვემდებაროს განხილვას, თუ მისი მხრიდან რამდენად სათანადოდ მოხდა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა. მაგალითად, იყო თუ არა დასმული ლოგიკური შეკითხვა ან გონივრულად არსებობდა თუ არა ცალსახა შედეგის მოლოდინი და სხვ. მსჯელობისთვის ნიშანდობლივია იმის განსაზღვრა, სტატისტიკურ თუ სიმბოლურ ხელოვნურ ინტელექტთან გვაქვს საქმე: თუნდაც, „Black Box“-ის ეფექტი, მისი გათვალისწინების მნიშვნელობა და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ მსჯელობა ტექნიკურ ასპექტებს შეეხება, შეიძლება, რომ მტკიცების ტვირთი მოპასუხეზეც კი იქნეს დაკისრებული:⁶⁵⁰ იგივე ტექნიკური ინფორმაცია ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონირების შესახებ, უპირატესად, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის (შესაბამისი უფლებამოსილი პირის) ხელშია. ამდენად, მტკიცების ტვირთის ცალსახად მოსარჩელეზე დაკისრება (განსაკუთრებით, ტექნიკურ ნაწილში და ასევე, „B2C“ ურთიერთობისას), გაუმართლებელ რისკს შეიძლება წარმოადგენდეს.

3.5 სახელშეკრულებო დათქმა პასუხისმგებლობის განსაზღვრის თაობაზე

სახელშეკრულებო დათქმის არსებობისას, შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის პასუხისმგებლობა გამოირიცხოს ან მოსარჩელისთვის რთულად სამტკიცებელ მოცემულობად იქცეს. მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაშივეა განმარტებული, რომ მიუხედავად ტექნიკური საშუალების გამოყენებისა, მოსარგებლეს გენერირებული შედეგის

⁶⁴⁸ არაქონებრივ ზიანთან მიმართებით, გასათვალისწინებელია სკ-ის 413-ე მუხლით გაწერილი ფორმულირება.

⁶⁴⁹ იხ. *ვაშაკიძე*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 394, ვნ. 20.

⁶⁵⁰ შედარებისთვის იხ. *N.W. and Others v Sanofi Pasteur MSD SNC and Others*, 21.6.2017, №C-621/15 (CJEU), ასევე, *Boston Scientific Medizintechnik GmbH v AOK Sachsen-Anhalt – Die Gesundheitskasse and Betriebskrankenkasse RWE*, 5.3.2015, №C-503/13 and №C-504/13 [CJ] (CJEU).

გადამონმების ვალდებულება გააჩნია. ასეთ დროს, მოთხოვნის დასაბუთება, რომ გენერირებისას შეცდომა იქნა დაშვებული, სამართლებრივად რთულ კატეგორიას განეკუთვნება.

თუ საკითხს პირიქით განვიხილავთ, რაც ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგიდან გამომდინარე, მისი მიმწოდებლის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს თითოეულ ფორმულირებასა და მისგან გამომდინარე დამდგარ სამართლებრივ შედეგს. უმეტეს შემთხვევაში, ასეთ დროს, ხელშეკრულებაში პირდაპირ გვხვდება პასუხისმგებლობის თაობაზე მითითება.

რაც შეეხება მოცემულობას, როდესაც ხელშეკრულებაში ზემოთ ჩამოთვლილთაგან, არც ერთ მათგანზეა მითითება გაკეთებული, ასეთ დროს, სასარჩელო მოთხოვნა ზოგად პრინციპებს უნდა დაეყრდნოს.⁶⁵¹ შესაბამისად უნდა განისაზღვროს მტკიცების ტვირთიც, რაც, მათ შორის, კონტრაპენტის ქმედებასა თუ ტექნიკურ ასპექტებზე დაყრდნობით განიმარტება.

3.6 მიღებული შედეგის ანალიზი

ხელოვნური ინტელექტი თავად (როგორც სუბიექტი) ვერ დაარღვევს მესამე პირის უფლებებს, მაგრამ იგი შეიძლება გახდეს საშუალება, რომლის გამოყენებითაც დადგება ამგვარი შედეგი. პასუხისმგებელი სუბიექტის განსასაზღვრად კი ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალური მიდგომა არ იქნებოდა მართებული. პირიქით, იგი დამოკიდებულია ხელოვნური ინტელექტის სისტემაზე, კონტროლის ხარისხზე, გაფრთხილების ადეკვატურობაზე, გამოყენების კონტექსტზე, შედეგის პროგნოზირებასა თუ ტექნიკურ მხარეზე.

⁶⁵¹ თუ უკიდურეს შემთხვევაში *analogia legis* გამოყენების საჭიროება გამოიკვეთება, შესაძლებელია, რომ მსჯელობა სკ-ის ნორმებზე დაყრდნობით განვითარდეს. შესაბამისად, არ იარსებებს ფორმალური პროცედურების გავლის აუცილებლობა (ამ საკითხზე იხ. ხუბუა, 2015, 214). სკ-ის ნორმებიდან, რამდენიმე მათგანი შეიძლება იყოს განსახილველ თემატიკასთან ფუნქციურად ახლოს მდგომი: მაგალითად, სკ-ის 690-ე მუხლი (გადამზიდველის უფლების სახით), თუმცა მისი ერთმნიშვნელოვანი გამოყენება არ იქნებოდა მართებული, ვინაიდან იგი სპეციალურ წესს ეხება (მით უმეტეს, სკ-ის 703-ე, 704-ე და 706-ე მუხლების გამოყენება); ანალოგიურად, უბედური შემთხვევის დაზღვევაზე შეიძლება გამახვილდეს ყურადღება (სკ-ის 858-ე მუხლი), თუმცა აქაც სპეციალური მოცემულობა გვხვდება, რაც ერთგვარი „ორმაგი ანაზღაურების“ მოთხოვნის პრევენციას ახდენს და მისი გამოყენებაც არაა მიზანშეწონილი; პოტენციურად სამსჯელოდ შეიძლება სკ-ის 905-ე მუხლის მითითება, თუმცა ამ შემთხვევაშიც პოზიცია ანალოგიის სასარგებლოდ არ უნდა იქნეს განმარტებული, ვინაიდან თავდებობის არსი ძირითადი მოვალის არსებობას გულისხმობს, რაც ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში, ფაქტობრივად გამორიცხულია; ლოგიკურად, ყველაზე ახლოს მდგომი შეიძლება იყოს სკ-ის 890-ე მუხლის შემთხვევა, მით უმეტეს მისი ბუნების გათვალისწინებით (იხ. სუს გადაწყვეტილება, 10.3.2016, №აპ-396-376-2015 – ანალიზისთვის იხ. ლიპარტია, სდნ, 2018, 249), თუმცა საბანკო გარანტიაც სპეციალურ მოწესრიგებას განეკუთვნება, დამოკიდებულია ძირითად მოვალეზე და არა ინდივიდუალურ შესრულებაზე. შესაბამისად, მასზე დაფუძნებით მსჯელობაც სცდება ფარგლებს.

მესამე პირობა მიმართებით, პასუხისმგებლობა ეკისრება ხელოვნური ინტელექტის მოსარგებლეს.⁶⁵² თავის მხრივ, ის თუ რამდენად შეიძლება შემდეგ, რომ მოსარგებლემ მოთხოვნა ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიმართ დააყენოს, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

4. მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას შესაძლებელია, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებითი საშუალებანი იქნეს გამოყენებული. ამ მხრივ, უპირატესად ორ მათგანზე უნდა გამახვილდეს ყურადღება: ა) პირგასამტეხლო და ბ) მოვალის გარანტია. პირველ შემთხვევაში, მხარეთა თავისუფლების ფარგლებში მოექცევა ის, თუ პირგასამტეხლოს რომელ ფორმას აირჩევენ ხელშეკრულებისთვის.⁶⁵³ ლოგიკურად, „B2B“ ურთიერთობის გათვალისწინებით, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიმართ, სასამართლოს მხრიდან სკ-ის 420-ე მუხლის გამოყენება შედარებით ლოიალურ ფარგლებში უნდა მოხდეს.

თავის მხრივ, შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელსა და მოსარგებლეს შორის დაიდოს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც გაიწერება მოვალის გარანტია, რომლის შესრულების ვალდებულება დაეკისრება მიმწოდებელს.⁶⁵⁴ ვინაიდან მოვალის გარანტია მოთხოვნის უზრუნველყოფის პიროვნულ საშუალებას წარმოადგენს,⁶⁵⁵ მასში ქმედების განხორციელება უნდა მოვიაზროთ, რომელსაც როგორც პრევენციული ისე, რესტიტუციული ბუნება გააჩნია.⁶⁵⁶ მაგალითად, ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში, ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელი გადასცემს მოსარგებლეს დაუყოვნებლივ გარკვეულ პროგრამას, ან მოსარგებლის მითითებით, იმ პირს მისცემს უსასყიდლო (ან შეღავათიან) წვდომას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე, რომელსაც მიაღდა ზიანი და სხვ. მოცემული მაგალითი არ წარმოადგენს ალტერნატიული ვალდებულების სახეს.⁶⁵⁷ პირიქით, მოვალის გარანტიის არსებობისას პირს რჩება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც.⁶⁵⁸

⁶⁵² იხ. საინტერესო შემთხვევა, რომელიც ავსტრალიაში განვითარდა და სადაც ხელოვნური ინტელექტის მხრიდან „ჰალუცინაციის“ გამოვლინებაზე, პასუხი აგო ხელოვნური ინტელექტის მოსარგებლემ: <<https://www.afr.com/companies/professional-services/deloitte-to-refund-government-after-admitting-ai-errors-in-440k-report-20251005-p5n05p>> [9.4.2026].

⁶⁵³ იხ. ჭანტურია, 2012, 237-239.

⁶⁵⁴ ასეთ დროს შეთანხმების არსებობა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია. იხ. იოსელიანი, სჟ №1/2015, 135.

⁶⁵⁵ განწერელია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 424, ვნ. 1.

⁶⁵⁶ იხ. ვაშაკიძე, 2010, 232.

⁶⁵⁷ მოვალის გარანტიით არ ხდება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. იხ. სუს განჩინება, 19.10.2010, №ას-379-352-2010.

⁶⁵⁸ იხ. მესხიშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მ. 379, ვნ. 13.

5. დელიქტური მოთხოვნები

ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით შესაბამისი სამართლებრივი ფორმულირებანი საკანონმდებლო დონეზე ერთმნიშვნელოვნად არ არის განერილი. ჯერჯერობით ქართულ რეალობაში არ გვხვდება ცალსახა გადაწყვეტა, რამდენად წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტი (სისტემა) პროდუქტს. სწორედ ამიტომ, მეტი დასაბუთებულობისთვის, წინამდებარე ნაშრომში მსჯელობა შესაძლო ანალოგიის კონტექსტში ორ ასპექტშია წარმართული: ა) დელიქტური ნორმების ზოგად დებულებებსა და ბ) წუნდებულ პროდუქტზე დაყრდნობით.

5.1 მსჯელობა ანალოგიის ქრილში

მსგავსად სახელშეკრულებო ურთიერთობისა, მხარეთა შორის ხელშეკრულების არარსებობის დროსაც, მოთხოვნის ფარგლებზე მსჯელობა ანალოგიას შეიძლება დაეფუძნოს. წინდანივე აღსანიშნავია, რომ თუ სკ-ის 999-ე ან/და სკ-ის 1003-ე მუხლი სპეციალურ ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმად იქნება მიჩნეული, მაშინ მასზე არ გავრცელდება ანალოგიის საკითხი.⁶⁵⁹ ანალოგიაზე დაფუძნებული მსჯელობა მიზნად არ ისახავს ხელოვნური ინტელექტის ვთქვათ, ცხოველთან გათანაბრებას, არამედ იგი მიემართება პასუხისმგებლობის კონსტრუქციის ანალიზს. დღევანდელი გადმოსახედიდან შეიძლება ითქვას, რომ პოტენციური შესაძლებლობა, რომ პირი ხელოვნურ ინტელექტს ხელშეკრულების გარეშე იყენებდეს, ძალიან დაბალია, თუმცა, არაა ერთმნიშვნელოვნად გამორიცხული, რომ ხელშეკრულების არარსებობის მიუხედავად, პირს (მოსარგებლეს/მომხმარებელს) მიაღვეს ზიანი.

5.1.1 ანალოგია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარ ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით

სატრანსპორტო საშუალებასთან ხელოვნური ინტელექტის ანალოგიაზე მსჯელობა მნიშვნელოვანია იმ ალბათობის გამოსარიცხად, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ იდენტური გარემოება იკვეთება ტექნოლოგიის ექსპლუატაციისას. ამ მხრივ, პარალელის დანახვა შეიძლება ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელსა და სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს შორის. ორივე შემთხვევაში, მოცემულია პრაქტიკული მაგალითები, რომელიც ანალოგიის გამოყენების პოტენციურ შესაძლებლობაზე აკეთებს აქცენტს.

მომეტებული საფრთხის წყაროს არსის გათვალისწინებით, სკ-ის 999-ე მუხლის შემადგენლობა ლოგიკურ განსაზღვრებას ჰპოვებს კანონში: იგი ადგენს ავტომანქა-

⁶⁵⁹ სკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით, რომელიც გამყარებულია ნაქმ-ის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში. ამ საკითხზე იხ. *კერესელიძე*, 2009, 63.

ნის მესაკუთრის პასუხისმგებლობას.⁶⁶⁰ ამ მხრივ, ავტომანქანის მესაკუთრის ადგილას ხელოვნური ინტელექტის წარმოდგენა, სირთულესთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ანალოგიის ფარგლებშიც კი არ იქნებოდა ძლიერი არგუმენტი, რომელიც მას მესაკუთრის სტატუსთან გაათანაბრებდა. ამასთან, ხელოვნური ინტელექტისგან განსხვავებით, ავტომანქანას მართავს მძღოლი, რომელიც ინდივიდუალური გარემოებიდან გამომდინარე მოქმედებს და რომელსაც ასევე ეკისრება შესაბამისი ვალდებულებანი.

მოყვანილი მსჯელობის გასამყარებლად შეიძლება ე.წ. „უპილოტო ავტომანქანის“ შემთხვევის მოყვანაც, სადაც ანალოგიის შესაძლებლობა ასევე მინიმუმამდეა დასული, რადგან მესაკუთრის პასუხისმგებლობაც ტექნოლოგიურ გამართულობას მიემართება (ის, თუ რამდენად შეიძლება, რომ მესაკუთრემ მოთხოვნა დააყენოს ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლის მიმართ, ცალკე განხილვის საგანია და ანალოგიის მიზნებისთვის არ გამოდგება):⁶⁶¹ განსასაზღვრია, თუ რა როლს თამაშობს ხელოვნური ინტელექტი ე.წ. „უპილოტო ავტომანქანის“ გადაადგილებისას – არის იგი სატრანსპორტო საშუალების განუყოფელი ნაწილი, იგი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებისგან განცალკევებულ სისტემას თუ იგი უნდა მოვიკლოთ, როგორც სატრანსპორტო საშუალების დამატებითი მოწყობილობა?⁶⁶² ლოგიკურად, სამივე შემთხვევაში, მოთხოვნა მიემართება მესაკუთრეს, რადგან სწორედ იგია პასუხისმგებელი სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურად გამართულობაზე.

5.1.2 ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ანალოგია

ანალოგიის თვალსაზრისით, შედარებით ახლოს მდგომია სკ-ის 1003-ე მუხლი. დასახელებული მუხლი სამი წინაპირობისგან შედგება: ა) ცხოველის მფლობელის ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, ბ) ცხოველთან მფლობელის იმნამიერი კავშირი, გ) პასუხისმგებლობის გამორიცხვა. პირველ შემთხვევაში შესაძლებელია ანალოგიის დანახვა: ცხოველის მფლობელი ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, ვინაიდან ცხოველი თავად ამას ვერ შეძლებს (მსგავსად ხელოვნური ინტელექტისა). მეორე პირობა ეხება ცხოველის მფლობელის კავშირს ცხოველთან: მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა თუ მეთვალყურეობის დაკარგვა, შესაძლებელია, რომ ხელოვნური ინტელექტის მართვასთან ან მის გამართულობასთან მიმართებით განიმარტოს.

⁶⁶⁰ შეგნებულად ხაზი ესმევა მხოლოდ მესაკუთრის პასუხისმგებლობას და მასში არაა შეყვანილი მძღოლის საკითხი. ეს უკანასკნელი ასევე შეიძლება იყოს მოპასუხედ დასახელებული, თუმცა სკ-ის 992-ე მუხლზე დაყრდნობით – იხ. *მესხიშვილი*, 2020, 55; ასევე, საკითხზე ფართო მსჯელობისთვის იხ. *Dzlierishvili* in: Chiusi/Burduli (Hrsg.), *Rechtsvergleichung und Privatrecht im deutsch-georgischem Diskurs*, 2026, 133-142 – ანალოგიის საკითხზე მსჯელობის მიზნებისთვის, წინამდებარე ნაშრომში მხოლოდ მესაკუთრის მაგალითია წარმოდგენილი.

⁶⁶¹ „უპილოტო ავტომანქანის“ ქმედების გათვალისწინებით მოთხოვნის დაყენების შემთხვევაშიც, დასაბუთების სირთულე ტექნიკურ ასპექტს მიემართება. იხ. მაგალითად, *Schwartz*, 2025, 412-413.

⁶⁶² მსჯელობა ეფუძნება შემდეგ ნაშრომს: *ელიაძე*, შსუ №6/2024, 50-52.

რაც შეეხება მესამე პირობას, ესაა პასუხისმგებლობის გამორიცხვა, რაც შეიძლება ისეთ გარემოებებზე მიუთითებდეს, როდესაც პირი საჯაროდ უთითებს, აფრთხილებს ან ინფორმაციას ავრცელებს ცალკეული რისკის შესახებ, მაგრამ საპირწონე ქმედებას არ აქვს ადგილი მესამე პირის მხრიდან.

ცხოველთან მიმართებით ანალოგია შეიძლება (განსხვავებით, სკ-ის 999-ე მუხლისგან) მხოლოდ ფუნქციური თვალსაზრისით იქნეს გამოყენებული (ვინაიდან, ბრალეულობა ასეთ შემთხვევაში, დიდ როლს თამაშობს). კერძოდ, იმ გაგებით, რომ დგება პროგნოზირებადობის, ზედამხედველობისა და რისკის განაწილების საკითხი. ამგვარი ანალოგია არ გულისხმობს, რომ ხელოვნური ინტელექტის ბუნებრივ ან ფსიქიკურ ავტონომიასთან მოხდეს გათანაბრება. მეტიც, ბიოლოგიურად ორივე მათგანის შედარება ლოგიკურ მსჯელობაშიც კი ვერ მოექცევა. თუმცა, ამ მხრივ, განსხვავებით სკ-ის 999-ე მუხლისგან, სკ-ის 1003-ე მუხლი განსახილველ თემასთან მიმართებით, უფრო ახლოს მდგომია.

5.1.3 შუალედური შეჯამება

ზემოთ მოყვანილი ანალოგია არ წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი ბუნების საბოლოო განსაზღვრის ინსტრუმენტს. მათი არსი მდგომარეობს პასუხისმგებლობის მართებულად გამოვლენასა და გადანაწილებაში. მეტიც, ცალკეული გარემოების გათვალისწინებით, შესაძლებელია, რომ მოთხოვნა სკ-ის 992-ე მუხლსა და დაეფუძნოს და ანალოგიის აუცილებლობა არც დადგეს. პასუხისმგებლობის თვალსაზრისით (განსხვავებით ანალოგიისგან), შედარებით მყარი კონსტრუქცია წუნდებული პროდუქტის არსიდან გამომდინარე იკვეთება.

5.2 წუნდებული პროდუქტი

წუნდებული პროდუქტის ფარგლებში საკითხის განხილვა საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს. თუ ხელოვნური ინტელექტის სისტემას პროდუქტად მივიჩნევთ, მაშინ მისი მიმწოდებელი, შესაძლებელია, რომ პასუხისმგებელ სუბიექტად იქნეს წარმოჩენილი. შესაბამისად, მოთხოვნაც სკ-ის 1009-ე-1016-ე მუხლებს დაეფუძნება.

5.2.1 პროდუქტის ცნება

სკ-ის 1011-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, „*პროდუქტი არის ყველა მოძრავი ნივთი და ნივთთან დაკავშირებული მომსახურება, თუნდაც ეს ნივთი იყოს სხვა მოძრავი ან უძრავი ნივთის შემადგენელი ნაწილი. ამ კოდექსის მიზნებისათვის „ნივთი“ არ მოიცავს სურსათის პირველად პროდუქტს და ნადირობის შედეგად მოპო-*

ვებულ პროდუქტს. „პროდუქტი“ ასევე მოიცავს ბაზარზე განთავსებულ საქონელს, მიუხედავად იმისა, განკუთვნილია თუ არა იგი უშუალოდ საბოლოო მომხმარებლისათვის, რომელიც მიწოდებულია ან სხვაგვარად არის ხელმისაწვდომი კომერციული ან არაკომერციული მიზნებისათვის“. როგორც საკანონმდებლო ჩანაწერიდან იკვეთება, არ არის მასში მითითება კომპიუტერულ პროგრამაზე თუ სხვა სახის „Software-სისტემაზე“ (მით უმეტეს, ხელოვნური ინტელექტის სისტემებზე). მიუხედავად ამისა, იგი შეიძლება პროდუქტად იქნეს მიჩნეული.⁶⁶³ ასეთი მოსაზრება ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებულ მსჯელობას.⁶⁶⁴

5.2.2 ხელოვნური ინტელექტის სისტემა, როგორც პროდუქტი?

შეკითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა საკანონმდებლო ცვლილებებამდე (ან სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებამდე) რთულია, თუმცა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, შეიძლება, რომ მსჯელობა ამ მიმართულებით იქნეს განვითარებული. ევროკავშირში 2024 წელს ძალაში შევიდა დირექტივა №2024/2853, რომელიც წუნდებულ პროდუქტს ეხება.⁶⁶⁵ დირექტივის მიხედვით განისაზღვრა ვადა, როდესაც წევრმა სახელმწიფოებმა იგი საკანონმდებლო დონეზე უნდა გაითვალისწინონ – 2026 წლის 9 დეკემბერი. დირექტივაში საინტერესო ჩანაწერს ვხვდებით, რომლის მიხედვითაც, ხელოვნური ინტელექტის სისტემები პროდუქტის ცნებაში ექცევა.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტივას არ გააჩნია პირდაპირი გავლენა ქართულ რეალობაზე, შესაძლებელია მისი შინაარსის გაზიარება ცალკეულ ასპექტებთან მიმართებით, უპირატესად, ინტერპრეტაციული დახმარების გზით: მაგალითად, დირექტივის გათვალისწინება და საკანონმდებლო დონეზე ასახვა, ასევე, საკანონმდებლო დონეზე ასახვამდე მისი პრაქტიკაში დანერგვა და (ასეთი დავის არსებობის შემთხვევაში) ხელოვნური ინტელექტის სისტემის პროდუქტად მიჩნევა.

5.2.3 ხელოვნური ინტელექტის სისტემა, როგორც წუნდებული პროდუქტი

რა შემთხვევაში შეიძლება, რომ ხელოვნური ინტელექტი წუნდებულ პროდუქტად იქნეს მიჩნეული? სკ-ის 1010-ე მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, ასეთი წინაპირო-

⁶⁶³ მიუხედავად ამგვარი განმარტებისა, საკანონმდებლო მოწესრიგების გარეშე, საკითხი შეიძლება სადავო გახდეს. მსჯელობისთვის იხ. მაგალითად, The Software Incubator Ltd v Computer Associates UK Ltd, 16.9.2021, №C-410/19 (CJEU). მსჯელობისთვის იხ. ასევე, გელაშვილი, სკ-ის კომენტარი, ელექტრონული ვერსია, ბოლო დამუშავება: 26.06.2024, მ. 1011, ვნ. 7, <www.gccc.tsu.ge> [20.4.2026].

⁶⁶⁴ იხ. *ბოიძე*, სდნ, 2015, 29-30.

⁶⁶⁵ იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/DE/TXT/PDF/?uri=OJ:L_202402853> [19.8.2025].

ბისას იგი არ უნდა უზრუნველყოფდეს იმ საიმედოობას, რომელიც, ყველა გარემოების გათვალისწინებით, მისგან იყო მოსალოდნელი. ამგვარი განმარტება შედარებით უფრო მეტად საფუძვლიანი მოთხოვნის მქონე იქნება სიმბოლური ხელოვნური ინტელექტისას. მაგრამ, სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტიდან გამომდინარე, საკითხი უფრო მეტად საჭიროებს გაშლას: რამდენად ითვალისწინებს ან უნდა ითვალისწინებდეს პირი „ყველა გარემოებას“? კერძოდ, „Black Box“-ის/„ჰალუცინაციის“ საკითხს? თუ მოცემულობას ფორმალურად განვმარტავთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტისას სკ-ის 1010-ე მუხლიდან გამომდინარე წუნდებულობის დასაბუთება განსაკუთრებით გართულებულია. კერძოდ, დაბარალებულისთვის არანაკლებ ცნობილი უნდა იყოს ან/და მოლოდინი უნდა გააჩნდეს მას, რომ შესაძლოა, ხელოვნური ინტელექტი არ მოქმედებდეს 100%-იანი სიზუსტით. მაგრამ, თუ ამგვარი სამართლებრივი ინსტიტუტისთვის განსაზღვრული კრიტერიუმების არსებობისა⁶⁶⁶ და დაბარალებულის მხრიდან ხელოვნური ინტელექტის მართებულად მოხმარების⁶⁶⁷ მიუხედავად მიადგება მას ზიანი, მაშინ, სკ-ის 1010-ე მუხლიდან გამომდინარე, მისი წუნდებულად მიჩნევა მართებული შეიძლება იყოს. თითოეულ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის დაძლევა, უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს.⁶⁶⁸

5.2.4 ზიანი და საგამონაკლისო შემთხვევები

ზიანის მიყენების საკითხი სკ-ის 1009-ე მუხლში ზოგადაააა მითითებული.⁶⁶⁹ პრაქტიკული თვალსაზრისით, საინტერესოა სკ-ის 1009-ე მუხლის 1-ელი ნაწილის განხილვა, სადაც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვის თაობაზე რამდენიმე საგამონაკლისო დათქმას ვხვდებით. ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებით ამ მხრივ რამდენიმე მათგანზე შეიძლება ყურადღების გამახვილება:⁶⁷⁰

საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ნაკლი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტს არ ჰქონდა სარეალიზაციოდ გატანისას – ის, თუ რამდენად იკვეთება ნაკლი ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას, კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარეობს. თუ აღნიშნულში მოვიაზრებთ,

⁶⁶⁶ უპირატესად, ა) პროდუქტის შეთავაზების/წინადადების შინაარსი; ბ) პროდუქტის მოხმარების საიმედოობა; გ) დრო, როდესაც პროდუქტი სამოქალაქო ბრუნვაში იქნა გატანილი – *მოიძე*, სდნ, 2015 61 და შ.

⁶⁶⁷ იგულისხმება, მაგალითად, დავალების მართებულად მიცემა.

⁶⁶⁸ N.W. and Others v Sanofi Pasteur MSD SNC and Others, 21.6.2017, №C-621/15 (CJEU).

⁶⁶⁹ დაზუსტების მიზნით, სკ-ის 1014-ე მუხლში ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზეა გაკეთებული აქცენტი.

⁶⁷⁰ შეგნებულად არ არის ყურადღება გამახვილებული ყველა წინაპირობაზე, არამედ, მხოლოდ არსებით, ხელოვნური ინტელექტის თემის ირგვლივ აქტუალურ საკითხებზეა წარმართული მსჯელობა.

ვთქვათ, „პალუცინაციას“, მაშინ მსჯელობა იმაზე უნდა წარიმართოს, სარეალიზაციოდ გატანისას რამდენად შეეძლო ხელოვნური ინტელექტის სისტემას, რომ განსხვავებულად ემუშავა. სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში კი ეს საკითხი წინდანიწვე ცნობილია.

პროდუქტს აქვს ნაკლი, რომელიც სარეალიზაციოდ მისი გატანისას შეესაბამებოდა იმ დროს მოქმედ ნორმებს – აღნიშნულის ყველაზე ლოგიკური გამოვლინებაა შემთხვევა, როდესაც პროდუქტის რეალიზაცია რეგულირებად სფეროს მიეკუთვნება და ნაკლი გამოწვეულია კანონისმიერ იმპერატივთან შესაბამისობის შედეგად. ეს განმარტება შეესაბამება საეციალურ კანონსა და ევროპულ მიდგომებს.⁶⁷¹

შეუძლებელი იყო ნაკლის აღმოჩენა მეცნიერებისა და ტექნიკის იმ დონის გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა სარეალიზაციოდ პროდუქტის გატანისას – ლოგიკურად, ყველაზე ახლო მდგომ დათქმად შეიძლება იქნეს აღნიშნული ფორმულირება მიჩნეული. ის, თუ რამდენად შეიძლებოდა ნაკლის თაობაზე წინასწარი განჭვრეტადობა ჰქონოდა ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებელს, საკამათოა და რთულად დასასაბუთებელია. მით უმეტეს, თუ ხელშეკრულებაში პირდაპირაა დათქმა ან/და დამატებითი გაფრთხილება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე. მხოლოდ ფორმალური განმარტება ამ თვალსაზრისით ვერ გახდება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რაც მოსარჩელეს მტკიცების მაღალ ტვირთს აკისრებს.

5.2.5 მოთხოვნის ადრესატი

როგორც წესი, მოთხოვნის ადრესატი არის პროდუქტის მწარმოებელი. სკ-ის 1011-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ასეთად მიიჩნევა პირი, „რომელმაც აწარმოვა საბოლოო პროდუქტი, ძირითადი ელემენტი ან პროდუქტის ნაწილი“, ასევე, „ყველა, ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი“. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით კი, მწარმოებლად მიიჩნევა „პირი, რომელსაც პროდუქტი გააქვს გაყიდვის, გაქირავების ან სხვა ფორმით, სამეურნეო მიზნით, თავისი საქმიანობის სფეროში, ამ კოდექსით გათვალისწინებული პირობების დაცვით“. მოცემული მსჯელობიდან საინტერესოა პროდუქტის სამეურნეო მიზნით გატანის საკითხი. ვთქვათ, შპს „ტექნოლოგია 2026-მა“ განათავსა ბაზარზე ხელოვნური ინტელექტი. შპს „საქმიანობამ“ მასთან დადო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც, ეს უკანასკნელი მეწარმე სუბიექტებს მიჰყიდდა სერვისს. მოხდა ისე, რომ ერთ-ერთ მეწარმე სუბიექტს მიაღდა ზიანი. ზიანი კი განპირობებული იყო ხე-

⁶⁷¹ პუტმკ-ს მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის გათვალისწინებით. ევროპულ მიდგომებთან, ისევე, როგორც ნორმის განმარტებასთან მიმართებით იხ. გელაშვილი, სკ-ის კომენტარი, ელექტრონული ვერსია, ბოლო დამუშავება: 26.06.2024, მ. 1009, ვნ. 28-31, <www.gccc.tsu.ge> [20.4.2026].

ლოვნური ინტელექტის მხრიდან არასათანადო გენერირებით (და არა – სერვისით). ვის მიმართ შეიძლება დადგეს ასეთ დროს მოთხოვნა?

ლოგიკურად, შპს „საქმიანობა“ არ უნდა მივიჩნიოთ პროდუქტის მწარმოებლად. იგი არ ანთავსებს პროდუქტს, არამედ, ჰყიდის სერვისს. შესაბამისად, შპს „ტექნოლოგია 2026“ არის ასეთ დროს პასუხისმგებელი პირი. თუ შპს „საქმიანობასა“ და შპს „ტექნოლოგია 2026-ს“ შორის დაიდებოდა ხელშეკრულება, რომლითაც შპს „საქმიანობა“ განათავსებდა ბაზარზე პროდუქტს, მაშინ პასუხისმგებლობის სუბიექტადაც იგი მიიჩნეოდა.

ცალკე განხილვის თემაა ის, თუ როგორ უნდა მოხდეს პრაქტიკულად საკითხის რეალიზება: პირველ რიგში, პროდუქტის მწარმოებლის ვინაობის დადგენაა მნიშვნელოვანი, რათა მის მიმართ დაიწყოს სასარჩელო წარმოება. სკ-ის 1011-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, *„თუ შეუძლებელია მწარმოებლის ვინაობის დადგენა, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა იგი დაზარალებულს მოთხოვნიდან 1 თვის ვადაში წარუდგენს მწარმოებელს ან იმ პირს, რომელმაც მას ეს პროდუქტი მიანოდა“*. ზემოთ მოყვანილ მაგალითზე დაყრდნობით უფრო მარტივად რომ განიმარტოს: მეწარმე სუბიექტს უფლება აქვს, დაეკითხოს შპს „საქმიანობას“ პროდუქტის მწარმოებლის თაობაზე. თუ შპს „საქმიანობა“ ერთი თვის ვადაში არ გასცემს პასუხს მეწარმე სუბიექტს, მაშინ მას, როგორც მიმწოდებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა. სხვა შემთხვევაში, შპს „ტექნოლოგია 2026“ იქნება სათანადო მოპასუხე და მოთხოვნაც მის მიმართ უნდა იქნეს წარდგენილი.

სკ-ის 1009-ე მუხლის მე-3 ნაწილი მოთხოვნის ადრესატთა წრეს აზუსტებს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბრალის საკითხი. კერძოდ, თუ აღმოჩნდება, რომ ზიანის დადგომა დაზარალებულის ან პროდუქტის მწარმოებლის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია, მაშინ მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება. ზემოთ მოყვანილი მაგალითის ფარგლებში, ასეთ შემთხვევას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, თუ, ვთქვათ, მეწარმე სუბიექტის ბრალეულმა ქმედებამ გამოიწვია ზიანი, ისევე, როგორც შპს „საქმიანობის“ ქმედებამ და სხვ. თითოეულ შემთხვევაში, პროდუქტის ნაკლი არ უნდა იკვეთებოდეს (იმავე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით).

5.2.6 ხანდაზმულობა

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს იმ მომენტიდან, როდესაც შესაბამისმა პირმა გაიგო ზიანის, ნაკლის ან/და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. თავის მხრივ, სკ-ის 1015-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ქარწყლდება *„იმ მომენტიდან 10 წლის შემდეგ, როცა მწარმოებელმა ზიანის გამომწვევი პროდუქტი სარეალიზაციოდ გაიტანა“*. ხელოვნური ინტელექტის სისტემასთან (თუ მას პროდუქტად მივიჩნევთ) მიმართებით, ამ თვალ-

საზრისით საკითხი ფართოდ უნდა იქნეს განხილული: მაგალითად, შესაძლებელია, რომ კონკრეტული სისტემა სარეალიზაციოდ გამოტანილ იქნეს 2025 წელს, მაგრამ, მასში მუდმივი განახლებები ხორციელდებოდეს. შესაბამისად, ათწლიანი ვადის ათვლა უნდა დაიწყოს სისტემის განახლებიდან (თუ რა თქმა უნდა, ზიანი ამ განახლების გამოსობით დადგა) და არა ფორმალური განმარტების თვალსაზრისით, უშუალოდ ხელოვნური ინტელექტის სარეალიზაციოდ გამოტანიდან.

6. შემაჯამებელი მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას შესაბამის სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულება აწესრიგებს სამართლებრივ წინაპირობებს. ხელშეკრულების დარღვევისა თუ ზიანის ანაზღაურების/რეგრესის წესით მოთხოვნის საფუძვლებიც, აღნიშნულზე დაყრდნობით განისაზღვრება. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია იკვეთებოდეს გარემოება, როდესაც მოთხოვნა არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობდეს. ასეთ დროს, შესაძლოა, რომ დელიქტმა გადამწყვეტი როლი ითამაშოს. თუ მივიჩნევთ, რომ ხელოვნური ინტელექტი წარმოადგენს პროდუქტის ერთ-ერთ სახეს, მაშინ მოთხოვნაც სპეციალურ დათქმებს უნდა დაეფუძნოს. ამდენად, ხელოვნური ინტელექტის ვალდებულებით სამართალთან მიმართებით მთავარი სირთულე მდგომარეობს არა მისი სამართლისთვის „უცხო სხეულად“ აღქმაში, არამედ, პასუხისმგებლობის საფუძვლის მართებულად შერჩევაში.

VI. შრომის სამართალი და ხელოვნური ინტელექტი

დასაქმების ბაზარი მუდმივად ცვალებადი და სიახლეებზე ორიენტირებულია. დროთა განმავლობაში იგი მოდიფიცირდება და მოთხოვნებსაც არსებული მოცულობის გათვალისწინებით განსაზღვრავს. ანალოგიურია დღევანდელი რეალობა ხელოვნურ ინტელექტთან მიმართებითაც.⁶⁷² კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის განვითარება მნიშვნელოვნად აისახა საქმიან ურთიერთობებზე: იგი სულ უფრო მეტი დამსაქმებლის მიერ ინერგება ყოველდღიურობაში. შესაბამისად, უფრო მეტი დასაქმებული იყენებს მას სამუშაოს შესრულებისას.⁶⁷³ შედეგად, ამგვარმა მიდგომებმა განსხვავებული და ახლებური სირთულეები წარმოშვა.

ქართულ რეალობაში, განსაკუთრებით, კერძო სექტორი, ეტაპობრივად უბამს მხარს ხელოვნური ინტელექტის სამუშაოზე ინტეგრაციას. შესაბამისად, წინა პლანზე იწევს ის ძირითადი სამართლებრივი საკითხები, რაც თანამედროვე ტექნოლოგიის დანერგვასთან ერთად, დამსაქმებელთათვის მნიშვნელოვან გამოწვევად წარმოჩინდება. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, საინტერესოა, რომ განხილულ იქნეს ხელოვნური ინტელექტისა და შრომითი ურთიერთობის თანაარსებობის სამართლებრივი მხარე.

1. შრომითი ურთიერთობის საკითხი „AI Act“-ში

„AI Act“ სხვა საკითხებთან ერთად ეხება თემატიკას, რომელიც პირდაპირ კვეთაშია შრომის სამართალთან. ეს არ ნიშნავს, რომ „AI Act“ შრომითი ურთიერთობის მონესრიგებისკენაა მიმართული, თუმცა იგი განსაზღვრავს გარკვეულ წინაპირობებს, რომელიც უპირატესად, დამსაქმებლისთვისაა მავალდებულებელი ბუნების მატარებელი. ნაშრომში გამოყოფილია რამდენიმე მათგანი, რომელიც უშუალოდ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით შეიძლება იქნეს განხილული.

1.1 დამსაქმებლის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება

„AI Act“-ის პრეამბულის („Recital“-ის) 92-ე პუნქტით, ხელოვნური ინტელექტის სისტემის გამოყენების დანერგვისას, დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ინფორ-

⁶⁷² Zenhäusern/Vaterlaus/Degen in: Seufert/Handschuh (Hrsg.), Generative KI, 2024, 128.

⁶⁷³ იხ. მაგალითად, „ILO“-ს განმარტება ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე (2025 წლის მაისის თვით დათარიღებული): Gmyrek et al. (2025), ILO Working Paper 140. Geneva: ILO, 25 და შ.; ბმული: <https://www.ilo.org/sites/default/files/2025-05/WP140_web.pdf> [11.8.2025]; ამ მხრივ, ევროპის საბჭოს მიერ საინტერესო მსჯელობაა განვითარებული იმ პოტენციურ დისკრიმინაციულ რისკებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება ხელოვნური ინტელექტით აქტიურ სარგებლობად გააჩნდეს – HR and AI, CDDH, 2026, 97.

მირების საკითხზეა ყურადღება გამახვილებული.⁶⁷⁴ თანამშრომელთა ინფორმირების თვალსაზრისით, ზემოთ დასახელებული პუნქტი უთითებს 2002/14/EC დირექტივაზე.

1.2 დასაქმებულის კომპეტენციის საკითხი

„AI Act“-ის მე-4 მუხლი ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს დასაქმებულთა (პერსონალთა) კომპეტენციის უზრუნველყოფას, რაც უპირველეს ყოვლისა, მიმწოდებლებისა და „Deployer“-ების ვალდებულებას წარმოადგენს.⁶⁷⁵ აღნიშნულში კი მოაზრებულია დასაქმებულთათვის ტექნიკური ცოდნის, განათლების მიცემა, ტრენინგისა თუ სხვა აქტივობის ჩატარება და სხვ. კონკრეტული დეტალები შესაძლებელია, რომ პირის მიერ დამოუკიდებლად იქნეს გადაწყვეტილი.⁶⁷⁶ ამგვარი თავისუფლება გამომდინარეობს ინდივიდუალური შემთხვევის/საჭიროების არსიდან.

1.3 ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დაუშვებლობა

„AI Act“-ის მე-5 მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაუშვებელია ხელოვნური ინტელექტის სისტემის ბაზარზე განთავსება იმ მიზნით, რომ სამუშაო ადგილზე ფიზიკური პირის ემოციური მდგომარეობა დადგინდეს.⁶⁷⁷ საგამონაკლისო წესი განისაზღვრება მაშინ, როდესაც ამგვარი ქმედება სამედიცინო დანიშნულებით ან უსაფრთხო ლეგიტიმური მიზნის უზრუნველსაყოფად ხორციელდება. ამგვარი აკრძალვის მთავარი საფუძველია ის, რომ თავიდან იქნეს არიდებული დისკრიმინაციის შემთხვევა.⁶⁷⁸

⁶⁷⁴ აღნიშნული ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს „AI Act“ უშუალოდ შრომით ურთიერთობას აწესრიგებს. იგი ერთ-ერთი პირობის მატარებელ დათქმას მოიცავს, რომელიც პირის ფუნდამენტური უფლების დაცვისკენ მიმართულ ფუნქციას ასრულებს.

⁶⁷⁵ იხ. ინგლისურად: „Providers and deployers of AI systems shall take measures to ensure, to their best extent, a sufficient level of AI literacy of their staff and other persons dealing with the operation and use of AI systems on their behalf, taking into account their technical knowledge, experience, education and training and the context the AI systems are to be used in, and considering the persons or groups of persons on whom the AI systems are to be used“.

⁶⁷⁶ Voigt/Hullen, 2024, 30-31.

⁶⁷⁷ იხ. ინგლისურად: „The placing on the market, the putting into service for this specific purpose, or the use of AI systems to infer emotions of a natural person in the areas of workplace and education institutions, except where the use of the AI system is intended to be put in place or into the market for medical or safety reasons“.

⁶⁷⁸ Voigt/Hullen, 2024, 44.

1.4 მაღალი რისკის კატეგორია

„AI Act“-ის პრეამბულის („Recital“-ის) 57-ე პუნქტი შრომით ურთიერთობაში ინტეგრირებულ ხელოვნური ინტელექტის ცალკეულ სისტემას ეხება: თუ ხელოვნური ინტელექტი გამოიყენება დასაქმებულის შერჩევისთვის, ნებისმიერი ზეგავლენის მომხდენი გადაწყვეტილების მიღებისთვის, ხელშეკრულებით ნაკისრი ურთიერთობების შეწყვეტისთვის და სხვა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთვის, მაშინ იგი უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც მაღალი რისკის შემცველი. საფუძველს კი წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ სისტემებმა შეიძლება შესამჩნევი ზემოქმედება მოახდინონ დასაქმებულთა უფლებებზე (მაგალითად, დისკრიმინაციის კუთხით და სხვ.). აღნიშნული დათქმისა და აქტის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, ამავე აქტის III დანართში არის მითითება, რომ მაღალი რისკის მქონედ მიიჩნევა ხელოვნური ინტელექტის სისტემა, თუ იგი ეხება დასაქმებას, დასაქმებულთა მართვას და თვითდასაქმებაზე ხელმისაწვდომობას. ეს შეიძლება გამოხატულ იქნეს როგორც სამუშაო განცხადებების განთავსებაში, ისე – კანდიდატის შეფასებაში;⁶⁷⁹ ანალოგიური მოწესრიგება ეხება შემთხვევებს, როდესაც ხელოვნური ინტელექტის სისტემა გამოიყენება გადაწყვეტილებების მისაღებად, სახელშეკრულებო ურთიერთობების წასახალისებლად, ქცევის მონიტორინგისთვის და ა.შ.⁶⁸⁰

1.5 შუალედური შეჯამება

„AI Act“ არ არის უშუალოდ შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი აქტი, თუმცა ამ თვალსაზრისით, იგი ქმნის მნიშვნელოვან სამართლებრივ ჩარჩოს. კერძოდ, იგი ავალდებულებს ხელოვნური ინტელექტის მიმწოდებლებსა და „Deployer“-ებს, გარკვეული ნაბიჯების გადადგმის თვალსაზრისით, კრძალავს სამუშაო ადგილას ემოციური მდგომარეობის ცალკეულ პრაქტიკებსა და ხელოვნური ინტელექტის კონკრეტულ სისტემებს/გამოყენებებს, დასაქმებასა და თანამშრომელთა მართვაში.

2. შრომითი ურთიერთობის სუბიექტებთან ხელოვნური ინტელექტის გათანაბრების დაუშვებლობა

სშკ-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო“. მოცემული განმარტება წინდანივე გამორიცხავს ხელოვნური ინტელექტის დამსაქმებლად აღქმის შესაძლებ-

⁶⁷⁹ „AI Act“-ის მე-3 დანართის 4(ა) პუნქტი.

⁶⁸⁰ „AI Act“-ის მე-3 დანართის 4(ბ) პუნქტი.

ლობას. იგი ვერ იქნება ვერც იურიდიული და მით უმეტეს – ვერც ფიზიკური პირი. ანალოგიურად, ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება პირთა გაერთიანების მონაწილე.

იდენტურად განვითარდება მსჯელობა სშკ-ის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სადაც აღნიშნულია, რომ დასაქმებული შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.⁶⁸¹ ხელოვნური ინტელექტის სუბიექტუარიანობის არარსებობის (განსაკუთრებით, დასაქმებულთან გათანაბრების დაუშვებლობის), ისევე, როგორც – პიროვნულობის არქონის გათვალისწინებით,⁶⁸² იგი ვერ მოექცევა აღნიშნულ განმარტებაში.⁶⁸³

მოცემული რეალობის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნური ინტელექტის დასაქმებულთან გაიგივება, მოქმედი სამართლის პირობებში (მაშასადამე, როდესაც იგი სუბიექტად/დასაქმებულად არაა მიჩნეული), შეუძლებელია.⁶⁸⁴ ანალოგიურადაა სირთულის მატარებელი სამუშაოს შესრულების თვალსაზრისით გაიგივების საკითხი – განსაკუთრებით, კრეატიული სამუშაოს განხორციელების ნაწილში. მართალია, ხელოვნური ინტელექტი ასრულებს დავალებებს, თუმცა მას არ გააჩნია ის კოგნიტური უნარები, რაც დასაქმებულის სამსახურებრივ როლს ჩაანაცვლებდა. ხაზი უნდა გაესვას, რომ მოყვანილი მსჯელობა ეხება ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის შეუძლებლობას.⁶⁸⁵

3. დასაქმებულის მიერ სამუშაოს პირადად შესრულების მოვალეობა

„დასაქმებული ვალდებულია სამუშაო პირადად შეასრულოს“ – სშკ-ის მე-19 მუხლის აღნიშნული დათქმა ერთმნიშვნელოვნად დასაქმებულის ინდივიდუალურ როლზე მიუთითებს. ცალკეულ შემთხვევებში, დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის დამყარება სწორედ მის უნარებზე, ცოდნასა თუ გამოცდილებაზე დაყრდნობით ხდება. შესაბამისად, დაისმის შეკითხვა: რამდენად ასრულებს დასაქმებული მასზე დაკისრებულ ვალდებულებას ჯეროვნად, როდესაც სამუშაოს შესრულებისას ხელოვნური ინტელექტით სარგებლობს? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რამდენად წარმოადგენდა ხელოვნური ინტელექტი დასაქმებუ-

⁶⁸¹ თითოეული კრიტერიუმი, რაც დასაქმებულთან მიმართებითაა გათვალისწინებული, სწორედ ფიზიკურ პირზე აკეთებს აქცენტს. იხ. მაგალითად, *შველიძე*, ბაქაქური/თოდრია/შველიძე (თანარედ.) საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017, თ. I, 39.

⁶⁸² *Dolezal/Windegger*, LIMINA 3:2, 2020, 234.

⁶⁸³ ამ საკითხზე იხ. *Henssler/Wewetzer* in: Chibanguza/Kuß/Steegen (Hrsg.), KI, 2022, E. Rn. 28.

⁶⁸⁴ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ტექნოლოგიური განვითარების გათვალისწინებით, ასეთი „ჩანაცვლება“ გამართლებულად მიიჩნევა.

⁶⁸⁵ სხვა მხრივ, იგი შეიძლება ერთგვარ „ჩამნაცვლებლადაც“ მოგვევლინოს. იხ. მაგალითად, *იოამეტს/ჩოჩია*, სჟ №1/2020, 387 – მიუხედავად მოცემულობისა, დღეისთვის ხელოვნური ინტელექტი უმეტეს შემთხვევაში რჩება, როგორც დასაქმებულისთვის დამხმარე ტექნიკური საშუალება (იქვე, 387-388).

ლისთვის ე.წ. „დამხმარე ტექნიკურ საშუალებას“, ისევე, როგორც რა შეთანხმება იყო მიღწეული დამსაქმებელთან დადებულ ხელშეკრულებაში.

3.1 ხელოვნური ინტელექტი, როგორც „დამხმარე ტექნიკური საშუალება“

„დამხმარე ტექნიკური საშუალება“ არ არის საკანონმდებლო ტერმინი (მაგალითად, სშკ-ში განერილი). შინაარსობრივად, მასში მოიაზრება ხელოვნური ინტელექტის იმგვარი გამოყენება, რაც დასაქმებულს ხელს შეუწყობს, დავალების მაქსიმალურად მაღალ დონეზე შესრულებაში. ამ თვალსაზრისით განსხვავებულია შემთხვევა, როდესაც დასაქმებული დავალებას (სამუშაოს) ხელოვნურ ინტელექტს ავალებს. მაგალითად, დასაქმებული მუშაობს თარჯიმნის თანამდებობაზე. მისი უშუალო ვალდებულებაა, რომ თარგმნოს კომპანიაში შესული კორესპონდენცია ინგლისურიდან ქართულ ენაზე. თუ დასაქმებული ხელოვნური ინტელექტით ისარგებლებს იმგვარად, რომ მთლიანი ტექსტის თარგმნას მას დაავალებს, მაშინ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება თარჯიმნის მხრიდან სამუშაოს პირადად შესრულების საკითხი.

ამ მაგალითის საპირისპირო პოზიცია შეიძლება განვითარებულ იქნეს შემდეგი კითხვის ფორმულირებით: რატომ უნდა ჰქონდეს დამსაქმებლისთვის მნიშვნელობა იმას, დასაქმებული დაიხმარს ტექნოლოგიურ საშუალებას, თუ თავად შეასრულებს სამუშაოს? მით უმეტეს, თუ დასაქმებული ორივე შემთხვევაში იდენტურადაა შედეგზე პასუხისმგებელი. საპირისპირო არგუმენტი საკმაოდ წონადია და სირთულეს წარმოადგენს მისი გაბათილება, თუ შრომით ხელშეკრულებაში ხელოვნური ინტელექტით სარგებლობაზე (მის ფარგლებზე) არაა გამახვილებული ყურადღება. თუმცა, თუ ამოვალთ იმ გარემოებიდან, რომ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება დაიდო იმ საფუძვლით, რომ მას სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით უკეთესად შეეძლო თავისი ცოდნის გამოყენება (თარგმნა), გამოდის, რომ თავდაპირველი მიზანი უგულებელყოფილია. შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ასეთი აქტივობა შეიძლება არც იქნეს მიჩნეული თარგმნად, არამედ, ნათარგმნის გასწორებად/შემოწმებად.

მიუხედავად საკითხთან მიმართებით არაერთგვაროვანი ხედვისა, საბოლოო გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანია, შრომითი ხელშეკრულების პირობების, ისევე, როგორც – სამუშაო აღწერილობის, დამსაქმებლის მხრიდან სათანადო მოლოდინებისა და სამუშაოს ჯეროვანი შესრულების არგუმენტაციის განხილვა. ამდენად, თუ დადასტურდებოდა, რომ დასაქმებული მხოლოდ „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ იყენებდა ხელოვნურ ინტელექტს, ხოლო განსხვავებულ პირობებზე მასსა და დამსაქმებელს შორის შეთანხმება არ ყოფილა, მხოლოდ ამ მიზეზით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულიად.⁶⁸⁶ შესაბამისად, საკითხთან

⁶⁸⁶ არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც დასაქმებულმა ამგვარი სარგებლობით სხვა პირობა დაარღვია. მაგალითად, კონფიდენციალურობა.

დაკავშირებით მხოლოდ ფორმალური მიდგომა სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებას ხელს ვერ შეუწყობს.

3.2 დასაქმებულის პასუხისმგებლობა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის მიუხედავად

როგორც წესი, თუნდაც ხელოვნური ინტელექტით სარგებლობდეს, დასაქმებული თავადაა შედეგზე პასუხისმგებელი. მაგალითად, დასაქმებულმა შეადგინა ელ. ფოსტის ტექსტი, ათარგმნინა იგი ხელოვნურ ინტელექტს და შემდეგ გააგზავნა მომხმარებელთან. მომხმარებლისთვის ელ. ფოსტის ტექსტის შინაარსი ასოცირდება დამსაქმებლის პოზიციასთან. თუ აღმოჩნდა, რომ ხელოვნური ინტელექტის თარგმანში მოცემული იყო რამდენიმე ხარვეზი, იგი მიიჩნევა დამსაქმებლის ხარვეზად. ანალოგიურად, ვთქვათ, ნაცვლად უარყოფელი წინადადებისა, ეწერა თანხმობის გამოცხადებული შინაარსი და სხვ. იდენტურად შეიძლება მოყვანილ იქნეს შემთხვევა, როდესაც ხელოვნური ინტელექტის მიერ თარგმნისას ძირითადი არსი იკარგება ან ხელოვნური ინტელექტი არ თარგმნის მართებულად. მაგალითად, ქართულად მითითებაა შემდეგზე: „ჩვენ ვთანხმდებით, გავყიდოთ შენობები“, ხოლო გერმანულად ითარგმნა: „Wir stimmen zu, Gebäude zu verkaufen“. ამ მაგალითის გერმანულენოვან ტექსტში გვხვდება გაუგებრობა: ტერმინი – „Gebäude“ არის მხოლოდით თუ – მრავლობით რიცხვში მოცემული? იგი შეიძლება ითარგმნოს ორივენაირად – კერძოდ, როგორც: „შენობა“ („Das Gebäude“) ისე – „შენობები“ („Die Gebäude“). მათ შორის განსხვავება არტიკლისა და წინადადების კონტექსტის გათვალისწინებით გვხვდება. მოცემულ წინადადებაში არ იკვეთება, საუბარია ერთ თუ ერთზე მეტ შენობაზე. ეს კი მაშინ, როდესაც ქართულ ენაში მრავლობით რიცხვშია (მაშასადამე, არანაკლებ ორ შენობაზეა) საუბარი. ვთქვათ, დასაქმებულმა ასეთი შეტყობინება გააგზავნა პოტენციურ ინვესტორთან/მყიდველთან და ამ ტექსტმა გამოიწვია დამსაქმებელთან საქმიანი ურთიერთობის გართულება. რამდენად შეიძლება, რომ ასეთ დროს დასაქმებული იყოს ამაზე პასუხისმგებელი?⁶⁸⁷ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე, დასაქმებულს დაეკისრება პასუხისმგებლობა, იმის მიხედვით, თუ რამდენად ევალდებოდა მას გადამოწმება. ზოგადი მოცემულობის გათვალისწინებით, მას არანაკლებ ხელოვნური ინტელექტის გენერირების გადამოწმების ვალდებულება გააჩნია. შესაბამისად, ამგვარი ქმედება დარღვევის ძლიერ პრეზუმფციას ქმნის.

⁶⁸⁷ მსჯელობაზე საუბარი წარიმართება ზემოთ მოყვანილ მაგალითზე დაყრდნობით, რომელიც მხოლოდ საილუსტრაციო ხასიათს ატარებს. შესაბამისად, პასუხისმგებლობის/დარღვევის სიმკაცრეზე შეგნებულად არ გამახვილდება ყურადღება. პასუხისმგებლობის ჭრილში კი, პირველ რიგში, დამსაქმებელთან მიმართებითაა საკითხი განხილული.

3.3 დამსაქმებლის მხრიდან შეზღუდვის დაწესების საკითხი

დამსაქმებლის მხრიდან შეიძლება შეზღუდვა დაწესდეს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობასთან მიმართებით.⁶⁸⁸ ეს შეიძლება აისახოს, უპირველეს ყოვლისა, ფართოდ გავრცელებულ (ცნობილ) ხელოვნურ ინტელექტთა სარგებლობის ფარგლების დაწესებაზე. არსებობს ტენდენცია, როდესაც ცალკეული კომპანიები (დიდი კორპორაციები) ე.წ. „შიდა კორპორაციული“ (შეიძლება მოხსენიებულ იქნეს, როგორც, „კერძო“/„დახურული“) ხელოვნური ინტელექტით სარგებლობენ, რომელიც უშუალოდ ერთ კომპანიაზეა ორიენტირებული.⁶⁸⁹

შეზღუდვის დაწესება შეიძლება შეეხოთ როგორც ხელოვნური ინტელექტის სრულად სარგებლობას, ისე – მისი მოხმარების ცალკეულ ნესსაც. მაგალითად, თარჯიმნებს შეიძლება დაუწესდეთ შეზღუდვა, რომ ხელოვნურ ინტელექტს არ ათარგმნიონ მასალა ან ნათარგმნი მასალა არ გადაამონუმბინონ მას და ა.შ.

3.4 დასაქმებულის კონტროლი დამსაქმებლის მხრიდან

დამსაქმებელს გააჩნია უფლება, რომ სამუშაოს შესრულებისას გარკვეული კონტროლის მექანიზმი დააწესოს. აღნიშნულში, მათ შორის, დასაქმებულის მხრიდან ტექნიკურ საშუალებათა გამოყენება მიიჩნევა.⁶⁹⁰ ის, თუ რამდენად შეიძლება ამის გაკონტროლება (ზედამხედველობა), ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე უნდა განიმარტოს.⁶⁹¹ მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით,⁶⁹² როდესაც ტექნიკური მოწყობილობის კონტროლი ხდება⁶⁹³ და სხვ. უმთავრესია, რომ ასეთ დროს არ დაირღვეს როგორც სშკ-ის, ისე – პმდ-ის მომწესრიგებელი ნორმები,⁶⁹⁴ რათა კონტროლის დასაშვები საზღვრები იქნეს დაცული.⁶⁹⁵

⁶⁸⁸ Dornau, BC №3/2024, 107.

⁶⁸⁹ იხ. Hartmann in: Hartmann (Hrsg.), KI & Recht Kompakt, 2020, 56-57.

⁶⁹⁰ აღნიშნული კი შეიძლება, ხელოვნური ინტელექტის საშუალებით მოხდეს – იოამეტს/ჩოჩია, სჟ №1/2020, 397.

⁶⁹¹ შეად. ArbG Hamburg, Bes. vom 16.1.2024 – 24 BVGa 1/24.

⁶⁹² იხ. მაგალითად, Bărbulescu v. Romania, 5.9.2017, №61496/08 [GC] (ECtHR). საინტერესო შეხედულება გვხვდება ევროპის საბჭოს მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში, რომელიც გაკონტროლებისას (ზედამხედველობისას) უფლების დარღვევის რისკების გადანაწილებას ეხება – HR and AI, CDDH, 2026, 97-98.

⁶⁹³ ჯორბენაძე, 2019, 197 და შ.

⁶⁹⁴ მაგალითად, მონაცემთა დამუშავების პრინციპები ან საფუძვლები.

⁶⁹⁵ საერთო მიდგომების გათვალისწინებით, შესაძლებელია საინტერესო პარალელის გავლება შემდეგ საქმესთან: BGH, Bes. vom 20.1.2026 – 3 Str 495/25.

3.5 დასაქმებულის ბრალეულობა თუ ბრალის გარეშე მოქმედება?

სკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, „პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე“. რამდენად ბრალეულად შეიძლება ჩაითვალოს დასაქმებულის ქმედება, როდესაც იგი ხელოვნური ინტელექტით სარგებლობს? ამ შეკითხვაზე პასუხი დასახელებული ნორმის ფარგლებში საკითხის გადაჭრის წინაპირობას წარმოადგენს. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, თუ რამდენად სიფრთხილითა და გონივრულად მოქმედებდა დასაქმებული ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას. მაგალითად, შპს-ს დასაქმებულის მხრიდან ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შედეგად, დაზიანდა მესამე პირი. იმისთვის, რათა ზიანის საკითხი განისაზღვროს, მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად იკვეთება დასაქმებულის ბრალეულობა?⁶⁹⁶ თუ გარემოება იმგვარად განიმარტება, რომ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასა და შესაძლო დეფექტზე (ნაკლზე) მესამე პირი (დაზარალებული) წინასწარ არ იყო ინფორმირებული (მაგალითად, შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნით, ან სხვა საშუალებით), დასაქმებულის ქმედება შეიძლება, რომ ბრალეულ ქმედებად ჩაითვალოს, რაც შპს-ს მიმართ მესამე პირის მხრიდან სკ-ის 997-ე მუხლით მოთხოვნის დაყენებას განსაზღვრავს. თავის მხრივ, ის, რომ ხელოვნურ ინტელექტს დაეყრდნო დასაქმებული სამუშაოს შესრულებისას, შპს-სთვის ვერ იქნება პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოება.

მოყვანილი მაგალითის საპირისპიროდ: თუ დადასტურდება, რომ ბრალი არ მიუძღვის დასაქმებულს, შესაძლებელია, რომ გამოირიცხოს დამსაქმებლის პასუხისმგებლობა.⁶⁹⁷ მაგალითად, თუ იარსებებს გაფრთხილება პოტენციური რისკების თაობაზე, სადაც ახსნილი იქნება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისა და შესაძლო შედეგების შესახებ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნურ ინტელექტზე მითითება შესაძლებელია, რომ პასუხისმგებლობის შეფასების ერთ-ერთი ფაქტორი იყოს, თუმცა აღნიშნულით ავტომატურად არ გამოირიცხება პასუხისმგებლობა.

3.6 შუალედური შეჯამება

ხელოვნური ინტელექტისთვის უფლებამოსილებათა სრული დელეგირება ქმნის დარღვევის მაღალ რისკს, თუმცა თითოეულ შემთხვევაში, აღნიშნული დამოკიდებუ-

⁶⁹⁶ შეგნებულად არ მახვილდება ყურადღება მიზეზობრივ კავშირზე, რომელიც მაგალითის ფარგლებში დადგენილად უნდა მივიჩნიოთ.

⁶⁹⁷ მაგალითში აღნიშნული გაფრთხილება არის მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი და მასში არ მოიაზრება პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების წინაპირობა.

ლია: შრომითი ხელშეკრულების პირობებზე, სამუშაოს ბუნებასა და ორგანიზაციულ პრაქტიკაზე. სხვა მხრივ კი, იმისთვის, რათა საკითხი წინდაწინვე იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, უმჯობესია, თუ შრომითი ხელშეკრულებით ხელოვნური ინტელექტის სარგებლობის საკითხი მკაფიოდ იქნება მოწესრიგებული. ეს ეხება როგორც მისით სარგებლობას, ისე – შეზღუდვის ფარგლებს. მაგალითად, დამსაქმებლის მხრიდან კონტროლი არ უნდა გადაიზარდოს პიროვნების კონტროლში და იგი ლეგიტიმურ მიზანს უნდა ემსახუროდეს, პროპორციულობისა და გამჭვირვალობის პრინციპზე დაყრდნობით.

4. დამსაქმებლის რისკი დისკრიმინაციული ქმედების ქრილში

დამსაქმებლის რისკის თვალსაზრისით, ყურადღება გასამახვილებელია დისკრიმინაციული ქმედების საკითხზე, რაც დღევანდელობაში პრაქტიკულ გამოწვევას წარმოადგენს. დამსაქმებლის რისკში ექცევა ასევე დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, დასაქმებულის მიერ ხელოვნური ინტელექტის არასათანადოდ სარგებლობის გამო, რაზეც ნაშრომში ცალკეა განვითარებული მსჯელობა.

4.1 ზოგადი განმარტება

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას არ იკვეთება მხოლოდ დასაქმებულის რისკი. ამ მხრივ, შესაძლებელია, რომ გარკვეული რისკის მატარებელი დამსაქმებელიც იყოს. ეს კი მაშინ, თუ დამსაქმებელი უპირობოდ ეყრდნობა ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგს.⁶⁹⁸ სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ხელოვნური ინტელექტის გენერირების საფუძველზე მოქმედება და აპელირება, რომ აღნიშნული ქმედება თუნდაც ხელოვნური ინტელექტის მხრიდან რჩევის შედეგს ეფუძნება, დამსაქმებელს პასუხისმგებლობას არ მოუხსნის.⁶⁹⁹

4.2 დისკრიმინაციული ქმედების რისკის ფარგლები

დამსაქმებლის რისკიდან ცალკე გამოსაყოფია დისკრიმინაციის რისკი, რომელიც დღევანდელ მოცემულობაში აქტიურად გვხვდება: ცალკეული დამსაქმებლები ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ დასაქმებულთა შერჩევისა თუ დასაქმებულთა მიმართ ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებაში.⁷⁰⁰ ევროკავშირის მასშტაბით, „AI

⁶⁹⁸ Frank/Heine, NZA №15/2023, 937.

⁶⁹⁹ როგორც ზემოთ „ნივთთან“ დაკავშირებულ მაგალითზე იქნა მოყვანილი და რომელიც სკ-ის 997-ე მუხლს შეეხო.

⁷⁰⁰ Heinrichs/Heinrichs/Rüther, 2022, 127.

Act“-ის მე-5 მუხლის, ასევე, III დანართის ფარგლებში, გარკვეულწილად დაზღვეულია პოტენციური რისკის საკითხი.

ქართულ რეალობაში ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული საკითხის მონესრიგება არ გვხვდება. შესაბამისად, არ გვხვდება დათქმა, რომელიც დისკრიმინაციის საკითხს ამ მიმართულებით შეეხებოდა. ლოგიკურად, მსჯელობისას ამჟამინდელ რეგულირებას უნდა დავყვარდნოთ. ამისთვის კი შეიძლება მაგალითის განხილვა: თუ ხელოვნური ინტელექტის საშუალებით დამუშავდა დასაქმებულთა ან პოტენციურ დასაქმებულთა მონაცემები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ასეთ დროს მნიშვნელობა მიენიჭება იმას, თუ რა სახით გაიზიარებს მას დამსაქმებელი.⁷⁰¹ იმავე მაგალითზე დაყრდნობით: თუ ხელოვნური ინტელექტის გენერირებით წარმოჩინდება, რომ კონკრეტული პირი შეუსაბამოა სამუშაოს შესრულებასთან და ეს მიზეზი დისკრიმინაციულ ნიშნებს შეიცავს (ვთქვათ, გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას⁷⁰²), დამსაქმებლის მიერ გენერირებაზე უპირობო დათანხმება, შეიძლება, რომ მისი მხრიდან დარღვევად დაკვალიფიცირდეს.⁷⁰³ ამ მოცემულობის მტკიცება უდავოდ სირთულეს წარმოადგენს, თუმცა მტკიცების ტვირთის განსაზღვრა სასამართლოს მხრიდან ფორმალურად არ უნდა მოხდეს, რაც, პირველ რიგში, დამსაქმებლისთვის მტკიცების ტვირთის დაკისრებაში შეიძლება გამოიხატოს.⁷⁰⁴ კერძოდ, მას შეიძლება მოუწიოს დასაბუთება, თუ რამდენად მართებულად იხელმძღვანელა ცალკეული კრიტერიუმებით.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ყურადსაღებია სათანადო დავალების მიცემის საკითხი. თუნდაც დამსაქმებელს არადისკრიმინაციული მიზნები ამოძრავებდეს, შესაძლებელია, რომ დავალების მისეულმა ფორმულირებამ ხელოვნურ ინტელექტს დისკრიმინაციისკენ უბიძგოს.⁷⁰⁵ სწორედ ამიტომ, დისკრიმინაციის თავიდან ასარიდებლად მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელმა ხელოვნურ ინტელექტს დავალებაც („Prompt“) მართებულად მისცეს.⁷⁰⁶

⁷⁰¹ ამჟამად წარმოებაშია საქმეები ამ მიმართულებით: Harper v. Sirius XM Radio, LLC, No. 2:25-cv-12403 (მიმდ.); Mobley v. Workday, Inc. No. 3:23-cv-00770 (N.D. Cal.) (მიმდ.).

⁷⁰² აღნიშნულის თაობაზე იხ. მაგალითად, *შველიძე*, სდნ, 2019, 56.

⁷⁰³ იხ. იტალიური მიდგომა: Tribunale di Bologna, Sezione Lavoro, Ordinanza 31 dicembre 2020, n. 2949/2019 (მოითითება ორიგინალურ ენაზე, გაცნობა მოხდა ინგლისურ ენაზე).

⁷⁰⁴ საუბარია, მოცემულობის გათვალისწინებით მტკიცების ტვირთის განსაზღვრაზე. იხ. *ბეგიაშვილი*, მსუ №8/2025, 53.

⁷⁰⁵ ვთქვათ, დამსაქმებელმა მიუთითა ტერმინი „საუკეთესო“, ხოლო ხელოვნურმა ინტელექტმა დააგენერირა გარკვეული მიდგომებზე დაყრდნობით და მასში არ იქნა ასახული/გათვალისწინებული დამსაქმებლის რეალური პათოსი. ამ საკითხზე იხ. იქვე, 36.

⁷⁰⁶ იქვე.

5. კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობის დაცვა არა მხოლოდ დასაქმებულის, არამედ, დამსაქმებლის ვალდებულებადაც მიიჩნევა. საკითხი ეხება, უპირველეს ყოვლისა, მომხმარებლებისა თუ ნებისმიერი გარეშე პირის (კონტრაქტენტის) შესახებ მონაცემების/სხვადასხვა ინფორმაციის დამუშავებას. ხელოვნური ინტელექტიც სწორედ ამ ფარგლებში შეიძლება იქნეს გამოყენებული „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“. კერძოდ, პირველ რიგში, თანამშრომელმა უნდა შეიკავოს თავი ხელოვნური ინტელექტისთვის სრული ინფორმაციის მიწოდებისგან. მაგალითად, თუ თანამშრომლობა ეხება სამართლებრივ კონსულტაციას, მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნურ ინტელექტს არ მიეწოდოს დასაქმებულისგან ყველა გარემოება, თუ რასთან დაკავშირებით გაიცემა ასეთი კონსულტაცია და სხვ. განსაკუთრებით აქტუალურია საკითხი, როდესაც დამსაქმებლის მიერ კონტრაქტთან „NDA“-ს სახითაა ხელშეკრულება დადებული.

რა შეიძლება იყოს გამოსავალი ასეთ შემთხვევაში? საკითხის ყველაზე მარტივი გადაჭრა გვხვდება მაშინ, როდესაც კონტრაქტენტი წინასწარ არის ინფორმირებული შესაბამის პირობებზე/გარემოებებზე, თუმცა, პრაქტიკაში იგი ყოველთვის სათანადო გამოსავლად ვერ ჩაითვლება. ამიტომ, დასაშვებად შეიძლება შეფასდეს ე.წ. „შიდა კორპორაციული“ ხელოვნური ინტელექტის სისტემით სარგებლობა, რომელიც უშუალოდ დამსაქმებელზე იქნება ორიენტირებული და რომლითაც დაცული იქნება გაუთქმელობის საკითხი.⁷⁰⁷ კერძოდ, ასეთ დროს, დამსაქმებელს ხელშეკრულება აქვს დადებული შესაბამის პირთან და ამ ხელშეკრულების ფარგლებში, ავტორიზებული ვერსიით სარგებლობს.

უკანასკნელ პერიოდში პრაქტიკაში მომრავლდა შემთხვევები, როდესაც შრომით ხელშეკრულებასა თუ შრომის შინაგანანუსშია მითითება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე. განსაკუთრებით, თუ იგი კონფიდენციალურობას ეხება. ეს კი ნიშნავს, რომ თუ კონფიდენციალურობასთან ერთად, დარღვეული იქნება ხელშეკრულების ცალკეული ნორმა, შეიძლება, რომ აღნიშნული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მოგვევლინოს.

6. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა

სმკ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ზუსტ ჩამონათვალს იცნობს, რაც დამსაქმებლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზანს ემსახურება.⁷⁰⁸ აღნიშნული ჩამონათვალიდან, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისთვის

⁷⁰⁷ მიუხედავად სისტემის „დახურული“ ბუნებისა, ყურადსაღებია, რომ იგი სრულად ვერ ახდენს უფლების დარღვევის პრევენციას და მისი დანერგვა/არსებობა ავტომატურად არ გამორიცხავს გაუთქმელობის, მონაცემთა დამუშავებისა და წვდომის კონტროლის პრობლემებს.

⁷⁰⁸ ჩაჩავა/ბაქაქური/მესხიშვილი, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, კერესელიძე/ჩაჩავა/ბააღიშვილი/შველიძე/მესხიშვილი (რედ.), 2023, მუხლი 47, 533.

ყურადღება გამახვილდება სშკ-ის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ და „ო“ ქვეპუნქტებზე.⁷⁰⁹

6.1 ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული ცვლილებები

ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის გათვალისწინებით, დასაქმებულებთან ხელშეკრულების შეწყვეტის დასაბუთებისთვის ყველაზე ახლოს მდგომი წინაპირობაა სშკ-ის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული „ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას“. განმარტებიდანაც იკვეთება, რომ სამუშაო ძალის შემცირება აუცილებელ წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს.⁷¹⁰ შესაბამისად, იგი არ უნდა იყოს ფორმალური ხასიათის.⁷¹¹ ლოგიკურად, მართო ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ არ შეიძლება, რომ ამგვარ შედეგამდე მიიყვანოს დამსაქმებელი.

თავის მხრივ, ის, თუ რამდენად პირდაპირპროპორციულია ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა სამუშაო ძალის შემცირებასთან, თითოეულ შემთხვევაში ინდივიდუალური განხილვის საგანს წარმოადგენს. მაგალითად, კომპანიაში დასაქმებულია შვიდი თარჯიმანი, რომლებსაც უწევთ უცხოენოვანი ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნა და შემდეგ ნათარგმნი ვერსიის ხელმძღვანელთან გაგზავნა. კომპანიამ ხელშეკრულება დადო ერთ-ერთ კომპანიასთან, რომლის ფარგლებშიც, შესაძლებლობა გაჩნდა, რომ კომპანიას ხელოვნური ინტელექტით ესარგებლა. აღმოჩნდა, რომ ხელოვნური ინტელექტის დახმარებით თარგმანი უფრო მეტად დაჩქარებულ ვადებში და უკეთესი ხარისხით მზადდებოდა. შესაბამისად, კომპანიამ (დამსაქმებელმა) გადაწყვიტა, რომ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა აქტიურად დაენერგა ორგანიზაციაში, ხოლო, ამის თანმდევად, შვიდივე თარჯიმანთან შეწყვიტა შრომითი ხელშეკრულება. დაისმის შეკითხვა, თუ რამდენად მართებული იყო დამსაქმებლის ამგვარი ქმედება?

მოცემულ შეკითხვაზე პასუხი გამომდინარეობს იმ მოცემულობიდან, თუ რამდენად შეძლებს დამსაქმებელი თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებას. კერძოდ, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა დამსაქმებლის მიერ დასაშვებია. იგი ტექნოლოგიურ ან ორგანიზაციულ ცვლილებადაც კი შეიძლება იქნეს მიჩნეული, თუმცა

⁷⁰⁹ სშკ-ის 47-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე ყურადღება არ გამახვილდება, ვინაიდან იგი კონკრეტული გარემოების საფუძველზე განსასაზღვრ სამართლებრივ შეფასებით კატეგორიაში ექცევა. შესაბამისად, თუ საკითხი განიმარტება იმგვარად, რომ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა, დასაქმებულის მხრიდან ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, აღნიშნულს კონკრეტული გარემოების მითითება დასჭირდება, რაც უხეშ დარღვევასთან მოვიდოდა შესაბამისობაში.

⁷¹⁰ იხ. სუს განჩინება, 2.3.2022, №ას-1334-2021; სუს განჩინება, 26.1.2024, №ას-982-2023; სუს გადაწყვეტილება, 15.10.2024, №ას-157-2024.

⁷¹¹ სუს განჩინება, 26.2.2026, №ას-1373-2025.

ამგვარი მიდგომა თავისთავად არ ამართლებს სამუშაო ძალის შემცირებას. დამსაქმებელს აკისრია ვალდებულებები, რაც დადგენილი მიდგომებითაა გაჯერებული. მაგალითად, დაასაბუთოს ცვლილებების აუცილებლობის, სამუშაო ძალის შემცირების, ფუნქციების გადანაწილების რეალურობისა და საჭიროების საკითხი. მიუხედავად ამ მსჯელობისა, დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება რომ განსხვავებული მოცემულობაც იკვეთებოდეს, რაც ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე განისაზღვრება.

6.2 სხვა ობიექტური გარემოება

ის, თუ რა მოიაზრება ტერმინში: „სხვა ობიექტური გარემოება“, განმარტების საგანია.⁷¹² ცალსახა ფორმულა, რომლითაც პასუხი იქნება ამ შეკითხვაზე გაცემული, არ არსებობს. ამიტომ, მოცემულობა ისევ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა განიმარტოს. კერძოდ, დამსაქმებელმა უნდა დაასაბუთოს გადანაცვეტილების კანონიერება⁷¹³ და იგი არ დააფუძნოს, ვთქვათ, ორ ან მეტ (ურთიერთგამომრიცხავ) საფუძველს: მაგალითად, ტექნოლოგიურ ცვლილებასა და სხვა ობიექტურ გარემოებას ერთდროულად.⁷¹⁴

7. შემაჯამებელი მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დასაქმებულად ან დამსაქმებულად. იგი არ არის დამოუკიდებელი სუბიექტი, არამედ, რისკის გამზრდელი ტექნოლოგიური საშუალება. მას შეუძლია შეასრულოს ცალკეული დავალებები, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ იქნება ადამიანის (დასაქმებულის) ჩამნაცვლებელი,⁷¹⁵ არამედ, მისი როლი უფრო მეტად დამხმარე ტექნიკურ საშუალებად განისაზღვრება.⁷¹⁶ სწორედ ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ **ხელოვნური ინტელექტი ცვლის არა შრომის სამართლის სუბიექტებს, არამედ – რისკის განაწილებისა თუ დავალების შესრულების საკითხს**. მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის დანერგვამ, შესაძლებელია, რომ დამსაქმებლისთვის დასაქმებულთა შემცირების აუცილებლობა

⁷¹² იხ. სუს განჩინება, 4.7.2019, №ას-715-2019.

⁷¹³ იხ. სუს განჩინება, 9.3.2018, №ას-1444-1364-2017; სუს გადანაცვეტილება, 30.10.2023, №ას-703-2023; სუს განჩინება, 26.1.2024, №982-2023.

⁷¹⁴ იხ. მაგალითად, თსს გადანაცვეტილება, 17.1.2025, №2/2099-24.


⁷¹⁵ Hennig/Nadler in: Hartmann (Hrsg.), KI & Recht Kompakt, 2020. 245.

⁷¹⁶ ზოგადად, ადამიანის ჩანაცვლების საკითხზე კაცობრიობას მხადყოფნა არ გააჩნია. ამან შეიძლება სოციალური თუ სამართლებრივი პრობლემები წარმოშვას – *იოამეტს/ჩოჩია*, სჟ №1/2020, 389. შედეგად, უფრო მეტად „თანამშრომლობაზე“ უნდა გაკეთდეს აქცენტი, რათა ხელოვნური ინტელექტი დამხმარე ტექნიკურ საშუალებად იქნეს მიჩნეული – იქვე, 390-392.

წარმოშვას.⁷¹⁷ ამ მხრივ, გლობალური ტრანსფორმაციის პროცესზე საერთაშორისო დონეზე გვხვდება სათანადო მითითებები.⁷¹⁸ ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, დამსაქმებელი იყენებს ხელოვნურ ინტელექტს, თუ – დასაქმებული, მესამე პირებთან მიმართებით პასუხისმგებლობა შინაარსზე/შედეგზე უმეტეს შემთხვევაში (თუ განსხვავებული გარემოებები არ იარსებებს) დამსაქმებლისკენ გადაიხრება.

ძირითადი რისკები, რაც დამსაქმებლისთვის ხელოვნური ინტელექტის სარგებლობიდან შეიძლება მომდინარეობს, სამ პოტენციურ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ⁷¹⁹ ა) დამსაქმებლის კონტროლისა და დასაქმებულის ავტონომიურობის ურთიერთმიმართება. კერძოდ, ის, თუ რამდენად და რა საშუალებით უნდა (შეიძლება) გააკონტროლოს დამსაქმებელმა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის წესი და რა ფარგლები იქნება დაწესებული დასაქმებულისთვის; ბ) ეფექტიანობისა და შრომითი უფლებების დაცვის მიმართება – *ultima ratio* ტექნოლოგიურ ეპოქაში; გ) დამსაქმებლის პასუხისმგებლობა, უპირატესად, დისკრიმინაციის თავიდან არიდების თვალსაზრისით, რაც გულისხმობს, რომ მისი მხრიდან არ უნდა მოხდეს ხელოვნური ინტელექტის გენერირების უპირობო დათანხმება.

სქემა №8 – ძირითადი რისკები, რაც დამსაქმებლისთვის ხელოვნური ინტელექტის შრომითი ურთიერთობისას სარგებლობიდან გამომდინარეობს



⁷¹⁷ საკითხი კიდევ უფრო მეტად პრობლემურია, თუ იგი სამსახურებრივი ნაწარმოების მომზადებას ეხება. გარდა საავტორო უფლებების თვალსაზრისით არსებული სირთულეებისა, დაბრკოლებები დასაქმებულთა მიმართაც წარმოიშობა. ამ საკითხზე იხ. *Dregelies*, GRUR №20/2024, 1486.

⁷¹⁸ *Gmyrek et al. (2025)*. ILO Working Paper 140. Geneva: ILO, 9; ბმული: <https://www.ilo.org/sites/default/files/2025-05/WP140_web.pdf> [11.8.2025].

⁷¹⁹ აღნიშნული არ არის ამომწურავი ჩამონათვალი და იგი შეიძლება გაიზარდოს (მით უმეტეს, პრაქტიკის განვითარებასთან ერთად).

ამდენად, ხელოვნური ინტელექტი არ ცვლის შრომითი ურთიერთობის არსს, თუმცა იგი მკაფიოდ წარმოაჩენს იმ სფეროებს, სადაც ტრადიციული სამართლებრივი ინსტრუმენტები დამატებით დაზუსტებას საჭიროებს. საკითხის გადაჭრის ერთ-ერთი საშუალებაა, რომ შრომის შინაგანაწესში ან შრომით ხელშეკრულებაში (თუნდაც, შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ შეთანხმებაში) მითითება იყოს გაკეთებული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე.^{720/721} ამ გზით შეიძლება, რომ რისკების მინიმიზაციას ჰქონდეს ადგილი.

⁷²⁰ Taes in: De Bruyne/Vanleenhove (eds.), *AI and the Law*, 2021, 313.

⁷²¹ ადამიანური რესურსის საფუძველზე სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის თვალსაზრისითაც, მნიშვნელოვანია, რომ ხელოვნური ინტელექტის დანერგვა უპირობო ნდობის ფარგლებში არ მოხდეს. იხ. მაგალითად, *Dilmartino*, 2024, 82.

VII. ხელოვნური ინტელექტი სალკეულ პროფესიებთან მიმართებით

სალკეული პროფესიებიდან გამომდინარე, ხელოვნური ინტელექტის სარგებლობის თაობაზე ნაშრომში საკითხი ოთხი ძირითადი მიმართულებით განვითარდება:⁷²² ა) ადვოკატი; ბ) მოსამართლე; გ) არბიტრი და დ) ჟურნალისტი. თითოეულ მათგანზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილდება უპირატესად, ხელოვნური ინტელექტის, როგორც ე.წ. „დამხმარე ტექნიკური საშუალების“ როლსა და მისი გენერირების შედეგებზე.

1. ადვოკატი

კლიენტი ეყრდნობა ადვოკატს. მაგრამ, ადვოკატს რამდენად შეუძლია, რომ დაეყრდნოს ხელოვნურ ინტელექტს?⁷²³ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა თანამედროვე რეალობაში სულ უფრო აქტუალური ხდება. ერთი მხრივ, უფლებამოსილება იკვეთება, ადვოკატმა გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი, თუმცა, მეორე მხრივ, წინა პლანზე იწევს მისი პასუხისმგებლობის საკითხიც.

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირება ერთ-ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხია. ტრადიციული გაგებით, ეს ეხება საქმესთან დაკავშირებულ ასპექტებს, რაც მჭიდრო კავშირშია კვალიფიციურ და კეთილსინდისიერ წარმომადგენლობასთან.⁷²⁴ თანამედროვე ტექნოლოგიურმა განვითარებამ აღნიშნული დეტალი კიდევ უფრო მეტად საინტერესო გახადა. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ 2025 წლის 14 აპრილს საინტერესო რეკომენდაცია იქნა გაცემული (№006/25),⁷²⁵ სადაც ვკითხულობთ შემდეგს: „*აუცილებელია რომ კლიენტის-*

⁷²² ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩატარდა კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოიყო სწორედ ჩამოთვლილი ოთხი პროფესია. ამგვარი გადაწყვეტილება დაეფუძნა, პრაქტიკულ გამოწვევასა და საერთაშორისო მიდგომების ქართულ რეალობასთან შესაბამისობის ინტერესს.

⁷²³ ლიტერატურაში მსჯელობა განვითარებულია შემდეგ პარალელზე დაყრდნობით: ადვოკატებს არ ესაჭიროებათ იმის ცოდნა, თუ როგორ ფუნქციონირებს ინტერნეტი, მაგრამ ისინი აქტიურად სარგებლობენ ელ. ფოსტის საშუალებით – Weinstein, in: Custers/Fosch-Villaronge (eds.), Law and AI, 2022, 429 – რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს უპირობო ნდობის ასპექტს, თუმცა, მნიშვნელოვანი არგუმენტია, ხელოვნური ინტელექტის სარგებლობის პოზიტიურ მხარეზე მსჯელობის თვალსაზრისით.

⁷²⁴ გასიტაშვილი/ზამბახიძე/კორძაძია/ლორია/მესხიშვილი/მოლიტერნო/ხუბულური, 2021, 301.

⁷²⁵ იხ. <<https://gba.ge/pdf/685d25589dc3b.pdf/006.25%20werilobiti%20rekomendacia,%2014.04.25.pdf>> [15.12.2025].

ვის GAI-ს შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს სრულყოფილი, ნათელი და გასაგები. კლიენტს უნდა განემარტოს GAI-ის გამოყენების მიზანი, პროცესი, მოსალოდნელი სარგებელი და პოტენციური რისკები. ადვოკატმა კლიენტს უნდა აუხსნას, რომ GAI-ს მიერ გენერირებული ინფორმაცია შესაძლოა არ იყოს სრულყოფილი, ზუსტი ან უახლესი და საჭიროებს ადვოკატის მიერ გადამოწმებას. აღნიშნულზე კლიენტის თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი. თუმცა, ადვოკატსა და კლიენტს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში ჩანაწერის არსებობა, რომ კლიენტი თანახმაა ადვოკატის მიერ GAI-ს გამოყენებაზე და ინფორმირებულია GAI-ს სპეციფიკასა და რისკებზე, შესაძლოა ადვოკატის პასუხისმგებლობის შემზღუდავად და ბრალის კლიენტთან გაზიარებად შეფასდეს. ადვოკატსა და კლიენტს შორის მსგავსი შეთანხმების არსებობა არ აჩერებს ადვოკატის პროფესიული ეთიკის მოქმედებას – ამ ჭრილში ადვოკატი უნდა მოქმედებდეს სრული პასუხისმგებლობითა და ეთიკის ნორმების დაცვით. მსგავსი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, ადვოკატმა GAI-ის გამოყენებისას, უნდა გამოიჩინოს პროფესიული პასუხისმგებლობა და საფუძვლიანად გადამოწმოს GAI-ის მიერ მიწოდებული ინფორმაციის, ანალიზისა თუ რჩევის სიზუსტე და სანდოობა. ადვოკატი არ უნდა დაეყრდნოს GAI-ს მიერ მიწოდებულ შედეგებს უპირობოდ. გადამოწმება მოიცავს როგორც სამართლებრივი, ისე ფაქტობრივი ინფორმაციის დაზუსტებას, რადგან კლიენტი ადვოკატს ენდობა, როგორც პროფესიონალს და სპეციალური ცოდნის მქონე პირს, აქვს მისი კვალიფიციურობისა და კეთილსინდისიერების იმედი“. მოცემული მსჯელობიდან შეიძლება სამი ასპექტის გამოყოფა: ა) ადვოკატმა უნდა აუხსნას კლიენტს ხელოვნური ინტელექტის გამოყენების რისკების თაობაზე; ბ) მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში უნდა მოხდეს ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის თაობაზე მითითება და გ) მიუხედავად ზემოთ მოცემული ორი პირობისა, ეს საკითხი არ ათავისუფლებს ადვოკატს პასუხისმგებლობისგან.⁷²⁶

ამავე რეკომენდაციაში მსჯელობა განვითარებულია რამდენიმე სამართლებრივ საფუძველზე დაყრდნობით: ა) ადმ-ს მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტით, ადვოკატს უფლება აქვს, რომ კლიენტის ინტერესების დასაცავად კანონმდებლობით (იგივე, პროფესიული ეთიკის ნორმებით) აუკრძალავი ნებისმიერი საშუალება გამოიყენოს და ბ) ადმ-ის მე-17 მუხლის 1-ელი პუნქტით, ადვოკატს შეიძლება ჰყავდეს თანაშემწე,⁷²⁷ რომელიც უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურ ნაწილში დაეხმარება მას.⁷²⁸ კომისია განმარტავს, რომ როგორც თანაშემწის შემთხვევაში უნდა შეამოწმოს შესრულებუ-

⁷²⁶ მსჯელობა ასევე ეხება კონფიდენციალურობის საკითხს, რომელზეც წინამდებარე ნაშრომში ცალკე გამახვილდება ყურადღება.

⁷²⁷ ან ნებისმიერი სხვა პირი – ვთქვათ, სტაჟიორი. თუმცა, აღნიშნულის თაობაზე მან უნდა შეატყობინოს კლიენტს – *გასიტაშვილი/ზამბახიძე/კორძაძე/ლორია/მესხიშვილი/მოლიტერნო/ხუბულური*, 2021, 308.

⁷²⁸ თავის მხრივ, უმეტეს შემთხვევაში, თანაშემწის ქმედებაზე (შედეგებზე) პასუხისმგებლობას ისევ ადვოკატი იღებს თავის თავზე. მსჯელობისთვის იხ. KG Berlin, Bes. vom 20.11.2025 -17 WF 144/25.

ლი სამუშაო ადვოკატმა გულმოდგინედ, ანალოგიური ვალდებულება ეკისრება მას ხელოვნური ინტელექტის მიერ გენერირების შემთხვევაშიც. ამდენად, ადვოკატის მიერ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის მიუხედავად (თუნდაც თანხმობა იქნეს კლიენტისგან გაცემული), პროფესიული ვალდებულებანი სავალდებულო ხასიათს ინარჩუნებს და ამ გზით არ გამოირიცხება რომელიმე მათგანი.

1.2 კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობა საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტანდარტია.⁷²⁹ აღნიშნულში მოიაზრება, ადვოკატის მხრიდან კლიენტის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მკაცრად გასაიდუმლოება. ეს ნიშნავს, რომ ადვოკატმა თავი უნდა შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისგან, რაც კლიენტის/საქმის იდენტიფიცირების შესაძლებლობას გამოიწვევს.⁷³⁰ განსაკუთრებით სიფრთხილეა საჭირო საჯაროდ ხელმისაწვდომ ან სხვა ისეთ გენერაციულ სისტემებთან მიმართებით, რომელთა გამოყენების პირობებიც საკმარისად გამჭვირვალე არ არის. მაგალითად, ადვოკატის მიერ კლიენტის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებისა თუ სხვა ასპექტების მითითება, შეიძლება, რომ მისთვის ნეგატიური შედეგის წარმომშობი იყოს. კერძოდ, შესაძლოა, რომ შეყვანილი ინფორმაცია შემდგომ დამუშავებას დაექვემდებაროს⁷³¹ (რაც გენერირებისას იჩენს თავს⁷³²).

სწორედ ამიტომ, რამდენიმე გზაა, რაც შეიძლება, რომ გასათვალისწინებელი იყოს ასეთ შემთხვევაში: ე.წ. „შიდა კორპორაციული“ ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, რაც გულისხმობს წინდანინვე ინფორმაციის მხოლოდ კომპანიის განსაზღვრულ პირთათვის ხელმისაწვდომობას. ანალოგიურად, იმისთვის, რათა დაცულ იქნეს კონფიდენციალურობა, ხელოვნურ ინტელექტს არ მიეწოდოს საქმესთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია, არამედ, მხოლოდ ის გარემოებები, რისი დაზუსტებაც სურს ადვოკატს და ეს ქმედებაც კონფიდენციალურობის მაღალი სტანდარტით იქნეს განხორციელებული.

⁷²⁹ იგი ადვოკატის პროფესიული საქმიანობის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. იხ. მაგალითად, ადმ-ის მე-7 მუხლი.

⁷³⁰ ჯორბენაძე, პმდსე №2, 2024, 58, 61.

⁷³¹ იხ. მაგალითად, „ABA“-ს ეთიკისა და პროფესიული პასუხისმგებლობის მუდმივმოქმედი კომიტეტის მოსაზრება: <https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/ethics-opinions/aba-formal-opinion-512.pdf> [29.12.2025].

⁷³² იხ. მსჯელობა, რომელიც განვითარებულია „CCBE“-ს (www.ccbe.eu) მიერ 2025 წელს გამოცემულ, ადვოკატების მიერ გენერაციული ხელოვნური ინტელექტის გამოყენების სახელმძღვანელოს 3.3.1 პუნქტში.

1.3 ადვოკატის პასუხისმგებლობის ფარგლები ხელოვნური ინტელექტით სარგებლობისას

ადვოკატის მხრიდან პასუხისმგებლობა ვერ იქნება ხელოვნურ ინტელექტზე გადაკისრებული.⁷³³ აღნიშნულის ნათელი მაგალითია აშშ-ში არსებული შემთხვევა, როდესაც ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა პრეცედენტი, რომელიც რეალურად არც არსებობდა.⁷³⁴ შეიძლება ითქვას, რომ ეს წარმოადგენდა ხელოვნური ინტელექტის „ჰალუცინაციის“ შედეგს,⁷³⁵ რომლის გადამოწმებაც ადვოკატის მხრიდან არ მომხდარა.⁷³⁶ მართალია, ქართული კანონმდებლობა კონტინენტური სამართლის ოჯახს განეკუთვნება, თუმცა ადვოკატის პასუხისმგებლობის ნაწილში დასახელებული შემთხვევის მითითება მიზანშეწონილია ერთი მიზეზის გათვალისწინებით: **ადვოკატი უპირობოდ არ უნდა ენდოს ხელოვნურ ინტელექტს და მან უნდა გადაამოწმოს გენერირების შედეგი („Output“).**^{737/738} იმის გათვალისწინებით, რომ ადვოკატის პროფესიული სტანდარტის დაცვის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს სასამართლოსთან ურთიერთობა განეკუთვნება (აპეკ-ის მე-9 მუხლი), ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებულმა ქმედებამ შეიძლება, რომ ამგვარი სტანდარტის დარღვევაც კი განაპირობოს.^{739/740}

1.4 შემაჯამებელი მსჯელობა

ადვოკატს უფლება აქვს, რომ გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი, მხოლოდ პროფესიული სტანდარტის დაცვის ფარგლებში. აღნიშნულში მოიაზრება როგორც კლიენტის ინფორმირება, ისე – კონფიდენციალურობის დაცვა თუ გენერირების შე-

⁷³³ მსჯელობა საფუძველს არაა მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ სტანდარტს, რაც საქართველოში ამ მიმართულებითაა დადგენილი. მაგალითად, ადვოკატის მიერ დისტანციურად (იგივე, სოციალურ მედიაში) გაწეული კონსულტაცია სათანადო სამართლებრივ შედეგებთანაა დაკავშირებული. იხ. სააეკ, 2021, 109-110.

⁷³⁴ *Mata v. Avianca, Inc.*, No. 22-cv-1461 (PKC), 2023 WL 4114965 (S.D.N.Y. June 22, 2023).

⁷³⁵ „ჰალუცინაციისგან“ დაზღვეული არ არის მომხმარებელი და მათ შორის, არც ადვოკატი. შესაბამისად, ქმედება, რომლითაც „ჰალუცინაცია“ არ გამოირიცხება, წარმოადგენს სწორედ ადვოკატის პასუხისმგებლობას. იხ. მაგალითად, ავსტრალიის პრაქტიკა: *Re Walker* [2025] VSC 714 (24 November 2025); ასევე, გერმანიის პრაქტიკა: *KG Berlin, Bes. vom 20.11.2025 -17 WF 144/25*.

⁷³⁶ იხ. ასევე, *United States v. Hayes*, 763 F. Supp. 3d 1054 (E.D. Cal. 2025).

⁷³⁷ ანალოგიური მიდგომაა გავრცელებული კანადის სასამართლო პრაქტიკაშიც: *Ko v. Li*, 2025 ONSC 6785.

⁷³⁸ *Horn in: Ebers/Quarch (Hrsg.), Rechtshandbuch ChatGPT*, 2024, 384.

⁷³⁹ მაგალითად, აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „ადვოკატმა არ უნდა მიაწოდოს სასამართლოს წინასწარი შეცნობით ყალბი მტკიცებულება“.

⁷⁴⁰ აღნიშნული მიდგომა კიდევ უფრო მკაცრადაა განმარტებული ავსტრალიის სასამართლო პრაქტიკაში: *Helmold & Mariya* (No 2) [2025] FedCFamC1A 163 (12 September 2025).

დეგად მიღებული პასუხის გადამოწმება. თითოეულ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება ადვოკატს. პასუხისმგებლობის განსხვავებულ გადანაწილებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მაშინ, თუ თითოეული რისკი წინასწარ არის გაცხადებული კლიენტთან და თუ რისკების თაობაზე⁷⁴¹ კლიენტს თანხმობა აქვს გაცხადებული (ან მისი სურვილია, განახორციელოს ადვოკატმა შესაბამისი ქმედება). უფრო ზუსტად რომ ითქვას, ამგვარი თანხმობის გაცხადება ავტომატურად არ ანულირებს ადვოკატის პროფესიულ პასუხისმგებლობას, ეთიკურ მოვალეობას და იგივე გადამოწმების ვალდებულებას, თუმცა, შესაძლებელია, რომ შედეგზე (გარემოების გათვალისწინებით) მოახდინოს გავლენა, თუნდაც რისკების შეფასების გათვალისწინებით.⁷⁴²

პროფესიული პასუხისმგებლობის ნაწილში, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა გადაამოწმოს თითოეული საკითხი: ეს ეხება როგორც სასამართლო პრაქტიკას, ისე – ფაქტობრივ გარემოებებსა და სხვ. რაც შეეხება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობას, სასურველია, თუ ე.წ. „შიდა კორპორაციული“ („დახურული“) სისტემა იქნება გამოყენებული. ასეთ დროს, შეზღუდულია რისკი, თუმცა იგი არ წარმოადგენს უსაფრთხოების უპირობო გარანტიას.

2. მოსამართლე – მოკლე ორიენტირი

ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება მოსამართლე. დღევანდელი გადმოსახედიდან, ეს, საკანონმდებლო განმარტების თვალსაზრისით, დაუშვებელია, რადგან ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება, მაგალითად, სსმ-ს 34-ე მუხლის 1-ელ პუნქტს: „*მოსამართლის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს/აირჩეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხით/უმაღლესი განათლების დიპლომით, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში*“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანონი ზემოთ მოყვანილი ფორმულირებიდან მხოლოდ ორ გამონაკლისს იცნობს: ა) მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან და ბ) იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისგან გათავისუფლება. სხვა მხრივ, მოცემულობა

⁷⁴¹ იგულისხმება, თითოეული ნაბიჯი, რომელიც კლიენტთან უნდა იქნეს შეთანხმებული და რომელმაც შეიძლება, რომ კლიენტის ინტერესზე ზეგავლენა მოახდინოს. იხ. *გასიტაშვილი/ზამბახიძე/კორძახია/ლორია/მესხიშვილი/მოლიტერნო/ხუბულური*, 2021, 314 და შ.

⁷⁴² შედარებით უსაფრთხოა ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა მაშინ, თუ ადვოკატი მას გრამატიკული (მათ შორის, მორფოლოგიური) მიზნით დაიხმარს – *Horn in: Ebers/Quarch (Hrsg.), Rechtshandbuch ChatGPT*, 2024, 385.

იდენტურია, რაც განსაზღვრავს სათანადო წინაპირობებს, რომ მოსამართლე მხოლოდ ფიზიკური პირი უნდა იყოს.

ცალკე განხილვის თემაა მოსამართლის მიერ ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის საკითხი. ამ შემთხვევაში ვაწყდებით დაახლოებით იგივე მიდგომას, რაც ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობის კუთხითაა განსაზღვრული: ნებისმიერი ინფორმაცია (გენერირების შედეგი) უნდა გადამოწმდეს და მოსამართლე არ უნდა დაეყრდნოს მას უპირობოდ.⁷⁴³ ამ თვალსაზრისით, დასაშვებია, რომ ხელოვნური ინტელექტი ე.წ. რუტინული ამოცანებისთვის იქნეს გამოყენებული, როგორც „ინსტრუმენტი“, რაც მოსამართლეს სამუშაოს დაჩქარებულად შესრულებაში დაეხმარება.⁷⁴⁴ სხვა მხრივ, შესაძლებელია, რომ საფრთხე შეექმნას მოსამართლის დამოუკიდებლობას,⁷⁴⁵ რაშიც მოიაზრება როგორც პიროვნული, ისე მითითებებისგან თავისუფალი ქმედება.⁷⁴⁶ ამდენად, შეფასებითი საქმიანობის, მოტივაციის გაწერისა თუ მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით, ხელოვნური ინტელექტი არ უნდა გახდეს მოსამართლის ჩამნაცვლებელი.^{747/748} ამ გზით თავიდან იქნება არიდებული სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დარღვევა ალგორითმული ლოგიკის მიერ.⁷⁴⁹

გემოაღნიშნული მიდგომის კვალად, შესაძლებელია, კოლუმბიაში არსებული შემთხვევის მოხმობაც, სადაც მოსამართლის მიერ ხელოვნური ინტელექტის დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენება, დასაშვებად იქნა მიჩნეული.⁷⁵⁰ სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველი ქმედება ეხებოდა არა ხელოვნური ინტელექტის მიერ მოსამართლის ჩანაცვლებას, არამედ მის დახმარებას.⁷⁵¹

⁷⁴³ უპირობოდ დაყრდნობამ შესაძლოა, რომ სასამართლო დამოუკიდებლობას შეექმნას საფრთხე. იხ. *Sonali*, IJLJ 2024; 4(2), 242.

⁷⁴⁴ *Knauff* in: *Knauff/Lee/Lin/Schröder* (Hrsg.), KI, Ethik und Recht, 2024, 96.

⁷⁴⁵ როგორც გარე, ისე – შიდა დამოუკიდებლობას, რომელიც მოსამართლისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია. ამ საკითხზე იხ. *Graham J. Wilson v Ordre des avocats du barreau de Luxembourg*, 19.9.2006, №C-506/04 (CJEU).

⁷⁴⁶ *Horn* in: *Ebers/Quarch* (Hrsg.), *Rechtshandbuch ChatGPT*, 2024, 375.

⁷⁴⁷ იხ. „CEPEJ“-ის მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით: <<https://rm.coe.int/ethical-charter-en-for-publication-4-december-2018/16808f699c>> [7.4.2026].

⁷⁴⁸ *ხომასურიძე/ხორავა*, სკულ №1(2) 2026, 95.

⁷⁴⁹ *ხუციშვილი*, 2026, 41.

⁷⁵⁰ *Corte Constitucional de Colombia*, Sala Segunda de Revisión, Sentencia T-323 de 2024 (Exp. T-9.301.656), 2 de agosto de 2024 – გაცნობა მოხდა ინგლისურ ენაზე (*Blanca v. EPS*, *Constitutional Court of Colombia*, Judgement T-323/24 – 2.8.2024).

⁷⁵¹ მეტი თვალსაჩინოებისთვის იხ. *ხომასურიძე/ხორავა*, სკულ №1(2) 2026, 86-87.

3. არბიტრაჟი

ხელოვნური ინტელექტის არბიტრაჟში ინტეგრაცია, ისევე, როგორც არბიტრად მისი განსაზღვრის პერსპექტივა, თანამედროვე რეალობაში მსჯელობის საგნადაა ქცეული. განსაკუთრებით ეს ეხება ინტეგრაციის ფარგლებს, თუ რა დონემდეა შესაძლებელი, რომ ხელოვნური ინტელექტი გამოყენებულ იქნეს საარბიტრაჟო საქმიანობის განხორციელებისას. მსჯელობისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქართული და საერთაშორისო მოწესრიგება/მიდგომები იქნეს განხილული.

3.1 პოზიტიური აღქმა ხელოვნური ინტელექტის არბიტრაჟში ინტეგრაციის თაობაზე

ხელოვნური ინტელექტის არბიტრაჟში ინტეგრაცია პრინციპულად ნეგატიურად არ უნდა განიმართოს. იმისთვის, რათა საკითხი ფართოდ იქნეს განხილული, საინტერესოა იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც საერთაშორისო დონეზე გაიცემა ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ. ამ მხრივ გამოსარჩევია „Ciarb“-ის სტანდარტი (გამოქვეყნებულია 2025 წელს):⁷⁵² რეკომენდაციის მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის არბიტრაჟში გამოყენების საკითხი, სრულად პოზიტიურ კონტექსტში წარმოჩენილი, მხოლოდ ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით. აღნიშნულის მაგალითია, იმავე სტანდარტის ფარგლებში არსებული გენერალური რეკომენდაცია, რომელიც, ერთი მხრივ, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობის შესაძლებლობას განსაზღვრავს, მაგრამ, მეორე მხრივ, მოუწოდებს მონაწილეებსა თუ არბიტრ(ებ)ს, რომ სათანადოდ შეისწავლონ ის ძირითადი რისკები, რაც შეიძლება მისმა გამოყენებამ წარმოშვას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე შეთანხმების საკითხი, რომლის ნიმუშიც დასახელებულ რეკომენდაციაშია აღნიშნული.

საინტერესო რეკომენდაციებია გაცემული „Viac“-ის მიერ, საარბიტრაჟო პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თაობაზე (გამოქვეყნებულია 2025 წელს):⁷⁵³ არბიტრის მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ არ უნდა ჩაანაცვლოს არბიტრის როლი, დამოუკიდებლად მსჯელობისა თუ გადაწყვეტილების მიღების უნარი და სხვ. (2.2 პუნქტი). იმავე რეკომენდაციის 4.2 პუნქტით, ხელოვნური ინტელექტის სარგებლობისას, შესაბამისი პირია პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება მას მოჰყვეს.

ქართულ რეალობაში საკითხი ასევე პოზიტიურადაა წარმოჩენილი. ეს არ ნიშნავს, რომ იგი საკანონმდებლო დონეზე რაიმე ფორმით წესრიგდება. თუმცა, ცალკეული

⁷⁵² იბ. <https://www.ciarb.org/media/bpndtcgu/guideline-on-the-use-of-ai-in-arbitration_updated-sept-2025.pdf> [28.12.2025].

⁷⁵³ იბ. <<https://www.viac.eu/wp-content/uploads/2025/04/VIAC-Note-on-AI.pdf>> [28.12.2025].

ნაშრომები და გამოთქმული შეხედულებები საერთაშორისო მიდგომებს ეფუძნება.⁷⁵⁴ ამ მხრივ ყურადსაღებია შემოთავაზებული ხედვა, რომელიც შეიძლება გაითვალისწინონ კონტრაქტებმა არბიტრაჟზე არჩევანის შეჩერებისას – თუ რა სტანდარტები უნდა იქნეს გავრცელებული არბიტრაჟში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების თვალსაზრისით.⁷⁵⁵

3.2 ხელოვნური ინტელექტი, როგორც არბიტრი?

ის, თუ ვინ უნდა იყოს არბიტრი, საერთაშორისო თუ ეროვნულ აქტებში პირდაპირ მოწესრიგებული არაა. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობაში არ გვხვდება ჩანაწერი, რომ არბიტრი აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა იყოს.⁷⁵⁶ მაგალითისთვის, ნიუ იორკის კონვენციის მოხმობაა შესაძლებელი, სადაც მართალია, არბიტრზე მითითებაა, თუმცა არსადაა ნახსენები, რომ იგი აუცილებლად ფიზიკური პირი უნდა იყოს. ანალოგიური მიდგომაა ქართული რეალობის გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, საინტერესოა, რომ ყურადღება რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე გამახვილდეს.

3.2.1 ქართული კანონმდებლობა

არშ-სა თუ სსკ-ში ტერმინი „არბიტრი“ არ არის განმარტებული და მით უმეტეს, არ გვხვდება ჩანაწერი, რომელიც არბიტრს მხოლოდ ფიზიკურ პირად მოიხსენიებდა. მიუხედავად ამისა, ხელოვნური ინტელექტის არბიტრად მიჩნევა (ან ტერმინოლოგიურად გათანაბრება) არ იქნებოდა მართებული. აღნიშნული მსჯელობა კი ცალკეულ ნორმათა ანალიზიდან გამომდინარეობს. მაგალითად, არშ-ის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს შემდეგს: „დაუშვებელია, პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი არის: ა) შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიძღვნილი, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული; ბ) სახელმწიფო მოსამსახურე, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის

⁷⁵⁴ იხ. მაგალითად, *ყურაშვილი*, არბიტრი ხელოვნური ინტელექტით თუ ხელოვნური ინტელექტი არბიტრი: <<https://georgianarbitrationblog.ge/2026/02/07/%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a2%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%ae%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%95%e1%83%9c%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98-%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%a2%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%94/>> [28.12.2025].

⁷⁵⁵ იხ. *კეკელიძე*, AI-ს გამოყენება საარბიტრაჟო წარმოებისას – SVAMC-ის მიერ მიღებული გაიდლაინების მიმოხილვა: <<https://georgianarbitrationblog.ge/2025/08/24/ai-%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9F/>> [28.12.2025].

⁷⁵⁶ იხ. მაგალითად, *Schmidt*, RRA №4/2025, 71.

პირი, პოლიტიკური თანამდებობის პირი ან საჯარო მოსამსახურე; გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მას მოხსნილი ან გაქარწყლებული არ აქვს ნასამართლობა; დ) ან იყო მედიატორი იმავე საქმეზე ან ამ საქმესთან არსებითად დაკავშირებულ სხვა საქმეზე“. აღნიშნული ფორმულირების გათვალისწინებით, შეიძლება ხაზი გაესვას, რომ ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება ქმედუნარიანი და, შესაბამისად, მხარდაჭერის მიმღებიც. ანალოგიურად, ვერ იქნება მაგალითად, თანამდებობის პირი, ისევე, როგორც, ნასამართლევ, თუ მედიატორი, რომელსაც უკვე განხილული ჰქონდა შესაბამისი საქმე. ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები ცალსახად ფიზიკურ პირს მიემატება.⁷⁵⁷ ეს კი ნიშნავს, რომ შეიძლება ითქვას: ქართული კანონმდებლობით არ შეიძლება, რომ ხელოვნური ინტელექტი იყოს არბიტრი.

3.2.2 საქართველოს არბიტრთა ასოციაცია

ზემოთ მოყვანილი მსჯელობის იდენტური განმარტება შეიძლება გაკეთდეს საა-ს მაგალითზე დაყრდნობით. საა-ში არბიტრად განწევრებისთვის დაინტერესებულმა პირმა უნდა შეავსოს განაცხადი.⁷⁵⁸ განაცხადში კი მისათითებელია რამდენიმე ისეთი საკითხი, რაც მხოლოდ ფიზიკური პირისთვისაა დამახასიათებელი. მაგალითად, სახელი და გვარი, მოქალაქეობა, პირადი ნომერი. ჩამოთვლილთაგან, ხელოვნურ ინტელექტს არ ექნება რომელიმე მათგანი.

3.2.3 შპს „დავების განხილველი ცენტრის“ („DRC“-ის) დებულება

„DRC“-ს დებულების მე-13 მუხლი საარბიტრაჟო ტრიბუნალის საკითხთან მიმართებით ზოგად ნაწილს განსაზღვრავს,⁷⁵⁹ სადაც მე-2 პუნქტში მითითებაა შემდეგზე: „დანიშვნამდე ან დამტკიცებამდე არბიტრობის კანდიდატმა უნდა მოაწეროს ხელი დეკლარაციას, რომ მას აქვს სათანადო დრო საარბიტრაჟო დავის განხილვისათვის, არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, ასევე უნდა მიუთითოს თავისი საკონტაქტო მონაცემები, რომელიც კონკრეტული დავის განხილვის პროცესში გამოყენებული იქნება გზავნილის/შეტყობინების მისაღებად. არბიტრობის კანდიდატმა „DRC“-ის სამდივნოს წერილობით უნდა აცნობოს ნებისმიერი ფაქტისა და გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება წარმოშვას დასაბუთებული ეჭვი არბიტრის მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის თაობაზე. სამდივნო არბიტრობის კანდიდატის ამ განაცხადს უგზავნის ტრიბუნალის სხვა წევრებს და საარბიტრაჟო განხილვის მხარეებს.

⁷⁵⁷ ანალოგიურად მიემატება ფიზიკურ პირს არშ-ის მე-11 მუხლის მე-5 პუნქტში არსებული დათქმა, სადაც ხაზგასმია არბიტრის განათლებამზე.

⁷⁵⁸ იხ. <www.gaa.ge>.

⁷⁵⁹ იხ. <<https://drc.ge/page/regulations>> [28.12.2025].

სამდივნოს შეუძლია განუსაზღვროს მხარეებს დრო მოსაზრებების წარმოსადგენად“. მოყვანილი ფორმულირებიდან თითოეული შემთხვევა უშუალოდ ფიზიკურ პირს მიემართება. ესეც არ იყოს, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, განსაზღვრულია შემდეგი: „არბიტრები ვალდებული არიან თავიანთი საქმიანობა განახორციელონ დებულების, საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული „არბიტრთა ეთიკის კოდექსის“ და მხარეთა შეთანხმების შესაბამისად“. როგორც უკვე აღინიშნა, საა-ში წევრობა ფიზიკურ პირს შეუძლია. შესაბამისად, „DRC“-ის დებულებაშიც მითითებაა კოდექსზე, რომელიც მხოლოდ ფიზიკურ პირებთან მიმართებით აკეთებს დათქმას.

3.2.4 ნიდერლანდებისა და საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა

თუ საკითხს საერთაშორისო თვალსაზრისით განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ბევრ ქვეყანაში გვხვდება საქართველოს კანონმდებლობაში განერილი ფორმულირების იდენტური მოწესრიგება. თუმცა არსებობს საგამონაკლისო შემთხვევებიც, საიდანაც ნიდერლანდებისა და საფრანგეთის მაგალითები იქნება აღებული: ნიდერლანდების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1023-ე მუხლის პირველი წინადადება პირდაპირ ითვალისწინებს არბიტრად მხოლოდ ფიზიკური პირის არსებობის საკითხს:⁷⁶⁰ „ნებისმიერი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი შეიძლება დაინიშნოს არბიტრად“.⁷⁶¹ ანალოგიურ შემთხვევას ვხვდებით საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომლის 1450-ე მუხლის მიხედვით განერილია შემდეგი: „არბიტრად მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ ფიზიკურ პირებს, რომლებიც სრულად სარგებლობენ თავიანთი სამოქალაქო უფლებებით“.⁷⁶² როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში, უშუალოდ საკანონმდებლო ჩანაწერი გამორიცხავს ხელოვნური ინტელექტის არბიტრად ყოფნის შესაძლებლობას.

3.2.5 „UNCITRAL“-ის მოდელური კანონი

„UNCITRAL“-ის მოდელური კანონის (საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის შესახებ) გამოყენება შესაძლებელია დამხმარე არგუმენტის სახით. კერძოდ, მოდე-

⁷⁶⁰ იმავე მუხლში ასევე მითითებაა ეროვნებაზე, თუმცა, რადგან ტერმინი „ფიზიკური პირი“ ისედაც გვხვდება ნორმაში, ამ თვალსაზრისით მისი განხილვა, არ არის მიზანშეწონილი.

⁷⁶¹ თარგმანი ინგლისური ენიდან: „Any natural person of legal capacity may be appointed as an arbitrator“. იხ. ნიდერლანდულ ენაზე: „Iedere handelingsbekwame, natuurlijke persoon kan tot arbiter worden benoemd“.

⁷⁶² თარგმანი ინგლისური ენიდან: „Only physical persons in the full enjoyment of their civil rights may act as arbitrators“. იხ. ფრანგულ ენაზე: „La mission d'arbitre ne peut être exercée que par une personne physique jouissant du plein exercice de ses droits“.

ლური კანონი არ განმარტავს არბიტრის ცნებას,⁷⁶³ თუმცა მე-11 მუხლის 1-ელ პუნქტში უთითებს არბიტრის დანიშვნის წესზე. ნორმის მიხედვით, დაუშვებელია, რომ პირს შეეზღუდოს არბიტრად დანიშვნის უფლება მისი ეროვნების გათვალისწინებით.⁷⁶⁴ ამ შემთხვევაშიც, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის იდენტურად შეიძლება ითქვას, რომ ეროვნების ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ფიზიკურ პირზე,⁷⁶⁵ რაც ხელოვნური ინტელექტის ამ სტატუსში მოქცევას ავტომატურად გამოორიცხავს. კერძოდ, მართალია, ტერმინი „Nationality“ („ეროვნება“) შეიძლება შედავების საფუძველი იყოს,⁷⁶⁶ მაგრამ ამავე დათქმაში მითითებული ტერმინი „Person“ მოიაზრებს სუბიექტს, რაც საკითხს ფიზიკური პირის მიჩნევის სასარგებლოდ წყვეტს.⁷⁶⁷

3.2.6 ადამიანური მიდგომის შეუძლებლობა

გარდა ზემოთ მოყვანილი მსჯელობისა, გვხვდება სხვა არაერთი მოცემულობა, რაც ხელოვნური ინტელექტის არბიტრად განსაზღვრის შესაძლებლობას გამორიცხავს. მაგალითად, ფაქტორები, რასაც არბიტრი დააფუძნებს თავის გადაწყვეტილებას, ვერ იქნება ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში იდენტური.⁷⁶⁸ ანალოგიურად, ხელოვნური ინტელექტი შეიძლება დაეხმაროს არბიტრს მასალის სტრუქტურირებასა და ანალიზში, თუმცა მტკიცებულებათა უშუალო შეფასება და ფაქტების დადგენა, პროცესუალური გაგებით, კვლავ არბიტრის არადელეგირებად ფუნქციად რჩება (მხოლოდ გენერირება ვერ იქნება იდენტური შედეგის მიღების საფუძველი⁷⁶⁹). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხელოვნურმა ინტელექტმა შეიძლება გარემოებებზე დაყრდნობით განსაზღვროს შედეგი, მაგრამ მოკვლევისას („განსჯისას“) მას სამართლიანობის განცდა ვერ ექნება.⁷⁷⁰ ასეთი ფუნქცია მას არ გააჩნია.

⁷⁶³ იხ. <https://uncitral.un.org/sites/uncitral.un.org/files/media-documents/uncitral/en/19-09955_e_ebook.pdf> [28.12.2025].

⁷⁶⁴ იხ. ინგლისურ ენაზე: „No person shall be precluded by reason of his nationality from acting as an arbitrator, unless otherwise agreed by the parties“.

⁷⁶⁵ იხ. მაგალითად, Jivraj v. Hashwani [2011] UKSC 40.

⁷⁶⁶ იგულისხმება იმ კონტექსტში, რომ ხელოვნური ინტელექტის მსგავსად, ეროვნება შესაძლებელია, რომ ფიზიკურ პირსაც არ უფიქსირდებოდეს.

⁷⁶⁷ მით უმეტეს, თუ განვიხილავთ წინარე ისტორიას, რაც ამ მუხლის შექმნას ეხებოდა და სადაც მსჯელობაც მიმდინარეობდა „მოქალაქეობის“ თაობაზე. ლიტერატურაში გამოთქმულია პოზიცია, რომ ამჟამინდელ რედაქციაში მოაზრებულია მოქალაქეობის ფაქტორიც – *Ali/Repousis*, in: UNCITRAL Model Law on ICA: A Commentary, 2020, 190-191.

⁷⁶⁸ იხ. Schmidt, RRA №4/2025, 70.

⁷⁶⁹ იქვე, 76.

⁷⁷⁰ ლიტერატურაში ხელოვნური ინტელექტის ფუნქციონალური თვისება საინტერესო ტერმინითაა დახასიათებული: „ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტი“, რაც ცალსახად გამორიცხავს ადამიანურ ფაქტორს – *ხომასურიძე/ხორავა*, სკულ №1(2) 2026, 91.

შესაბამისად, ხელოვნური ინტელექტის მხრიდან *ex aequo et bono* ვერ მოხდება გადაწყვეტილების მიღება.

3.2.7 შუალედური შეჯამება

დღევანდელი მონესრიგების ფარგლებში, ხელოვნური ინტელექტის მხრიდან საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დაწერა, დაუშვებელია. შედარებით განსხვავებულია მიდგომა აღწერილობითი ნაწილის გენერირებაზე, თუმცა ეს ასპექტიც მეტ განმარტებას საჭიროებს. რაც შეეხება, ფორმალური ხარვეზებისთვის ხელოვნური ინტელექტის „დამხმარე ინსტრუმენტად“ გამოყენებას, კონფიდენციალურობის, შესაბამისი განმარტებისა და ადამიანური ზედამხედველობის ფარგლებში, დასაშვებად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

3.3 ხელოვნური ინტელექტის „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ გამოყენება

ის, თუ რა შემთხვევაში შეიძლება „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ იქნეს ხელოვნური ინტელექტი მიჩნეული, თითოეული გარემოებიდან გამომდინარე განისაზღვრება.⁷⁷¹ არბიტრის უშუალო ჩართულობის მნიშვნელობის ფაქტორის გათვალისწინებით, არ იქნებოდა მართებული, რომ არბიტრმა სრულად დაანერინოს ხელოვნურ ინტელექტს გადაწყვეტილება. ეს შეიძლება გასცდეს „დამხმარე ტექნიკური საშუალების“ ფარგლებს. კერძოდ, მსჯელობა შეიძლება დაეფუძნოს შემთხვევას მაშინაც, როდესაც არბიტრმა მიიღო გადაწყვეტილება და მხოლოდ ფორმალურ გენერირებას ახდენს ხელოვნური ინტელექტი (ისიც, კონფიდენციალურობის დაცვით).

უფრო მეტი სიცხადისთვის შეიძლება სამი მაგალითის განხილვა: ა) არბიტრმა დაავალა მისცა ხელოვნურ ინტელექტს, რომ დაწეროს გადაწყვეტილება; ბ) არბიტრმა დაწერა გადაწყვეტილება და მხოლოდ აღწერილობითი ნაწილის გენერირება დაავალა ხელოვნურ ინტელექტს და გ) არბიტრი ხელოვნურ ინტელექტს ასწორებინებს მის მიერ დაწერილ გადაწყვეტილებას.

წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ სამივე შემთხვევა შეუსაბამობაში მოვა კანონმდებლობასთან (დადგენილ პრინციპებთან), თუ დარღვეული იქნება კონფიდენციალურობის ვალდებულება. შესაბამისად, ამ საკითხზე შეგნებულად არ გამახვილება ყურადღება (მაგალითების სახით). პირველ შემთხვევაში, არბიტრის როლი

⁷⁷¹ ამ მხრივ საინტერესო დავა დაიწყო აშშ-ში, სადაც ხელოვნური ინტელექტის ჩართულობის ხარისხზე უნდა ემსჯელა სასამართლოს, თუმცა პროცესუალური წინაპირობების არარსებობის გათვალისწინებით, დავა შინაარსობრივად აღარ განხილულა – *LaPaglia v. Valve Corp.*, No. 3:25-cv-00833 (S.D. Cal. Dec. 9, 2025). ხელოვნური ინტელექტის „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ სარგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით იხ. *ARIHQ v. Santé Québec*, 2026 QCCS 1360.

შემოიფარგლება აბსოლუტურად პასიურად: მისი მხრიდან დავალების მიცემა უკვე განსაზღვრავს წინაპირობას, რომ ხელოვნური ინტელექტი იღებს გადაწყვეტილებას, რაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ავთენტურობას ეჭვქვეშ აყენებს. ამგვარი მიდგომისას ხელოვნური ინტელექტი არბიტრის „კონტროლის“ ქვეშ არ ექცევა, არამედ, არბიტრი გადაწყვეტილებას სრულად მიანდობს მას.⁷⁷² მეორე შემთხვევაში საკითხი უფრო რთულადაა წარმოჩენილი, რადგან ფაქტობრივ გარემოებებსა თუ საქმის პროცედურულ ასპექტებს აგენერირებს ხელოვნური ინტელექტი. ერთი შეხედვით, საკითხი არაა არსებითი პრობლემის მქონე, თუმცა, თუ მას ერთიანი გადაწყვეტილების კონტექსტში შევხედავთ, დიდ პრობლემას დავინახავთ: აღწერილობითი ნაწილი მთლიანი გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. მასზე დაყრდნობით ხდება გარემოებების განსაზღვრა, რაც საბოლოო შედეგში სუბსუმცირდება. სწორედ ამიტომ, არბიტრის მხრიდან აღწერილობითი ნაწილის გაწერა მნიშვნელოვანია, რათა ერთიანობა თუ გადაწყვეტილების ლოგიკურობა იქნეს წარმოჩენილი. რაც შეეხება მესამე შემთხვევას, იგი დასაშვებ კატეგორიათა ნუსხაში უნდა იქნეს შეყვანილი, ვინაიდან ხელოვნურ ინტელექტს მხოლოდ დამხმარე როლი აქვს. დახმარებაში არ უნდა ვიგულისხმეთ აღწერილობითი, სამოტივაციო თუ სარეზოლუციო ნაწილის შინაარსობრივი დელეგირება ხელოვნური ინტელექტისთვის, არამედ, მხოლოდ ისეთ დეტალებზე სწორება/შესწორება, რაც ფორმალურ ხარვეზებს გამორიცხავდა (გადააზღვევდა).

სქემა №9 – ხელოვნური ინტელექტის გამოყენების დასაშვებობის ფარგლები

სცენარი	დასაშვებობა	რისკი
ხელოვნური ინტელექტი გადაწყვეტილებას მთლიანად წერს	დაუშვებელი	ავტონომიურობის რისკი
ხელოვნური ინტელექტი აგენერირებს აღწერილობით ნაწილს	დაუშვებელი	ლოგიკური ერთიანობისა და სამოტივაციო ნაწილზე გავლენის რისკი
ხელოვნური ინტელექტი ასწორებს მხოლოდ ფორმალურ ხარვეზებს	დასაშვები, საკანონმდებლო ფარგლებში შესაბამისობის გათვალისწინებით	კონფიდენციალურობისა და ერთიანი სტანდარტის დაცვის რისკი

⁷⁷² მსჯელობისთვის იხ. მოსამართლესთან დაკავშირებული საერთაშორისო მიდგომების საკითხი: ბუციშვილი, 2026, 112-113.

3.4 ცნობა-აღსრულების პრობლემა

ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებული, ისევე, როგორც გენერირებული (არა ფორმალურად გასწორებული, არამედ, უშუალოდ მის მიერ შექმნილი) გადაწყვეტილება, სადაც არბიტრის ჩართულობა არის მხოლოდ ფორმალური, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგის პრინციპებს. პირველ რიგში, კონფიდენციალურობას. თუ გარემოებიდან გამოიკვეთება, რომ კონფიდენციალურობა დაცულია, მაშინ გადაწყვეტილება არბიტრის როლთან მოვა წინააღმდეგობაში. კერძოდ, არბიტრი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ეს დეტალი მხოლოდ ფიზიკურ პირებს მიემართება. შესაბამისად, თუ გადაწყვეტილება გამოტანილია ხელოვნური ინტელექტის მიერ, სადაც არბიტრის ჩართულობა იყო მინიმალური (მხოლოდ დავალების მიცემა და ისიც არ ითვალისწინებდა „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ მის გამოყენებას), მაშინ შეიძლება, რომ ეს საჯარო წესრიგის საწინააღმდეგოდ იქნეს მიჩნეული და არშ-ის 45-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, სასამართლომ უარი განაცხადოს ასეთი გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებაზე.

3.5 შემაჯამებელი მსჯელობა

ხელოვნური ინტელექტი ვერ იქნება არბიტრთან გათანაბრებული. შესაბამისად, იგი ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, რაც (უპირატესად, სტატისტიკური ხელოვნური ინტელექტის შემთხვევაში) გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ნორმატიული პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობისა და პროცესუალური გარანტიების არქონით აიხსნება.⁷⁷³ დღევანდელი გადმოსახედიდან საწინააღმდეგო მოცემულობაზე მსჯელობა, არ იქნებოდა მართებული. თუმცა ეს ხელს არ უშლის მხარეებსა თუ არბიტრს, გამოიყენოს ხელოვნური ინტელექტი საქმის განხილვისას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ გამოყენების საკითხი მკაფიოდ იყოს გაცხადებული, ისევე, როგორც მხარეებმა მაქსიმალური წინდახედულობა გამოიჩინონ.

4. ჟურნალისტი

ჟურნალისტს, ისევე, როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენლებს, უფლება აქვთ, რომ ისარგებლონ ხელოვნური ინტელექტით. ამ მხრივ არაერთი საერთაშორისო მიდგომა იკვეთება, სადაც დასახელებული საკითხი პოზიტიურადაა შეფასებული.⁷⁷⁴ თუმცა, ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა სათანადოდ უნდა მოხდეს. კერძოდ, ჟურნალისტმა (ისევე, როგორც მედიასაშუალებამ) უნდა მიიღოს ყველა ზომა, რათა

⁷⁷³ „Black Box“-ის კონტექსტში. იხ. იქვე, 75. იხ. ასევე, ARIHQ v. Santé Québec, 2026 QCCS 1360.

⁷⁷⁴ იხ. მაგალითად, „Unesco“-ს სახელმძღვანელო ჟურნალისტიკის პედაგოგებისთვის, რომელიც ხელოვნური ინტელექტს ეხება: <<https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000384551>> [29.12.2025].

არ დაარღვიოს სხვათა უფლებები – იქნება ეს საავტორო უფლებები, პერსონალური მონაცემები თუ სხვ.⁷⁷⁵

4.1 ხელოვნური ინტელექტის ჟურნალისტად მიჩნევის პრობლემა

დღევანდელი მიდგომების გათვალისწინებით, ხელოვნური ინტელექტის ჟურნალისტად დაკვალიფიცირება, ფაქტობრივად შეუძლებელია. აღნიშნული გამომდინარეობს, როგორც საკანონმდებლო რეალობიდან,⁷⁷⁶ ისე სამართლებრივი დავებიდან, სადაც ჟურნალისტზე, როგორც ფიზიკურ პირზეა გამახვილებული ყურადღება.⁷⁷⁷ თავის მხრივ, ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული ნაშრომებსა,⁷⁷⁸ თუ საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში,⁷⁷⁹ სადაც ტერმინის „ჟურნალისტი“ განმარტება გვხვდება.^{780/781} ამ შემთხვევაში, საუბარია უშუალოდ ჟურნალისტზე და არა სათანადო საქმიანობასა თუ დაცულ სფეროზე, რომელიც იურიდიულ პირზეც ვრცელდება.⁷⁸²

თუ საინფორმაციო საშუალებებში ტექსტები, ისევე, როგორც აუდიო თუ ვიზუალური მხარე, ხელოვნური ინტელექტის მიერაა გენერირებული, მნიშვნელოვანია, რომ

⁷⁷⁵ ამ მხრივ საინტერესოა „BBC“-ს სტანდარტი, რომელიც ხელოვნურ ინტელექტს შესაბამისი წესების დაცვით იყენებს, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს საზოგადოება და პატივი სცეს ჟურნალისტიკის პრინციპებს: <<https://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidance/use-of-artificial-intelligence>> [29.12.2025].

⁷⁷⁶ საუკეთესო მაგალითია, სხკ-ის 157-ე მუხლი, რომლის პრაქტიკული შემთხვევებიდანაც ცალსახად იკვეთება, რომ ტერმინში „ჟურნალისტი“ ყოველთვის ფიზიკური პირია მოაზრებული (საკითხზე მსჯელობისთვის იხ. ჯორბენაძე, 2019, 262-263). პრაქტიკის თვალსაზრისით იხ. დამატებით, სუს განჩინება, 3.12.2025, №613აპ-2025; ასევე, სუს განჩინება, 25.12.2024, №982აპ-24.

⁷⁷⁷ იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 23.10.2024, №ას-432-2024; სუს განჩინება, 18.6.2025, №ას-177-2025.

⁷⁷⁸ ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე, 2014, 27.

⁷⁷⁹ იხ. მაგალითად, Sergejs Buivids v Datu valsts inspekcija, 14.2.2019, №C-345/17; Magyar Helsinki Bizottság v. Hungary, 8.11.2016, №18030/11 (ECtHR) [GC].

⁷⁸⁰ ქართულენოვან მაგალითად გამოდგება სბ-ის ვებგვერდზე განთავსებული განმარტება, რომელიც თავის თავში ფიზიკურ პირს მოიაზრებს: <<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=33630>> [11.4.2026]. ანალოგიურად, საინტერესოა, კემბრიჯის განმარტებანი, სადაც მითითებაა ტერმინზე – „პირი, რომელიც“ (ინგლისურად: „a person who“): <<https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/journalist>> [11.4.2026]. სიტყვა „who“ მიემართება მხოლოდ ფიზიკურ პირს. ამ საკითხზე დეტალური კვლევა მოცემულია ევროსაბჭოს მიერ გამოცემულ დოკუმენტში, სადაც ჟურნალისტის საერთაშორისო მასშტაბით (მაშასადამე, სხვადასხვა ქვეყნების მიხედვით) განმარტებაზეა გაკეთებული აქცენტი: <<https://rm.coe.int/tp-david-banisar-definition-of-journalist-2023-en/1680b3f15b>> [11.4.2026].

⁷⁸¹ სამეცნიერო ნაშრომებშიც, სადაც ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაზეა გაკეთებული აქცენტი, სწორედ ფიზიკური პირის არსიდან გამომდინარეა განვითარებული მსჯელობა. იხ. მაგალითად, მენჩერი, თარგ., 2013, 2-22.

⁷⁸² იხ. მაგალითად, Tietosuojavaltuutettu v Satakunnan Markkinapörssi Oy and Satamedia Oy, 16.12.2008, №C-73/07 (CJEU).

მოხდეს სათანადო აღნიშვნა. მეტიც, მას შესაბამისი ტერმინიც მიესადაგება:⁷⁸³ მაგალითად, „რობოტი ჟურნალისტი“⁷⁸⁴ ან „ავტომატიზებული ჟურნალისტი“.⁷⁸⁵ ეს ლოგიკურიცაა. გარდა იმისა, რომ ინფორმაციის მიმღები არ უნდა იქნეს შეცდომაში შეყვანილი, როგორც წესი, სრულად ავტომატიზებული აქტივობის შემთხვევაში, ტექსტი განსხვავებულადაა წარმოდგენილი.⁷⁸⁶ განსხვავება კი განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ, დღევანდელი გადმოსახედიდან, ხელოვნური ინტელექტი დავალებებს ასრულებს და მას არ გააჩნია ადამიანის მსგავსი „კრეატიული“ შესაძლებლობები.⁷⁸⁷

4.2 ხელოვნური ინტელექტი („Output“), როგორც არასათანადო წყარო

ჟურნალისტი მხოლოდ ხელოვნური ინტელექტის მიერ მიღებულ მონაცემებს ვერ დაეყრდნობა და მან უნდა გადაამოწმოს მისგან მიღებული პასუხი. მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება, რომ წყაროსგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების საჭიროებაც დადგეს, რომელიც ხელოვნური ინტელექტის ქმნილების (თუნდაც, „Deep fake“-ს) ნამდვილ ინფორმაციად გავრცელებას გამოიწვიოს.⁷⁸⁸ სხვა მხრივ, შესაძლებელია, რომ მისი (ან/და მედიასაშუალების/მედიის მესაკუთრის) პასუხისმგებლობა დადგეს.^{789/790} აღნიშნული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ კონტექსტის გათვალისწინებით, თუ საკითხი ხელოვნურ ინტელექტს ეხება, რომელიც თავის თავში „პალუცინაციის“ შესაძლებლობასაც მოიცავს.

გარდა ამისა, ხელოვნური ინტელექტი არ არის „ნამდვილი ფაქტის“ მოძიების დამოუკიდებელი ინსტრუმენტი. განსაკუთრებით, თუ იგი ინტერნეტში არსებულ ინფორმაციას ეყრდნობა, მის „Output“-ში შეიძლება აისახოს დებინფორმაციული ან პროპაგანდისტული შინაარსი.⁷⁹¹

⁷⁸³ დათქმა, თუ როგორ ხდება ხელოვნური ინტელექტით სარგებლობა, მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს. მაგალითისთვის გამოდგება „The New York Times“-ის მიერ ვებგვერდზე გაცხადებული განმარტება: <<https://www.nytimes.com/2024/10/07/reader-center/how-new-york-times-us-es-ai-journalism.html>> [11.4.2026].

⁷⁸⁴ ტერმინი მომდინარეობს „Robot journalism“-იდან, მაშასადამე, „რობოტული ჟურნალისტიკიდან“.

⁷⁸⁵ ტერმინი მომდინარეობს „Automated journalism“-იდან, მაშასადამე, „ავტომატური ჟურნალისტიკიდან“.

⁷⁸⁶ საინტერესო მსჯელობაა განვითარებული ლიტერატურაში, რომელიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ხელოვნური ინტელექტის გენერირებული ტექსტის საკითხს: Weber, 2019, 40-53.

⁷⁸⁷ Latar in: Latar (ed.), Robot Journalism, 2018, 38.

⁷⁸⁸ Gomille, ZUM №7/2025, 509.

⁷⁸⁹ მსჯელობისთვის იხ. Walters v. OpenAI, No. 23-A-04860-2 (Ga. Super. Ct., May 19, 2025).

⁷⁹⁰ პარალელი შეიძლება იქნეს გავლებული ინფორმაციის გადამოწმების შემთხვევაზეც, თუნდაც მარტივად ხელმისაწვდომი იყოს იგი ჟურნალისტიკისთვის – იხ. მენჩერი, თარგ., 2013, 85.

⁷⁹¹ იხ. ნანობაშვილი, შსუ, №3/2025, 143.

საგამონაკლისო შემთხვევა იქნება მაშინ, თუ ჟურნალისტი ინფორმაციას კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით, ხელოვნური ინტელექტის შესაძლო დეფექტებთან ერთობლიობაში ავრცელებს. ასეთ დროს, მისი მხრიდან მკაფიოდ უნდა გამახვილდეს ყურადღება ხელოვნური ინტელექტის შესაძლო ხარვეზზე.

4.3 ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები

სჟექ-ის პრინციპებიდან საინტერესოა 1-ელი პრინციპის განხილვა: „*ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია*“. აღნიშნულში მოიაზრება უშუალოდ ჟურნალისტის ქმედება, თუ რამდენად ეცადა იგი, რომ საზოგადოებისთვის მიეწოდებინა ზუსტი ინფორმაცია.⁷⁹² ხელოვნური ინტელექტის გენერირების შედეგი ვერ იქნება ერთმნიშვნელოვნად ზუსტი ინფორმაცია. მხარესთან გადამოწმებისა თუ შემდეგ (უკიდურეს შემთხვევაში) გავრცელების შემთხვევაშიც, ჟურნალისტმა უნდა აღნიშნოს გარემოება, რომ ინფორმაცია ხელოვნური ინტელექტისგან მიიღო,⁷⁹³ ხოლო ინფორმაცია იმგვარად გაავრცელოს, რომ საზოგადოებას განსხვავებული აღქმა არ ჩამოუყალიბდეს საკითხის მიმართ.

რამდენად შეიძლება ხელოვნური ინტელექტი იყოს კონფიდენციალური წყარო? როგორც სჟექ-ის მე-6 პრინციპის⁷⁹⁴ განმარტება (მათ შორის, პრაქტიკაზე დაყრდნობით) განსაზღვრავს შემდეგს: „*კონფიდენციალური წყარო, უმეტესწილად, ნდობის ნაკლები ხარისხით სარგებლობს, მაგრამ, ამასთან, შესაძლებელია, ასეთი წყარო ფლობდეს მნიშვნელოვან, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციას, რომლის გასაჯაროებამაც მხოლოდ კონფიდენციალურობის დაცვის პირობით დასთანხმდეს. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ წყაროს მოთხოვნა კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ იყოს უზრუნველყოფილი. დაუშვებელია როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით კონფიდენციალური წყაროს პირდაპირ ან ირიბად იდენტიფიცირება. მსგავსი ქმედება ხელს უწყობს წყაროთა უნდობლობას, ზოგადად, ჟურნალისტების მიმართ და, შესაბამისად, იზრდება რისკი, წყაროებმა ინფორმაცია არ მიაწოდონ ჟურნალისტებს იმის შიშით, რომ მათ შესახებ ინფორმაცია გახდება საჯარო*“. ⁷⁹⁵ მსჯელობიდან, რომელიც თავის მხრივ, პრაქტიკას ეფუძნება, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი, რომ წყარო არის პირი, რომელიც თავად წყვეტს, იყოს კონფიდენციალური. გარდა იმისა, რომ ხელოვნური ინტელექტი სუბიექტს არ წარმოად-

⁷⁹² კლდიაშვილი, 2019, 12-13.


⁷⁹³ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ასეთი მითითების აუცილებლობა დგება. მაგალითად, თუ ხელოვნური ინტელექტის გენერირების შემდეგ, ჟურნალისტმა გადაამოწმა ინფორმაცია ან სხვა წყაროში მოიძია იგი, მითითების აუცილებლობაც აღარ იარსებებს.

⁷⁹⁴ „*ჟურნალისტის მორალური პასუხისმგებლობაა, არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაციის წყარო*“.

⁷⁹⁵ კლდიაშვილი, 2019, 59-60.

გენს, ჟურნალისტი ასეთ შემთხვევაში მეორე დამაბრკოლებელ წინაპირობასაც აწყდება, რაც წყაროს სურვილს გულისხმობს, მისი ვინაობის გამჟღავნებაზე უარის თქმის თაობაზე.⁷⁹⁶ შესაბამისად, **ხელოვნური ინტელექტი („Output“) ვერ იქნება დადასტურებულ წყაროდ მიჩნეული**. პირიქით, იგი „დამხმარე ტექნიკურ საშუალებად“ შეიძლება იქნეს აღქმული, რომელმაც შესაძლოა, რომ ჟურნალისტი სწორ წყარომდე მიიყვანოს.⁷⁹⁷ შესაბამისად „Output“ ჟურნალისტის მიერ უნდა გადამოწმდეს.⁷⁹⁸

სქემა №10 – ხელოვნური ინტელექტის ჟურნალისტურ წყაროდ მიჩნევის დაუშვებლობა



4.4 ხელოვნური ინტელექტის „Output“-ის საზოგადოებრივ ინტერესად კვალიფიკაციის დაუშვებლობა

საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევა იმ საგამონაკლისო მოცემულობაში ექცევა,⁷⁹⁹ როდესაც მედიას გააჩნია ე.წ. საკითხის იმწუთიერი გაშუქების უფლებამოსილება.⁸⁰⁰ კერძოდ, შესაძლოა, რომ ჟურნალისტმა იმწუთიერი მოვლენის გაშუქება მყისიერად მოახდინოს.⁸⁰¹ ეს **არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტის უფლება აბსოლუ-**

⁷⁹⁶ იხ. მაგალითად, Goodwin v. the United Kingdom, 27.3.1996, №17488/90 [GC] (ECtHR); Becker v. Norway, 5.10.2017, №21272/12 (ECtHR).

⁷⁹⁷ კერძოდ, იგი შეიძლება, რომ წყაროს მოძიების ერთ-ერთ გზად იქნეს გამოყენებული. წყაროს მოძიებასთან მიმართებით, იხ. მაგალითად, მენჩერი, თარგ., 2013, 81-83 და შ.

⁷⁹⁸ Bayer in: Ebers/Quarch (Hrsg.), Rechtshandbuch ChatGPT, 2024, 181.

⁷⁹⁹ იხ. მაგალითად, Derbyshire County Council v Times Newspapers Ltd [1993] AC 534 (HL).

⁸⁰⁰ ასეთ დროს, ჟურნალისტი შესაძლოა, რთული დილემის წინაშე აღმოჩნდეს. იხ. Patterson, in: Schmidt (Ed.), 2023, Part II, 4.

⁸⁰¹ Observer and Guardian v. the United Kingdom, 26.11.1991, №13585/88 (ECtHR).

ტურია.^{802/803} არამედ შემოფარგლულია საკვანძო ასპექტის მართებულად წარმოჩენით.^{804/805} მაშასადამე, იკვეთება ჟურნალისტის მხრიდან მეტი თავისუფლება,⁸⁰⁶ რაც სხვათა უფლებების შეუღახავად უნდა განხორციელდეს.⁸⁰⁷

საზოგადოებრივი ინტერესის არსებობა კი დამოკიდებულია მოვლენაზე,⁸⁰⁸ ფაქტზე, თუმცა მისი გაშუქება არ უნდა არღვევდეს პირის უფლებებს.⁸⁰⁹ ამასთან, ფაქტი რეალურად უნდა არსებობდეს და დასტურდებოდეს. ასეთი მოცემულობა კი ხელოვნური ინტელექტის გენერირების საფუძველზე შეუძლებელია რომ იკვეთებოდეს. კერძოდ, თუნდაც ხელოვნური ინტელექტის „Output“ საზოგადოებრივი ინტერესის სფეროში მოქცეულ საკითხს ეხებოდეს, იგი ვერ გახდება იმ გარემოებასთან გათანაბრებული მოცემულობა, რომელიც ჟურნალისტის მეტ თავისუფლებას განსაზღვრავდა. პირიქით, შესაძლებელია, რომ ჟურნალისტის მხრიდან *mala fide* გამოიკვეთოს.⁸¹⁰ უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, შესაძლებელია, რომ ამგვარმა „Output“-მა ჟურნალისტურ გამოძიებას მისცეს ბიძგი, მაგრამ იგი ვერ გახდება მყისიერი გავრცელების საფუძველი.

5. შემაჯამებელი მსჯელობა

განხილული პროფესიული სფეროები ცხადყოფს, რომ ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია სხვადასხვა ინტენსივობით დასაშვებია, თუმცა იგი ვერ ცვლის კონკრეტული პროფესიის წარმომადგენლის პასუხისმგებლობას.⁸¹¹ განსაკუთრებით მაშინ,

⁸⁰² *მესხიშვილი*, 2020, 263.

⁸⁰³ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა აშშ-ს პრაქტიკა, რომელიც მყისიერი გავრცელების საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან განმარტებას აკეთებს. იხ. ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული სამართლებრივი შედეგის მქონე გადაწყვეტილება: *Curtis Publishing Co. v. Butts*, 388 U.S. 130 (1967) და *Associated Press v. Walker*, 389 U.S. 28 (1967).

⁸⁰⁴ *Dalban v. Romania*, 28.9.1999, №28114/95 [GC] (ECtHR).

⁸⁰⁵ ფართო მსჯელობისთვის იხ. *Fechner/Wössner*, 2015, 78-84.

⁸⁰⁶ *Diamond*, CJLPP, Vol. 5, 1996, 297.

⁸⁰⁷ იხ. მაგალითად, *Sir Cliff Richard OBE v The British Broadcasting Corporation and The Chief Constable of South Yorkshire Police* [2018] EWHC 1837 (Ch).

⁸⁰⁸ ამგვარი მოვლენა შეიძლება მოხსენიებულ იქნეს ტერმინით – „ცნობისმოყვარეობა“. დასახელებული საფუძველი ყოველთვის ვერ იქნება გამართლებული, რადგან ხშირად იგი პირადი ცხოვრების ასპექტებსაც მოიცავს. რა თქმა უნდა, ასეთ დროს, პირის სტატუსი (საჯარო პირს წარმოადგენს იგი თუ – კერძოს), გადამწყვეტი ფაქტორის მქონეა. იხ. მაგალითად, *Saaristo and Others v. Finland*, 12.10.2010, №184/06 (ECtHR).

⁸⁰⁹ განსაკუთრებით პირადი ცხოვრების დაცულ სფეროს – *Galella v. Onassis*, 353 F. Supp. 196 (S.D.N.Y. 1972) – მით უმეტეს, თუ უკვე დანესებულია გარკვეული წესები ამ თვალსაზრისით – *Galella v. Onassis*, 533 F. Supp. 1076 (S.D.N.Y. 1982).

⁸¹⁰ ასეთ შემთხვევაში, არაკეთილსინდისიერების საკითხი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ამ თვალსაზრისით, საინტერესო მიდგომებია განვითარებული საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკაში. საილუსტრაციოდ გამოდგება: *Selistö v. Finland*, 16.11.2004, №56767/00 (ECtHR).

⁸¹¹ პარალელის გავლება შეიძლება სხვა პროფესიებთანაც. იხ. მაგალითად, *ბაქრაძე*, მსუ №7/2025, 280.

როდესაც პროფესია დაკავშირებულია ნდობასთან, დამოუკიდებელ განსჯასთან, კონფიდენციალურობასთან და ინფორმაციის გადამონშებასთან. ამდენად, ხელოვნური ინტელექტი არ უნდა განიმარტოს, როგორც პროფესიის (პროფესიონალის) შემცვლელი, არამედ, როგორც ერთგვარი „ინსტრუმენტი“, რომლის სარგებლობის შედეგადაც საბოლოო პასუხისმგებლობა კვლავ ადამიანს ეკისრება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი ლიტერატურა

ახვლედიანი ზურაბ, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999 – *ახვლედიანი*, 1999.

ბალავაძე მარიამ, ხელოვნური ინტელექტი და სიძულვილის ენა, სჟ №2/2025 – *ბალავაძე*, სჟ №2/2025.

ბაქრაძე მაგდანა, მედიცინის სამართალი ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში: სამედიცინო ტრიაჟი, პასუხისმგებლობის გადანაწილების სირთულე და ინფორმირებული თანხმობის კრიზისი, შსჟ №7/2025 – *ბაქრაძე*, შსჟ, №7/2025.

ბეგიაშვილი ილია, ხელოვნური ინტელექტი და შრომითი დისკრიმინაცია, შსჟ №8/2025 – *ბეგიაშვილი*, შსჟ №8/2025.

ბიჭია მიხეილ, პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, სდნ, თსუ, თბილისი, 2012 – *ბიჭია*, სდნ, 2012.

ბურკაძე ხათუნა, ხელოვნური ინტელექტის სამართლის სუბიექტად მიჩნევის სტატუსისკენ, ჟურნალი „იუსტიცია“ №2[5] – *ბურკაძე*, „იუსტიცია“ №2[5].

გაბეხაძე დავით, რეპუტაცია, როგორც გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტკ, კონსტანტინე კორკელია (რედ.), GTZ, თბილისი, 2006 – *გაბეხაძე*, სტკ, კორკელია (რედ.), 2006.

გაბისონია ზვიად, ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2022 – *გაბისონია*, 2022.

გაბისონია ზვიად, ხელოვნური ინტელექტის არსი და სამართლის სუბიექტად ცნობის პრობლემა, ჟურნალი „იუსტიცია“ №1/2022, 138 – *გაბისონია*, „იუსტიცია“ №1/2022.

გაბისონია ზვიად, ხელოვნური ინტელექტის არსი და მისი სამართლებრივი რეგულირების საჭიროება, შსჟ №7/2021 – *გაბისონია*, შსჟ №7/2021, 40.

გაბისონია ზვიად, ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის, შსჟ №8/2021 – *გაბისონია*, შსჟ №8/2021.

გაბუნია მონიკა, საავტორო უფლებების დარღვევისა და პლაგიატის განმარტება თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთი გადაწყვეტილების მაგალითზე, თინათინ წერეთელი 120, სკრ, დიმიტრი გეგენავა (რედ.), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2025 – *გაბუნია*, თინათინ წერეთელი 120, სკრ, 2025.

გასიტაშვილი ეკატერინე, ზამბახიძე თამარ, კორძახია ირაკლი, ლორია ანა, მესხიშვილი ქეთევან, მოლიტერნო ჯიმს, ხუბულური თამარ, იურიდიული ეთიკა (ადვო-

კატების, მოსამართლეების, პროკურორების ეთიკა), ანა ლორიას რედაქტორობით, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021 – *გასიტაშვილი/ზამბახიძე/კორძა-ხია/ლორია/მესხიშვილი/მოლიტერნო/ხუბულური*, 2021.

გოცირიძე ევა, „აზრის გამოხატვა“, რომელსაც არ იცავს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტკ, კონსტანტინე კორკელია (რედ.), GTZ, თბილისი, 2006 – *გოცირიძე*, სტკ, კორკელია (რედ.), 2006.

გუგეშაშვილი გვანცა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სასამართლო პრაქტიკა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, თამარ ზარანდია/გონა ფერაძე (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2025 – *გუგეშაშვილი*, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, 2025.

ედიშერაშვილი თეა, ელექტრონული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში, თბილისი, 2022 – *ედიშერაშვილი*, 2022.

ელიაძე გიორგი, ბლოკჩეინ ტექნოლოგიების გამოყენება და ხელოვნური ინტელექტის სისტემის სამართლებრივი რეგულირება საგზაო გადაზიდვებში, შსუ №6/2024 – *ელიაძე*, შსუ №6/2024.

ვაშაკიძე გიორგი, სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბილისი, 2010 – *ვაშაკიძე*, 2010.

ზოიძე თამარ, წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), სდნ, თსუ, 2015 – *ზოიძე*, სდნ, 2015.

იოამეტს კრისტი, ჩოჩია არჩილ, ხელოვნური ინტელექტი და მისი გავლენა შრომით ურთიერთობებზე, სუ №1/2020 – *იოამეტს/ჩოჩია*, სუ №1/2020.

იოსელიანი ნინო, მოვალის გარანტია, სუ №1/2015 – *იოსელიანი*, სუ №1/2015.

კერესელიძე დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის გამომცემლობა, თბილისი, 2009 – *კერესელიძე*, 2009.

კლდიაშვილი დავით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპების განმარტება, პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ევროპის საბჭო, თბილისი, 2019 – *კლდიაშვილი*, 2019.

კუბლაშვილი კონსტანტინე, ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეექვსე გამოცემა, თბილისი, 2022 – *კუბლაშვილი*, 2022.

ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, II გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიი“, თბილისი, 2005 – *ლილუაშვილი*, 2005.

ლიპარტია ნინო, საბანკო გარანტიიდან გამომდინარე ბენეფიციარის მოთხოვნის მართვა და სამართლებრივი შედეგები, სდნ, თსუ, 2018 – *ლიპარტია*, სდნ, 2018.

ლოლაძე ბესიკ, ფირცხალაშვილი ანა, ძირითადი უფლებები, კომენტარი, ლოლაძე/ფირცხალაშვილი, თბილისი, 2023 – ავტორი, ძირითადი უფლებები, კომენტარი, ლოლაძე/ფირცხალაშვილი, 2023.

მენჩერი მელვინ, მელვინ მენჩერის ახალი ამბების გაშუქება და წერა, მეთორმეტე გამოცემა, ლაშა გველესიანის თარგმანი, გამომცემლობა დიოგენე, თბილისი, 2013 – *მენჩერი*, თარგ. 2013.

მესხი გიორგი, საავტორო სამართალი, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2025 – *მესხი*, 2025.

მესხიშვილი ქეთევან, კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, GIZ, 2020 – *მესხიშვილი*, 2020.

მოწონელიძე ნატალია, ხელოვნური ინტელექტისა და რობოტი სისტემების გამოყენება მედიცინაში და ზიანზე პასუხისმგებლობა, მკ №3(83)24 – *მოწონელიძე*, მკ №3(83)24.

ნანობაშვილი ლევან, მე არ ვარ რობოტი, შსუ №5/2025 – *ნანობაშვილი*, შსუ №5/2025.

ნანობაშვილი ლევან, ხელოვნური ინტელექტის გამონგვევები და საფრთხეები, შსუ №3/2025 – *ნანობაშვილი*, შსუ №3/2025.

ნინიძე თევდორე, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, აკაკი ლაბარტყავა 80, სკრ, ჟანტურია (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2013 – *ნინიძე*, აკაკი ლაბარტყავა 80, სკრ, 2013.

რაზმაძე გიორგი, პოსტმოდერნისტული ინსტრუმენტები კინოში, ხმკსკ 2021 #1(11) – *რაზმაძე*, ხმკსკ 2021 #1(11).

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის რჩეული რეკომენდაციები ადვოკატებისთვის, 2013-2021, მომზადებული ხატია ჩოგოვადის მიერ, 2021 – სააევ, 2021.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ელექტრონული ვერსია, ვებგვერდი: <http://www.gccc.tsu.ge> – ავტორი, სკ-ის კომენტარი, ელექტრონული ვერსია, <www.gccc.tsu.ge>.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, ლადო ჟანტურია (რედ.), 2017 – ავტორი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჟანტურია (რედ.), 2017.

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, ლადო ჟანტურია (რედ.), 2019 – ავტორი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჟანტურია (რედ.), 2019.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ხუთ წიგნად, წიგნი პირველი, ლადო ჟანტურია/ზურაბ ახვლედიანი/ბესარიონ ზოიძე/სერგო ჯორბენაძე (რედ.), გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2002 – ავტორი, ჟანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002.

საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, სახელმძღვანელო მოსამართლეების, იურისტებისა და სამართლის პედაგოგებისათვის, ნინო ბაქაძური/თეიმურაზ თოდრია/ზაქარია შველიძე (თანარედ.), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, თბილისი, 2017 – *ავტორი*, ბაქაძური/თოდრია/შველიძე (თანარედ.), საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, 2017.

სტურუა ნატა, ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სჟ №1/2012 – *სტურუა*, სჟ №1/2012.

ტაკაშვილი სიმონ, მესხი გიორგი, კობალაძე ლიკა, ლაკერბაია თამარ, ქათამაძე ნინო, კობახიძე ოლიკო, ლიპარტია ნინო, ხვედელიძე მათე, შესავალი სამოქალაქო სამართალში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023 – *ტაკაშვილი/მესხი/კობალაძე/ლაკერბაია/ქათამაძე/კობახიძე/ლიპარტია/ხვედელიძე*, 2023.

ქათამაძე ნინო, ცილისწამებასთან დაკავშირებულ დავაში მტკიცების ტვირთის გადანაწილების თავისებურებანი საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, ორბ. №9, 2025 – *ქათამაძე*, ორბ. №9, 2025.

ყენია თამთა, გამოსახულების უნებართვო გავრცელება, როგორც ქონებრივი უფლების დარღვევა, ლადო ჭანტურია 60, სკრ, დიმიტრი გეგენავა (რედ.), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023 – *ყენია*, ლადო ჭანტურია 60, სკრ, 2023.

შაიო ანდრაშ, ხელისუფლების თვითშეზღუდვა, კონსტიტუციონალიზმის შესავალი, მარინა მაისურაძე (თარგ.), თევდორე ნინიძე (რედ.), გამომცემლობა „სეზანი“, თბილისი, 2003 – *შაიო*, 2003.

შველიძე ზაქარია, სამოქალაქო მოთხოვნათა ფარგლები შრომითი დისკრიმინაციის დავისას, სდნ, თსუ, თბილისი, 2019 – *შველიძე*, სდნ, 2019.

ცერცვაძე ლაშა, ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივი რეგულირება: გამოწვევები და შესაძლებლობები, სმ №9/2025 – *ცერცვაძე*, სმ №9/2025.

ძამუკაშვილი დავით, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სანი“, თბილისი, 2002 – *ძამუკაშვილი*, 2002.

ძლიერიშვილი ზურაბ, ცერცვაძე გიორგი, რობაქიძე ირაკლი, სვანაძე გიორგი, ცერცვაძე ლაშა, ჯანაშია ლევან, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014 – *ავტორი* წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებო სამართალი, 2014.

საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, დავით კერესელიძე/სოფიო ჩაჩავა/ვახტანგ ზაალიშვილი/ზაქარია შველიძე/ქეთევან მესხიშვილი (რედ.), ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023 – *ავტორი*, საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, კერესელიძე/ჩაჩავა/ზაალიშვილი/შველიძე/მესხიშვილი (რედ.), 2023.

ჩაჩანიძე ელზა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცილისწამება, სჟ №2/2012 – ჩაჩანიძე, სჟ №2/2012.

ჩახუნაშვილი ოთარ, სიგუა სალომე, ხელოვნური ინტელექტისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები: ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა, პმდსჟ №1-2, 2025 – ჩახუნაშვილი/სიგუა, პმდსჟ №1-2, 2025.

ჭანტურია ლადო, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2012 – ჭანტურია, 2012.

ჭანტურია ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2011 – ჭანტურია, 2011.

ხომასურიძე თამარ, ხორავა ნიკა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პრაქტიკული და სამართლებრივი ასპექტები, სკულ №1(2) 2026 – ხომასურიძე/ხორავა, სკულ №1(2) 2026.

ხუბუა გიორგი, სამართლის თეორია, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2015 – ხუბუა, 2015.

ხუციშვილი ეკა, ხელოვნური ინტელექტი და სამართლიანი სასამართლოს უფლება, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2026 – ხუციშვილი, 2026.

ხუციშვილი ეკა, გვენეტაძე ნინო, სახის ამომცნობი ტექნოლოგიები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში – ხელოვნური ინტელექტი, „შავი ყუთი“ და სამართლიანი სასამართლოს უფლება, სკულ №1(2) 2026 – ხუციშვილი/გვენეტაძე, სკულ №1(2) 2026.

ჯიშკარიანი ბაჩანა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით სურათების, ვიდეოს ან აუდიოს მანიპულაცია (Deep Fakes) და ქართული სისხლის სამართალი, სმვ №2025(9) – ჯიშკარიანი, სმვ №2025(9).

ჯორბენაძე სანდრო, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1998 – ჯორბენაძე, 1998.

ჯორბენაძე სანდრო, სამოქალაქო კოდექსის ნორმათა განმარტებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000-2022 წლების გადაწყვეტილებების მიხედვით, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, ტომი I, მუხლები: 1-49², გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი, 2023 – ჯორბენაძე, სამოქალაქო კოდექსის ნორმათა განმარტებები, ტომი I, 2023.

ჯორბენაძე სანდრო, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2023 – ჯორბენაძე, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, 2023.

ჯორბენაძე სერგი, ბახტაძე უშანგი, მაჭარაძე ზურაბ, მედიასამართალი, სახელმძღვანელო, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2014 – ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე, 2014.

ჯორბენაძე სერგი, მესხი გიორგი, აუდიოვიზუალური ნაწარმოების გავრცელება სოციალურ ქსელში და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები, სჟ №2/2018 – *ჯორბენაძე/მესხი*, სჟ №2/2018.

ჯორბენაძე სერგი, კონტექსტის მნიშვნელობა განცხადების ცილისმწამებლურად კვალიფიკაციისას, „იუსტიცია“ №2(5)/2023 – *ჯორბენაძე*, „იუსტიცია“ №2(5)/2023.

ჯორბენაძე სერგი, პასუხისმგებლობა „Facebook“-ის პოსტზე მესამე პირის მიერ დატოვებული სიძულვილის ენის შემცველ კომენტარზე, ავთანდილ დემეტრაშვილი 80, სკრ, სოფიო დემეტრაშვილი (რედ.), სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021 – *ჯორბენაძე*, ავთანდილ დემეტრაშვილი 80, სკრ, 2021.

ჯორბენაძე სერგი, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების ფარგლები საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, პმდსჟ №2, 2024 – *ჯორბენაძე*, პმდსჟ №2, 2024.

ჯორბენაძე სერგი, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2013 – *ჯორბენაძე*, 2013.

ჯორბენაძე სერგი, სარჩელის უზრუნველყოფა სოციალურ მედიაში გავრცელებულ ცილისწამების დავებზე, ლადო ჭანტურია 60, სკრ, თამარ ზარანდია/ბესარიონ ზოიძე (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2023 – *ჯორბენაძე*, ლადო ჭანტურია 60, სკრ, 2023.

ჯორბენაძე სერგი, სოციალური მედიის სამართალი, თბილისი, 2019 – *ჯორბენაძე*, 2019.

ჯორბენაძე სერგი, სოციალურ ქსელში განხორციელებული პირადი მიმოწერის გასაჯაროების თავისუფლების სამართლებრივი ფარგლები, ლადო ჭანტურია 55, სკრ, დიმიტრი გეგენავა (რედ.), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2018 – *ჯორბენაძე*, ლადო ჭანტურია 55, სკრ, 2018.

ჯორბენაძე სერგი, სოციალურ მედიაში განხორციელებული ცილისწამება და უფლების დაცვის საშუალებები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, ქართულ-გერმანული სამართლის დიალოგი, სისხლის სამართალი და ადამიანის უფლებები, კმ, ბაჩანა ჯიშკარიანი/მარტინ ვასმერი (რედ.), თბილისი, 2023 – *ჯორბენაძე*, კმ, ჯიშკარიანი/ვასმერი (რედ.), 2023.

ჯორბენაძე სერგი, სხვისი ვიზუალით შექმნილი „Memoji“-ს გამოყენების სამართლებრივი ფარგლები, სჟ №1/2021 – *ჯორბენაძე*, სჟ №1/2021.

ჯორბენაძე სერგი, ცილისწამების ახლებური მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობაში, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, თამარ ზარანდია/გოჩა ფერაძე (რედ.), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2025 – *ჯორბენაძე*, ნუგზარ სურგულაძე 75, სკრ, 2025.

ჯორბენაძე სერგი, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017 – *ჯორბენაძე*, 2017.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Arbeitsrecht, Individualarbeitsrecht mit kollektivrechtlichen Bezügen, Handkommentar, Wolfgang Däubler/Jens Peter Hjort/Michael Schubert/Martin Wolmerath (Hrsg.), 5. Auflage, Nomos Verlagsgesellschaft, Baden-Baden, 2022 – *Autor* in Däubler/Hjort/Schubert/Wolmerath (Hrsg.), Arbeitsrecht, 2022.

Artificial Intelligence and the Law, Jan De Bruyne, Cedric Vanleenhove (eds.), Intersentia Pub., Antwerp, 2021 – *Author* in: De Bruyne/Vanleenhove (eds.), AI and the Law, 2021.

Bajohr Hannes, Autorschaft und Künstliche Intelligenz, Stephanie Catani (Hrsg.), Walter De Gruyter GmbH, Berlin/Boston, 2024 – *Bajohr* in: Catani (Hrsg.), KI und die Künste, 2024.

Baumann Malte, Nordemann Jan Bernd, Pukas Jonathan, Haftung für Urheberrechtsverletzungen im Output generativer KI-Systeme, GRUR №13/2025 – *Baumann/Nordemann/Pukas*, GRUR №13/2025.

